PRIME Time

N7 (257) ორშაბათი, 24 თებერვალი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი | ფასი 2 ლარი | www.ptpress.ge



**სოსო ჯაჭვლიანი:**

## „ახლა რასაც მოგიყვები, ჯერ არსად არ მითქვამს და პროკურატურას შეუძლია, ეს ინტერვიუ პირდაპირ ჩვენებად გამოიყენოს“

EXCLUSIVE

„ჩემს „დაჩაზე“, 20-ში 6 საათზე დაეშვა ვერტალიოტი, გადმოვიდა ვანო მერაბიშვილი და ჩემი აგარაკი 6 საათის განმავლობაში ალყაში ჰქონდათ მოქცეული“



## წმინდა მამის საფლავის გახსნის ექსკლუზიური დეტალები

## იკვეთება თუ არა გირგვლიანის მკვლელობის საქმეში რიტუალური წამების ელემენტი



**შალვა შავგულიძე:** „ეს რიტუალური წამების სტილი იყო. საგანს, რომლითაც სანდრო გირგვლიანი აწამეს, ერთი მხარე გალესილი ჰქონდა და მეორე ბლაგვი“

**დავით ბერძენიშვილი:** „არ უნდა ჩავთვალოთ, რომ უკრაინაში წყდება საქართველოს ბედი, ეს საკუთარი თავის შეურაცხყოფა იქნება“



EXCLUSIVE

ალექსანდრე ქიქაიძე პრიორიტეტებს ასახელებს – ბრძოლა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ტრეფიკინგის, ტერორიზმისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ



EXCLUSIVE

## მცირემიწიან ფერმერებს აგრობარათები ურიგდებათ



**დავით გალეგაშვილი:** „ამ ეტაპზე უკვე დაწყებულია ქაღალდის, ანუ ხვნის ბარათების დარიგება. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, უკვე დარიგებული გვაქვს 352 ათასი ბარათი“

EXCLUSIVE

## რატომ დაასრულა თვითმკვლელობით სიცოცხლე 18 წლის გოგონამ?

„თაკო ბიჭის გულისთვის თავს არ მოიკლავდა“

SCANDAL

# ახალი სკანდალი როგორ მოხვდა ნაციონალების სიაში მარიამ საჯაია?



**ზურაბ თოდუა:** „ამ ადამიანისგან ითხოვდნენ, მიეცა ჩვენება დემურ საჯაიას წინააღმდეგ. მას ასეთი ჩვენება არ მიუცია... სწორედ მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში გაუსკდა გული მარიამ საჯაიას მამას. აი, ამის შემდეგ, რამდენიმე თვეში მარიამ საჯაია ნაციონალების სიის პირველ ათეულში ხვდება“

EXCLUSIVE

ნაზი არონია: „ვინ არის ზურაბ თოდუა, რომელმაც თურმე რაღაც იცის ჩემი მეუღლის საქმიანობის შესახებ? მე არ ვიყავი ჩახედული და ის საიდან ფლობს ამ ინფორმაციას?“



EXCLUSIVE

ბიზნესმენი, რომლის ქონებაზეც ქარელი და ოქრუაშვილი დაობენ, „ნაცების“ რეპრესიების შეეწირა



## დაანგრევს თუ არა „ვისოლი“ „ავაზას“ სკოლას

EXCLUSIVE



**ნიკა გვარამია:** „არ შეიძლება, მედიამ თავი დააფიქსიროს, როგორც მხარემ და გახდეს, თუნდაც, „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“

EXCLUSIVE

## რამდენ მილიონად გაყიდა „კავკასუსი“ მამია სანადირაძემ?

„ეს არის ტიპური თაღლითობა... მან „კავკასუსის“ გასხვისებით მიიღო რამდენიმე მილიონი დოლარი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რეპორტაჟი სამთავროს

სალომე გოგოხია

**22 თებერვალს, მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში, დაკრძალული ღირსი მამა გაბრიელ აღმსარებელი-სალოსის წმინდა ნაწილები ამოაბრძანეს. შაბათ დილას მცხეთა დილიდანვე მომლოცველებით გაივსო. მრევლი მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ელოდებოდა წმინდანის ნეშტის გამობრძანებას. საპატრიარქოს გადაწყვეტილებით, საფლავის გახსნას, წმინდა ნაწილების აღმოყვანას მხოლოდ სასულიერო პირები, ბერ-მონაზვნები და საპატრიარქოს სპეციალური საშვის მქონენი დაესწრნენ.**

საპატრიარქოს გადაწყვეტილებითვე, წმინდანის საფლავი წინა საღამოს გაჭრეს. წმინდა ნაწილების ამობრძანება დილით დაიწყო. ნაწილები სპეციალურ ლუსკუმაში ჩაასვენეს, რომელიც შემდეგ მონასტერში გადააბრძანეს. საზეიმო წირვა-ლოცვამ რამდენიმე საათს გასტანა.

წირვის დასრულების შემდეგ, ლუსკუმაში ჩაბრძანებული წმინდანის ნაწილები სვეტიცხოვლის ტაძარში გადააბრძანეს. მომლოცველებს საშუალება ჰქონდათ, წმინდანისთვის პატივი მიეგოთ.

წმინდანის ნეშტის უხრწნელებასთან დაკავშირებით, სასულიერო პირებს შორის ორი განსხვავებული ვერსია გავრცელდა. როგორც მამების ერთი ნაწილი პირად საუბრებში აცხადებდა, ღირსი მამის ნეშთი უხრწნელია, ხოლო მეორე ნაწილის განცხადებით, ნეშტის მხოლოდ ზოგიერთი ნაწილია უხრწნელი. თუმცა, ჩვენთან საუბარში სასულიერო პირები ერთხმად ადასტურებდნენ იმ ფაქტს, რომ ღირსი მამის წმინდა ნაწილები კეთილსურნელებას აფრქვევდა.

**გორისა და ატენის მიტროპოლიტი მეუფე ანდრია:** „ძალზედ შესანიშნავი მოვლენაა. მოხდა წმინდა ნაწილების ამოყვანება. მამა გაბრიელი ბევრ ჩვენგანს ახსოვს, ბევრს ჰქონდა მასთან შეხება. წლების მანძილზე მასთან ურთიერთობა მისი გარდაცვალების შემდეგაც არ გამწყდარა. მრავალმა ადამიანმა, მისი მეოხებით, ნუგეში და სხვა მრავალი შეწევნა მიიღო. გვწამს, რომ მამა გაბრიელის ლოცვა შეგვეწევა. გავრცელდა ხმა, თითქოს მამა გაბრიელის ნეშტს კუნთოვანი ქსოვილები შენარჩუნებული ჰქონდა. მე ვნახე თავის ქალა. შემიძლია გითხრათ, როგორც მოცემულია წესი ყველა ჩვენთაგანისთვის - მიწისგან შექმნილი მიწად ქცეული. ამ წესს ექვემდებარება. მისი ნეშტი კეთილსურნელებას აფრქვევდა. როგორ იქნება წმინდა მამის ნაწილები დასვენებული, ამას მისი უწმინდესობა გადაწყვეტს“.











„ახალგაზრდა მორჩილი ვიყავი, მახსოვს, მამა გაბრიელი გვიყვებოდა, იცოდეთ, ბეთანიელი მამები - მამა გიორგი და მამა იოანე მიწაში უხრწნელი არიანო. მე ვესწრებოდი მის ქადაგებას, მაშინაც მწამდა, რომ მამა გაბრიელი ჭეშმარიტებას ქადაგებდა. მინდა ვთქვა, რომ ეს უბრალო მოვლენა არ არის. ეს განამტკიცებს და გააძლიერებს ერს ღვთის გზაზე. რაც დღეს მცხეთაში ხდებოდა, უამრავი ხალხი და დიდი სიხარული, უბრალო, შემთხვევითი მოვლენა არ არის და ვერც ჩაითვლება. მან ისეთი სახე და სიყვარული დატოვა, მთელმა ერმა ბერი გაბრიელი ერთხმად აღიარა როგორც უდიდესი თანამედროვე წმინდანი. ეს იგრძნობა, ეს ჩანს და არ შეიძლება არ მივულოცოთ ჩვენს ერს, ასეთი დიდი რამ. ვისაც სწამს და ვისაც ღმერთი უყვარს, ის ჭეშმარიტად გახარებულია ამ დიდი მოვლენით.

**- როგორც ამბობენ, მისი სხეული სურნელებას გამოსცემს და სხეულის გარკვეული ნაწილები უხრწნელია...**

- შეიძლება ასეც იყოს. შეიძლება მისი ნეშტი სრულიად უხრწნელია ან შეიძლება მისი წმინდა ნაწილები ძვლის სახითაა შემორჩენილი. ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. წმინდანობა არ დასტურდება მხოლოდ უხრწნელობით. არიან წმინდანები, როგორც წმინდა ეკატერინე, წმინდა ბარბარე, საბა განმწმენდელი, სერაფიმ საროველი და სხვები, მათი წმინდა ნაწილები ძვლის სახით არის. მამა გაბრიელი ჭილოფშია გახვეული და ის ბოლომდე არავის უნახავს. ყველაზე მთავარია, რომ ბერი გაბრიელის წმინდა ნაწილი აღმოყვანილია საფლავიდან და ერს შესაძლებლობა ექნება მას ღიად ემთხვიოს“, - აღნიშნა მეუფემ.



წმინდანის ღვაწლზე ისაუბრა ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა მეუფე თადეოზმა.

„ის იყო დიდი მორჩილი შვილი ბეთანიელი ბერებისა, რომლებიც ათონის მთიდან წამობრძანდნენ საქართველოში, რომ ლოცვა არ გაწყვეტილიყო. მამა გაბრიელი მათი უსაყვარლესი შვილი იყო. როგორც მამა გაბრიელმა ბრძანა, ჯერ ბეთანიელ მამებს შერაცხავენ წმინდანადო, მერე გაიცინა და თქვა, შეიძლება მეცო. ჯერ მათ საფლავებს გახსნიან და შემდეგ ჩემსასო. სწორედ ასე მოხდა. ცა ხან ტირის, ხან გაიცინებს. შეგვეწიოს მთელს საქართველოს, ჩვენს უწმინდესს, ყველას შეგეწიოთ“. - ბრძანა მეუფე თადეოზმა.

დეკანოზი ილია კარკაძე მამა გაბრიელს პირადად იცნობდა და მასთან ურთიერთობის ბედნიერებაც ჰქონდა. როგორც გვიამბო, მოხდა ისე, რომ მონასტერში მისული, შიგნით არ შეუშვეს. თუმცა, მოხდა სასწაული.

„დავდექი და ჩუმად წავიკითხე ღვთისმშობლის დაუჯდომელი. მოხდა სასწაული. მოვიდა მიტროპოლიტი დანიელი, მამა გაბრიელის მოძღვარი. მან შეგვიყვანა, საფლავთან მივედით და გახნას ვუყურებდი. წვიმის შეეშინდათ, მოდი გადავაფაროთო. გულში გავიფიქრე, ამხელა წმინდანია, წვიმას როგორ დაუშვებს, რომ დასრულდება ამოყვანა, მერე გაწვიმდებაო, მეუბნებოდა შინაგანი ხმა. მართლაც, როცა დასრულდა, წვიმა მერე წამოვიდა.









ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტ სერაფიმეს თქმით, მამა გაბრიელი გამორჩეული წმინდანი იყო და მორწმუნე ადამიანისთვის სამივე წმინდანის საფლავის გახსნა ძალიან მნიშვნელოვანია. მისი თქმით, წმინდანის საფლავის გახსნა უძველესი ქრისტიანული ტრადიციაა, რაც მართლმადიდებლურ ქვეყნებში მიღებულია, რაც ადამიანს რწმენაში აძლიერებს.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დედათა მონასტრიდან





## სასულიერო პირების განცხადებით, წმინდანის ნაწილები კეთილსურნელებას აფრქვევს



















ფოტო: დიანა ვარდანაშვილი





როგორც ნაკურთხ წყალს აპკურებენ, ისე აპკურებდა წვიმა მთელ მსვლელობას. მამა გაბრიელმა ბევრი მოაქცია", - გვითხრა მამა ილიამ.

მისივე თქმით, წმინდანის ნეშტი უხრწნელი იყო.

„ხრწნადი რომ ყოფილიყო, მოჩვარული იქნებოდა. მთელი ნაწილი შევსებულია. მთავარია, მის ღვაწლს შევხედოთ", - გვითხრა დეკანოზმა ილიამ.

წმინდანის სვეტიცხოველში გადაბრძანების შემდეგ, მომლოცველებს ლუსკუმასთან მიახლების უფლება მისცეს. პროცესი საკმაოდ მშვიდ და ორგანიზებულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

მომლოცველებს შორის იმყოფებოდნენ ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვები, მოხუცები, ახალგაზრდები. თითოეული მათგანი წმინდანს შეწევნასა და განკურნებას შესთხოვდა. საფლავის გაჭრის შემდეგ, იმ ადგილიდან სადაც, მამა გაბრიელი განისვენებდა, მომლოცველებს მიწა მოჰქონდათ.

„მამა გაბრიელის საფლავზე მისი წმინდანად შერაცხვამდე მოვდიოდი და შეწევნას ვთხოვდი, მის შემწეობას ყოველთვის ვგრძნობდი. უბედნიერესი ვარ, რომ ამ დღეს მცხეთაში ვარ და საშუალება მაქვს, რომ მის წმინდა ნაწილებს ვემთხვიო. მამა გაბრიელს შევთხოვ, რომ ჩვენი ქვეყანა გაამთლიანოს და გადაარჩინოს", - გვითხრა მრევლმა მაია ქადაგიძემ.

„სიცივეს, წვიმას, დაღლას, შიმშილს, ვერაფერს ვგრძნობ. უდიდესი მადლის მხილველები გავხდით. მადლობა უფალს, რომ დღეს აქ ვარ. ყველას შეგეწიოთ გაბრიელ ბერის ლოცვა. გფარავდეთ სრულიად საქართველოს", - გვითხრა მარინა ნადირაძემ.

სვეტიცხოველში საღამოს 5 საათზე პატრიარქი მობრძანდა. მის შემობრძანებამდე ლუსკუმას თავი ახადეს. როგორც უწმინდესმა ბრძანა, დღევანდელი დღე მადლმოსილია, მან ერი და ქვეყანა დალოცა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მწუხრის ლოცვას პატრიარქის ნაცვლად მეუფე თეოდორე აღასრულებდა, ხოლო მეორე დღეს, საკვირაო წირვას პატრიარქი.

ორშაბათიდან ღირსი მამის წმინდა ნაწილები სამების საკათედრო ტაძარში იქნება დაბრძანებული. მომლოცველები ერთი კვირის მანძილზე შეძლებენ ღირს მამას პატივი მიაგონ. ამის შემდეგ, წმინდანის ნეშტს სამთავროს დედათა მონასტერში, სპეციალურ აკლდამაში დაასვენებენ.

უცნობია, როგორ ლუსკუმაში ჩააბრძანებენ წმინდა ნაწილებს - მინის თუ თავდაცულში. როგორც „პრაიმტაიმს" სასულიერო პირებმა განუცხადეს, ამას პატრიარქი გადაწყვეტს.

რაც შეეხება ადგილს, სადაც მამა გაბრიელის საფლავი იყო, ჯერ უცნობია იმ ადგილზე რა განთავსდება. როგორც მონასტრის მორჩილმა გვითხრა, შეიძლება ფილა დააგონ, რომელიც მომსვლელს აცნობებს, რომ აქ გაბრიელ ბერის საფლავი იყო, ან მცირე სამლოცველო ააშენონ. ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ახალი სკანდალი – როგორ მოხვდა ნ

## რა პრობლემები ჰქონდა ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატის მამას ფინანსურ პოლიციასთან?

მარიამ ნადირაძე

**„მე დამოუკიდებელი რომ ვარ, მამაჩემის დამსახურებაა. მას ლიბერალური ღირებულებები ჰქონდა. ერთი პერიოდი დედა უმუშევარი დარჩა სამი თვით. ამას მამაჩემი შინაგანად ვერ ეგუებოდა, უნდოდა საქმიანი ქალი ოჯახში.**

მამა შარშან გარდაიცვალა. ისეთი ტიპი იყო, რომ არასოდეს მაქებდა. ეს მაძლევდა სტიმულს, მეტი წარმატებისთვის მიმეღწია. ხშირად ვამბობ, რომ მამაჩემის ჯიბრით ვსწავლობდი. უნივერსიტეტში რეიტინგში პირველი ვიყავი. ამას რომ ვეტყოდი ხოლმე მამას, პასუხად ვიღებდი: „მერე მე რა?" ბოლოს გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე ბრიფინგი მქონდა. რომ ნახა, მითხრა ერთ-ერთ წარმატებულ პროექტთან დაკავშირებით, კარგი იყო, მაგრამ უკეთესად შეგიძლიაო. ეს არის სიტყვები, რომლებიც მამაჩემისგან დამრჩა". – ეს არის ციტატა ყველაზე ახალგაზრდა ნაციონალი დეპუტატის, მარიამ საჯაიას 2013 წელს გამოქვეყნებული ინტერვიუდან. „პრაიმტაიმი" კი ქვემოთ შემოთავაზებულ სტატიასაც ასეთი შესავლით მხოლოდ იმიტომ იწყებს, რომ ჩვენი დღევანდელი თემა სწორედ ბატონ დემურ საჯაიას საქმიანობას, მის გარდაცვალებასა და ამ გარდაცვალების შემდგომ განვითარებულ მოვლენებს შეეხება.

დიდხანს ეძებდნენ პასუხს კითხვაზე, რა დამსახურებებით მოხვდა 21 წლის მარიამ საჯაია პარლამენტში, ისიც სწორედ იმ წელს, როდესაც კონსტიტუციაში ცვლილება შევიდა და დეპუტატის ქვედა ზღვრული ასაკი 25-დან სწორედ 21 წლამდე დაიწია. როგორც ჩანს, ამ კითხვაზე პასუხი აქვს ჩვენს დღევანდელ რესპონდენტს, ადვოკატ ზურაბ თოდუას, რომელიც სტუდენტი გოგონას გადეპუტატებას მამის გარდაცვალებამდე საქმიანობას და მის ზურგსით მოცულ სიკვდილს უკავშირებს.

> „ნაზი არონია არ არის ის პატარა ჩიტო, რომელსაც, ან რომლის ოჯახსაც შეიძლება ვილაცამ წამოუთაქუნოს"

თუმცა, სანამ ისტორიის მთავარ დეტალებზე გადავალთ, მკითხველს ჯერ იმ ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ მოვუთხრობთ, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა დემურ საჯაია.

პრესაში აქამდე გავრცელებული ინფორმაციით, ის შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველოს" 100%-იანი წილის მფლობელი იყო. ეს კომპანია კი წლების განმავლობაში მსხვილ სახელმწიფო დაკვეთებს ასრულებდა:

ამ სამმართველომ ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბრამდე მისასვლელი სამკილომეტრიანი გზის დაგებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მილიონ 471 ათასი ლარი მიიღო.

2009 წლის ნოემბერში მან კიდევ ერთი ძვირადღირებული პროექტი განახორციელა. მას სამეგრელოში კახათი-კოკი-ორსანტიას ექვსკილომეტრიანი გზის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის 1 მილიონ 445 ათასი ლარი გადაეცა მსოფლიო ბანკისგან...

2010 წლის 1-ელ ივლისს გამოცხადებულ ტენდერში იმარჯვებს და სენაკი-ზუგდიდის 65-კილომეტრიანი, ზუგდიდი-ანაკლიის 34-კილომეტრიანი, ზუგდიდი-ჩხოროწყუს 26-კილომეტრიანი, მარტვილი-ჩხოროწყუს 14-კილომეტრიანი, წალენჯიხა-ჯიხაშკარის 14-კილომეტრიანი გზის მონაკვეთების შეკეთება ევალება...

2011 წლის ზაფხულში მოგებული კიდევ ერთი 828-ათასლარიანი ტენდერის შედეგად 2012 წლის ბოლომდე ამ კომპანიას სამეგრელოში შიდა გზები უნდა შეეკეთებინა, მაგრამ დემურ საჯაია 2012 წლის დასაწყისში გარდაიცვალა. მისი საქმე კი მისმა ვაჟმა გააგრძელა.

იმ პერიოდში, როდესაც მეუღლის კომპანია ტენდერს ტენდერზე იგებდა, ქალბატონი ნაზი არონია აღარ გახლდათ დეპუტატი, თუმცა მისი ოჯახის სულ სხვა წევრი საკანონმდებლო ორგანოში ბატონი დემურ საჯაიას გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე თვეში აღმოჩნდა... კომპანიას კი ტენდერებში გამარჯვება არ შეუწყვეტია:

„ზუგდიდის საგზაო სამმართველომ" 2012 წლის ივნისში გამოცხადებულ ტენდერში ისევ გაიმარჯვა. სამეგრელოს ცალკეულ რაიონებში შიდა და საერთაშორისო მნიშვნელობის გზების შეკეთებისთვის ბიუჯეტიდან, ჯამში, 905 ათას 500 ლარი უნდა მიეღო.

**ახლა კი ჩვენს მთავარ თემას დავუბრუნდეთ:**

„პრაიმტაიმის" წინა ნომერში მკითხველს მოვუთხრობდით ყოფილი დეპუტატის, ბიზნესმენ ილია დალაქიშვილის შესახებ, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლების 6-მილიონნახევრიანი ქონება წაართვეს. ისტორია, რომელიც მარიამ საჯაიას მამას უკავშირდება, ამ თემის ერთგვარი გაგრძელებაა. თუ მკითხველს, რომელიც ახლა ამ პუბლიკაციას ეცნობა, დალაქიშვილის შესახებ არაფერი სმენია, ისტორიის იმ ნაწილს შევახსენებთ, რომლითაც ლოგიკურად დღევანდელ თემაზე უნდა გადავიდეთ. მისი ნაამბობიდან ირკვევა, რომ უკვე ციხეგამოვლილმა და არაერთგზის „გაწეწილმა" ბიზნესმენმა, ახალი საქმის წამოწყება სცადა და შექმნა კომპანია, რომელიც მყარი ნარჩენების გადამუშავებით ნავთობპროდუქტს იღებდა. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ბათუმის ყოფილი ნევთობბაზის ტერიტორიის ნარჩენებისგან გათავისუფლებას შეეხებოდა, მას ისევ დასდეს ბრალი და ფინანსურმა პოლიციამ ამჯერად ის საბაჟო კონტროლის წესების დარღვევაში, ფულის გათეთრებასა და ა.შ. დაადანაშაულა. სწორედ აქედან იწყებს თხრობას მისი ადვოკატი ზურაბ თოდუა იმ ისტორიის შესახებ, რომელს-







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აციონალების სიაში მარიამ საჯაია?



ნაზი არონია

აც მარიამ საჯაიას მამის, დემურ საჯაიას კომპანიამდე მივყავართ:

– რევიზიები რომ ჩაატარეს, იმ კომპანიების შემოწმება დაიწყეს, რომლებსაც ილია დალაქიშვილისგან ჰქონდათ წაღებული საქონელი. იმათ გაჰყვნენ კუდში. „ზუგდიდის საგზაო სამმართველოს“ გადამუშავებული ნარჩენები, ანუ ბიტუმი ჰქონდა მისგან ნაყიდი, რომელიც საგზაო მშენებლობისთვის არის გამოსადეგი.

**– კანონდარღვევა რაში მდგომარეობდა?**

– წაიღო, დავუშვათ, 30-ტონიანი მანქანა და ჩაწერა 40 ტონა. ეტყობა, რაღაც გაბერა. ჩაუტარეს ექსპერტიზა და აღმოჩნდა, რომ, თუ სწორად მახსოვს, 350 ათასი ლარი ჰქონდა სახელმწიფოსთვის დამალული. ამიტომ ორჯერ დაიბარეს მარიამის მამა ფინანსურ პოლიციაში. მასთან რომ არაფერი გამოუვიდათ, დაიჭირეს მისი თანამშრომელი, თუ არ ვცდები, მოადგილე იყო, ილია ქვარცხავა.

**– ექსპერტიზა ვინ ჩაატარა?**

– ფინანსურმა პოლიციამ... ვვარაუდობ, რომ, როდესაც დემურ საჯაიას იბარებდნენ, იქ იყო საუბარი რაღაც თანხებზე, რომ შეეტანა ბიუჯეტის სასარგებლოდ, სანაცვლოდ შეეშვებოდნენ. მესამედ ის აღარ დაუბარებიათ და დაიჭირეს ილია ქვარცხავა, რომელსაც ბრალად ყალბი ანგარიშფაქტურების შედგენა წაუყენეს. მახსოვს, მისი წინასასამართლო სხდომა 2012 წლის 27 იანვარს იყო ჩანიშნული და ის 26 იანვარს გარდაიცვალა.

**– რა პირობებში? ციხეში?**

– ჩემ მიერ გამოთხოვილი მასალებით აღმოჩნდა, რომ გარდაიცვალა ღუდუშაურში. ეტყობა, ძალიან მძიმედ იყო, რაკი ციხიდან ღუდუშაურში გადაიყვანეს. ჩემ მიერ გამოკითხული პატიმრებისგან ვიცი, რომ ეს ადამიანი ძალიან გულჩათხრობილი, არაკონტაქტური იყო. თვითონ პატიმრებმაც კი არ იცოდნენ, რატომ იყო ეს ადამიანი ციხეში. ისინი მიამბობდნენ, რომ ქვარცხავა ხშირად გაჰყავდათ საკნიდან. ბრუნდებოდა შეწუხებული და ჩაფიქრებული. არავისთან შედიოდა კონტაქტში. როცა ეს ადამიანი გაჰყავდათ, მალევე ვიგებდით ყვირილსო. ესენი ვარაუდობდნენ, რომ მას ურტყამდნენ. ამის მეც მჯერა, რომ ეს ადამიანი ცემაში შემოაკვდათ, ან ამ ცემამ გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რის გამოც ის საბოლოოდ გარდაიცვალა.

**– თქვენ რატომ დაინტერესდით ამ საქმით?**

– იმიტომ, რომ, ჩემი ვარაუდით, ამ ადამიანისგან ითხოვდნენ, მიეცა ჩვენება დემურ საჯაიას წინააღმდეგ. მას ასეთი ჩვენება არ მიუცია. საქმეში ასეთი რამ არ არსებობს. სწორედ მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში გაუსკდა გული მარიამ საჯაიას მამას. აი, ამის შემდეგ, რამდენიმე თვეში მარიამ საჯაია ნაციონალების სიის პირველ ათეულში ხვდება.

**– ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან შეიძლება რამე კავშირში იყოს?**

– ჩემი ვარაუდით, ნაზი არონია არ არის ის პატარა ჩიტო, რომელსაც, ან რომლის ოჯახსაც შეიძლება ვიღაცამ წამოუთაქუნოს. ეტყობა, ამ ოჯახმა და თვითონ ნაზი არონიამაც იაქტიურა. ქვარცხავას გარდაცვალება დღეს ბურუსით არის მოცული. ექსპერტიზაც არ აქვს ჩატარებული. ეს მე უფრო მეტ საფუძველს მაძლევს ეჭვისთვის, რომ ამ საქმის გაუხმაურებლობისთვის შესაძლოა, დაუსვეს საკითხი სააკაშვილს – აი, შენმა ფინანსურმა და შენმა პროკურატურამ რა გააკეთა და თუ გინდა, რომ ჩუმად ვიყოთ, რამე პირობები შემოგვთავაზეო. არ გამოვრიცხავ, რომ მარიამ საჯაია სწორედ ფინანსური პოლიციის მიერ ჩატარებული ეგზეკუციის მასალების არგახმაურებისთვის იყოს წარმოჩენილი, როგორც ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარი საქართველოში. ჩემი სამართლებრივი ანალიზი და მტკიცებულებები მაძლევს ამ განცხადების გაკეთების საფუძველს.

მარიამ საჯაია ტელეეკრანებზე პირველად 2012 წლის თებერვალში გამოჩნდა განათლების სამინისტროს სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამის სპიკერის ამპლუაში.

21 წლის 2012 წლის 15 მარტს გახდა. მაისში კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებით დეპუტატის ქვედა ზღვრული ასაკი 25-დან 21 წელზე ჩამოვიდა და მალევე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2012 წლის არჩევნებისთვის წარმოდგენილი სიის პირველ ათეულში ყველაზე ახალგაზრდა კანდიდატი სწორედ მისი სახით წარმოადგინა. ექსპერტები ამ საკონსტიტუციო ცვლილებას მაშინ პოლიტიკაში სწორედ ყოფილი ნაციონალი დეპუტატის, ნაზი არონიას ქალიშვილის, მარიამ საჯაიას გამოჩენას უკავშირებდნენ.

იმავე წელს მარიამის ძმა, ნიკოლოზ საჯაია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მსხვილი შემწირველი ხდება. მან 1 აგვისტოს 30 ათასი ლარი გადაურიცხა პარტიას...

**ვინაიდან დეპუტატი ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება სასწავლებლად, „პრაიმტაიმმა“ ვერ შეძლო მასთან ინტერვიუს ჩაწერა იმასთან დაკავშირებით, რაც ზემოთ უკვე გიამბეთ. ამიტომ, კომენტარისთვის ქალბატონ ნაზი არონიას დავუკავშირდით:**

– მე ვერ გეტყვით, ჩემი მეუღლე ბიტუმს ვისგან ყიდულობდა, ან პრობლემა ჰქონდა, თუ არ ჰქონდა... ასეთ დეტალებში არ მახედებდა...

**– ჩვენი რესპონდენტი მოგვითხრობს, რომ ბატონი დემური ფინანსურ პოლიციაში ორჯერ დაიბარეს, შემდეგ კი მისი მოადგილე, ქვარცხავა დაიჭირეს, რომელიც პატიმრობის დროს გარდაიცვალა... რამდენიმე დღეში კი თქვენი მეუღლეც გარდაიცვალა... ეს ინფორმაცია რამეზე მიგანიშნებთ?**

– ჩემს მეუღლეს არ ჰყოლია მოადგილე, გვარად ქვარცხავა... ვიღაცა ახლა ჭორაობს რაღაცას. ვინ არის ზურაბ თოდუა, რომელმაც თურმე რაღაც იცის ჩემი მეუღლის საქმიანობის შესახებ? მე არ ვიყავი ჩახედული და ის საიდან ფლობს ამ ინფორმაციას? ჩემს მეუღლეს არავითარი პრობლემა არ ჰქონია ფინანსურთან და არც კავშირი ჰქონია ვინმე ქვარცხავასთან, რომელიც დაიჭირეს და მოკვდა... სულ ჭორებია... ვინ კადრულობს გარდაცვლილზე ასეთ ჭორაობას? ჩემს მეუღლეს ყოველთვის ყველაფერი გამართული ჰქონდა. საგზაო სისტემაში მას ყველა იცნობდა. ახლაც, როცა ხელისუფლება შეიცვალა, დღესაც მას აფასებენ, როგორც კეთილსინდისიერ ადამიანსა და კეთილსინდისიერ მეგზევეს.

კარგად გვესმის, რომ გარდაცვლილის ოჯახისთვის მტკივნეულ თემას შევეხეთ, თუმცა, „პრაიმტაიმს“ აქვს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ შედგენილი აქტი, რომელიც 2011 წლის 27 დეკემბრით არის დათარიღებული. **გთავაზობთ რამდენიმე ამონაწერს დოკუმენტიდან:**

1. „გამოძიებით დადგენილია, რომ 2011 წლის მაისიდან აგვისტოს ჩათვლით პერიოდში შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველოზე“ შპს „XG“ის, შპს „ნატურის“ და შპს „ამირომის“ მიერ 6 ოპერაციაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშფაქტურების მიხედვით 134 198 ლარის ღირებულების ნავთობპროდუქტების მიწოდება რეალურად არ განხორციელებულა. შესაბამისად, სახეზეა უსაქონლო ოპერაციები, რომელთა შედეგად შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველომ“ დღგ-ში მიიღო 20 471 ლარის უკანონო ჩათვლა“...

2. „გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ 2011 წლის მაისიდან აგვისტოს ჩათვლით პერიოდში შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველოზე“ შპს „XG“ის მიერ 225 960 ლარის ღირებულების მიწოდების 15 ოპერაციაზე გამოწერილია ყალბი ანგარიშფაქტურები და ადგილი აქვს ფიქციურ გარიგებას. რამდენადაც საგადასახადო ანგარიშფაქტურები დასახელებული საქონლის „ლეალური წყლის“, „ლამის სახით ნავთობის ნარჩენის“, „მეორადი ზეთისა“ და ნავთობპროდუქტების ნარეცხი ნარჩენების“ ნაცვლად რეალურად განხორციელებულია სხვა დასახელების პროდუქციის – „ნედლი ნავთობის ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია“...

ბუნებრივია, ჩვენი ფორმატი ვერ დაიტევს მთელი აქტის შინაარსის გადმოცემას, თუმცა, ვფიქრობთ, მკითხველისთვის ტენდენცია უკვე გასაგები უნდა იყოს.

**„პრაიმტაიმი“ გარდაცვლილი ილია ქვარცხავას მეუღლეს, ქალბატონ ნინოსაც დაუკავშირდა:**

**– ჩვენი ინფორმაციით, თქვენს მეუღლეს ციხეში აიძულებდნენ, რომ დემურ საჯაიას წინააღმდეგ მიეცა ჩვენება, მაგრამ მას ეს არ გაუკეთებია... არსებობს ეჭვი, რომ ის სასტიკად სცემეს, რამაც საბოლოოდ მისი სიკვდილი გამოიწვია. თქვენ შეგიძლიათ ამ ინფორმაციის დადასტურება?**

– მე ვერ გაგცემთ პასუხს, რადგან არ მინდა ამ საკითხზე საუბარი.

**– თუმცა, პატიმრები ამბობდნენ, რომ ის გაჰყავდათ საკნიდან და ამის შემდეგ მათ ყვირილი ესმოდათ...**

– სწორად გამიგეთ, ჩემი კოლეგა ხართ და ამ საკითხზე კოლეგიალური მოსაზრებების გამო მაინც გაგცემდით პასუხს, მაგრამ ეს ჩემთვის უსაზღვროდ მტკივნეული თემაა და არ შემიძლია ამაზე საუბარი. რომ გავიგო, რომ ჩემი ქმარი მოკლეს ასე უპატრონოდ, შესაძლოა, ჩემს ნამოქმედარზე პასუხი აღარ ვაგო. ამიტომაც მირჩევნია, ეს ყველაფერი არ ვიცოდე. მირჩევნია, ვიცოდე, რომ გული გაუსკდა და ასე მოკვდა. თანაც, სამი ბიჭი ეზრდება და არ მინდა, რომ ბავშვებმაც რამე ბოღმა ჩაიდონ გულში.

**– ბატონი ილია დემურ საჯაიას მოადგილე იყო?**

– არა. უბრალოდ, ჩემს ქმარსა და დემურ საჯაიას რაღაც ეტაპზე საერთო ბიზნესინტერესები ჰქონდათ. ჩემს ქმარს სხვა კომპანია ჰქონდა. მაგრამ რაზეც დაიჭირეს, ეს სისულელე იყო და შეთითხნილი... არსად მისი ხელმოწერა არ იყო და საერთოდ, რის საფუძველზე დაიჭირეს, ვერც ამას ვხვდებოდი.

**– ოფიციალურად რა არის ცნობილი, რა დიაგნოზით გარდაიცვალა?**

– არც ეს მინახავს... მშობლებს აჩვენეს ეს დიაგნოზი.

ერთი სიტყვით, ილია ქვარცხავას გარდაცვალების ფაქტი კვლავაც დახურული თემაა. ამის თქმა შეგვიძლია პირდაპირი მნიშვნელობითაც და გადატანითიც, ვინაიდან ადვოკატმა ზურაბ თოდუამ პროკურატურას ამ საქმით დაინტერესებისკენ მოუწოდა, პასუხად გასული წლის ოქტომბერში მიღებულ წერილში ამოიკითხა: „...რაც შეეხება ბრალდებულ ილია ილიას ძე ქვარცხავას გარდაცვალების ფაქტს, გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურის წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე ბრალდებული ილია ქვარცხავას ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის მიმღებში გარდაცვალების ფაქტზე. აღნიშნულ საქმეზე შეწყდა გამოძიება 2012 წლის 21 ივნისს დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, ვინაიდან საექსპერტო კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გარდაცვალება მოხდა ბუნებრივი მიზეზით“.



ზურაბ თოდუა

## რა აკავშირებდა პატიმრობაში გარდაცვლილ ქვარცხავას დემურ საჯაიას ბიზნესთან?



**„არ გამოვრიცხავ, რომ მარიამ საჯაია სწორედ ფინანსური პოლიციის მიერ ჩატარებული ეგზეკუციის მასალების არგახმაურებისთვის იყოს წარმოჩენილი, როგორც ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარი საქართველოში“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა მესიჯებს უგზავნის ციხიდან თანაგუნდელებს ვანო მერაბიშვილი?

მარიამ ნადირაძე

**როგორც ჩანს, ვანო მერაბიშვილის არათუ ცრემლების, სიტყვებისაც უკვე აღარ სჯერა საზოგადოების დიდ ნაწილს და მისი ნებისმიერი განცხადება მსჯელობის საგანი ხდება, ექსპერტები მასში ახალ-ახალ ქვეტექსტებს აღმოაჩენენ ხოლმე.**

ასეთი დამოკიდებულება მის მიმართ განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც ყოფილმა პრემიერმა ყოფილი მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის მისამართით გააკეთა სკანდალური განცხადება მისი გატაცების, შანტაჟისა და მუქარის შესახებ. მისი სტრატეგია თავის დროზე ასე გაშიფრა ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ –„ვანომ თავის თანაგუნდელებს შეუთვალა, თუ ხმაურს არ ატეხთ და ციხიდან არ გამომიყვანთ, ადეიშვილს კი არ მოვიჯენ გვერდით, ჩემი სამიზნე იქნება მიხეილ სააკაშვილი. ჟვანიას მკვლელობა და მიშას ანგარიშები საკმარისი იქნება მიშას ციხეში ჩასასმელად... ეს გამოიწვევს „ნაციონალების" სრულ ნგრევას, რაც კბილაშვილმა ვერ გააკეთა, იმას გააკეთებს მერაბიშვილი". ამ პოზიციას სხვებიც იზიარებენ და მერაბიშვილის ყველაზე სკანდალური განცხადების ქვეტექსტები ამ სკანდალური ამოცანის ყველაზე პოპულარულ ამოხსნად რჩება...

ალბათ, სწორედ ამ ისტორიის გავლენა იყო ისიც, რომ სოციალური ქსელებით გავრცელებულ კადრებში მერაბიშვილის ფრაზა – „ორი გვამი მჭირდება!" – საზოგადოებამ მაშინვე კრიალაშვილისა და ოთანაძის მკვლელობის ბრძანებად აღიქვა და აღარავინ ისმენდა და იზიარებდა ყოფილი პრემიერის ფიცს იმის თაობაზე, რომ ის ორი რუსი მრჩევლის ცხედარს ეძებდა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად...

ახლა კი სასამართლო პროცესზე მისი მოადგილის, გია ლორთქიფანიძის დაკითხვის დროს მერაბიშვილის მიერ გაკეთებული მეტად ემოციური განცხადება გახდა საზოგადოების მსჯელობის თემა. არადა, ეჭვები შეგვიძლია, ლეგიტიმურადაც მივიჩნიოთ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ დაახლოებით 2 თვის წინ ნაციონალი დეპუტატის, ირმა ნადირაშვილის განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, გია ლორთქიფანიძის სახლთან ასაფეთქებელი საშუალებები იქნა აღმოჩენილი.

სხვათა შორის, ამ ფაქტს ყველაზე სწრაფად, რატომღაც პატიმარი მერაბიშვილი გამოეხმაურა:

„მინდა შეშფოთება გამოვთქვა ჩემს ყოფილ მოადგილესა და მეგობარზე გია ლორთქიფანიძეზე დაგეგმილი თავდასხმის გამო. როგორც ცნობილია, გიასა და მისი ოჯახის სახლთან ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს. თანადგომას ვუცხადებ გიას და იმედი მაქვს, დამნაშავეებს დროულად დააკავებენ".

ამ განცხადებამაც დააფიქრა საზოგადოების ყველაზე ეჭვიანი ნაწილი და აფიქრებინა, რომ ვანო მერაბიშვილი ამით თავსაც კი იმართლებდა, ვინაიდან მისი მოადგილე პროკურატურისთვის მის წინააღმდეგ გამოძიებულ და გამოსაძიებელ საქმეებში ყველაზე სასურველი და მოსაფრთხილებელი მოწმეა და თუ ვინმეს შეიძლება აწყობდეს ლორთქიფანიძის თავიდან მოშორება, ეს პირველ რიგში სწორედ ყოფილი პრემიერი და მისი უკვე მცირერიცხოვანი გუნდია.

ამის დასტურად თუნდაც დათა ახალაიას მიერ თავის დროზე „ფეისბუკის" გვერდზე გამოქვეყნებული წერილის ამონარიდის მოშველიებაც შეიძლება:„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და გამაჩნია ამის მტკიცებულებები, რომ ლაფანყურის ავანტიურა ჩემი ძმის – ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ დაგეგმა და გიორგი ლორთქიფანიძის ხელით განახორციელა ვანო მერაბიშვილმა, გაწირა რა სასიკვდილოდ ჩვენი მებრძოლები, უკიდურესად გაგვირთულა ურთიერთობები ჩვენს ქისტ ძმებთან და რეალური საშიშროების წინაშე დააყენა ქვეყნის უსაფრთხოება და საერთაშორისო იმიჯი".

თუ ლოგიკას გავყვებით და ვივარაუდებთ, რომ ლორთქიფანიძის სახლთან ბომბი საერთოდ იდო, მაშინ არც ის არის გამორიცხული, რომ ისრების სწორედ მერაბიშვილისკენ გადამისამართებას ცდილობდნენ...

დაბოლოს, ინციდენტი სასამართლო დარბაზში...

რამდენიმე დღის წინ თბილისის საქალაქო სასამართლოში 26 მაისის საქმესთან დაკავშირებით შს მინისტრის ყოფილი მოადგილე, გია ლორთქიფანიძე დაიკითხა. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ვანო მერაბიშვილს უკანონო ბრძანება არ გაუცია. მან ასევე დაადასტურა 26 მაისის აქციაზე მოლოტოვის კოქტეილების არსებობა.






პროკურორმა ნათია მეზვრიშვილმა მას მატყუარა უწოდა, რამაც მერაბიშვილის საკმაოდ ემოციური გამოსვლა გამოიწვია: „ყველასთვის ნათელი გახდა, რომ გია ლორთქიფანიძეზე ხდება აშკარა მუქარა. ლორთქიფანიძე და მისი ოჯახი ყოველდღიურად ზეწოლის ქვეშ არიან. არაფერი გაუკეთებია გამოძიებას მის სახლთან დამონტაჟებული ბომბის შესახებ. მიუხედავად ამისა, მიუხედავად მისი ძმის უკანონო დაკავებისა, ყოველდღიური ზეწოლისა, პროკურორის მხრიდან გრძელდება ზეწოლა, პროკურატურა სასამართლო დარბაზში მიუთითებს გია ლორთქიფანიძეს, რომ მისთვის სასურველი ჩვენება მისცეს. აქედან გამომდინარე, მისი ჩვენება განაჩენზე გავლენას ვერ მოახდენს, გაგებით მოვეკიდები, თუ არ გააგრძელებს დაკითხვას". – განაცხადა მერაბიშვილმა.

**ამ განცხადებაშიც ექსპერტები გარკვეულ ქვეტექსტებს ხედავენ. „პრაიმტაიმი" მამუკა არეშიძეს ესაუბრება:**

– არ გამოვრიცხავ, რომ მერაბიშვილმა წინასწარ დაიჭირა თადარიგი, რომ თითქოს გია ლორთქიფანიძე, რომელიც სასამართლოში ტრიბუნასთან დგას მოწმის სტატუსით, ის აუცილებლად მოყვება ისეთ რაღაცებს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება – ასე შემიძლია წავიკითხო მე მისი ეს განცხადება. გია ლორთქიფანიძეს ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ჩვენების მიცემა რომ შეუძლია, ეს ფაქტია, რადგან მან ბევრი რამ იცის. ბოლოს და ბოლოს, ლორთქიფანიძის დანაშაული თუ არა, სულ მცირე, ცდომილება იკვეთება საქმეში, რომელსაც ლაფანყურის საქმე ჰქვია, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ.

**– მაგრამ არის ვერსიები, რომ ლორთქიფანიძე ლაფანყურის საქმის კურსში ბოლომდე არ იყო...**

– შეიძლება სპეცოპერაციის დღეს არ იყო ყველაფრის საქმის კურსში, მაგრამ მანამდე, როგორც ეს საქმე ვითარდებოდა, იმ მებრძოლების საქართველოში ჩამოყვანის ჩათვლით, ის ყველაფერში მონაწილეობდა. თუ არ მონაწილეობდა, საქმის კურსში ნამდვილად იყო. ასე რომ, მერაბიშვილის განცხადებაში ვხედავ სპექტაკლის ელემენტებს თავის დასაცავად.

**– გია ლორთქიფანიძე მერაბიშვილზე სერიოზულ ინფორმაციებს ფლობს?**

– რასაკვირველია. ის მისი მოადგილე იყო და ყველაფერი შეუძლია მოყვეს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მას შეუძლია ლაფანყურის საქმეზეც ბევრ რამეს ახადოს ფარდა, სადაც გარდა იმ უმძიმესი დანაშაულისა, რაც ქვეყნის წინააღმდეგ მოხდა, იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემაც – ახალაიასა და მერაბიშვილის დაპირისპირების ფორმატი...

**– რას გულისხმობთ?**

– მთელი ლაფანყურის ისტორიის ბოლო დღე მერაბიშვილმა ახალაიას მოუწყო.

**– გამოდის, თქვენ დათა ახალაიას პოზიციას იზიარებთ, რომელიც მერაბიშვილს სწორედ ამაში სდებს ბრალს...**

– შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად მხარს ვუჭერ კიდეც, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბაჩანა ახალაია მთელ ამ პროცესში ბატკანივით იყო და მსხვერპლად შეეწირა. იქ სერიოზული შიდა ბრძოლები იყო და ეს დღეც ამ ბრძოლის ერთ-ერთი ნაწილია.

**– ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, ვის უნდა უნდოდეს გია ლორთქიფანიძის თავიდან მოშორება? მხედველობაში მაქვს ნაციონალების განცხადება მის სახლთან აღმოჩენილი ასაფეთქებელი ნივთიერების შესახებ...**

– ყველაზე ნაკლებად ხელისუფლებას შეიძლება აწყობდეს გია ლორთქიფანიძის თავიდან მოშორება, რადგან ის მათთვის საინტერესო მოწმეა. ის შეიძლება დააშინონ, შეზღუდონ, მაგრამ მოშორება გამორიცხულია. ლოგიკა ამაში არ არის. ეს შეიძლებოდა, ერთი მხრივ, სპექტაკლი ყოფილიყო, მეორე მხრივ კი – შურისძიება, რადგან ჩეჩნები მას ემუქრებოდნენ. მესამე ვერსიით კი, ესენი შეიძლება იყვნენ მისი თანამებრძოლები იმ ლოგიკით, რომ მან ბევრი რამე იცის.



**„მას შეუძლია, ლაფანყურის საქმეზეც ბევრ რამეს ახადოს ფარდა, სადაც, გარდა იმ უმძიმესი დანაშაულისა, რაც ქვეყნის წინააღმდეგ მოხდა, იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემაც – ახალაიასა და მერაბიშვილის დაპირისპირების ფორმატი..."**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვის ქონებაზე დაობენ ქარელი და ოქრუაშვილი?

## my View

**მირიან ბოქოლიშვილი**

**ირაკლი ოქრუაშვილი რომ თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადება, ამაზე „პრაიმტაიმი“ ერთხელ უკვე წერდა. „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში მისი ყოფილი თანაგუნდელი და ახლო მეგობარი მიხეილ ქარელი აცხადებდა, რომ ოქრუაშვილი გორში აპირებს კენჭისყრას.**

„100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ოქრუაშვილი გორში აპირებს კენჭისყრას. მან კარგად იცის, რომ თბილისში მას პოლიტიკურად შეჭამენ არა მარტო მისი წარსულის, აწმყოს გამოც“, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ მიხეილ ქარელმა.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ამჟამად უკვე საქართველოში იმყოფება და წინასაარჩევნო კამპანიისთვის სერიოზული ფინანსების ჩადებას გეგმავს. მან უკვე დაუკვეთა სოციოლოგიური კვლევები, რითაც საკუთარი რეიტინგის გაზომვას ცდილობს. „პრაიმტაიმი“ ირაკლი ოქრუაშვილს პირადად დაუკავშირდა, თუმცა მან ვრცელი განმარტებების გაკეთებისგან თავი შეიკავა.

„თვითმმართველობის არჩევნებზე სამი კვირის შემდეგ დამირეკეთ და შემდეგ ვისაუბროთ“, – განაცხადა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა.

რაც შეეხება მასა და მიხეილ ქარელს შორის არსებულ დაპირისპირებას, ირაკლი ოქრუაშვილმა ამ საკითხზე საუბარი საერთოდ არ ისურვა.

„წარმოდგენა არ მაქვს, რა მოკლე ტექსტურ შეტყობინებაზეა საუბარი. არ ვადევნებ თვალს და საერთოდ, არ ვათემებ მაგ საკითხს“, – ამბობს ოქრუაშვილი.

მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომელზეც ოქრუაშვილს „წარმოდგენა არა აქვს“ თავად მიხეილ ქარელმა გაავრცელა. შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი ირწმუნება, რომ მუქარის მესიჯი ოქრუაშვილისგან მიიღო, რომელიც ათონელზე მდებარე ოფისში საკუთარი წილის დათმობას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სახლის გადაწვით დაემუქრა.

„კარგად წაიკითხე და დაფიქრდი, რასაც გწერთ. 1. თუ როდესმე იკაზე ხმას ამოიღებ ან გაზეთით ან ტელევიზიით, შენს ოჯახს მთლიანად გავანადგურებთ. 2. თბილისის ოფისის წილები შენ და კეკელიშვილმა გადმოაფორმეთ შენივე დაქალ თეოზე. თუ სამ დღეში დადებითად არ გადაწყვეტთ, რასაც გწერთ, შენს სახლ-კარს ცეცხლს მივცემთ დედაშენ-მამაშენიანად, დანარჩენს გასვენებაში რო ჩამოხვალ, აქ აგიხსნით. კარგად დაფიქრდი და 31 იანვრამდე დააბრუნე პასუხი თეოს მეშვეობით. არ გემუქრებით, რეალობას გიხსნით. მაგასაც ხომ დავუწვით სახლი, ჰოდა, ნუ აყვები იმ „ვოლკს“, თორემ ცეცხლით გაგათბობთ, თუ არასწორად იფიქრებ, არც მანდ არაა შენი პოვნა ძნელი“, – წერია მიხეილ ქარელისთვის გაგზავნილ შეტყობინებაში.

მკითხველს განვუმარტავ, რომ შეტყობინებაში მოხსენიებული იკა, ირაკლი ოქუაშვილია, თეო – თეო ტლაშაძე, „ვოლკი“ – იასონ ჩიხლაძე, რომელიც ოქრუაშვილის მინისტრობის დროს თავდაცვის სამინისტროს შესყიდვებს ხელმძღვანელობდა.

თავის მხრივ, მიხეილ ქარელი წილის დათმობას არ აპირებს. ირწმუნება, რომ ათონელის ქუჩაზე მდებარე ოფისის 9 პროცენტი სრულიად კანონიერად ეკუთვნის.

„სიმართლე გითხრათ, მთელი ჩემი დანაზოგი ჩავდე ამ წილის შეძენაში. ერთადერთი, რაც გამაჩნია, ეს არის. სხვა არაფერი მაქვს. ერთადერთი მამაპაპისეული სახლი მქონდა სოფელში და ისიც რუსებმა ომის დროს გადაწვეს. ეს ოფისი 11 კაცის საკუთრებაა. აქ ღირებულებაზე იმდენად არ არის საუბარი, რამდენადაც ღირსებაზე. მე ამ წილს არ ვთმობ ჩემი ღირსებისა და პრინციპების გამო“, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ მიხეილ ქარელმა.

ვის ქონებაზე დაობენ რეალურად ირაკლი ოქრუაშვილი და მიხეილ ქარელი? „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, რომ ათონელზე მდებარე ქონების მესაკუთრე წლების წინათ კომპანია „ნუკოილის“ მფლობელი, ბიზნესმენი კობა ამირაჯიბი გახლდათ. ჩვენი ინფორმაციით, თავის დროზე ბიზნესმენი აიძულეს, ეს ოფისი დაეთმო. განხორციელებული ზეწოლის შემდეგ ამირაჯიბი იძულებული გახდა, ქონება ოქრუაშვილისა და მისი თანაგუნდელების (მათ შორის მიხეილ ქარელის) სასარგებლოდ დაეთმო, რაც საბოლოოდ ბიზნესმენის ჯანმრთელობაზეც აისახა. ამირაჯიბი ამჟამად ცოცხალი აღარ გახლავთ, მის ოჯახში კი ჟურნალისტებთან ღიად არ საუბრობენ. პირად საუბრებში ამბობენ, რომ „აპირებენ შესაბამისი დოკუმენტაციის თავმოყრას და ათონელის ოფისთან დაკავშირებით სამართლებრივი პროცედურების წამოწყებას“.




# ოქრუაშვილი – პოლიტიკაში, ქარელი კი საქართველოში ბრუნდება

## ბიზნესმენი, რომლის ქონებაზეც ქარელი და ოქრუაშვილი დაობენ „ნაცების“ რეპრესიებს შეეწირა

ეს ერთადერთი საქმე არაა, სადაც ოქრუაშვილ-ქარელის ტანდემის ქმედებები სერიოზულ კითხვებს აჩენს. ჩვენ თვალი გადავავლეთ მათი მაღალჩინოსნობის პერიოდის რამდენიმე სკანდალურ საქმეს. დასკვნები მკითხველმა გამოიტანოს.

### კეხვის სკანდალი

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სწორედ ირაკლი ოქრუაშვილი იყო პირველი ჩინოვნიკი, ვისაც სოზარ სუბარი (სახალხო დამცველი) მწვავედ დაუპირისპირდა. საუბარია კეხვის ინციდენტზე, როდესაც რუსეთიდან დეპორტირებულ საქართველოს მოქალაქეებს ოქრუაშვილი ქვეყანაში შემოსვლის უფლებას არ აძლევდა. აი, რას წერდა ამ ფაქტთან დაკავშირებით სოზარ სუბარი:

„2004 წლის 30 ოქტომბერს რუსეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე, როკის გვირაბის გავლით, 5 ავტობუსი შემოვიდა, მათ რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული (ჟირინოვსკი) პარტიის წარმომადგენლები მოაცილებდნენ. ავტობუსში სხვებთან ერთად იმყოფებოდა რუსეთიდან დეპორტირებული საქართველოს 60-მდე მოქალაქე... ავტობუსებმა როკის გვირაბიდან სოფელ კეხვამდე გზა უპრობლემოდ გაიარეს (ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია). აქ ისინი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა გააჩერეს (მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის უშუალო ბრძანებით), უკან გაბრუნება და კანონიერი გზით – ლარსის მხრიდან შემოსვლა მოსთხოვეს. ამ მოთხოვნას ყველაზე ხმამაღლა პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში, მიხეილ ქარელი ახმოვანებდა. ეს იყო უკანონო და ანტიკონსტიტუციური ქმედება, რომელიც, აგრეთვე, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას... კეხვში შეჩერებული მგზავრების უკან გაბრუნება შეუძლებელიც იყო, რადგან იქ მყოფთა ნაწილს ამოწურული ჰქონდა ვიზის ვადა, ნაწილი დეპორტირებული იყო, ხოლო მგზავრთა ნაწილს შეადგენდნენ ავადმყოფები და მეძუძური დედები ბავშვებით“.

სიტუაცია მას შემდეგ განიმუხტა, რაც სუბარი საქართველოს პრეზიდენტს დაუკავშირდა. ამის შემდეგ, ოქრუაშვილს უკან დახევა მოუხდა. ორ ნოემბერს საქართველოს მოქალაქეებს კონფლიქტის ზონიდან გამოსვლის უფლება მისცეს. ისინი დროებით გორის საბაჟო ტერმინალში დააბინავეს.

**დიდი გაკულაკებით ოქრუაშვილი განსაკუთრებით მის მშობლიურ შიდა ქართლში აქტიურობდა, სადაც ახლა თვითმმართველობის არჩევნებში აპირებს მონაწილეობას. ამ საქმეში კი მისი მთავარი დასაყრდენი სწორედ მიხეილ ქარელი გახლდათ**

### TV-დაპატიმრებები

ოქრუაშვილი, თითქმის ყველა პოსტზე, სუბარის კრიტიკის ობიექტი გახლდათ. დაწყებული გენერალური პროკურორობით, დამთავრებული თავდაცვის მინისტრობით. სწორედ ირაკლი ოქრუაშვილია გახმაურებული ტელედაჭერების ავტორიც... მისი ინიციატივით, ყოფილი ჩინოვნიკების დაპატიმრება, კანონის აღსრულებაზე მეტად, ტელეშოუებს დაემსგავსა. სუბარის წლიურ ანგარიშში მოხვდა დავით მირცხულავას საქმეც, რომელიც ოქრუაშვილმა გენპროკურატურაში დაიბარა, იქიდან კი ენერგეტიკის ექსმინისტრი საკაცით გამოიყვანეს.

– 2003 წლის 24 დეკემბერს გენერალურ პროკურატურაში იმყოფებოდა ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა, რომელიც დაკითხვის შემდეგ დააკავეს. ამ დროს მას დაემართა ინფარქტი და ტვინის ინსულტი, – წერს სუბარი საკუთარ ანგარიშში.

### დიდი გაკულაკება შიდა ქართლში

სუბარის ანგარიშებში მოყვანილია საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილსა და მიხეილ ქარელს უკავშირდება. ამ ფაქტებიდან კარგად ჩანს, რომ საკუთრების უფლების შელახვის კუთხით, ე.წ. დიდი გაკულაკებით ოქრუაშვილი განსაკუთრებით მის მშობლიურ შიდა ქართლში აქტიურობდა, სადაც ახლა ის თვითმმართველობის არჩევნებში აპირებს მონაწილეობას. ამ საქმეში კი მისი მთავარი დასაყრდენი სწორედ მიხეილ ქარელი გახლდათ.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, შიდა ქართლში ქონების ხელახალი გადანაწილების პროცესი დაიწყო. „დიდი გაკულაკება“, როგორც ამას გორელები უწოდებენ, მიხეილ ქარელის გუბერნატორად დანიშვნის დღიდან დაიწყო. ბიზნესმენი, რომელმაც საკუთარი ბაზარი, ინდსაწარმო „ლიახვი“ გორის გამგეობას აჩუქა, ჯემალ წიკლაურია. მას ოქრუაშვილის გარემოცვასთან პრობლემები ბაზარში საკონტროლო სასწორის არარსებობის გამო შეექმნა. წიკლაური 2004 წლის მარტში დააპატიმრეს. რწმუნებულ ქარელის მხრიდან ზეწოლა საპყრობილეშიც გაგრძელდა. პროკურატურის თანამშრომლების გარდა, ციხეში ქარელიც იყო შესული და ბაზრის ჩაბარებას მოითხოვდა. 4-თვიანი პატიმრობის შემდეგ, საკანში აიძულეს, ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ნოტარიულ აქტზე მოეწერა ხელი და თავისუფლების სანაცვლოდ, 228 000 ლარად შეფასებული ბაზარი, გამგეობისთვის ეჩუქებინა.

გორის ბაზრობა, შპს „კომერსანტი 95“-ის დოკუმენტაცია და საწარმო, გორის რაიონის პროკურატურამ 2004 წლის ივნისში (ამ დროს ოქრუაშვილი გენპროკურორის თანამდებობაზეა) დალუქა. ამ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მაშინდელ ანგარიშში ვკითხულობთ:

„პროკურატურის მიერ შედგენილ შუალედურ აქტს არ დაეთანხმა საწარმოს დირექტორი და ერთ-ერთი მეწილე თეიმურაზ ბლუაშვილი: „მე განვაცხადე პროტესტი და ვითხოვდი ექსპერტიზის ჩატარებას. ვხედავდი, რომ პროცესი მიზანმიმართულად მიდიოდა, თანხას კი სპეციალურად ბერავდნენ... ადვოკატის აყვანის საშუალება არ მომცეს. მეუბნებოდნენ, რომ გარიგება ხდებოდა პროკურატურასთან, საგანგაშო არაფერი იქნებოდა, თუ რაღაც თანხას ჯარიმის სახით გადავიხდიდი. თუმცა ბოლოს დამიძახეს და განმიცხადეს, უნდა ჩაგვაბარო ობიექტიო“. გორის სამხარეო პროკურატურაში გარიგება რომ ვერ შედგა, თეიმურაზ ბლუაშვილი იმავე დღეს დააპატიმრეს და ქონება დაათმობინეს... „ქონების გადაცემა მაიძულა პროკურატურამ, პროკურატურა იყო შემსრულებელი, დამკვეთი კი – მხარის ხელმძღვანელობა“.

ეს არის იმ ბრალდებების არასრული ჩამონათვალი, რომელსაც ოქრუაშვილსა და ქარელს უყენებდნენ. ახლა ერთი – პოლიტიკაში ხელახლა დაბრუნებისთვის, მეორე კი საქართველოში ჩამოსვლისთვის ემზადება. ქონება კი, რომელსაც ახლა ისინი ვერ იყოფენ, შესაძლოა, კანონიერ მესაკუთრეს დაუბრუნდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დაანგრევს თუ არა „ვისოლი“

# „ავაზას“ სკოლას

EXCLUSIVE

## ლეგენდარული ფეხბურთელის მიხეილ მესხის ოჯახი „ავაზას“ საფეხბურთო სკოლის დაბრუნებას ითხოვს


მიხეილ მესხი

მაგდა კლდიაშვილი

**საფეხბურთო სკოლა „ავაზა“ 1970 წელს ლეგენდარულმა ფეხბურთელმა, მიხეილ მესხმა საკუთარი ოფლით ააშენა. ის, რომ ცნობილი ფეხბურთელი ამ სკოლის მშენებლობაში თავად მონაწილეობდა, ისტორიას ფოტოების სახით შემორჩა – როგორ ზის ტრაქტორზე მესხი და მიწას ასწორებს. მას შემდეგ ბევრმა წელმა ჩაიარა. 2008 წელს „ვისოლ ჯგუფმა“ საფეხბურთო სკოლა 5 ათას ლარად შეიძინა, დღეს კი მესხების ოჯახი შიშობს, რომ „ვისოლ ჯგუფის“ ხელმძღვანელი და „ტორპედოს“ ყოფილი პრეზიდენტი ლევან ფხაკაძე ლეგენდარული ფეხბურთელის მიერ დაარსებულ სკოლას ცუდ რამეს უპირებს. მიშა მესხის ოჯახი ახლა სკოლის მფლობელთან მოლაპარაკებას აწარმოებს და აცხადებს, რომ ფხაკაძეები „ავაზას“ უკანონო მფლობელები არიან. სადამდე მივა ეს დავა, დათმობს თუ არა ლევან ფხაკაძე „ავაზას“ და რით ემუქრებიან საფეხბურთო ჩინოვნიკები „ვისოლს“? – „პრაიმტაიმის“ ექსკლუზივი.**

პირველი „დანაშაული“, რომელიც „ვისოლმა“ და მისმა ხელმძღვანელმა ლევან ფხაკაძემ მიხეილ მესხის ხსოვნის წინაშე (და არამარტო მისი) ჩაიდინეს, ის იყო, რომ „ავაზაში“ მისვლისთანავე სკოლიდან ის ტრაფარეტი ჩამოხსნეს, სადაც მიხეილ მესხის სახელი და გვარი იყო აღნიშნული. უცნობი არავისთვისაა, რომ ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ამ სკოლის მშენებლობაზე საკუთარი ოფლი დაღვარა, „ვისოლმა“ კი მისვლისთანავე მიხეილ მესხის სახელის მოსპობა სცადა.

„პრაიმტაიმს“ ლეგენდარული ფეხბურთელის შვილიშვილი, მსახიობი მიშა მესხი ესაუბრა. უმცროსი მიშა მესხის თქმით, ამ ეტაპზე „ვისოლთან“ მოლაპარაკება მიმდინარეობს, როგორი სახით დაუბრუნდება მათ ოჯახს ეს საფეხბურთო სკოლა.

„ავაზას“ დაბრუნება გვინდა, რა თქმა უნდა, ბაბუაჩემის აშენებულია. „ვისოლთან“ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. საფეხბურთო სკოლიდან მიშა მესხის ტრაფარეტის ჩამოხსნა ისეთივე დანაშაულია, როგორიც იქნებოდა ის, რომ „ლაღიძის წყლებზე“ სახელი ჩამოეხსნათ და ილია ჭავჭავაძის მუზეუმზე“, – აცხადებს უმცროსი მიშა მესხი.

მესხების ოჯახი შიშობს, რომ „ავაზას“ კარგი მომავალი არ მოელის, რადგან ის კანონიერი მფლობელის ხელში არ არის. ასეთ შემთხვევებში კი ხშირად ჩნდება ეჭვი და ხიფათის ნიშნები.

„როდესაც საკუთრება კანონიერი მფლობელის ხელში არ არის და ეს დააფიქსირეთ, ძალიან გთხოვთ, ის სხვანაირად უყურებს ქონებას. ჩვენ „ავაზას“ ვუყურებთ, როგორც ბაბუაჩემის დანატოვარს, მუზეუმს. იქ ფეხბურთელები უნდა გაიზარდონ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ეს სკოლა არის იმისთვის, რომ ჯანმრთელი ცხოვრება და დაკარგული ფეხბურთი აღდგეს საქართველოში. ამისთვის ვიბრძვით“, – აცხადებს მიშა მესხი.

მესხების ოჯახის შეშფოთებას ის ფაქტი იწვევს, რომ ზამთარში „ვისოლმა“ ქუთაისის „ტორპედოს“ შენახვაზე უარი განაცხადა და კლუბი დატოვა, მათი პროფილის შეცვლა კი ავტომატურად „ავაზასაც“ უქმნის საფრთხეს, რადგან საფეხბურთო სკოლა პირდაპირ მიბმული იყო „ტორპედოზე“, მას უნდა აღეზარდა და მიეწოდებინა კადრები უმაღლესი ლიგის გუნდისთვის.

„ფხაკაძეები ჩამოშორდნენ „ტორპედოს“. ახლა გვაინტერესებს, რა ინტერესი რჩებათ ფეხბურთში. ადრე კომპლექსურად ჰქონდათ აღებული კლუბი. „ავაზაში“ გაიზრდებოდნენ ფეხბურთელები, რომელსაც შემდეგ „ტორპედოს მიაწვდიდნენ. მას შემდეგ, რაც მათ ქუთაისი დატოვეს, გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ „ავაზას“ საფრთხე დაემუქრებოდა. მათ კი განაცხადეს, რომ სკოლის პროფილი არ შეიცვლება, მაგრამ არ ვენდობით. როდესაც მერიამ, თავის დროზე, „ავაზა“ ლოტში შეიტანა, მფლობელს პირობა ჩაუდეს, რომ ათი წლის განმავლობაში პროფილი არ შეეცვალათ, მალე გადის ეს დრო და გვაინტერესებს, ხომ არ აპირებენ სასტუმროს, კორპუსის ან სხვა რამის აშენებას. მეტი არაფრის თქმა არ მინდა, არ დაშავდეს საქმე ამით კიდევ“, – აცხადებს მსახიობი.

საქართველოს ფუტსალის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი პირდაპირ ამბობს, რომ „ვისოლმა“, თავის დროზე, საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონის, ომარ ფხაკაძის სახელობის ველოტრეკი გაანადგურა, ამიტომ „ავაზას“ ხელშეუხებლობის გარანტიებს დღეს მიხეილ მესხის ოჯახს არავინ აძლევს.

„ვერ გეტყვით, რას აპირებს ლევან ფხაკაძე, მაგრამ ვიცი, რაც მოუვიდა ველოტრეკს. თავის დროზე „ავაზას“ გადაცემა ამ ადამიანზე მოხდა დარღვევით. მესხების ოჯახს კარგად არ მოექცნენ და ისინი იბრძვიან სკოლის დასაბრუნებლად. ერთ-ერთ შეხვედრაზე, ფხაკაძეებთან, მეც გახლდით და დიდი ხანია, ველოდებით მათ პასუხს, რომელიც ამ დრომდე არ ჩანს. ფხაკაძეებმა „ავაზაში“ მისვლისთანავე მოსპეს მიხეილ მესხის სახელი. ლეგენდარულმა ფეხბურთელმა, თავის დროზე, ბევრ თანამდებობაზე თქვა უარი. თავად იჯდა ტრაქტორზე და მუშაობდა და ამის ფოტოებიც არსებობს. მისთვის ფეხბურთი ყველაფერი იყო და თუ „ავაზა“ მესხების ოჯახს მფლობელობაში არ ჰქონდა, მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი იყო და მაშინ არავის არაფერი არ ჰქონდა საკუთრებაში. საფეხბურთო სკოლის შემქმნელი არის მიხეილ მესხი. ეს ოჯახი ითხოვს, რომ აქ იყოს ბავშვთა საფეხბურთო სკოლა. პრეცედენტი გვაქვს, დიდი ფხაკაძის, ველომრბოლელის, ფხაკაძის სახელობის ველოტრეკს როგორ მოექცა. პარადოქსია, რომ ისევ ფხაკაძე. სახელებს არ ვამბობ. შემქმნელი ფხაკაძე, გამანადგურებელი ფხაკაძე. საუბარია ვაკე-საბურთალოს სასაფლაოსთან არსებულ ველოტრეკზე, რომელიც ახლა, თავისი უნიკალური საფარით, განადგურებულია“, – აცხადებს ლევან გრიგოლია.


მიხეილ მესხი

ლევან გრიგოლიას თქმით, გარდა „ავაზასი“, სხვა უამრავი საფეხბურთო სკოლაა განადგურებული, მათ შორის „ნორჩი დინამოც“.

„ფეხბურთელები ციდან არ ცვივიან, ის უნდა იყოს ან ქუჩაში, ან საფეხბურთო სკოლაში. თბილისში, „საბურთალოს“ გარდა, საფეხბურთო სკოლა აღარ არსებობს. გვეშინია, რომ „ვისოლი“ ცუდ რამეს აპირებს და უნდა აღვკვეთოთ ეს თქვენი დახმარებით. ოჯახს უნდა მისი დაბრუნება და ინვესტორის ნახვა არ გაუჭირდება“, – ამბობს ფუტსალის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

ლევან გრიგოლია ხმამაღლა ემუქრება „ვისოლს“ და აცხადებს, რომ, თუკი ფხაკაძეები ქართულ ფეხბურთს ანადგურებენ, ის მათ გაანადგურებს.

„თუკი ფხაკაძეები ქართულ ფეხბურთს ანადგურებენ, საფეხბურთო საზოგადოების დახმარებით, ჩვენ მათ გავანადგურებთ. განვაცხადებთ, რომ მათთან საწვავი არავინ ჩაასხას, მათ მიერ წარმოებული პროდუქტი არ შეიძინონ. ვიტყვით, რომ ისინი არიან ფეხბურთის მტრები და ნახავენ, რაც მოუვათ. არც ისე ცოტანი ვართ, მიზანმიმართულ კამპანიას დავიწყებთ და გავაკოტრებთ“, – აცხადებს ლევან გრიგოლია.

ფუტსალის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ვერის ბაღში მდებარე სტადიონის პრობლემასაც შეეხო, რომელიც სამშენებლო კომპანია „გრატოს“ აქვს შესყიდული და მერიის შეთავაზების მიუხედავად, რომ გადახდილი ფული დაუბრუნდეთ, „გრატოს“ ხელმძღვანელობა კვლავ უარზეა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ვერის ბაღში მდებარე სტადიონიდან 10 მეტრში, ქართველი გმირისა (ქართველი იუნკერი, რომელიც 1921 წელს გმირულად დაიღუპა) და პირველი ქართველი ფეხბურთელის, შალვა ერისთავის საფლავი მდებარეობს, რომლის უსაფრთხოებაც და დაცვაც დღეს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

„ვერის პარკის სტადიონი, სადაც დავით ყიფიანი გაიზარდა, დღეს განადგურებულია. ლევან ყიფიანი არის ძალიან ცუდ დღეში, რადგან, როგორც პოლიტიკოსსა და მინისტრს, არ შეუძლია განცხადებების კეთება, მაგრამ, როგორც ვერელი, საშინელ დღეშია და მეც იმავეს განვიცდი. თუმცა მე საფეხბურთო ჩინოვნიკი ვარ და ვალია, სტადიონებისთვის ვიბრძოლო. ყველაზე გამწვანებული ადგილი გაჩეხა „გრატომ“ ვერის ბაღში, სანაცვლოდ კი კორტი დააზიანეს და პატარა სტადიონი გააკეთეს, რომლის კარიც 1 მეტრი სიგანისაა. პარკის მხრიდან მხოლოდ ერთი კედელია შერჩენილი ძველი არქიტექტურის, დანარჩენი ყველაფერი განადგურებულია. რაც შეეხება დიდი შალვა ერისთავის შთამომავლის საფლავს, ალბათ, მასზეც კორპუსს ააშენებენ“, – შეშფოთებას ვერ მალავს ლევან გრიგოლია.

ვერის ბაღში მდებარე სტადიონსა და „ავაზას“ პრობლემას ეხმაურება თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგოლ ცაავაც და აცხადებს, რომ ის არ დაუშვებს, ქალაქში თუნდაც ერთი სტადიონი მაინც განადგურდეს. რაც შეეხება „ვისოლს“, ყოფილი ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ ფხაკაძეებს ეყოფათ გონიერება და მიხეილ მესხის სახელს არ შეურაცხყოფენ.

„ჩემთვის, როგორც თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელისთვის, თითოეულ სტადიონს დიდი მნიშვნელობა აქვს. დაუშვებელია, მოედნები გაქრეს. განსაკუთრებით მტკივნეულია ვერის სტადიონის ამბავი, რომელზეც დავით ყიფიანი გაიზარდა. იქ გაიზარდა პლეადა და იქ უნდა აღიზარდოს თაობა. რაც შეეხება „ავაზას“, ვიცი, რომ ფხაკაძეები ქართული ფეხბურთის მოწინააღმდეგეები არ არიან და ხელს შეუწყობენ ამ საქმეს. ის, რაც მიხეილ მესხის სახელს ატარებს, უნდა შენარჩუნდეს და მას უნდა ემსახურონ“, – აცხადებს ცაავა.

რაც შეეხება თავად „ვისოლსა“ და მის პრეზიდენტს, ლევან ფხაკაძეს, „პრაიმტაიმი“, თვე-ნახევრის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობს მასთან დაკავშირებას. როგორც მის პრესსამსახურში აცხადებენ, ფხაკაძე საქართველოში არ იმყოფება, თუმცა გადამოწმებული ინფორმაციით, „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი თბილისშია და იმედია, ის მალე გააკეთებს განმარტებებს როგორც „ავაზას“, ისე ქუთაისის „ტორპედოს“ დატოვებასთან დაკავშირებით.



ლევან გრიგოლია


ლევან ფხაკაძე

## ლევან გრიგოლია: თუ ფხაკაძეები ანადგურებენ ფეხბურთს, ჩვენ გავანადგურებთ მათ არ ჩაასხათ „ვისოლში“ საწვავი, არ იყიდოთ მათი პროდუქცია!


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იკვეთება თუ არა გირგვლიანის მკვლელობის საქმეში რუტუალური წამების ელემენტი

ხათუნა მგალობლიშვილი

**ყოფილი მთავარი პროკურორის განცხადებამ სანდრო გირგვლიანის ასფიქსიით დაღუპვის ვერსიაზე საზოგადოებაში სერიოზული შფოთი გამოიწვია. უმრავლესობის წევრებს არ სჯერათ, რომ არჩილ კბილაშვილმა ეჭვქვეშ დააყენა კუდ-ის მაღალჩინოსნების ბრალეულობა და თითს ჟურნალისტებისკენ იშვერენ, ალბათ, კბილაშვილის სიტყვების არასწორი ინტერპრეტაცია მოხდაო... თუმცა კბილაშვილმა დეტალურად ახსნა, რა ეტაპზე დატოვა გირგვლიანის საქმე პროკურატურიდან წამოსვლისას და ასევე, განაცხადა, რომ საქმის დასრულების შემდეგ არც ერთი ეჭვი და არც ერთი კითხვა არ უნდა დარჩეს საზოგადოებაში...**

**არჩილ კბილაშვილი:**

– აბსოლუტურად არის გამოძიებული სუფრის სცენა, გამოძიებულია, ციხეში რა ვითარებას ჰქონდა ადგილი. იქ ერთი ელემენტი იყო დარჩენილი, რომელიც გამოძიებას საჭიროებდა – რა იყო გარდაცვალების კონკრეტული მიზეზი, რადგან ვერ ხერხდებოდა იმის დადგენა, მოკლული იყო თუ გაქცევის დროს გარდაცვლილი. როდესაც გამოძიება აცხადებს, რომ საქმე გამოკვლეულია, ყველანაირი კითხვა უნდა იყოს მოხსნილი. ეს ერთი ეპიზოდი რჩება გამოსაძიებელი. არ არის საუბარი, რომ ვიღაცამ დაიზარა მუშაობა, პირიქით, უამრავი საგამოძიებო მოქმედებაა ჩატარებული, მაგრამ ეჭვები არ არის გამორიცხული, შესაბამისად, არ შეიძლება ადამიანს დაბრალო მკვლელობა, თუკი ყველანაირი მტკიცებულებით ბოლომდე არ არის გამყარებული. ეს საკითხი ობიექტურ სირთულეს წარმოადგენს ამ შემთხვევაში.

პრინციპში, კბილაშვილის მოსაზრება ნაციონალების მოსაზრებას უფრო ემთხვევა. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ სანდრო გირგვლიანის ისტორია მათთვის ყველაზე დიდი პრობლემა იყო, ისინი არ უარყოფენ, რომ გირგვლიანმა მიიღო მძიმე ფიზიკური დაზიანებები, რის შედეგადაც დადგა მისი გარდაცვალების შედეგი.

**გიგია ბოკერია, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:**

– გირგვლიანის ტრაგედია იყო ჩვენი ხელისუფლების სერიოზული პრობლემა. მკვლელობა არ ყოფილა, მაგრამ იყო სხეულის მძიმე დაზიანება, რასაც მოჰყვა სიკვდილი. ამ ხალხმა, ვინც გაასამართლეს, მათ შორის სამმართველოს უფროსმა ალანიამ, პირადი კონფლიქტის გამო, გამოიყენა თავისი თანამდებობა, ძალაუფლება, ძალა და ახალგაზრდა ადამიანი დაიღუპა. ეს დიდი პოლიტიკური პრობლემა იყო და ასეთადვე რჩება ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის.

შალვა შავგულიძე უმრავლესობის ის წევრია, რომელსაც ასევე არ სჯერა, რომ კბილაშვილმა მსგავსი განცხადება გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი მოსაზრება ყოფილმა პროკურორმა პირდაპირ ეთერში განაცხადა და თუნდაც ამიტომ ვერ მოხდებოდა მისი სიტყვების ინტერპრეტირება. შავგულიძის განცხადებით, სანდრო გირგვლიანის წამებით მოკვლის ვერსია გამოძიების არც ერთ ეტაპზე არ დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ.





**შალვა შავგულიძე: „ეს რიტუალური წამების სტილი იყო. საგანს, რომლითაც სანდრო გირგვლიანი აწამეს, ერთი მხარე გალესილი ჰქონდა და მეორე ბლაგვი“**

**შალვა შავგულიძე, „ქართული ოცნების“ წევრი:**

– ვფიქრობ, ალბათ, არჩილ კბილაშვილის ნათქვამი არ იქნა სწორად გაგებული. ეს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა არც თავის დროზე, როდესაც საქმეს წინა ხელისუფლება იხილავდა და არც შემდგომ, ევროპის სასამართლოში განხილვის დროს გაჩენილა კითხვის ნიშნები. არ ვიცი, რა მოხდა კბილაშვილის შემთხვევაში, შეიძლება მისი სიტყვების ინტერპრეტაციას ჰქონდა ადგილი. ის, რომ გირგვლიანს ჭრილობები მიღებული აქვს ალესილი საგნის მეშვეობით, დასტურდება კიდეც, მას ემჩნეოდა უამრავი ნასერ-ნაკვეთი, ნაჩხვლეტი ჭრილობა, რომელიც დანით ჰქონდა მიყენებული.

**– მსგავსი ჭრილობების მიღებას ბუჩქების მეშვეობით გამორიცხავთ?**

– მსგავსი ჭრილობების მიღება ბუჩქებში შეუძლებელია. ექსპერტიზა მკაფიოდ ამბობს, რომ ჭრილობები მიყენებულია ლესული საგნით, როგორიც არის დანა. ეს კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა არც ერთ ეტაპზე.

**– მაშინ კბილაშვილმა რატომ დააყენა ეს კითხვის ნიშნის ქვეშ?**

– არ დააყენებდა კბილაშვილი ამას კითხვის ნიშნის ქვეშ.

**– მან განაცხადა ინტერვიუში სწორედ ასე და ამ შემთხვევაში არანაირ ინტერპრეტაციას არ ჰქონია ადგილი ჟურნალისტების მხრიდან.**

**„ამაზე უკვე გიპასუხეთ, რომ, არა მგონია, არჩილ კბილაშვილს ეს ასე ეთქვა, ან აზრი ვერ გამოთქვა სწორად, ან უბრალოდ მისი აზრი არასწორად იქნა აღქმული“**

– ეს საკითხი დადასტურებული, გადაწყვეტილი და დამოწმებულია. უამრავი ჭრილობა ჰქონდა მიღებული სანდროს სხეულის სხვადასხვა ადგილებზე: ფეხებზე, კიდურებზე, მკლავებზე. არის ხუთი პარალელური ნასერი ჭრილობა, მეექვსეა პერპენდიკულარული მათზე გადახაზული. ათი ამდაგვარი ჭრილობა მაინც ჰქონდა სხეულზე. გეკითხებით შეიძლებოდა მსგავსი სიზუსტით ერთნაირი ჭრილობები მიეღო ბუჩქებზე წაქცევით? ეს იყო რიტუალური წამების სტილი. საგანს, რომლითაც სანდრო გირგვლიანი აწამეს, ერთი მხარე გალესილი ჰქონდა და მეორე ბლაგვი. ნაჩხვლეტი ჭრილობები ჰქონდა კისერში, რაც აღმოჩნდა კიდეც სიკვდილის მიზეზი. კატეგორიული დასკვნაა, რომ კისრის არეში მიყენებული ნაჩხვლეტი ჭრილობით მოხდა ხორხის დაზიანება, ამან გამოიწვია სისხლდენა ფილტვებში და სწორედ ამის გამო დადგა სიკვდილი.

**– მაშინ რით ახსნით კბილაშვილის განცხადებას?**

– ამაზე უკვე გიპასუხეთ, რომ, არა მგონია, არჩილ კბილაშვილს ეს ასე ეთქვა, ან აზრი ვერ გამოთქვა სწორად, ან უბრალოდ მისი აზრი არასწორად იქნა აღქმული.

**– უკვე წელიწადზე მეტია, რაც ხელისუფლება შეიცვალა. როგორ ფიქრობთ, რატომ არ მოხდა ამდენი ხნის განმავლობაში საქმის გამოძიება?**

**„არ შეიძლება ადამიანს დააბრალო მკვლელობა, თუკი ყველანაირი მტკიცებულებით ბოლომდე არ არის გამყარებული. ეს საკითხი ობიექტურ სირთულეს წარმოადგენს ამ შემთხვევაში“**

– სიმართლე გითხრათ, ეს საკითხი მეც ძალიან მაკვირვებს, რადგან იქ გამოსაძიებელი მაინცდამაინც აღარაფერია, ჩვენ მთელი ამ ხნის მანძილზე მივუთითებდით, რა საკითხები იყო გამოსაკვლევი. ვამბობდით, რომ ამოსაღები იყო სატელეფონო საუბრები, ამოსაღები იყო ვიდეომასალები, კონკრეტული პირები უნდა დაკითხულიყვნენ. ამის გაკეთებას დიდი დრო ნამდვილად არ სჭირდებოდა, თუმცა ვფიქრობ, რომ უფრო პროკურატურის ხელმძღვანელობის ხშირი ცვლის გამო ხდება გაჭიანურება. ალბათ, ახალი ხელმძღვანელობა ცდილობს, ჯერ თავად გაერკვეს საქმეში სიღრმისეულად, რაიმე ხარვეზი რომ არ გაიპაროს და ალბათ, სწორედ ეს იწვევს საქმის დასრულების გაწელვას.

**– ვერსია, რომ სანდრო გირგვლიანი მოკლული იქნა თბილისში და შემდეგ მოხდა მისი ცხედრის ატანა ოქროყანაში, ამის შესახებ თუ გსმენიათ?**

– ამის შესახებ არც მსმენია და ამის დასასაბუთებლად არა მგონია, საქმეში რაიმე მტკიცებულება იყოს.

**„გირგვლიანის ტრაგედია იყო ჩვენი ხელისუფლების სერიოზული პრობლემა. მკვლელობა არ ყოფილა, მაგრამ იყო სხეულის მძიმე დაზიანება, რასაც მოჰყვა სიკვდილი“**



**„უამრავი ჭრილობა ჰქონდა მიღებული სანდროს სხეულის სხვადასხვა ადგილებზე: ფეხებზე, კიდურებზე, მკლავებზე. არის ხუთი პარალელური ნასერი ჭრილობა, მეექვსეა პერპენდიკულარული მათზე გადახაზული. ათი ამდაგვარი ჭრილობა მაინც ჰქონდა სხეულზე“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ინფორმაცია ვრცელდებოდა გლდანში სპეცოპერაციის დღეს?

## სოსო ჯაჭვლიანი: „რასაც ახლა მოგიყვები, ჯერ არსად მითქვამს და პროკურატურას შეუძლია, ეს ინტერვიუ პირდაპირ ჩვენებად გამოიყენოს“

### მუხროვანის ამბოხების მონაწილეები სოსო ჯაჭვლიანმა „ჩაუშვა“?



**„ჩემს „დაჩაზე“, 20-ში 6 საათზე დაეშვა ვერტალიოტი, გადმოვიდა ვანო მერაბიშვილი და ჩემი აგარაკი 6 საათის განმავლობაში ალყაში ჰქონდათ მოქცეული“**

## EXCLUSIVE

**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანთან საუბარი უკრაინაში განვითარებული მოვლენებით დავიწყე. მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, რას ფიქრობს ნინო ბურჯანაძის ყოფილი მოკავშირე და 26 მაისის აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, კიევის ქუჩებში დატრიალებული ტრაგედიისა და უკრაინელი ხალხის ბრძოლის შესახებ. ჩვენი მკითხველისთვის გასაკვირი არ იქნება, რომ ჯაჭვლიანი იმ პოლიტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ფიქრობენ, რომ დღეს უკრაინაში რუსეთი და ამერიკა საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვიან... საუბრისას ჯაჭვლიანმა მოგვიყვა ერთი საკმაოდ სკანდალური ისტორია, რომელზეც დღემდე არ უსაუბრია... საქმე ეხება მუხროვანის ამბოხების მონაწილეების წინააღმდეგ გლდანში ჩატარებულ სპეცოპერაციას, რა დროსაც გია კრიალაშვილი გარდაიცვალა. ჯაჭვლიანი „პრაიმტაიმს“ უყვება, რომ იმდროინდელი ხელისუფლება ცდილობდა, გაევრცელებინა ჭორი, რომ „ამბოხებულები ჯაჭვლიანმა ჩაუშვა“. რატომ იყო 6 საათის განმავლობაში ჯაჭვლიანის აგარაკი ალყაში? რა შეხება ჰქონდა მას მუხროვანის ამბოხების ფიგურანტებთან და როგორ აფასებს 26 მაისის ერთ-ერთი ორგანიზატორი უკრაინაში მიმდინარე პროცესებს?



**სოსო ჯაჭვლიანი, დეპუტატი:**

– თავისუფლება ყველას თავისებურად ესმის. ამ 9 წლის მანძილზე ნაციონალებმა რა უბედურებაც დაატრიალეს, ხალხს ყელში ამოუვიდა, 26 მაისს გამოვიდა და უთხრა, – წადით, თავი დაგვანებეთო. ჩვენ ადამიანებს სიმართლეს არ ვეუბნებით, საქართველოში ასეა – გვაქვს მხოლოდ ზოგადი განმარტებები რაღაც საკითხებზე.

**– და რა არის სიმართლე?**

– აი, მაგალითად, რა ხდება უკრაინაში. იქ დიდი ინტერესი აქვს რუსეთს, ასევე, ევროპასა და ამერიკას. ეს ასეა და არ უნდა ამას შელამაზება. უკრაინელი ხალხის ნება, რა თქმა უნდა, უზენაესია, მაგრამ ფაქტია, რომ იქ არის როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის ინტერესები. 26 მაისს თქვენ სადმე გინახავთ მოლოტოვის კოქტეილი? უკრაინისგან განსხვავებით, ერთი ბოთლი არ უსვრიათ მომიტინგეებს და ნახეთ, როგორც გაგვისწორდნენ. კიდევ ვიმეორებ, უკრაინელი ხალხის ნება უზენაესია, მაგრამ, როცა ჩადიხარ და იქ აშკარად მხარეს იჭერ, უკვე მეტყველებს იმაზე, რომ არ ხარ სწორი.

**– ვის გულისხმობთ?**

– ვის და იმ ამერიკელ დიპლომატებს, რომლებიც ჩადიან და ბულკებსა და რაღაცებს არიგებენ. ასეთი მხარდაჭერა ვინმემ რომ გამიკეთოს, გადავატრიალებ ნებისმიერ მთავრობას. საქართველომ ღიად უნდა გამოხატოს წუხილი, როგორც ჩვენზე შფოთდებოდნენ, ჩვენც ასე უნდა შევშფოთდეთ, მაგრამ ისე არ უნდა მოხდეს, რომ ბოლოს თვითონ შერიგდნენ და ჩვენზე მოუვიდეთ გული – აი, შენ აქეთ, ან იქით მხარეს იჭერდიო. ერთი ადამიანის სიცოცხლედაც არ მიღირს არანაირი მთავრობა.

**– თუმცა იგივე 26 მაისს, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორიც თქვენ იყავით, უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია...**

– იმ პოლიციელის ოჯახს ჩემგან ყოველთვის დიდი სამძიმარი ექნება. გვამთან დაკავშირებით იმდენად უარყოფითი რეაქცია მაქვს, რომ ვინც დამნაშავეა, იმ პოლიციელის სიკვდილში ყველა დასაჭერად მემეტება, ბურჯანაძემ თუ გააკეთა ეს, ბურჯანაძემ აგოს პასუხი, მე თუ გავაკეთე, მე მაგებინონ პასუხი. ავადმყოფურ ტყუილებს კი თავი დაანებონ. გვამებს რაც შეეხება... ვიდეო, სადაც ვანო გვამებს ითხოვს, ალბათ, კარგად გახსოვთ... ახლა რასაც მოგიყვები, ჯერ არსად მითქვამს და პროკურატურას შეუძლია, ეს ინტერვიუ პირდაპირ ჩვენებად გამოიყენოს. 20 რიცხვში მოხდა კრიალაშვილისა და ოთანაძის დაცხრილვა გლდანში. სადაც დახვრიტეს, იქ ხშირად ძაღლისთვის პურს ვყიდულობდი ხოლმე. იქვეა ჩემი აგარაკი, კინოსტუდიის „დაჩებს“ რომ ეძახიან, ალბათ, იცით. 19-ში მეუღლემ მითხრა, ყვავილები მინდა დავთესო და აგარაკზე ამომყევიო. იმ პერიოდში ეს ოთანაძე და კრიალაშვილი იმ ტყეში ყოფილან და იქვე ტრიალებდნენ თურმე თეთრი „რაფით“. გაქცეულები არიან და ეძებენ. ეზოში ვმუშაობ და ჩემი ძმაკაცი მეძახის, – ვიღაცები გკითხულობენ, ბინები აინტერესებთო. გამოველაპარაკე, ორი კაცი იყო. მერე ირკვევა, რომ მოგზავნილები იყვნენ. წასვლა რომ დააპირეს, ერთ-ერთი, რომელიც 50 წელს იქნებოდა გადაცილებული, ჩემკენ მოტრიალდა, ეტყობა, ნამუსმა შეაწუხა და მითხრა, – სოსო, რომ იცოდე, ჩემი შვილი კუდ-ში მუშაობსო, თვალებში მიყურებდა და ჩუმად მეუბნებოდა ამას, მეორეს რომ არ გაეგო. ამან გაფრთხილება მომცა, რამე თუ გაქვს, იცოდეო... მალევე კვლავ მეძახის ჩემი ძმაკაცი, ვიღაცები არიან „რაფით“, დიზელი გაუთავდათ და დახმარება უნდათო. ჩემი მანქანა ბენზინზე მუშაობს, ვუთხარი, სამუშაოს რომ მოვრჩები, ჩავიბამ და ქალაქამდე ჩავიყვან-მეთქი. ღამე გარეთ გამოვედი და მეზობელს ავძახე, რომ ხვალ დილით 6 საათზე აქ ვარ დარჭობილი და მოვრჩეთ ეს სამუშაო-მეთქი. ეს გავძახე მათ, ვინც აგარაკზე მეხმაურებოდა. რომ გამოვიარე, ის თეთრი „რაფი“ იქვე იდგა, შევთავაზე, ჩაგიბამთ და წაგიყვანთ-მეთქი. არა, სოსო, მადლობა, ჯიგარი ხარო. ჩამოვედი სახლში და მირეკავს ჭაბუკა ამირანაშვილი, ჩემი ფილმების კომპოზიტორი. ხვალ ჩემი დაბადების დღეა და ცოტა ადრე ამოდიო. ვუთხარი, „დაჩაზე“ ვარ ასასვლელი-მეთქი. მოკლედ, ძალიან მთხოვა და ველარ ავედი „დაჩაზე“. ამ დროს იქ რა ხდება თურმე? 4-5 საათზე კრიალაშვილსა და ოთანაძეს ხვრეტენ იმ ადგილას, სადაც მე პურს ვყიდულობდი ხოლმე, გადმოდიან ვიღაც ტიპები იქვე და გამყიდველი ქალის გასაგონად ამბობენ, – სოსო ჯაჭვლიანის „დაჩას“ ცეცხლი უკიდია, მგონი, ესენი სოსომ ჩაუშვაო.

**– რატომ თქვეს ეს და ვინ იყვნენ ისინი?**

– ანუ რა ხდება, შეხედე: მე არ ავდივარ და ჭორს ყრიან, რომ მე „ჩავუშვი“ კრიალაშვილი და ოთანაძე, რის მერეც სახლი გადამიწვეს. წარმოგიდგენიათ, რა ვერაგობას ავრცელებდნენ და რა ხმებს ყრიდნენ, ხვდებით? იქვე მელოდებოდნენ მეც, ხომ გაიგეს, რომ 6 საათზე უნდა ვყოფილიყავი აგარაკზე. ვერტმფრენი დასვეს, 200-300 კაცი სპეცრაზმელი შეცვივდა ჩემს „დაჩაზე“, გადააქოთეს ყველაფერი. ანუ უნდოდათ იმ ვერსიის შეკერვა, რომ სოსო ჯაჭვლიანმა ჩაუშვა კრიალაშვილი და ოთანაძე, რის შემდეგაც მათ სახლი გადაუწვეს. ჩემს „დაჩაზე“, 20-ში 6 საათზე დაეშვა ვერტალიოტი, გადმოვიდა ვანო მერაბიშვილი და ჩემი აგარაკი 6 საათის განმავლობაში ალყაში ჰქონდათ მოქცეული.

**„ერთ-ერთი, რომელიც 50 წელს იქნებოდა გადაცილებული, ჩემკენ მოტრიალდა, ეტყობა, ნამუსმა შეაწუხა და მითხრა, – სოსო, რომ იცოდე, ჩემი შვილი კუდ-ში მუშაობსო, თვალებში მიყურებდა და ჩუმად მეუბნებოდა ამას, მეორეს რომ არ გაეგო. ამან გაფრთხილება მომცა, რამე თუ გაქვს, იცოდეო...“**




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ დაასრულა თვითმკვლელო

სალომე გოგოხია

# „გთხოვთ, დაწერეთ, რომ თაკოს ბიჭის გამო თავი არ მოუკლავს“



**გასულ კვირას 18 წლის თაკო ყურშავიშვილის ტრაგედიამ საზოგადოება შეძრა. 17 თებერვალს, ორხევში, ჩანტლაძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი ბინიდან გასროლის ხმა გაისმა. ბინაში შესულ მეზობელს საზარელი სურათი დახვდა, გოგონა სისხლის გუბეში ცურავდა. სასწრაფო დახმარება მაშინვე გამოიძახეს, თუმცა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. გოგონას ტყვია თავის არეში ჰქონდა მოხვედრილი.**

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 115-ე მუხლით - თვითმკვლელობამდე მიყვანა.

რატომ დაასრულა 18 წლის გოგონამ სიცოცხლე თვითმკვლელობით, ამაზე ზუსტი პასუხი არავის აქვს. მომხდარით თაკოს სამეგობრო წრე გაოგნებულია, რადგან მას საოცრად მხიარულ, სიცოცხლით სავსე, მიზანდასახულ ადამიანად ახასიათებენ.

„ჟურნალისტობაზე ოცნებობდა. თავისი კარიერა უკვე წარმოედგინა როგორი იქნებოდა. ამბობდა, კარიერისთვის ყველაფერს გავაკეთებო“, - გვითხრა თაკოს ერთ-ერთმა მეგობარმა.

მომხდარიდან ძალიან მალე, მედიაში თვითმკვლელობის რამდენიმე ვერსია გავრცელდა. ერთ-ერთი ვერსიით, გოგონას ყოფილმა შეყვარებულმა ცოლი შეირთო, რაც გოგონამ ვერ აიტანა და საკუთარ თავს ასეთი განაჩენი გამოუტანა.

თუმცა, თაკოს ბავშვობის მეგობარი ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს და სხვა ვერსიაზე საუბრობს. კერძოდ, გოგონას სიცოცხლის ბოლო თვეებში დეპრესია ჰქონდა, ფსიქოლოგთან მისვლასაც აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო.

„პრაიმტაიმი“ გარდაცვლილი გოგონას ოჯახში იმყოფებოდა. თუმცა, ოჯახის წევრებთან გასაუბრება შეუძლებელი აღმოჩნდა. თაკოს ოჯახი მომხდარით შოკირებულია. მათთვის წარმოუდგენელია, რომ ულამაზესი თაკო აღარ არის.

„ჩემი სიცოცხლით სავსე გოგო, როგორ მიყვარდი, რას ფიქრობდი იმ დროს?“ -დასტიროდა დედა.

„ყველაფერი უმნიშვნელოა, ხალხო, მთავარია შვილები გყავდეთ კარგად“, - მოსთქვამდა თაკოს დეიდა.

თაკოს მეგობრები, მეზობლები, ახლობლები გარინდებულები, გაქვავებულები იდგნენ. მომხდარზე საუბარი არავის სურს.

„პრაიმტაიმი“ თაკოს ბავშვობის მეგობარ სოფოს ესაუბრა. მისი თქმით, წინა კვირას თაკო ეზიარა კიდეც. მორწმუნე გოგონა იყო, მოძღვარიც ჰყავდა. მეგობარი თაკოს ფსიქოლოგიური პრობლემაზე საუბრობს, ამბობს, რომ სიცოცხლის ბოლო თვეებში თაკო შეიცვალა.

„ვამჩნევდით, რომ შეიცვალა, მაგრამ ეს ყველამ გადაღლას მივაწერეთ. მეგობრები აბიტურიენტები ვართ, რამდენიმე საგანში ერთდროულად ვემზადებით და მართლა ძალიან გადავიღალეთ. ამაზე ვწუწუნებდით კიდეც. თაკოს მეცადინეობა უჭირდა, ამბობდა, ვერ ჩავაბარებ, დედას იმედებს ვერ გავუმართლებო. ჩვენგან განსხვავებით, ქალაქში ემზადებოდა, მასწავლებლიდან მასწავლებელთან მიდიოდა, ეტყობა, ამ ყველაფერს ველარ გაუძლო და... ფსიქოლოგთან მისვლას აპირებდა. დედამაც იცოდა, ის და დედამისი ერთად იყვნენ წასულები, მაგრამ ფსიქოლოგი არ დახვდათ. სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, ორი დღით ადრე შევხვდი, მაშინაც გამოცდებზე ვილაპარაკეთ. მისთვის არ შემიმჩნევია რაიმე მსგავსიც კი, რომ შეიძლებოდა თავი მოეკლა. წინა კვირას ეზიარა კიდეც, მორწმუნე გოგო იყო, მოძღვარიც ჰყავდა. მომხდარით გაოგნებული ვარ“. - ამბობს სოფო, რომელიც საზოგადოებაში გავრცელებულ ვერსიას, თითქოს თაკომ შეყვარებულის გამო მოიკლა თავი, კატეგორიულად უარყოფს.

„მინდა ყველას ენა ჩავაგდებინო და გავაჩუმო, ვინც ამ სისულელეს ლაპარაკობს, მაგრამ რამდენს გავაჩუმებ? ეს დიდი სისულელეა, თითქოს, თაკომ შეყვარებულის გამო მოიკლა თავი. ჯერ ერთი, თვითონ ამბობდა, რომ ბიჭის გულისთვის როგორ უნდა იტირო, არ უნდა, წავა, სხვა მოვაო. თანაც, ის ბიჭი, რომელმაც ცოლი მოიყვანა, ჩვენი მეგობარია. ბავშვობაში თაკოს მოსწონდა, მაგრამ მას მერე გავიზარდეთ. თაკოს სხვა შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ ისეთი არაფერი ურთიერთობა არ ჰქონდა. ისე დაემთხვა, რომ იმ ბიჭმა წინა დღეს მოიყვანა ცოლი, თაკოს ამბავი კი მეორე დღეს მოხდა. ხალხსაც მეტი რა უნდოდა, საბაბი მიეცათ. ეს სისულელეა. გთხოვთ, დაწერეთ, რომ თაკოს ბიჭის გამო თავი არ მოუკლავს. მისმა ოჯახმა ჯერ არც იცის, რომ სოციალურ ქსელებში ამის შესახებ წერენ“. - გვითხრა სოფომ.



სოციალურ ქსელებში მეგობრებს საკუთარ პროფილზე თაკოს ფოტოები უდევთ. მათთვის ძნელია იმის დაჯერება, რომ მეგობარი აღარ ჰყავთ.

„მეგობრებს გვეუბნებოდა, დილიდანვე დადებითი ენერგიით უნდა წამოდგე, მზისგან, ყვავილებისგან, ყველაფრისგან ენერგია უნდა მიიღოო. სულ სხვანაირი იყო, ასაკით პატარა, მაგრამ ყველაფერზე ჩამოყალიბებული აზრი ჰქონდა. საოცრად მიზანდასახული, რაც ჩვენს თაობაში ასე იშვიათია. გაბრაზება არ შეეძლო, მისთვის გადაულახავი პრობლემა არ არსებობდა. ისე გვარიგებდა, როგორც ბევრი დედა ვერ დაარიგებდა. ამიტომ, ვერ ვიჯერებ, რომ თაკო აღარაა. ამას ნებისმიერ მეგობარზე წარმოვიდგენდი,





## „მეგობრებს გვეუბნებოდა, დილიდანვე დადებითი ენერგიით უნდა წამოდგე, მზისგან, ყვავილებისგან, ყველაფრისგან ენერგია უნდა მიიღოო“





ოღონდ თაკოზე არა. თქვენ არ იცით, როგორი იყო. თაკოსნაირი არავინ არსებობდა. სიცოცხლით სავსე, სულ მუდამ მომღიმარი, მიზანდასახული, ასეთი არც ერთი მისი მეგობარი არ ვართ“, - გვითხრა სოფომ.

როგორც „პრაიმტაიმს“ მეზობლებმა უამბეს, გასროლა დილის საათებში, 10-დან 11-მდე მოხდა. შინ თაკო და მამამისი იმყოფებოდნენ. დედა სამსახურში, ხოლო ძმა სკოლაში იყო. მამა შინიდან რამდენიმე წუთით გავიდა, გასროლაც ამ დროს მოხდა. პარალელურად, დედა თაკოსთან რეკავდა, რადგან არ უპასუხა, იფიქრა, რომ ჩაეძინა. მეზობელთან დარეკა


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## ბით სიცოცხლე 18 წლის გოგონამ?

EXCLUSIVE



# „თაკო ბიჭის გულისთვის თავს არ მოიკლავდა. დეპრესია ჰქონდა“



და მათთან სახლში მისვლა სთხოვა, რომ თაკო გაეღვიძებინა, რადგან მასწავლებელთან აგვიანდებოდა.

ბინაში შესულ მეზობელს საზარელი სურათი დახვდა, გოგონა სისხლის გუბეში ცურავდა. მაშინვე გამოიძახეს სასწრაფო, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი. მომხდარს წინ უძღოდა სამი გასროლა, კედლებს ნატყვიარი ეტყობა. თუმცა, სამჯერ რატომ გაისროლა, ამას ვერავინ ხსნის.

თაკო ტელესტუდიის „ინკოგნიტო“ კურსდამთავრებული იყო. ჟურნალისტობაზე მეოცნებე ამ პროფესიის დასაუფლებლად ბავშვობიდანვე ემზადებოდა.

ერთი წლის წინ სტუდიის მიერ მომზადებული საყმაწვილო გადაცემა ტელეკომპანია „ტვ 3“-ის ეთერით გადაიცემოდა. თაკო გადაცემის წამყვანი იყო.

სხვათა შორის, ტრაგედიის პირველ დღეებში მასმედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ტვ 3“-ის ჟურნალისტმა თავი მოიკლა. რაც ტელეკომპანიამ კატეგორიულად უარყო. მათი განცხადებით, თაკო ყურშავიშვილი მათი კომპანიის ჟურნალისტი არ ყოფილა. თუმცა, „ინკოგნიტოში“ „ტვ 3“-ის ლოგო, რომელიც თაკოს გადაცემის მსვლელობისას ხელში ეჭირა, დღესაც ინახება.

თაკოს პედაგოგი მანანა გაბრიჩიძე მომხდარით გაოგნებულია.

„თაკო ყველასგან გამოირჩეოდა. მობილიზებული, ჭკვიანი, ასაკით პატარას უკვე ჩამოყალიბებული აზროვნება ჰქონდა. აბიტურიენტი იყო, ძალიან დატვირთული, ამიტომ სტუდიაში ხშირად ვერ მოდიოდა. სტუდია ევროპაში უნდა გამგზავრებულიყო, გული მწყდებოდა, რომ ვერ მოდიოდა. მითხრა, შემდეგში აუცილებლად წამოვალო. საზღვარგარეთ გადაღებებზე ყოფნისას, თამამად შემიძლია ვთქვა, თაკო ჩემი მარჯვენა ხელი იყო. ბევრ სერიოზულ საქმეს მას ვავალებდი. მომხდარით გაოგნებული ვარ“,- გვითხრა მანანა გაბრიჩიძემ.

ტელესტუდიაში შესულს თვალში თაკოს ფოტოები გეცემათ. ეს მისმა მეგობრებმა გააკეთეს. წარსულში თაკოზე საუბარი უჭირთ.

„როგორი იყო იცით, დედასავით გვარიგებდა, გვასწავლიდა, ჩვენთვის მაგალითის მომცემი იყო. საოცრად მიზანდასახული. გამორიცხულია, რომ თაკოს ბიჭის გულისთვის მოეკლა თავი“. - ამბობენ მეგობრები.

**„ვამჩნევდით, რომ შეიცვალა, მაგრამ ეს ყველამ გადაღლას მივაწერეთ“**

რატომ მიმართავენ სუიციდს მოზარდება, რა იწვევს დეპრესიას და შესაძლებელია თუ არა მისგან განკურნება, ამის შესახებ ფსიქოლოგ ზურაბ მხეიძეს ვკითხეთ. მისი თქმით, დეპრესია გუნება-განწყობილების დაქვეითებაა, რასაც სიცოცხლის რიტმის შენელება ახასიათებს. 15-22 წლის ასაკში არსებობს მეტი რისკი, რომ დეპრესია სუიციდში გადაიზარდოს.

„დეპრესიაში მყოფ ადამიანს ახასიათებს მისთვის მანამდე ბუნებრივი აქტივობის შენელება ან შეფერხება. მაგალითად, საუბრის რიტმის შენელება, კომუნიკაციის პროცესში ჩართულობის და ურთიერთობების სურვილის დაკარგვა. არ მგონია ძნელი შესამჩნევი იყოს. დეპრესია არამარტო ამ ასაკში, ყველაზე ხშირი ფსიქიკური აშლილობის ფორმაა

**„თქვენ არ იცით, როგორი იყო. თაკოსნაირი არავინ არსებობდა. სიცოცხლით სავსე, სულ მუდამ მომღიმარი, მიზანდასახული, ასეთი არც ერთი მისი მეგობარი არ ვართ“**

მთელ მსოფლიოში. დეპრესიის გამომწვევ ფაქტორებად განიხილება როგორც გარე ფაქტორები, ასევე შიდა პიროვნული. ეს უკანასკნელი ძნელი მისაკვლევია განსხვავებით გარეფაქტორებით გამოწვეული მიზეზებისგან. 15-22 წლის ასაკში გაცილებით მეტი ალბათობაა გარე ფაქტორებით იყოს გამოწვეული. ფსიქიკა ადამიანის ორგანიზმის ანუ მთელი სისტემის ნაწილია და ისიც თავისებურად რეაგირებს გარე ფაქტორებზე. მაგალითად, ინფექციის მიმართ იმუნიტეტის გამომუშავება ხდება ორგანიზმის მიერ. დაახლოებით 15 წლის ასაკიდან მოზარდი მშობლისგან დამოუკიდებლად იწყებს გარემოსთან ურთიერთობას, სადაც სრულიად სხვა გარემოში (განსხვავებით ოჯახის) უხდება გამოცდილებების მიღება. მათ შორის, წარმატების, იმედგაცრუების, განშორების და სხვა. ამ დროისთვის მას არ აქვს გამომუშვებული, არ აქვს ის გამოცდილება სოციალურ გარემოში, შეიძლება ითქვას ის იმუნიტეტი, რომელიც გაუმკლავდება და უზრუნველყოფს გარემოში წარმოქმნილ პრობლემების დაძლევას. მე ვგულისხმობ ფსიქიკის დონეზე და არა გარემოს. სწორედ ამიტომ ეს ასაკი მეტი რისკის მატარებელია, რომ დეპრესია სუიციდში გადაიზარდოს“. - ამბობს მხეიძე.

ფსიქოლოგის თქმით, დეპრესიის განკურნება მედიკამენტებით შესაძლებელია. ასევე, ფსიქოლოგიური დახმარებით, ფსიქოთერაპიით.

„გააჩნია რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ხშირად ფსიქიატრები აცხადებენ ექსკლუზიურ უფლებას და კომპეტენციას დეპრესიასთან დაკავშირებით და უპირატესობა აქვთ. დეპრესიის შემთხვევაში მათ მედიკამენტოზური მკურნალობის უფლება აქვთ. ანტიდეპრესანტები გაცილებით სწრაფად იძლევა შედეგს და ხშირად ეფექტურია. თუმცა ეს „უშინაარსო“ ჩარევაა. ანტიდეპრესანტით დეპრესიის სიმპტომები იხსნება. ფსიქოლოგიური დახმარება კი გულისხმობს მისი გამომწვევი ფაქტორების დადგენას და შემდგომ ცნობიერზე შინაარსობრივი გავლენით პრობლემის აღმოფხვრას“. - განაცხადა ზურაბ მხეიძემ.

„ზუსტად ვიცოდი, რომ 2013 წელი მექნებოდა დაუვიწყარი და ყველაფერი ამიხდა. სამწუხაროდ, 2014-ზე არანაირი წინათგრძნობა არ გამაჩნია. იმედია, ამ წელს აჯობებს და სტუდენტი მაინც გავხდები სხვა თუ არაფერი..“ - ეს სტატუსი ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე ხნით ადრე თაკომ თავისი „ფეისბუქის“ გვერდზე დაწერა. ალბათ, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა მოსალოდნელ უბედურებას.

*„ზუსტად ვიცოდი, რომ 2013 წელი მექნებოდა დაუვიწყარი და ყველაფერი ამიხდა. სამწუხაროდ, 2014-ზე არანაირი წინათგრძნობა არ გამაჩნია. იმედია, ამ წელს აჯობებს და სტუდენტი მაინც გავხდები სხვა თუ არაფერი..“ - ეს სტატუსი ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე ხნით ადრე თაკომ თავისი „ფეისბუქის“ გვერდზე დაწერა. ალბათ, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა მოსალოდნელ უბედურებას.*

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# ვანო მაჭავარიანი: „თუ დავინახავთ, რომ რუსეთის სახელმწიფო მეთაურთან პირდაპირ შეხვედრას ექნება მნიშვნელობა და შედეგი, მას აუცილებლად განვიხილავთ“ EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

**პრემიერ-მინისტრის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში ორმაგი დატვირთვა აქვს. პირველი ის, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ირაკლი ღარიბაშვილი პირველი ოფიციალური პირი იქნება, რომელიც თეთრ სახლში შეხვედრებს გამართავს. ექსპერტები და პოლიტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ ვიზიტის მნიშვნელობას კიევში განვითარებული მოვლენები კიდევ უფრო ამძაფრებს. და მეორე – პუტინის მიერ „გადმოგდებული“ რეპლიკა საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან შეხვედრის შესახებ სწორედ დასავლურ კონსულტაციებს საჭიროებს. ასე ფიქრობენ ოპოზიციის წევრები.**

**პაატა დავითაია, „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი:**

– მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას, თავი შეიკავოს რუსეთის ხელისუფლებასთან შეხვედრისგან, მაქსიმალურად გაწელონ შეხვედრამდე პერიოდი, რადგან მაქვს ინფორმაცია, რომ შეხვედრაზე, რომელიც იგეგმება საქართველოსა და რუსეთის პირველ პირებს შორის, რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან დაყენებული იქნება საკითხი, თუ საქართველო თავს არ დაანებებს ევროპისკენ სწრაფვას, მაშინ საქართველოს შეექმნება პრობლემები ჯავახეთში. მოხდება ცხინვალის რეგიონის შეერთება ჯავახეთთან, სამხედრო გზა გაივლის ცხინვალის რეგიონზე – ჯავახეთზე და შეუერთდება სომხეთს. სწორედ ამიტომ ამერიკაში ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია.

ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე ქვეყანას არანაირი სერიოზული საფრთხე არ ემუქრება. მათ შორის არც რუსეთის მხრიდან. პრეზიდენტის მრჩევლის, ვანო მაჭავარიანის განცხადებით, რუსეთის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დეტალებზე საუბარს მხოლოდ აბაშიძე-კარასინის შეხვედრის შემდეგ ისაუბრებენ.

**ვანო მაჭავარიანი, პრეზიდენტის მრჩეველი:**

– როგორც იცით, საუბარია აბაშიძე-კარასინი შეხვედრაზე, შესაძლოა, სწორედ ამ შეხვედრაზე შეეხონ ორი ხელისუფლების ხელმძღვანელების შეხვედრის საკითხს. აქედან გამომდინარე, სწორედ აბაშიძე-კარასინის შეხვედრის შემდეგ გვექნება უფრო დეტალური ინფორმაცია, რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას აპირებს რუსეთის ფედერაცია შეხვედრასთან დაკავშირებით. ჩვენ, რა თქმა უნდა, შემდეგ უნდა განვიხილოთ, რამდენად მისაღები და შედეგისმომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

**– ოპოზიცია აცხადებს, რომ თუ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრისას არ ისაუბრებენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მაშინ შეხვედრას აზრიც არ ექნება...**

– არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ძირითად საქმიანობას ვაგრძელებთ, ამ თვალსაზრისით რუსეთთან ურთიერთობის ფორმატი არის ჟენევა და პრაღა. თუ დავინახავთ, რომ რუსეთის სახელმწიფო მეთაურთან პირდაპირ შეხვედრას ექნება მნიშვნელობა და შედეგი, მას აუცილებლად განვიხილავთ.

**– ერთ-ერთი ოპოზიციური ძალის წარმომადგენელი აცხადებს, რომ რუსეთი პირველ შეხვედრაზე საკუთარ მოთხოვნას წაუყენებს საქართველოს მხარეს და ეს იქნება დასავლური გზის დათმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის პრობლემებს შექმნის ჯავახეთში...**

– მდინარე უნდა გადაკვეთო მაშინ, როცა მიუახლოვდები, შემიძლია, გითხრათ ერთი რამ, რომ სახელმწიფოს აქვს შემუშავებული სტრატეგია შიდა და გარე საფრთხეების შესაფასებლად. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი თემაა, რომელსაც ჩვენ ძალიან სერიოზულად ვუყურებთ. თუმცა მინდა ვთქვა, რომ სერიოზულ საფრთხეს ამ ეტაპზე ნამდვილად ვერ ვხედავ.

**– როგორ შეაფასებთ პრემიერის ვიზიტს ამერიკაში?**

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრემიერის ვიზიტი სწორედ იმ დროს არის, როდესაც უკრაინაში ასეთი დაძაბული ვითარებაა. საქართველოს პრემიერს საშუალება მიეცემა, პირველ რიგში, გაიცნოს ამერიკის ლიდერები, კონგრესის სენატი. როგორც ვიცი, ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან ექნება ძალიან საინტერესო შეხვედრა. პრემიერი შეხვედრებზე წარმოადგენს საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან პრიორიტეტებს, როგორიც არის ამერიკასთან, ნატოსთან და ზოგადად, ევროატლანტიკურ სივრცესთან დაახლოება. დარწმუნებული ვარ, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მთავრობას გააცნობს თავის ხედვას, თუ რა მოლოდინი არსებობს ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით.

**– ითქვა, რომ რუსეთთან შესაძლო შეხვედრის წინ ამერიკაში ვიზიტს ორმაგად დატვირთული მნიშვნელობა ენიჭება...**

– ეს ვიზიტი იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც თავად ურთიერთობის გაღრმავებაა მნიშვნელოვანი.

# სასულიერ პირებს შ



მაგდა კლდიაშვილი

## მეუფე იაკობი: „სასულიერო პირებს ვაკვირდები, ჩვენთან არც მოდიან, ვერც მოდიან, ვერც ბედავენ მოსვლას, რომ რამე ილაპარაკონ, და გამოდიან ტელევიზიებში. ალბათ, პოპულარობის მოხვეჭა უნდათ... ის არ შეუძლიათ, გამოვიდნენ და შეგვხვდნენ, იმიტომ, რომ იციან, ჩვენთან რომ მოვიდნენ, სალაპარაკოც არა აქვთ... ვიღაცები თუ რაღაცას უხდიან, თორემ...“

**სასულიერო პირებს შორის უკვე ღია დაპირისპირება დაიწყო. ერთმანეთის მიმართ გამოთქმულ უცენზურო სიტყვებს მღვდელ-მონაზვნები, არც მეტი, არც ნაკლები, სოციალურ ქსელებში ავრცელებენ. რატომ არ მოსწონთ მაღალი რანგის სასულიერო პირებს ის მამები, რომლებიც საჯაროდ საუბრობენ ეკლესიაში არსებულ სიტუაციაზე და რატომ კრძალავს საპატრიარქო თავისუფალი აზრის გამოხატვას სასულიერო პირებისთვის. აკრძალვა, რომელიც ყველას არ ეხება - ვინ არიან პრივილეგირებული სასულიერო პირები და სადამდე მიიყვანს ეს დაპირისპირება ქართულ ეკლესიას. სასულიერო პირების „ქუჩური“ გარჩევები - „პრაიმტაიმის“ ობიექტივშია.**

„ვესაუბრე ქორეპისკოპოს იაკობის ძმას. საუბარი მინდოდა მეუფე იაკობ იაკობაშვილთან. დამიწყო ძველბიჭურად ლაპარაკი და სულ დედა მაგინა, ძალიან ბინძურად. სიმართლეს ვიტყვი, არც მე დავაკელი. დამემუქრა, გნახავ და გაგისწორდებიო. შესაძლებელია ჩემ ფიზიკურ ლიკვიდაციასაც გულისხმობენ. ხმა მეუფე იაკობის ხმასაც კი წააგავდა. იცოდეთ, ხალხო, ამათგან ყველაფერი მოსალოდნელია. მეუფე იაკობი ხომ თავად ამბობს ქადაგებებში, ყველა მღვდლის ზარებსა და მესიჯებს ვაკონტროლებო. ვერ გავიგე, ქორეპისკოპოსის ძმობა კიდევ რაიმე ახალი თანამდებობაა საპატრიარქოში“- ამ განცხადებას სოციალურ ქსელში ბერ-მონაზონი ილია ვაშაკიძე ავრცელებს. გარდა იმისა, თუ რა შინაარს შეიცავს სასულიერო პირის ეს განცხადება, ეკლესიისთვის ეტყობა ცხოვრების რაღაც ახალი ეტაპი და ერთგვარი ნოუ-ჰაუა სოციალური ქსელებით ერთმანეთის ლანძღვა და საერთოდაც, მღვდლების უმეტესობა, კომპიუტერისა და ტელევიზორის გამოჩენის დღიდან, იმას ქადაგებს, რომ ეს ეშმაკის ყუთი და ეშმაკის მანქანაა და თუკი ეს ორი ნივთი ეშმაკთან ასე აახლოებს ადამიანს, საინტერესოა, თავად რატომ სარგებლობენ სასულიერო პირები კომპიუტერით და საერთოდ ქართულ ეკლესიაში, ურთიერთობის რა ფორმაა „ფეისბუქის“ საშუალებით ერთმანეთის ლანძღვა, ცოტა გაუგებარია.

დაპირისპირება კი იმან გამოიწვია, რომ ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში, ბერ-მონაზონმა, ილია ვაშაკიძემ საჯაროდ გააკრიტიკა საპატრიარქოც და მცხეთაში, წმინდა გაბრიელ ბერის საფლავზე განვითარებულ მოვლენებზე, პატრიარქის ეპისტოლესა და ეკლესიაში დამკვიდრებულ მავნე პრაქტიკებზე ისაუბრა. მღვდელ-მონაზონი ეკლესიაში ლუსტრაციას ითხოვდა და სიმართლე რომ ვთქვათ, ეს არც ისე ცუდი აზრია. ის დაწესებულება, რომელიც სახელმწიფოსგან პირდაპირი დაფინანსების წესით 25 მილიონს იღებს ყოველწლიურ დაფინანსებას, ვალდებულია იყოს გამჭვირვალე.

ბოდბელმა ეპისკოპოსმა და კათოლიკოს-პატრიარქის ქორესპისკოპოსმა იაკობმა, ბერ-მონაზონი გააკრიტიკა და განაცხადა, რომ როდესაც სასულიერო პირები, კურთხევის აღების გარეშე ტელევიზიებს ინტერვიუებს აძლევენ, ისინი სატანის გზას ირჩევენ ამით.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ზემოთ ხსენებული მეუფე იაკობი 17 მაისის მოვლენებში განსაკუთრებით აქტიურობდა და იქ შეკრებილ მომხრეებს სექსუალური უმცირესობების განადგურებისკენ მოუწოდებდა, მიზეზად კი იმას ასახელებდა, რომ სწორედ უმცირესობა ანადგურებს უმრავლესობას. კითხვაზე კი, იყო თუ არა ეს ქრისტიანული, მეუფე იაკობმა განაცხადა, რომ მას ქრისტიანობა არავისგან ესწავლება.

## მამა ლუკა სუპატაშვილი: „ეკლესიას სატელეფონი მოსმენების ტექნიკური საშუალებები არ გააჩნია“

„სასულიერო პირებს სიყვარულით, თუმცა გულის ტკივილით მინდა მოგმართოთ. ამ ბოლო პერიოდში, ვისაც არ ეზარება, ყველა ცდილობს, რომ დაგვმოძღვროს ეკლესია. როდესაც სასულიერო პირი პირველსავე დაძახილზე გარბიხარ და სტუდიაში ჯდები ისე, რომ არ კითხულობ, კურთხევას არ იღებ წახვიდე თუ არ წახვიდე... რა, ვინმე ვინმეს უშლის სადმე წასვლას ან იმის შიში გვაქვს, რომელ ტელევიზიაში დაჯდება რომელი ადამიანი? ასე არავინ იფიქროს. ღმერთს არაფრის ეშინია და ეკლესიას არაფრის ეშინია. მაგრამ არის რჯულის კანონები, თუ მაცხოვარი იცავდა რჯულის კანონს, მაშინ რა უფლება გაქვს სასულიერო პირს, რჯულის წინააღმდეგ მიდიოდე“, - აცხადებს პატრიარქის ქორეპისკოპოსი იაკობი.

მეუფე იაკობის განმარტებით, ვაშაკიძეც და მისი მსგავსი სასულიერო პირები პოპულარობის მოხვეჭაზე ფიქრობენ და მათთან პირისპირ საუბარს ვერ ბედავენ.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ორის ღია დაპირისპირება დაიწყო



# რა ხდება ქართულ ეკლესიაში?!

**ბერ-მონაზონი ილია ვაშაკიძე: „ვესაუბრე ქორეპისკოპოს იაკობის ძმას. საუბარი მინდოდა მეუფე იაკობ იაკობაშვილთან. დამიწყო ძველბიჭურად ლაპარაკი და სულ დედა მაგინა, ძალიან ბინძურად. სიმართლეს ვიტყვი, არც მე დავაკელი. დამემუქრა, გნახავ და გაგისწორდებიო. შესაძლებელია ჩემ ფიზიკურ ლიკვიდაციასაც გულისხმობენ“**

EXCLUSIVE

„სასულიერო პირებს ვაკვირდები, ჩვენთან არც მოდიან, ვერც მოდიან, ვერც ბედავენ მოსვლას, რომ რამე ილაპარაკონ, და გამოდიან ტელევიზიებში. ალბათ, პოპულარობის მოხვეჭა უნდათ და ამბობობენ, ასეთია საპატრიარქო, ისეთია... რას არ იძახიან მღვდელმთავრებზე. თვითონ ვისგან აქვთ ხელდასმა მიღებული, თუ ასეთი ცუსასულიედები იყვნენ, რას იღებდნენ მისგან ხელდასხმას? დღეს სოროებში იმალებიან და ის არ შეუძლიათ, გამოვიდნენ და შეგვხვდნენ, იმიტომ, რომ იციან, ჩვენთან რომ მოვიდნენ, სალაპარაკოც არა აქვთ... ვილაცები თუ რაღაცას უხდიან, თორემ... მოვიდნენ და ფაქტებით ილაპარაკონ, ზეპირი ლაპარაკი არაფერი არ არის. ჩვენ თუ ზომებს არ მივიღებთ, მერე წავიდნენ, სადაც უნდათ იქ ილაპარაკონ, მაგრამ ჩვენთან რომ არ მოსულან და სხვაგან რაღაცას ლაპარაკობენ, ეს ულირსი საქციელია, მშიშარა კაცის პოზიციაა და არ არის სასულიერო პირის პოზიცია. მე მზად ვარ, ნებისმიერ მასეთ სასულიერო პირს სადაც გაუხარდება იქ შევხვდე, დაველაპარაკო, ავუხსნა. მერე ან იმათ დაუჯეროს, ვინც მაგათ მართავს და ან ეკლესიას დაუჯეროს“, - აცხადებს თავის ქადაგებაში მეუფე იაკობი.

რამდენად არის ქრისტიანული ტონით ნათქვამი ეს სიტყვები კი თავად მკითხველმა შეაფასოს.

მღვდელ-მონაზონი ილია ვაშაკიძე იმასაც აცხადებს, რომ მეუფე იაკობისგან იყო მუქარა, რომ სასულიერო პირების ტელეფონებს უსმენენ და აკონტროლებენ. ვაშაკიძე საკუთარ პოსტში არც იმას გამორიცხავდა, რომ მისი ლიკვიდაცია იგეგმებოდეს.

ასევე სოციალურ ქსელში, მღვდელ-მონაზონი ილია ვაშაკიძე, მეუფე სერამიფესაც პასუხობს და მის სიტყვებს ბჟუტურს უწოდებს.

„ერთი გამაგებინოს, ამ მიტროპოლიტს რა აბჟუტურებს? თვითონ არ იყო მიუხედავად სინოდის დადგენილებისა აქტიურ მონაწილეობას რომ იღებდა წინასაარჩევნო კამპანიაში? ან რა ფინანსებზე ლაპარაკობს, როცა არც წინა მთავრობისგან მოკლებია დაფინანსება, გინდა საპატრიარქოდან, გინდა მთავრობიდან? უფრო მეტის მიღება უნდოდა, მაგრამ „жадность губит фраера“. რა ფინანსებზე ლაპარაკობს, გამრავლების ტაბულა არ იცის, ან რა ცოცხალ სხეულზე, სტატიაში ცოცხალი სხეული ქრისტეს გარეშეა ნახსენები, ან რა ეკლესიაზე, ან საერთოდ რა უნდა ცხოვრებაში? 200 ვეტერანი მე გავაჩერე პირადად, როცა მაგის ათრევა უნდოდათ მყინვარწვერზე და თავით დარჭობა, როცა მაგისავე კურთხევით სეპარატისტული აფხაზეთის დროშა აღმართეს მყინვარწვერზე. ნებისმიერ ტელევიზიაში სატელევიზიო დებატებში ვიწვევ მაგას ეკონომიკის, პატრიოტიზმის, ეკლესიოლოგიის, ქრისტოლოგიისა და დოგმატური ღვთისმეტყველების დარგში სასაუბროდ. ზუსტად მიტროპოლიტ სერაფიმეს და მისთანათა დიდი დამსახურებაა, რომ სახელმწიფოს მიეცა საბაბი შიდასაეკლესიო საქმეებში ჩარევისა. ამისთანა მიტროპოლიტების დამსახურებაა, დღეს რომ პატრიარქი და ეკლესია ილანძღება და მიდის გაურკვეველი „რაზბორკები“. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ საპატრიარქოს: სასწრაფო რეჟიმში ჩაატაროს ლუსტრაცია, რათა საბოლოოდ გაირკვეს ვინ პედოფილია, ვინ პედერასტი, ვინ ფინანსური მაქინატორი, ვინ კგბ-ს აგენტი“, - წერს ბერმონაზონი.

არაქრისტიანულს უწოდებს ვაშაკიძის საქციელს „ასი ათასი მოწამის“ ტაძრის წინამძღვარი მამა ლუკა სუპატაშვილი. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას, ის აცხადებს, რომ მეუფე იაკობი გულანთებული პატრიორია და მღვდელ-მონაზონი ილია ვაშაკიძე რელიგიურ კანონებს არღვევს. მამა ლუკა ასევე დაუშვებლად მიიჩნევს, სოციალურ ქსელებში სასულიერო პირების განცხადებებს.

„მე თუ მკითხავთ, გაუმართლებელი და მიუღებელია ეს. როდესაც დაპირისპირება არსებობს, ის უნდა მოგვარდეს პრაქტიკულად და საქმიანად. სოციალური ქსელებით განცხადება სხვა რაღაცას უფრო ჰგავს, ვიდრე კონფლიქტის მოგვარების სურვილს. თუ პრობლემაა, ის უნდა დადგეს საეკლესიო ერთობის წინაშე და თუ პრობლემის მოგვარების სურვილია, უნდა მოგვარდეს. გარკვეულწილად, ეს არის ეკლესიის კანონის დარღვევა, როდესაც ასეთ ბრალდებებს ამბობს, მის უკან კი არაფერი დგას“, - აცხადებს მამა ლუკა სუპატაშვილი.

**მამა ლუკა სუპატაშვილი: „სასულიერო პირი ვალდებულია შეინარჩუნოს ერთობა და ღმერთის სიყვარული. როგორც ქვეყანას აქვს თავისი კანონები და სამართალი, ისე ეკლესიას და ამ შემთხვევაში, მღვდელ-მონაზონ ილია ვაშაკიძეს ვერ გავამართლებ. მისი ქცევები დაპირისპირებაში მოდის სიმშვიდესთან“**

კითხვაზე, ეკრძალებათ თუ არა სასულიერო პირებს თავისუფალი აზრის გამოხატვა, „ასი ათასი მოწამის“ წინამძღვარი პასუხობს, რომ პიროვნულად აზრის გამოთქმის საშუალება ყველას აქვს, მაგრამ როდესაც განცხადებას აკეთებ, როგორც სასულიერო პირი, ეკლესიის სახელით, ის აუცილებლად თანხმობაში უნდა იყოს ეკლესიასთან.

მამა ლუკა სუპატაშვილი ვაშაკიძის ბრალდებებსაც ეხმაურება ტელეფონის მოსმენებთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ მსგავსი ტექნიკური საშალებები ეკლესიას არ გააჩნია და არც უნდათ, რომ ჰქონდეთ.

„თუ რაიმე ცალკეული ჩანაწერი არსებობს და ამას გულისხმობს, არ ვიცი, ცოტა არადამაჯერებელია. ვიცნობ მეუფეს, ის გულანთებული პატრიოტია. ომის დროსაც კი მხარეები მოლაპარაკების მაგიდასთან სხდებიან. მათ პირდაპირი ურთიერთობის გზით უნდა მოაგვარონ კონფლიქტი. მეუფის წინააღმდეგ სურს მას აზრის შექმნა და ეს მიმართულია ეკლესიის სიმყუდროვის დასარღვევად, სიწმინდეების დასაკარგად. სასულიერო პირი ვალდებულია შეინარჩუნოს ერთობა და ღმერთის სიყვარული. როგორც ქვეყანას აქვს თავისი კანონები და სამართალი, ისე ეკლესიას და ამ შემთხვევაში, მღვდელ-მონაზონ ილია ვაშაკიძეს ვერ გავამართლებ. მისი ქცევები დაპირისპირებაში მოდის სიმშვიდესთან“, - აცხადებს სასულიერო პირი.

როდის დასრულდება დაპირისპირება სასულიერო პირებს შორის, რთული სათქმელია, მაგრამ ბერ-მონაზონმა, ილია ვაშაკიძემ, სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე, მორიგი სკანდალური განცხადება გაავრცელა, სადაც ის წერს, რომ დღეს ერი უფრო მაღალ ზნეობრივ საფეხურზე დგას, ვიდრე სასულიერო ელიტა.

„ქრისტეში საყვარელო ხალხო, მამებო, ძმებო და დებო. მას შემდეგ, რაც ნაძირალებმა თავისი ჭეშმარიტი სახე დაინახეს სარკეში, დაიწყეს დედაეკლესიის ერთგულ შვილთა მოღვაწეობის, კერძოდ, ლუსტრაციის მოთხოვნისა და ცისფერი კართაგენის დანგრევის მომხრეთა პოლიტიკურ ან სხვა რაიმე ჭრილში გადატანა. ვიდგეთ მტკიცედ დედაეკლესიაში. ვიმოქმედოთ დედაეკლესიის კანონით. არ წამოვეგოთ არანაირ პროვოკაციებს. არანაირი მტრობა, მხოლოდ და მხოლოდ ქრისტესმიერი სიყვარული დედაეკლესიის საკეთილდღეოდ. პირადული მხოლოდ ჩემი ლოთობაა წარსულში. მე მუხლს ვიდრეკ მართლმადიდებელ ერისკაცთა წინაშე და როგორც ჩანს, ერი სულიერად უფრო მაღლა დგას, ვიდრე სასულიერო ელიტა, სადაც პედერასტთა და პედოფილთა ხვედრითი წილი ძალიან მაღალია. კანონიერი პედოფილები და კანონიერი პედერასტები საჯაროდ განდევნილ უნდა იქნან ეკლესიიდან. თუ მეუფე იაკობი მზად არის ამისათვის, მე მზად ვარ საჯაროდ, ტელევიზიით მუხლი მოვუყარო მას და გვერდში დავუდგე ამ ეკლესიისათვის აუცილებელ გამწმენდ ღონისძიებაში. ცისფერი და პედოფილური კართაგენი უნდა დაინგრეს! ღმერთმა დაგლოცოთ! მომიხსენიეთ ლოცვებში“, - წერს ბერი.

მას შემდეგ, რაც სასულიერო პირები ტელევიზიებით ალაპარაკდნენ, საქართველოს საპატრიარქოში ისინი ზნეობის კომისიაზე დაიბარეს. ის, რომ საქართველოს ეკლესიაში ზნეობის პრობლემაა, მოყვანილი მაგალითებიდანაც კარგად ჩანს. კარგი იქნება, თუ საქართველოს საპატრიარქო მეტად გამჭვირვალე გახდება და მართლმადიდებლურ რელიგიას და მის იმიჯს რამდენიმე მაღალი რანგის სასულიერო პირის პირად ინტერესებს არ შესწირავს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ზიოსკანდალ

**ხათუნა მგალობლიშვილი**

**საქართველოში ყოველ მეოთხე დღეს ნარკოტიკული ნივთიერებების მიღების შედეგად ერთი ადამიანი იღუპება. ეს არაოფიციალური მონაცემებია, რომელსაც ზიანის შემცირების სერვისი ავრცელებს. ოფიციალურად ყველაზე დიდი დანაკარგი ქვეყანას 2007 წელს ჰქონდა – 37 ადამიანი. მას შემდეგ დაღუპულთა რაოდენობა კლებისკენ წავიდა და, მაგალითად, 2010 წელს არც ერთი უბედური შემთხვევა არ ფიქსირდება, თუმცა, ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ წელს რეალურად არც ერთი ადამიანი არ დაღუპულა „პერედოზიროვკით“. როგორც ამბობენ, ოფიციალური ციფრები ამ შემთხვევაში ათჯერ მცირეა რეალურთან შედარებით.**

ექსპერტები და ფსიქოლოგები თანხმდებიან, რომ საქართველოში წინა ხელისუფლების დროს გატარებული ნარკოსტრატეგია კრახით დასრულდა. გადაწყვეტილება მიღებულია, რომ ის დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს, მაგრამ რა მიმართულებით – დავა სწორედ ამ საკითხზეა. უნდა მოხდეს თუ არა დეკრიმინალიზაცია? ამ კითხვას ორი პასუხი აქვს. შესაბამისად, საზოგადოებაც ორადაა გაყოფილი... თუმცა თითოეული პასუხის უკან კონკრეტული ისტორიები და კონკრეტული ადამიანები დგანან...

23 წლის დავით ცხაკაიას გარდაცვალებამ საკითხი კიდევ ერთხელ გახადა ფართო განხილვის თემა. ცნობილი კარდიოლოგის შვილიშვილი სწორედ ნარკოტიკული ნივთიერების ერთ-ერთი სახეობის მიღების შედეგად გარდაიცვალა... პრობლემაზე მომუშავე ადამიანების განცხადებით, მსგავსი ტრაგედიები საკმაოდ ხშირად ხდება, თუმცა ისინი ნაკლებად ხმაურდება... ამ შემთხვევაში დაღუპული ახალგაზრდის ვინაობამ საზოგადოება, პოლიტიკოსები და მედია კიდევ ერთხელ „აიძულა“, დეკრიმინალიზაციის საკითხი კიდევ ერთხელ გამოეტანა სამსჯავროზე. პრობლემა აქ ძალიან ბევრია, თუმცა პრიორიტეტების გადალაგების შემდეგ შემდეგნაირად ლაგდება:

**პრობლემა #1 – შესაცვლელია ნარკოსტრატეგია. უნდა ისჯებოდეს თუ არა სისხლის სამართლის კოდექსით პიროვნება, რომელიც მეგობრის გადასარჩენად სასწრაფო დახმარებას მიმართავს?**

პასუხი აქ ერთია – არა. თუმცა ფაქტია, რომ კანონი სხვანაირად მოქმედებს და ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელიცა და ისიც, ვინც მის გადარჩენას შეეცდება, ერთნაირი სასჯელით წარდგებიან სასამართლოზე. კანონები კი ძალიან მკაცრია. პირველი დაკავების შემთხვევაში ადამიანი 500 ლარით ჯარიმდება. მეორე შემთხვევაში იგივე ადამიანი არჩევანის წინაშე დგება: ან ერთი წლით მიდის ციხეში, ან მინიმუმ 2000 ლარის გადახდას თანხმდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2000 ლარი მხოლოდ საწყისია და ზედა ზღვარი არ გააჩნია. მისი „საზომი“ კი, არც მეტი, არც ნაკლები – შარდია. როგორც ირკვევა, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა დედამიწაზე, სადაც შარდში აღმოჩენილი ნარკოტიკული ნივთიერების შემთხვევაში ადამიანი სისხლის სამართლის კოდექსით იდევნება. ყოველ შემთხვევაში აქამდე საქართველოში სწორედ ასეთი ნარკოსტრატეგია მოქმედებდა. შესაბამისად, ნარკოტიკული ნივთიერებების მიღების შედეგად დაღუპულთა რაოდენობასაც სწორედ ეს განსაზღვრავს. ნებისმიერი ახალგაზრდა გაურბის სასწრაფო დახმარების გამოძახებას, რადგან მათ იციან, რომ საუკეთესო შემთხვევაში ცოცხლები დარჩებიან, თუმცა აუცილებლად თავისუფლებაშეზღუდულები.






ეს ნარკომანიასთან ბრძოლის ქართული მეთოდია, რომელიც ყველა განვითარებულმა ქვეყანამ პრობლემის მართვითა და პრობლემურ ადამიანებზე ზრუნვით ჩაანაცვლა. ამერიკაში სწორედ ობამას პრეზიდენტობის დროს მოხდა ბრძოლის მეთოდის კრახის აღიარება. მათი სტრატეგია დღეს ასეთია – ჩვენ უნდა ვმართოთ ეს პრობლემა. საქართველოში ჯერ კიდევ ებრძვიან. წინა ხელისუფლება აცხადებდა, რომ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს იმხელა რესურსი, რომ თითოეულ ნარკომანს უმკურნალონ, ბრძოლა საუკეთესო გამოსავალია. ამის დასტურად ყოველწლიური კვლევებიც მოჰყავდათ, სადაც ნარკოდამოკიდებულთა რიცხვი მართლაც მცირდებოდა, ასევე, წლიდან წლამდე კლებისკენ მიდიოდა ნარკოვაჭრობის დანაშაულიც. თუმცა ფსიქოლოგი ჯანა ჯავახიშვილი აცხადებს, რომ ეს ყველაფერი მითები იყო და უკვე დღეს დადასტურდა კიდეც.

**ჯანა ჯავახიშვილი, ფსიქოლოგი:**

**– როგორია თქვენი შეფასება დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით?**

– ძალიან ხშირად, როდესაც ამ თემაზე საუბრობენ, აღრევა ხდება ხოლმე ლეგალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის. თუ ადამიანი ერთი წლის მანძილზე მეორედ დააკავეს და მას შარდში აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერების მიღების კვალი, ეს უკვე საკმარისია იმისთვის, რომ მოხდეს მისი სისხლის სამართლის კოდექსით დევნა, რასაც შესაძლოა, დაპატიმრება მოჰყვეს. ნებისმიერი რაოდენობის ნარკოტიკული საშუალების ფლობა, ასევე, სისხლის სამართლის დანაშაულია. სასჯელის განსაზღვრის თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოდენობებს. მცირე ოდენობის ფლობა 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, საშუალო ოდენობის ფლობა – 7-დან 14 წლამდე, ხოლო დიდი ოდენობის – 8-დან 20 წლამდე. თუმცა ისეთი ნარკოტიკული ნივთიერებებისთვის, როგორიც არის ამჟამად ფართოდ მოხმარებადი ე.წ. „კრაკადილი“, „ვინტი“ ან „ჯეფი“ – ოდენობები არ არის განსაზღვრული. წელიწადში მეორედ ვის შეიძლება აღმოაჩნდეს ნარკოტიკული საშუალების კვალი შარდში?.. რა თქმა უნდა, ნარკოდამოკიდებულს. ერთ ფაქტს მოვიყვან: ერთმა ნარკოდამოკიდებულმა ადამიანმა იცოდა, რომ პოლიცია უთვალთვალებდა და მოასწრო ნარკოტიკული ნივთიერების სანაგვეში გადაგდება. თუმცა ის იმდენად დამოკიდებული იყო, რომ გონება დაებინდა, მიბრუნდა და სანაგვედან ამოიღო. სწორედ ამ დროს დააკავა პოლიციამ და ამ ადამიანს შვიდწლიანი სასჯელის მოხდა მოუწია. როდესაც ვსაუბრობთ დეკრიმინალიზაციაზე, ჩვენ ვგულისხმობთ იმას რომ ადამიანს, რომელსაც შარდში ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდება, არ გასამართლდეს სისხლის სამართლის კოდექსით. აქ საუბარი არ არის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მოხსნაზე. თუ კარგად გავიაზრებთ, რას ნიშნავს დეკრიმინალიზაცია, დარწმუნებული ვარ, რომ წინააღმდეგი არავინ იქნება, საზოგადოებას არ აქვს გააზრებული, რაზე მიმდინარეობს მსჯელობა.

**„თუ ადამიანი ერთი წლის მანძილზე მეორედ დააკავეს და მას შარდში აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება, ეს უკვე საკმარისია იმისთვის, რომ მოხდეს მისი სისხლის სამართლის კოდექსით დევნა, რასაც შესაძლოა, დაპატიმრება მოჰყვეს“**

**„იმის მაგივრად, რომ უმკურნალონ ნარკომანებს, მართონ პრობლემა, მის წინააღმდეგ მიდის ბრძოლა. ასეც ჰქვია – ნარკომანიასთან და ნარკომანებთან ბრძოლის ეროვნული ბიურო“**

თუ ერთი წლის მანძილზე ადამიანის შარდის ანალიზის შემოწმების საფუძველზე მეორედ დაუდასტურდა ნარკოტიკული საშუალების კვალი, ის კრიმინალური პასუხისმგებლობის წინაშე დგება და ამგვარად იწყება მისი „კრიმინალური კარიერა“. შედეგად კი დიდი ალბათობაა, რომ ეს ადამიანი ციხეში მოხვდება და მისი საზოგადოებაში დაბრუნების შანსები დრამატულად შემცირდება. ერთი მხრივ, ჩვენ გვინდა, რომ ჯანსაღი საზოგადოება ვიყოთ, მეორე მხრივ კი, მკურნალობის ნაცვლად, საზოგადოებიდან ვაგდებთ ამ ადამიანებს. ნარკოპოლიტიკა საქართველოში ძალიან დაუბალანსებელია, სამართალდამცავი ღონისძიებების ხვედრითი წილი გაცილებით მაღალია ჯანდაცვის ღონისძიებების ფრიად მოკრძალებულ მასშტაბზე. ნარკოტიკებთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირების სტრატეგია ტრადიციულად მიდის სამართალდამცავი და არა ჯანდაცვის კუთხით. ამას იქამდე მივყავართ, რომ დოზის გადაჭარბების შემთხვევაში ადამიანები დასახმარებლად არ მიმართავენ სასწრაფოს, იმის გამო, რომ დღევანდელი კანონმდებლობით ექიმი ვალდებულია, პოლიციას შეატყობინოს ფაქტის შესახებ. სწორედ ამიტომ, ნარკოტიკების ზედოზირების მიზეზით გარდაცვლილთა ოფიციალური სტატისტიკა რეალობისგან რადიკალურად განსხვავდება. მაგალითად, სტატისტიკური მონაცემებით, 2012 წელს ზედოზირების გამო 15 ადამიანი დაიღუპა, მაშინ როდესაც საქართველოს ზიანის შემცირების ქსელის მონაცემებით, ეს ციფრი თითქმის 10-ჯერ უფრო მაღალია. მაგალითად, ზიანის შემცირების სერვისების მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში 129 ზედოზირებით გარდაცვალების ფაქტი მოხდა. წელიწადში 360 დღეა და გამოდის, რომ თითქმის ყოველ მესამე-მეოთხე დღეს იღუპება ერთი ადამიანი ნარკოტიკების გამო. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სასწრაფოს გამოძახებას ერიდებიან. თუ მოხდება კანონმდებლობის შესაბამისი ცვლილება, ექიმი აღარ იქნება კანონით ვალდებული, ზედოზირების შემთხვევა პოლიციას შეატყობინოს – ეს შიში თუ აღარ იქნება, ბევრი ადამიანის გადარჩენა მოხერხდება.

**– თუმცა ითქვა, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც მთავრობას არ აქვს შესაძლებლობა, გახსნას სარეაბილიტაციო ცენტრები, დაეხმარონ ასეთ ადამიანებს, გამართლებულია ნარკომანიასთან ბრძოლის მეთოდი...**

– ეს ყველაფერი მითებია. ძალიან ბევრი მითი ჟღერდება, როგორც წესი, ამ საკითხზე საუბრისას. შარდში ნარკოტიკული საშუალების კვალის აღმოჩენის გამო, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის სისხლის სამართლებრივი დევნა. იქ მოხმარების კრიმინალიზაცია გულისხმობს იმას, რომ ადამიანს აღმოუჩენენ ნარკოტიკის ულუფას პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილს. ჩვენთან ამგვარი ულუფის აღმოჩენა 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

**– თავის დროზე რატომ მოხდა ბრძოლის მეთოდის შერჩევა პრობლემის მართვის მაგივრად?**




– სანამ გაერო პირველ კონვენციას მიიღებდა, ამერიკაში, სხვადასხვა ეროვნების მიგრანტებმა შეიტანეს სხვადასხვა სახის ფსიქოაქტიური ნივთიერებები. მაგალითად, ოპიუმი ჩინელმა ემიგრანტებმა შეიტანას, მარიხუანა – ესპანელმა ემიგრანტებმა და ა.შ. ეს ნარკოტიკული საშუალებები მაშინდელ ამერიკაში აღქმული იყო ქსენოფობიის ფონზე, რაც ამერიკელებში პანიკას იწვევდა. ეს პანიკა აისახა კიდეც კონვენციების ენასა და სიმკაცრეში და ნარკოტიკების წინააღმდეგ ომის გამოცხადებას დაედო საფუძვლად. ამერიკაში ნიქსონის პრეზიდენტობის დროს პირველად გაჟღერდა ტერმინი „war on drugs“ – ომი ნარკოტიკების წინააღმდეგ, რომელმაც, ფაქტობრივად, ნარკოტიკების პრობლემის მიმართ მეოცე საუკუნის მიდგომა ასახა. ობამას ადმინისტრაცია ცდილობს, რომ შეცვალოს ეს მიდგომა, მათ უკვე აღიარეს, რომ ომის მიდგომამ კრახი განიცადა და რომ ბრძოლიდან ნარკომანიის პრობლემის მართვაზე უნდა გადავიდნენ.

**– რამდენია საქართველოში ნარკოდამოკიდებულთა რიცხვი?**

– 45 ათასი ნარკოდამოკიდებული არსებობს, არსებული მონაცემებით. ტრადიციულად, საქართველოში ნარკოდამოკიდებულთა რიცხვს აზვიადებენ ხოლმე. მორალური პანიკა, რომელიც არსებობს პრობლემის მიმართ, პრობლემის გაზვიადებულ აღქმას იწვევს.

**– მიგაჩნიათ, რომ საქართველოში იცვლება ბრძოლის მეთოდი ზრუნვის მეთოდით?**

– იუსტიციის სამინისტრომ, ამ მხრივ, ძალიან კარგი მუშაობა ჩაატარა. პროცესი დაიწყო 2012 წელს, მოხდა სტრატეგიის ფორმირება, 2013 წლიდან ნარკოკანონმდებლობის ცვლილებათა პაკეტი შეიმუშავეს იუსტიციის სამინისტროს მიერ დაქირავებულმა ექსპერტებმა, თუმცა პარლამენტს ჯერ არ განუხილავს ეს პაკეტი. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს ეს




**ზიომომხმარებელი:**
**„ყველას გთხოვთ, არ გაეკაროთ ზიოს, ჯოჯოხეთია“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ი გრძელდება




**„ყველაზე ცუდი რეაქცია, რაც შეიძლება სახელმწიფოს ჰქონდეს ნარკოტიკებთან მიმართებაში, ეს არის მორალური პანიკის დანერგვა და მის წინააღმდეგ ომის სტრატეგიის წარმოება“**





**„ამას იქამდე მივყავართ, რომ ზედმეტი დოზის მიღების შემთხვევაში ადამიანები დასახმარებლად სასწრაფოს არ მიმართავენ, იმის შიშით, რომ შემდეგ ექიმი აუცილებლად შეატყობინებს სამართალდამცავებს“**

**„თუ კარგად გავიაზრებთ, რას ნიშნავს დეკრიმინალიზაცია, მაშინ წინააღმდეგი არავინ იქნება, საზოგადოებას არ აქვს გააზრებული, რაზე მიმდინარეობს მსჯელობა“**

საკანონმდებლო ცვლილება, რადგან, თუ დეკრიმინალიზაცია არ მოხდება, ფაქტობრივად, ზრუნვაზე ორიენტირებული მიდგომა ვერ განხორციელდება. სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა გაიაზროს, რომ აუცილებელია დამოკიდებულ ადამიანებზე ზრუნვა და არა მათ წინააღმდეგ ბრძოლა. ამის ერთ-ერთი ილუსტრაცია აივ-შიდსის ეპიდემიის გავრცელების რისკია: ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებული ადამიანები აივ-ინფექციის რისკის ჯგუფია და მათ არ უნდა ეშინოდეთ ექიმამდე მისვლის. დამსჯელობითი მიდგომები მათ, ფაქტობრივად, ფარულ ჯგუფად აქცევს, რაც მნიშვნელოვანწილად ზრდის ეპიდემიის გავრცელების რისკს. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი ნარკოდამოკიდებული ადამიანის უკან მისი ოჯახია და ჩვენ მისი დევნითა და საზოგადოებიდან გარიყვით, მინიმუმ 3-4 ადამიანს ვაგდებთ რისკის ქვეშ – გნებავთ, აივ-შიდსის რისკის საფრთხისა და გნებავთ, მარგინალიზაციის თვალსაზრისით. ამჟამად იუსტიციის სამინისტრო აკოორდინირებს ნარკოსტრატეგიის უწყებათაშორისი საბჭოს მუშაობას, რომელიც ნარკომანიის პრობლემის გამკლავების ეროვნულ სამოქმედო გეგმის ამოქმედებაზე მუშაობს. ნარკოსტრატეგია და სამოქმედო გეგმა უკვე შემუშავებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ახლა საუბარია მის დაბიუჯეტებასა და ამოქმედებაზე.

**პრობლემა #2 – სად იყიდება და რამდენად ხელმისაწვდომია ნარკოტიკული ნივთიერებები ახალგაზრდებისთვის?**

არჩევანი მათ ნამდვილად დიდი აქვთ თანაც ორივე მიმართულებით. ინტერნეტი და კლუბები – ეს არის ორი ადგილი, საიდანაც ახალგაზრდები მარტივად ყიდულობენ „ბიოს“, რომლის მიღების შედეგად ძალიან ბევრი ახალგაზრდა გარდაიცვალა.

„ბიოსთან“ დაკავშირებული ბოლო სკანდალი კლუბ „გალერიში“ მოხდა. დავით ცხაკაია სწორედ ამ კლუბში გარდაიცვალა. თავად კლუბის თანამშრომლების პირველივე განცხადება ახალგაზრდის გადაცვალების შემდეგ შემდეგი შინაარსის იყო: „ახალგაზრდა ჩვენთან ნარკოტიკული ნივთიერებით შემოვიდა“... მათი შიში რეალური იყო და ისინი ერთის დამტკიცებას ცდილობდნენ – ჩვენ არაფერ შუაში ვართ. ბუნებრივია, საკითხი გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუმცა ფაქტია, რომ აღნიშნული კლუბი სკანდალში უკვე ბევრჯერ გაეხვია.

დავით ცხაკაია კლუბ „გალერიში“ „ბიოს“ მიღების შედეგად დაიღუპა. როგორც ამბობენ, მან ქიმიური ნივთიერება თვალში ჩაიწვეთა და მაშინვე დაკარგა გონება, თუმცა სასწრაფო რატომღაც გაცილებით გვიან გამოიძახეს. როგორც ჩანს, ყველა მოერიდა მორიგ სკანდალს. უბედური შემთხვევის შემდეგ კლუბი მხოლოდ რამდენიმე დღით დაიკეტა. ახალგაზრდების თქმით, კლუბში სტუმრობისას ხშირად შეიძლება წააწყდე სიტუაციას, როდესაც სხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მიღების შედეგად თინეიჯერები გონებადაკარგულები ვარდებიან ძირს, მისდით გული, კარგავენ მოძრაობის უნარს... ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ ინტერნეტში ავრცელებს საკუთარ გამოცდილებას და ყველას მოუწოდებს, არასოდეს გასინჯოს „ბიო“: „ხალხო, დღეს ჩემს თავზე გამოვცადე ქიმიური ბიოს მოქმედება... ყველას გთხოვთ, არ გაეკაროთ ბიოს, ჯოჯოხეთია... სულ ერთი ნაპასი დავარტყი, ეგრევე გავითიშე, ვერ ვმოძრაობდი, სულ რაღაც 2 წუთში მეგობარს ენა ჩაეყლაპა და კრიჭა შეეკრა. მინდოდა მისვლა, დახმარება რამით მაინც, ან სულაც წყლის მიტანა, თუმცა ვერ ვინძრეოდი. ვფიქრობდი, მაგრამ ვერ მივდიოდი, ერთ ადგილას ვიყავი მიჯაჭვული... მერე აღარ მახსოვს, რა მოხდა... როგორც მითხრეს, სუნთქვა შემეკრა, თვალებში დამიბნელდა, პულსი აღარ მესინჯებოდა და ძლივს გადამარჩინეს. ერთმა ჩემმა უბნელმა 6-ჯერ მოწია ბიო და ტვინზე სერიოზული პრობლემები შეექმნა. დღეს გავიგე, რომ დილომში გოგონა დაიღუპა ბიოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი. როგორც თქვეს, ვერ გაუძლო მის ძალას... საშინელებაა, ჯოჯოხეთია, უსერიოზულეს ზიანს აყენებს ტვინს, მე პირადად მივიღე ძალიან დიდი ფსიქოლოგიური სტრესი და შოკი, ახლაც ცუდ მდგომარეობაში ვარ“...

ერთ-ერთი ახალგაზრდის განცხადებით კი, „ბიოს“ ინტერნეტსაიტებიდან გამოწერაზე მარტივი გზები თბილისის დისკოთეკებია: „დისკოთეკაზე მისვლისას ყველა ცდილობს, გამხიარულდეს. ისე, იმ ხმაურსა და ტემპს, უბრალოდ, ვერ გაუძლებ. ერთ-ერთ მისვლაზე მეც მომაწოდეს რაღაც ტაბლეტი. დავლიე და მომენტალურად ვიგრძენი ცვლილება. ჩემი მეგობრები უკვე ცეკვავდნენ, მე მივხვდი, რომ ლაპარაკს თუ არ დავიწყებდი, გონებას აუცილებლად დავკარგავდი. გვერდით მაგიდასთან გადავჯექი და უცხო გოგოებს ავუხსენი, რაც მჭირდა. იმათ მირჩიეს, თუ გინდა გამოხვიდე, უნდა იცეკვოო... მერე არაფერი აღარ მახსოვს, მაგრამ მეორე დღეს ფეხები მტკიოდა ძალიან და ჩემმა ძმაკაცებმა მითხრეს, 6 საათი გაუჩერებლად ცეკვავდიო“...

დღეიდან მსგავსი ტაბლეტების, „ბიოსა“ და სხვა ქიმიური ნივთიერებების შეძენის საშუალება ახალგაზრდებს აღარ ექნებათ. ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება კანონის გამკაცრების შესახებ.

**დავით სერგეენკო, ჯანდაცვის მინისტრი:**

– საქართველო უერთდება საერთაშორისო კონვენციას, სადაც ბიოქიმიური ფორმულების საფუძვლების კრიმინალიზაცია ხდება, ანუ ისინი ამიერიდან განხილული იქნება, როგორც არალეგალური ნივთიერებები და მათზე გავრცელდება ყველა ის კონტროლის მექანიზმი და აკრძალვა, რაც ხორციელდება ლეგალურ და არალეგალურ ნარკოტიკებზე. რაც შეეხება მარიხუანის დეკრიმინალიზაციას, ამ ეტაპზე, მსჯელობის ნაწილში ჩვენ არ ვთვლით, რომ მარიხუანის დეკრიმინალიზაცია შეამცირებს სხვა სახის ნარკოტიკის, მათ შორის, „ბიოს“ გამოყენებას.

**პრობლემა #3 – უნდა დაიხუროს თუ არა კლუბი „გალერი“?**

„გალერი“ ამ შემთხვევაში განზოგადებული სახელია. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ჯოხი სწორედ მასზე გადატყდა და რეალურად თბილისის ბევრ კლუბში ზუსტად ანალოგიური სიტუაციაა. სწორედ ამით აიხსნება კლუბის თანამშრომლების აგრესია ჟურნალისტების მიმართ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ სწორედ ამ კლუბს უკავშირდება ბევრი სკანდალი და მათ შორის რამდენიმე სწორედ ნარკოტიკებთან დაკავშირებით. პოლიტიკოსების განცხადებით, ამ კონკრეტული კლუბის დახურვით პრობლემა არ მოგვარდება. შესაბამისად, კლუბი დღესაც აგრძელებს მუშაობას ერთი გამონაკლისით – იქ ნარკოტიკულ ნივთიერებას ველარავინ შეიძენს... დროებით...

**„გალერის“ თანამშრომელი:**

– რა თქმა უნდა, ვმუშაობთ, რატომ არ უნდა ვმუშაობდეთ? არსებობს ამის მიზეზი?

აღნიშნულ კლუბს ბევრი სკანდალი უკავშირდება. 23 წლის დავით ცხაკაიას დაღუპვამდე რამდენიმე კვირით ადრე კლუბიდან გამოსული სამი გოგო დააკავეს, მათ ნარკოტიკული ნივთიერებები აღმოაჩნდათ. სწორედ ამ კლუბში იჩხუბა ლევან გაჩეჩილაძის შვილმა და შედეგად გიორგი გაჩეჩილაძე დაცვის დანით დაჭრის გამო დააკავეს. ამ ფაქტის ამსახველი კადრები მაშინვე გავრცელდა ინტერნეტში, გიორგი გაჩეჩილაძე კი 5-ათასლარიანი გირაოს შეფარდების შედეგად გაათავისუფლეს.

ფსიქოლოგ ჯანა ჯავახიშვილის განცხადებით, მსგავსი სკანდალები არსებული არასწორი ნარკოსტრატეგიის შეცვლის სერიოზული შემაფერხებელი მიზეზია, რადგან ასეთ დროს ხელისუფლებაზე საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებით დიდი ზეწოლა მოდის, რაც, თავის მხრივ, მორალური პანიკით არის გამოწვეული და სწორედ ამიტომ ხელისუფლება ამჯერადაც შეეცდება, არ გააღიზიანოს საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც დეკრიმინალიზაციის წინააღმდეგია. მოწინააღმდეგეების მოთხოვნა შემდეგია: ჯერ დადგინდეს, რა შედეგს მივიღებთ დეკრიმინალიზაციის შედეგად და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს მსჯელობა. ჯანა ჯავახიშვილის განცხადებით, წინასწარ მსგავსი გამოთვლის გაკეთება, უბრალოდ, შეუძლებელია და უმჯობესია, მოხდეს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილების გათვალისწინება.

**ფსიქოლოგი ჯანა ჯავახიშვილი:**

– პირიქით, მეშინია, რომ საზოგადოებაში დაწყებულმა პანიკამ არ „დააპანიკოს“ სახელმწიფო უწყებები და არ შეაფერხოს ნარკოკანონმდებლობისა და ნარკოსტრატეგიის დახვეწის პროცესი. პანიკა აფერხებს მოხმარების დეკრიმინალიზაციას, ხოლო მოხმარების დეკრიმინალიზაციის შეფერხება არ არის კარგი საქმე, რამდენადაც ის პრაგმატული და გონივრული სტრატეგიის შემუშავების წინაპირობაა.



**„საქართველოში არსებული მონაცემებით, 45 ათასი ნარკოდამოკიდებული არსებობს. ტრადიციულად საქართველოში ნარკოდამოკიდებულთა რიცხვს აზვიადებდნენ ხოლმე“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რამდენად მზად არის „ნაციონალური მოძრაობა" 15 ივნისისთვის?





**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**გასულ კვირას პარლამენტმა გიორგი მარგველაშვილის პირველი წლიური ანგარიში მოისმინა. უმრავლესობა კმაყოფილია, უმცირესობა კი პრეზიდენტის არაკვალიფიციურობაზე მიანიშნებს. „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ამბობენ, რომ ერთადერთი კონკრეტული, რაც მარგველაშვილმა საკანონმდებლო ორგანოში თქვა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღი იყო. როგორ აფასებს საპარლამენტო უმცირესობა პრეზიდენტის გამოსვლას და რამდენად მზად არის ის, 15 ივნისს დანიშნული არჩევნებისთვის? ამ თემაზე „პრაიმტაიმი" უმცირესობის ლიდერს, დავით ბაქრაძეს ესაუბრა.**

**– ბატონო დავით, რას გამოყოფდით პრეზიდენტის გამოსვლიდან?**

– ჩვენ მოვისმინეთ ძალიან ბევრი ზოგადი შეფასება. ამ შეფასებების ნაწილი, რა თქმა უნდა, მისაღები იყო, თუმცა აქ მთავარი სხვა რამაა: ჩვენ ვერ მოვისმინეთ ვერც ერთი წინადადება, რა გააკეთა პრეზიდენტმა გასული ოთხი თვის განმავლობაში. ვერ მოვისმინეთ, რის გაკეთებას აპირებს მომავალში, ეს კიდევ უფრო უარესია. ის, რაც დღეს მოსახლეობას აწუხებს, არის არა ზოგადი შეფასებები კონსტიტუციონალიზმისა და სამართლის, არამედ კონკრეტული პრობლემები, რომელიც უკავშირდება უმუშევრობას, სიღარიბეს, ფასების ზრდას. ამიტომ იმედგაცრუებული დავრჩი, რომ პრეზიდენტის გამოსვლაში ვერ მოვისმინე ვერც ერთი წინადადება იმის შესახებ, როგორ აპირებს ის და ხელისუფლება ამ პრობლემების გადაჭრას. არ იყო წარმოდგენილი რაიმე კონკრეტული პროექტი ან გეგმა ამ მიმართულებით. ვიმეორებ, რომ ზოგადი თვალსაზრისით შეიძლება დავეთანხმო პრეზიდენტის გამოსვლას, დავეთანხმებოდი კიდეც, ის რომ რომელიმე მეგობარი ქვეყნის ლიდერი ბრძანდებოდეს, რომელიც პარლამენტში გამოდის და გვეუბნება, როგორი ტიპის ქვეყანა უნდა იყოს საქართველო. სულ სხვაა, როდესაც ტრიბუნაზე დგას საქართველოს პრეზიდენტი. ჩემი მოლოდინი იყო, რომ ის წარმოგვიდგენდა საკუთარ ხედვას და არა ზოგადად თეორიას.

**– მარგველაშვილმა სიტყვით გამოსვლისას დაასახელა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღი და ეს იქნება 15 ივნისი. რამდენად მზად არის „ნაციონალური მოძრაობა" არჩევნებისთვის?**

– არჩევნებთან დაკავშირებით მთავარია არა თარიღი, არამედ გარემო. ამ თვალსაზრისით გვაქვს სურათი, რომ მივიღეთ თვითმმართველობის კოდექსი, რომლის დაანონსებიდან დარჩა მხოლოდ და მხოლოდ ფიტული. ეს არ არის ჩემი შეფასება. ეს არის მთელი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება. ვიღებთ კოდექსს, რომელსაც არ იცნობს ვენეციის კომისია და არ ეთანხმება, როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო ოპოზიცია. გარდა ამისა, გვაქვს ძალიან შემაშფოთებელი ვითარება რაიონებში, როდესაც მხოლოდ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ჩვენი პარტიის ორი რეგიონული ლიდერი ხონსა და დუშეთში დააკავეს, ორი რეგიონული ლიდერი ზუგდიდსა და ბათუმში დაკითხეს, ხოლო ერთზე ადიგენში მიმდინარეობს სასამართლო. ასეთ პირობებში მთავარია ის, რა გარემოთი მივდივართ ადგილობრივ არჩევნებზე, და არა ის, რომელ რიცხვში შედგება ეს არჩევნები.

**– პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ, თუ უმცირესობა პარლამენტის თბილისში დაბრუნებას დასთანხმდება, შესაძლოა, უმრავლესობამ პრეზიდენტი ავლაბრის რეზიდენციაში გადასვლაზე დაიყოლიოს... რას იტყვით ამ წინადადებაზე?**

– როგორც ხუმრობა, ნამდვილად კარგი იყო, მაგრამ სერიოზულად ვერ მივიღებთ ამ წინადადებას, ორი მიზეზის გამო. პირველი – პრეზიდენტი რომ უნდა იყოს პრეზიდენტის სასახლეში, ეს მის ინტერესებში შედის. არასწორად მიმაჩნია, ვივაჭროთ, პრეზიდენტი შევა თუ არა სასახლეში, შეუძლია, არ შევიდეს, ეს მისი არჩევანია. მეორე – პარლამენტის ქუთაისში გადმოტანას ის მიზანი ჰქონდა, რომ შეგვექმნა ახალი ინსტიტუცია, რომ საქართველოს მთელი ხელისუფლება არ არის თავმოყრილი თბილისში, რუსთაველის გამზირზე და არსებობს სხვა პოლიტიკური ცენტრიც. არც მე არ მსიამოვნებს ფიზიკურად აქეთ-იქით სიარული, მაგრამ ამ საკითხზე ვაჭრობა, რომ ქუთაისი აღარ იყოს პოლიტიკური ცენტრი და სანაცვლოდ პრეზიდენტი შევიდეს რეზიდენციაში, ამ თემაზე სერიოზული განხილვა ვერ გვექნება. როგორც ხუმრობა მივიღე, მეც გამეცინა, ნამდვილად ენამოსწრებულად იყო ნათქვამი.

## დავით ბაქრაძე: „მთავარია ის, რა გარემოთი მივდივართ ადგილობრივ არჩევნებზე და არა ის, რომელ რიცხვში შედგება ეს არჩევნები"

# „არ უნდა ჩავთვალოთ, ბედი, ეს საკუთარ



**my View**

**ხათუნა მგალობლიშვილი**

# დავით ბერძენ

## „თუ არა-საპარლამენტო ოპოზიციის ცალკეული სუბიექტები ძალიან გონივრულად არ მოიქცევიან, მათ არანაირი გარანტია არ აქვთ, რომ კატასტროფა არ მოხდება"

**პარლამენტის თავმჯდომარემ საპარლამენტო უმცირესობას იდეა მიაწოდა: უმცირესობამ მხარი დაუჭიროს პარლამენტის თბილისში დაბრუნებას და, თავის მხრივ, უმრავლესობა შეეცდება, პრეზიდენტი დაითანხმოს, ავლაბრის რეზიდენცია გამოიყენოს. უსუფაშვილის ინიციატივა ხუმრობის ტონით იყო ნათქვამი, თუმცა მისმა გუნდმა იდეა მაშინვე აიტაცა და შემხვედრ წინადადებას უკვე ნაციონალებისგან ელის. უმცირესობა კი აცხადებს, რომ მსგავსი არასერიოზული წინადადებები საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელია, მით უფრო მაშინ, როდესაც ქვეყანა ბევრი სოციალური პრობლემისა და საგარეო საფრთხის წინაშე დგას.**

**ლევან ბეჟაშვილი:** „საზოგადოებისთვის, მგონი, ეს წინადადება შეურაცხმყოფელიც კი არის, მაშინ როცა ქვეყანას აწუხებს სერიოზული ეკონომიკური პრობლემები, როცა მოსახლეობას სოციალური პრობლემები აქვს, როცა ქვეყანა სერიოზული საგარეო საფრთხეების წინაშე დგას. ამ ფონზე შენობების გაცვლაზე საუბარი ვფიქრობ, უბრალოდ, უხერხულია და ჩვენ ამას მივიღებთ, როგორც ხუმრობას და არ ვაპირებთ ამ თემაზე მსჯელობას, რა თქმა უნდა".

უმრავლესობა კი მზად არის, საკითხი მთელი სერიოზულობით განიხილოს და პარალელურად ქვეყნის პრობლემებზეც და უსაფრთხოების ზომებზეც იმუშაოს. „რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, ერთი მეორეს ხელს სულაც არ უშლის...

**დავით ბერძენიშვილი, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:**

– ეს არ ყოფილა ხუმრობა, უბრალოდ, ხუმრობის ტონით ნათქვამი სიმართლე იყო. თუ შენობას, რომლის აშენებაც უამრავი ფული დაჯდა, ასე უკავშირებს უმცირესობის ლიდერი პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი პატივისცემას, სრულიად ბუნებრივია, რომ საქართველოს პარლამენტის ოფიციალური შენობაც იგივე პატივისცემას იმსახურებდეს. ქუთაისის პარლამენტის შენობა ჯერ ჩაბარებულიც არ არის, ამიტომ წამოვიდნენ შემხვედრ თანხმობაზე და გავცვალოთ შენობები.

**– ანუ შეიძლება მსჯელობა გაიმართოს ამ საკითხზე?**

– ეს მათ უნდა გვითხრან დასთანხმდებიან თუ არა ამაზე მსჯელობას. ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, თუ იტყვიან რომ ჩვენ ვიხუმრეთ.

**– პრეზიდენტი დასთანხმდება, თუ ნაციონალები ამ წინადადებაზე წამოვლენ?**

– ეგ უკვე არ ვიცით. მაგრამ ნაციონალებს ერთი წამოსცდეთ, რომ თანახმანი არიან და ჩვენ ვეცდებით პრეზიდენტის დათანხმებას.

**– პრეზიდენტმა საარჩევნო თარიღი გამოაცხადა, უმრავლესობა ამბობს, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა ოპოზიციისთვის, მოასწრონ კარგად მომზადება წინააღმდეგობის გასაწევად...**

– თქვენ იცით, რომ საარჩევნო კამპანია იწყება არჩევნებამდე ორი თვით ადრე, პოლიტიკურად კი პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ბევრად ადრე განაცხადა, როდის იქნება არჩევნები, რომ თანაბარ პირობებში იყოს როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პარტიები. ახლა ყველამ ვიცით, როდის იქნება არჩევნები, ეს ძალიან კარგია და ვთვლი, რომ გადადგმულია ნაბიჯი პოლიტიკური სპექტრის მოსამზადებლად თვითმმართველობის არჩევნებისთვის.

**– 50%-მა ბარიერმა დააკმაყოფილა ოპოზიცია, თუმცა ისინი მაინც ითხოვენ კონკრეტულ ცვლილებებს...**

– არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი კმაყოფილია საარჩევნო კოდექსით, მეორე ნაწილი კმაყოფილებას მალავს. ერთი რამ ცხადია, არჩევნების შედეგების მიხედვით გამოჩნდება, ვინ დარჩება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და ვინ ვერ დარჩება.



ჩვენ ძალიან ბევრი ისეთი დასახელების პარტია გვყავს, რომლებიც 20-25 წლის წინათ ძალიან აქტიური სუბიექტები იყვნენ ქართული პოლიტიკისთვის, დღეს კი ესენი, უბრალოდ, არ არსებობენ ან ფორმალურად არსებობენ. ამიტომ ივლისის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, იმედი მაქვს პოლიტიკური ძალების ნაწილი, მოძებნიან ისეთ კონფიგურაციებს, რომ შერჩებიან ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, სხვები კი შეუერთდებიან ყოფილ პარტიებს. 50%-იანი ბარიერის თემა ჩემი შეფასებით არსებითი არ იყო, ეს უფრო იმ თემებიდან იყო, ვისაც ფინანსური საკითხები უფრო აინტერესებდა, ვგულისხმობ წარმომადგენლობის დაფინანსებებს და ასე შემდეგ. თვითმმართველობის არჩევნებში არ დგას პირველი ადგილის მოპოვების საკითხი. როგორც თავის დროზე საპრეზიდენტო არჩევნებში, ასევე თვითმმართველობის არჩევნებში მტკიცდება, რომ სახელმწიფო გუნდი უკონკურენტოა, ამიტომ საუბარია მეორე და მესამე ადგილების მოპოვებაზე. ვნახოთ, შეძლებს თუ არა საპარლამენტო ოპოზიცია იმ ვარდნის შეჩერებას, რომელიც მას ჰქონდა თავიდან, 40% – 2012 წელს, მანამდე 60%-მდე, 2012 წლის შემდეგ – 22% და ახლა სულაც არ გამოვრიცხავ, რომ მკვეთრად ნაკლები აიღონ და რაც მთავარია, ვნახავთ არასაპარლამენტო ოპოზიცია ქართულ პოლიტიკაში მესამე შემადგენელს გააჩენს თუ ვერა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რომ უკრაინაში წყდება საქართველოს ი თავის შეურაცხყოფა იქნება”

## იშვილი:




**„არჩევნების შედეგების მიხედვით გამოჩნდება, ვინ დარჩება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და ვინ ვერ დარჩება“**

**„დღეს ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ დემოკრატიული ევროპის სრულფასოვანი ნაწილი გავხდეთ, აქამდე ამის შესაძლებლობა არ გვქონია“**

**„ოპოზიციას დასავლეთის მხრიდან გაცილებით მეტი მხარდამჭერი აღმოაჩნდა, ვიდრე იანუკოვიჩის „რეგიონების“ პარტიას პუტინის მხრიდან”**

**– ანუ თქვენ თვლით, რომ, თუ არასაპარლამენტოები მოახერხებენ გაერთიანებას, სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ ნაციონალებს?**

– სწორედ ეს არის ამოცანა, ისინი მეორე-მესამე ადგილებისთვის იბრძოლებენ, თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის ცალკეული სუბიექტები ძალიან გონივრულად არ მოიქცევიან, მათ არანაირი გარანტია არ აქვთ, რომ კატასტროფა არ მოხდება. ამიტომ მათი მხრიდან საჭიროა ძალიან გონივრული და პრაგმატული გადაწყვეტილება, რომ ზოგიერთ მათგანი მაინც შერჩეს პოლიტიკას.

**– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოქრუაშვილი იყრის კენჭს...**

– ეს არ არის საინტერესო. არასერიოზულია ძალიან, გორში „ქართული ოცნება“ ისეთივე წარმატებულია და ისეთივე წარმატებით მოვიგებთ, როგორც საქართველოს დანარჩენ კუთხეებში.

**– 50%-იანი ბარიერისა და შესაძლო მეორე ტურის ჩატარების მიმართ თქვენ განსხვავებული დამოკიდებულება გქონდათ, ახლაც იგივე მოსაზრებაზე რჩებით?**

– გამორიცხული არაფერი არ არის, მით უმეტეს ჩვენვე დავდეთ 50%-იანი ბარიერის გადაწყვეტილება, შესაძლოა, სადმე იყოს მეორე ტური, ეს ერთგვარი ფინანსური ხარჯების მატება იქნება, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელმა, კოალიციური მთავრობის ლიდერმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, როგორც ჩანს, დაითანხმა ფინანსთა მინისტრი, რომელიც ტრადიციულად მომჭირნე არის. ის დამატებითი რამდენიმე მილიონი ლარი, რომელიც შეიძლება მეორე ტურის ჩატარებას დასჭირდეს არ იქნება ბარიერად მიჩნეული ასეთი მაღალი სტანდარტებისთვის.

**– უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს როგორ შეაფასებთ? ფიქრობთ, რომ იქ დამარცხებით რუსეთი საქართველოსთან მიმართებაშიც შეიცვლის დამოკიდებულებას?**

– დღეს ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ დემოკრატიული ევროპის სრულფასოვანი ნაწილი გავხდეთ, აქამდე ამის შესაძლებლობა არ გვქონია. რაც შეეხება უკრაინას, რუსეთი სუსტი მხარეა უკრაინის თემასთან მიმართებაში. ეს გამოჩნდა კიდეც უკრაინის რადაში არჩევნების დროს. პროპორციული სიით თავის დროზე გაიმარჯვა ოპოზიციამ, იაცენუკმა და კლიჩკომ პარტიული სიით მიიღეს მეტი მანდატი, მაჟორიტარულ არჩევნებში გაიმარჯვა „რეგიონების“ პარტიამ. როგორც წესი, მაჟორიტარებში ყოველთვის მოიპოვება ისეთი დეპუტატების რაოდენობა, რომლებიც კრიტიკულ მომენტში ხელისუფლებიდან ხელისუფლებაში გადადიან ხოლმე. ასე მოხდა უკრაინაშიც. როდესაც პროპორციული სიითი ხმებით განსაზღვრულია, რომ უმრავლესობის მხარდაჭერა აქვს სწორედ ევროპაზე ორიენტირებულ პარტიებს, როდესაც მთელი კიევი, მაიდანი ამდენი ხნის განმავლობაში დუღდა - ამან დაადასტურა, რომ პროევროპელებისა და უკრაინის დამოუკიდებლობის მომხრეების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. მთელი მსოფლიო ნათლად ხედავს როგორ მედგარ წინააღმდეგობას უწევს უკრაინელი მოსახლეობა რუსეთის ჩარევის მომხრეებს – ეს პროცესი დასრულდა უკრაინის ხელისუფლების რღვევის დაწყებით. მე ამას ვამბობდი კიდეც, თუმცა არ ვყოფილვარ უნიკალური ჩემს ვარაუდში, რადგან ყველაფერი ძალიან ლოგიკურად მოხდა. უკრაინის რადაში არის ერთი ქართველი დეპუტატი, დავით ჟვანია, რომელიც საკმაოდ გავლენიანი ფიგურაა, მდიდარი ადამიანი, ის თავის დროზე, 2004 წელს იუშჩენკოს მხარეს იყო და უპირისპირდებოდა იანუკოვიჩს, შემდეგ როდესაც იუშჩენკო მარცხისკენ წავიდა, დავით ჟვანია რეგიონების პარტიას მიემხრო. ეს არის ადამიანი, რომელსაც პოლიტიკურ პულსზე ხელი უჭირავს და ახლა, დაახლოებით თვე-ნახევრის წინ ის კვლავ ოპოზიციურ ბანაკში აღმოჩნდა. ეს უკვე ნიშანი იყო და თან დავით ჟვანია ამბობდა, რომ მის გარდა კიდევ რამდენიმე ათეული მაჟორიტარი დატოვებდა და არამარტო მაჟორიტარი და ეს ასეც მოხდა. უკრაინის რადაში სულ 450 დეპუტატია, კვორუმისთვის საჭიროა 226 დეპუტატი. რამდენიმე დღის წინ უკვე ყოფილი ოპოზიციის მიერ დასმული საკითხი მიიღო 236-მა დეპუტატმა. ეს უკვე ნიშნავს, რომ საპარლამენტო უმრავლესობა უკვე არის იაცენუკის, კლიჩკოსა და მათი მომხრეების ხელში. ბევრმა დატოვა „რეგიონების“ პარტია, ზოგი არ ტოვებს, მაგალითად, ტიგიპკო. ის რეგიონების პარტიაში იყო, ახლა შექმნა ჯგუფი, რომელიც აკრიტიკებს „რეგიონების“ პარტიას. იყო მცდელობა, რომ სწორედ ის გამხდარიყო პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ოპოზიცია ამაზე არ წავიდა და ახლა უკვე ინიციატივა ოპოზიციის ხელშია. მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაინახა, რომ ევროპა ძალიან აქტიურია...

**– თუმცა სწორედ უმოქმედობაში ადანაშაულებენ ევროპას...**

– მართალია, მათი რეაქცია დაგვიანებული იყო, თუმცა ამერიკელების ხელშეწყობით ჩაერთვნენ ისინი უკრაინის საკითხებში და იანუკოვიჩი იძულებული გახდა, მოლაპარაკებები ეწარმოებინა ოპოზიციასთან პოლონეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით. პუტინის მხრიდან სასწრაფოდ მივლინებული ლუკინი რეალურად არ იყო ძალის წარმომადგენელი. უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობა უფრო შეკრულია, უფრო ორიენტირებულია და მათ წინააღმდეგობის მეტი უნარი აღმოაჩნდათ, ვიდრე რუსეთზე ორიენტირებულ მომხრეებს აქვთ. შესაბამისად, ევროპაც და ამერიკაც დღეს უფრო ძლიერი მხარდამჭერები არიან უკრაინაში ევროპის მომხრე მოქალაქეებისთვის, ვიდრე რუსეთი, როგორც მოწინააღმდეგე. ანუ ოპოზიციას დასავლეთის მხრიდან გაცილებით მეტი მხარდამჭერი აღმოაჩნდა, ვიდრე იანუკოვიჩის „რეგიონების“ პარტიას პუტინის მხრიდან. რუსეთის ეკონომიკა არის მსოფლიო ეკონომიკის მხოლოდ 3%, ევროკავშირის ეკონომიკა წარმოადგენს 25%-ს, ამერიკის – 20%-ზე მეტი, იაპონიის არის 10% – შესაბამისად, დასავლეთს სიძლიერე, ბევრი თვალსაზრისით, გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე რუსეთს. ბუნებრივია, რუსეთის 3%-ს ძლიერი მხარე აჯობებს. ასე რომ, უკრაინის საშინაო და საგარეო ფაქტორები არის უკრაინის ევროპული არჩევანის სასარგებლოდ.

**– თავდაპირველად ითქვა, რომ ვადამდელი არჩევნები დეკემბერში ჩატარდებოდა, მოგვიანებით გადაწყდა რომ ის მაისში ჩატარდება, არ ფიქრობთ, რომ ამ პერიოდში რუსეთი უმოქმედოდ არ გაჩერდება?**

– თავისთავად ის, რომ იანუკოვიჩი იძულებული გახდა, პრინციპულად დასთანხმებულიყო ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს, ეს უკვე წარმატებაა. რა თქმა უნდა, ის ებღაუჭება რაც შეიძლება ბოლო თარიღის შერჩევა მოხდეს, მაგრამ უკვე ოპოზიციის ხელშია რადა, ოპოზიცია აირჩევს თავის სპიკერს, ოპოზიცია შექმნის მთავრობას. ამიტომ ამ ვითარებაში იანუკოვიჩის შესაძლებლობები დაახლოებით ისეთივეა, როგორიც იყო თავის დროზე საააკაშვილის უფლებები კოჰაბიტაციის დროს, როდესაც არავინ არაფერს ეკითხებოდა მას. გავუგზავნიდით კანონს, მოაწერდა ხელს, ანუ მხოლოდ ხელის მოწერით იყო დაკავებული, დაადებდა ვეტოს, დავძლევდით ვეტოს. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ უკრაინაში წყდება უკრაინელი ხალხის ბედი და ეს სასარგებლოა ქართველებისთვის. ქართველი ხალხის ბედი, რა თქმა უნდა, საქართველოში წყდება. არ უნდა ჩავთვალოთ, რომ უკრაინაში წყდება საქართველოს ბედი, ეს საკუთარი თავის შეურაცხყოფა იქნება. იქ ჩვენი ბედი არ წყდება, მაგრამ გვეხმარება. ისე როგორც საქართველოს სიმყარე უკრაინელებს ძალიან მიეხმარა, რომ ისინი ასეთი აქტიურები ყოფილიყვნენ. მათ ჩვენ ვეიმედებოდით.

**– თუმცა ოპოზიცია სამთავრობო გუნდს სწორედ მხარდაჭერის დაგვიანებაში და ხშირ შემთხვევაში გაჩუმებაში გდებდათ ბრალს...**

– მაგ თვალსაზრისით ვერავინ შეგვედავება, მით უმეტეს შევარდნაძის პარტიაში გამოზრდილი ხალხი, რომელიც ყოველთვე რუსის ჯარს ხელს უწევდა აფხაზეთსა და ოსეთში დარჩენის უფლების მინიჭების ნიშნად. ასე რომ, მე ეს კომპლექსები ნამდვილად არ მაწუხებს, ჩვენი არჩევანი ყოველთვის იყო დასავლეთი და ეს ყოველ ეტაპზე იყო დაფიქსირებული. პარლამენტი იღებდა გადაწყვეტილებებს ხელისუფლების პასუხისმგებლობიდან გამომდინარე. ჩვენ ყოველთვის ვუჭერდით მხარს უკრაინის დასავლურ არჩევანს, ვამკვეთრებდით ჩვენს დამოკიდებულებებს იმის შესაბამისად, როგორც ამკვეთრებდა თავის დამოკიდებულებას ევროპა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „მოვა დრო, სულს მოვითქვამთ და კულტურა პრიორიტეტად გამოცხადდება!“

# უშველის თუ არა ხელისუფლების კომპრომისები ხალხის უკმაყოფილებას?

**EXCLUSIVE**



**- ბატონო ალექსანდრე, მერაბიშვილის განაჩენთან დაკავშირებით რა კომენტარს გააკეთებდით?**

**- ადრე ადამიანს ორი ფუნთუშა რომ მოეპარა, იმისთვის მიუსჯიდნენ 6-7 წელიწადს, ამის ფონზე მერაბიშვილის 5 წელი ცოტა ირონიულად გამოიყურება**

**„რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ იმ ტემპის, რა ტემპიც არის სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით“**

ნატა დვალიშვილი

**რაც დრო გადის, ხელისუფლებას უფრო ნაკლები მიზეზი რჩება ახსნას, რატომ გაჭიანურდა დაპირებული სამართლიანობის აღდგენის პროცესი. რატომ იცის ხალხმა ყველაფერი და რატომ ვერაფერი მტკიცდება სასამართლოზე?**

გასულ კვირას სასამართლომ რამდენიმე ეპიზოდში ვანო მერაბიშვილს 5 წელი მიუსაჯა, თბილისი ისევ ერთი მეთორმეტედით საზრდოობს, წინასაარჩევნოდ კი ხელისუფლება კიდევ ერთ კომპრომისზე მიდის და საარჩევნო ბარიერის გაზრდას ეთანხმება, თუმცა, ოპოზიცია ისევ უკმაყოფილოა. ოპოზიციას ვინ ჩივის, ანალოგიური განცდა ხალხში იზრდება...

პოლიტიკური პროცესების ესკალაციას ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ, სიუჟეტი კულისებში საინტერესოდ ვითარდება. მიმდინარე მოვლენებზე „პრაიმტაიმი“ პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრს, ისნის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, **ალექსანდრე ქანთარიას გაესაუბრა:**

**- ბატონო ალექსანდრე, მერაბიშვილის განაჩენთან დაკავშირებით რა კომენტარს გააკეთებდით?**

- რთულია, კომენტარი გააკეთო... ადრე ადამიანს ორი ფუნთუშა რომ მოეპარა, იმისთვის მიუსჯიდნენ 6-7 წელიწადს, ამის ფონზე მერაბიშვილის 5 წელი ცოტა ირონიულად გამოიყურება. მართალია, ეს წაყენებული ბრალის მხოლოდ ნაწილია და თან შეკრებითობის პრინციპიც გაუქმდა, მაგრამ ჩვენ ვერაფერს ვიზამთ - ეს სასამართლოს გადაწყვეტილებაა. დროა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, პატივი ვცეთ სასამართლოს გადაწყვეტილებას. არსებობს კიდევ რამდენიმე ინსტანცია, შესაძლებელია სააპელაციოში და შედგომ უზენაესში გასაჩივრდეს განაჩენი, რასაც პროკურატურა აპირებს კიდეც. ადამიანური თვალსაზრისით ცოტა გაკვირვებულები ვართ, მაგრამ სხვა ეპიზოდებიც არის და მასზე მიღებული განაჩენიც დაემატება. საბოლოოდ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველამ საკადრისი ზღოს, არც მეტი და არც ნაკლები.

**- ამასობაში ხალხში უკმაყოფილების გრძნობა იზრდება...**

- ჩვენ მიჩვეულები ვიყავით, რომ ესა თუ ის გადაწყვეტილება მყისიერად მიიღებოდა. რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ იმ ტემპის, რა ტემპიც არის სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს. არ სჭირდებოდა ადრე პროკურორს დიდი შრომა-გარჯა ჩაედო საქმის წარმოებაში, ერთი-ორი მოწმე უნდოდა, სასამართლოც ჯიბეში ჰყავდათ, ამდენად, გადაწყვეტილებებიც სწრაფად მიიღებოდა. ამავე გზით რომ წასულიყო ჩვენი ხელისუფლება, დღეს ბევრი უკვე გასამართლებული იქნებოდა და საკნებშიც ისხდებოდნენ სოლიდური მისჯილი წლებით. მაგრამ მათთან ერთად შეიძლება შემთხვევით მოხვედრილიყო უდანაშაულო ხალხიც, ან როდემდე უნდა გვევლო ამ გზით? ფაქტია, პროკურატურას კვალიფიკაციის ამაღლება სჭირდება, გეთანხმებით, რომ პროკურატურამ ბრალი უნდა დაამტკიცოს, სახეზეა პროკურორთა გამოუცდელობა, აქ გვაქვს პრობლემები. ამიტომაც გადავწიეთ მოწმის დაკითხვის წესში ცვლილებების შეტანა გარკვეული პერიოდით. პროკურატურის კადრებზე თვითონ მთავარი პროკურორია პასუხისმგებელი. ყველასთვის ნათელი და გახმაურებული ბრალდებები სასამართლოზე ვერ მტკიცდება. ეს შეუსაბამობა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. თუ ასე არ მოხდა, სამართლიანობა ვერ აღდგება. ამიტომ მოვითხოვ, საქმეების წარმოების ტემპი იყოს მაღალი და წარდგენილ ბრალს, ასე ვთქვათ, წყალი არ უნდა გაუვიდეს...

**- არის თუ არა დღეს სასამართლო ბოლომდე დამოუკიდებელი?**

- ჩვენგან ნამდვილად დამოუკიდებელია. სხვა მხრივ, გარკვეული „კუდები“ დარჩენილი იქნება, რადგან ასე მალე იმ ურთიერთობებსა და ვალდებულებებს, რითაც მოსამართლეები იყვნენ დამოკიდებული წინა ხელისუფლებაზე, ვერ გადაჭრიდნენ. თუმცა, შესამჩნევია, რომ სასამართლო საკუთარი დამოუკიდებლობისკენ უკვე მიიწევს და ეს კარგია. ვაღიარებ, რომ არ მომწონს არც პროკურატურის და არც სასამართლოს მუშაობის ტემპი, მაგრამ ყველაფერს თავისი ობიექტური დრო სჭირდება. ვერავის საქმიანობაში ვერ ჩავერევით, მაგრამ თუ აღმოვაჩენთ, რომ განგებ ხდება ვინმეზე ან რამეზე ხელის დაფარება, მწვავე რეაქცია გვექნება. არის უამრავი დაზარალებული, რომლებიც არ არიან ე.წ. „ცნობადი სახეები“, სწორედ მათგან შევიდა უამრავი საჩივარი, ტომები დევს უკვე პროკურატურაში. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ პროცესი დაიწყო – ვიღაცას რაღაც დაუბრუნდა, ან არ დაუბრუნდა, რადგან ყველა საბუთი არ იყო წარდგენილი და ა.შ. მთავარია, პროცესი დაიწყოს, ხოლო ამას თუ ვერ მოახერხებენ, უკმაყოფილება დარჩება და გაძლიერდება.

**„ვერავის საქმიანობაში ვერ ჩავერევით, მაგრამ თუ აღმოვაჩენთ, რომ განგებ ხდება ვინმეზე ან რამეზე ხელის დაფარება, მწვავე რეაქცია გვექნება“**

**- ეს წინასაარჩევნოდ ხელისუფლებას არ უნდა აწყობდეს, აქამდე ცვლილებების დიდი მოლოდინი არსებობდა...**

- ყველას, მათ შორის მეც, გვქონდა გადამეტებული მოლოდინი, რომ ბევრი რამ ძალიან მალე გამოსწორდებოდა, მაგრამ რეალობა სხვაა და წარმოსახვით შექმნილი რეალობა – სხვა. თუმცა, დაუნახაობაც არ ღირს, ბევრი რამ გაკეთდა ამ წელიწად-ნახევარში. პოლიტიკურ სპექტრში ადგილის დასაკავებლად ზოგმა ვერაფერი მოიფიქრა იმის გარდა, რომ ვიღაცას უნდა დაარტყას... „ნაცებს“ რომ დაარტყან, უკვე აღარაა პოპულარული და ქულების მომტანი, ამიტომ ხელს აქეთ იქნევენ. კი ბატონო, იქნიონ, თან შიშის სინდრომიც მოხსნილია, საკუთარი აზრის გამოთქმისთვის აღარავის იჭერენ. უკმაყოფილება, რაც სახეზეა ჩვენი ხელისუფლების დროს დაგროვდა მხოლოდ? უბრალოდ, ადრე ამაზე ვერ საუბრობდნენ და ახლა ამოტივტივდა ზედაპირზე ყველაფერი. სიტყვის თავისუფლება პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და როცა ამას ვერ ეწევა ეკონომიკა, ბუნებრივია, სერიოზული დისბალანსი იქმნება. აი, ასეთი სურათი გვაქვს ახლა.

**„ყველას, მათ შორის მეც, გვქონდა გადამეტებული მოლოდინი, რომ ბევრი რამ ძალიან მალე გამოსწორდებოდა, მაგრამ რეალობა სხვაა... „ნაცებს“ რომ დაარტყან, უკვე აღარაა პოპულარული და ქულების მომტანი, ამიტომ ხელს აქეთ იქნევენ“**

**- როგორც ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, აცხადებდით, რომ გქონდათ გარკვეული პრობლემები რაიონის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ახლა, თბილისის ბიუჯეტიც არ არის დამტკიცებული, როგორ მუშაობთ?**

- ახლაც უამრავ შუამდგომლობას და განცხადებას მოვაწერე ხელი. ზოგს მერიას ვუგზავნი, ზოგს - გამგეობას, ზოგს ოპერაციაზე არ აქვს ფული, რომელიც არ შედის საყოველთაო დაზღვევაში, ზოგს სახურავი არ აქვს სახლზე. ახლა იტყვიან, რომ ბიუჯეტი არ არის და ვერავის დავეხმარებითო, თუმცა, საამისო ბიუჯეტი უნდა ჰქონდეთ. მერიის მხრიდან ეს არის პოლიტიკური ბრძოლა, ცდილობენ რამენაირად პოლიტიკაში თავი შეინარჩუნონ, მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. ამ სიტუაციას მომავალი არჩევნები დაალაგებს. მე არ ვისურვებდი ქალაქის ცენტრალურ მმართველობაზე გადასვლას, კარგი იქნებოდა, რამდენიმე თვეც გაგვეძლო, არ ყოფილიყო ხელოვნური მმართველობა, მაგრამ ეს საკრებულოს გადასაწყვეტია, ჩვენ მათ საქმიანობაში ვერ ჩავერევით.

**- არსებული ფონის გათვალისწინებით, „ქართულ ოცნებას“ რა შანსები აქვს მომავალ არჩევნებზე?**

- „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილთან ერთად დაასრულა წინა რეჟიმი, ეს განწყობა შენარჩუნებულია და ის მომავალ არჩევნებზეც აისახება. ბრძოლა არ იქნება კონკურენტების გარეშე, შეიძლება რომელიმე რაიონში უფრო გაჭირდეს და მეორე ტურიც დაინიშნოს. ეს დამოკიდებულია ორგანიზებაზე, რამდენად სწრაფად დაკომპლექტდება და იმუშავებენ შტაბები. ვფიქრობ, შედეგი იქნება საკმაოდ თვალშისაცემი და გამგებლებისა და მერების დონეზე მოვახერხებთ ჩვენი კანდიდატების გაყვანას. ბრძოლა სერიოზული იქნება, იმედი მაქვს, რომ სერიოზულ გამარჯვებასაც მოვიპოვებთ.

**- გამორიცხავთ თუ არა მომავალ არჩევნებზე ახალი ოპოზიციური ძალის გამოჩენას, თუ ძირითად კონკურენტად ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ გეყოლებათ?**

- თუ არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები გაერთიანდნენ, რატომაც არა. ეს თუ მოხდა, რასაც მათ ვუსურვებდი, ისინი შეძლებენ უფრო მასშტაბურად წარდგნენ არჩევნებზე. დაქსაქსულად არ მგონია რაიმე ზეგავლენა მოახდინონ პროცესებზე, ხოლო თუ ერთიანი ალიანსით წარსდგებიან, „ნაციონალების“ საპირწონე გარკვეულად გაჩნდება. საარჩევნო პროცესი დასახვეწია, აქამდე არჩევნები ჯუნგლებს ჰგავდა, სადაც ერთი ძალა ჭამდა ყველა დანარჩენს. ამის იდეალურ მდგომარეობაში სწრაფად მოყვანა გამორცხულია. ესეც პროცესია, რომელიც დაწყებულია. ეტაპობრივად წავალთ წინ, ისევე როგორც ავწიეთ ბარიერი 40%-დან 50% -ზე. იმედია, 60, 70 ან 100-პროცენტიან ბარიერებს არ მოითხოვენ.

**- განათლებისა და კულტურის კომიტეტშიც განხილვაშია რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რა ხდება ამ მიმართულებით?**

- პირადად მე ვმუშაობ კულტურის კანონზე, რომლის საზოგადოებრივი განხილვა მალე დაიწყება. ეს ძალიან სერიოზული დოკუმენტია, რომელსაც ინიცირებამდე წინ უნდა უძღოდეს რამდენიმეთვიანი ფართო საზოგადოებრივი განხილვები. წელს ეს კანონი შეიძლება ვერც მივიღოთ, რადგან საკმაოდ რთული დოკუმენტია. კულტურის შესახებ ზოგადი და ყოვლისმომცველი დოკუმენტი უნდა გახდეს, რაშიც გარკვეული კონკრეტიკაც გვინდა შევიტანოთ. ეს არაა ხელწამოსაკრავი საქმე. ვეცნობით სხვა ქვეყნების გამოცდილებასაც, გვინდა ერთიანი სურათი შევქმნათ, რომელიც გამოადგება ჩვენს ქვეყანას და კულტურას. პარალელურად განვიხილავთ სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტს. ის ამჟამად გაგზავნილია ვენეციის კომისიაში და ველოდებით დასკვნებს. არ გვინდა გაუგებრობა მოხდეს და შემდგომ კანონის შეჩერება მოგვიწიოს. ენის შესახებ კანონიდან საშიშროება და ჯარიმები, როგორც „ნაცებმა“ აგვიგორეს ვითომ სკანდალი, არავის ელის. უბრალოდ, ქართულად უნდა ვილაპარაკოთ. საშიშროება შეექმნება ქართულ ენას, თუ არ გავუფრთხილდებით და არ დავიცავთ მას სათანადო დონეზე.

**- თქვენი კომენტარი კულტურის სამინისტროში განვითარებულ მოვლენებზე...**

- არაა მოსაწონი, რაც მოხდა. შეიძლება ადამიანი იყოს ნიჭიერი, მაგრამ მისი ბუნება ვერ ეგუებოდეს ჩინოვნიკობას, აქ ასეთ მოვლენასთან გვქონდა საქმე. კულტურის მინისტრს გურამ ოდიშარიას თუ შეიძლება რამე დააბრალო, სწორედ მისი ზედმეტი ლოიალობაა. მისი თანამდებობა ხშირად მოითხოვს მკაცრი გადაწყვეტილებების მიღებას, რაზეც ბატონი გურამი ხშირად ფეხს ითრევდა. საქმე არ უნდა მისულიყო პრემიერის გადაწყვეტილებამდე, ან რა აზრი აქვს ამის სასამართლოში გასაჩივრებას? კულტურის სამინისტროში ძალიან ბევრია გასაკეთებელი. პირველ რიგში, სტრატეგიაა შესაქმნელი, რომლის დაჩქარებისკენაც პირადად მოვუწოდებ ყველას. კონცეფციებია დასაწერი, გადასახედია საჯარო სამართლის იურიდიული პირების მუშაობა, ვის რა შედეგი და ეფექტიანობა აქვს. კულტურისა და ხელოვნების პრიორიტეტები, ინდივიდუალური პროექტები, ყველაფერი დასაფიქრებელია და რაც არ უნდა მოხდეს, ვიღაც მაინც დარჩება უკმაყოფილო... რა თქმა უნდა, არის ექვგარეშედ დასაფინანსებელი სტრატეგიული მიმართულებები: ეროვნული მემკვიდრეობა, თეატრები, მუზეუმები და სხვა. ჩვენს წარსულს, აწმყოს მოვლა და სამომავლოდ განვითარებაზე ზრუნვა სჭირდება. ამაზე მუშაობს კულტურის სამინისტრო თავისი მწირი ბიუჯეტით. მაგრამ მოვა დრო, სულს მოვითქვამთ და კულტურა ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტად გამოცხადდება.

**„არაა მოსაწონი, რაც მოხდა. შეიძლება ადამიანი იყოს ნიჭიერი, მაგრამ მისი ბუნება ვერ ეგუებოდეს ჩინოვნიკობას, აქ ასეთ მოვლენასთან გვქონდა საქმე. კულტურის მინისტრს გურამ ოდიშარიას თუ შეიძლება რამე დააბრალო, სწორედ მისი ზედმეტი ლოიალობაა“**

**„ხალხმა უნდა დაინახოს, რომ პროცესი დაიწყო – ვიღაცას რაღაც დაუბრუნდა, ან არ დაუბრუნდა, რადგან ყველა საბუთი არ იყო წარდგენილი“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რამდენ მილიონად გაყიდა „კავკასუსი“ მამია სანადირაძემ?



## my View
მირიან ბოქოლიშვილი

**„კავკასუს ონლაინის“ ყოფილი მფლობელი მამია სანადირაძე წინა ხელისუფლებას – ბიზნესის წართმევაში, მოქმედს კი გამოძიების გაჭიანურებაში ადანაშაულებს. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ის კომპანიის მისაკუთრებაში „სააკაშვილთან დაახლოებულ ბიზნესმენებს ადანაშაულებს“, ეს არის „კავკასუსის“ საქმის სანადირაძისეული ვერსია. თუმცა არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვითაც მამია სანადირაძეს არათუ წაართვეს ბიზნესი, არამედ მან ამ გარიგებით რამდენიმე მილიონი დოლარი მიიღო. ხელშეკრულება, რომელიც ამჟამადაც გასაიდუმლოებულია, დაახლოებით 2011 წელს ლონდონში გაფორმდა, იქ, სადაც მამია სანადირაძე საკმაოდ ძვირადღირებული ქონების პატრონია. ყოველ შემთხვევაში, ასე გვიყვება მისი ყოფილი ბიზნესპარტნიორი, თეიმურაზ თათეშვილი. მეტიც, თათეშვილის საუბრიდან ირკვევა, რომ მამია სანადირაძე, რომელიც წლების წინათ საკმაოდ ხელმომჭირნედ ცხოვრობდა, დიდ ბიზნესში თავად შეიყვანა, კომპანია „კავკასუს ნეთვორკშიც“ დიდი ინვესტიციები თავად დააბანდა, თუმცა „სანადირაძემ მათი „მოტეხა“ მოახერხა“, კომპანია მთლიანად თავის სახელზე გადაიფორმა, მოგვიანებით კი ლონდონში სარფიანად გაასხვისა.**

**რამდენიმე მილიონი მიიღო მამია სანადირაძემ „კავკასუს ონლაინის“ გასხვისებით და რატომ ადანაშაულებენ მას თაღლითობაში? „პრაიმტაიმი“ ბიზნესმენ თეიმურაზ თათეშვილს ესაუბრა:**

თემურ თათეშვილი

EXCLUSIVE

## ბიზნესმენს ყოფილი პარტნიორი თაღლითობაში ადანაშაულებს

**„ეს არის ტიპური თაღლითობა. მხოლოდ ვალები რომ გაესტუმრებინა, ხმას არ ამოვიღებდით, არც იმაზე გვაქვს პრეტენზია, უზარმაზარ ხელფასს რომ იღებდა, ყოველთვიურად 120 ათასს, და ჩვენ გვეუბნებოდა, კომპანია ვალებშიაო. საქმე ისაა, რომ მან „კავკასუსის“ გასხვისებით მიიღო რამდენიმე მილიონი დოლარი“**

– როგორც მოგეხსენებათ, წლების წინათ არსებობდა ასეთი კომპანია – „კავკასუს ნეთვორქი“. მისი მეპატრონე გარდაიცვალა და მამია დამიკავშირდა, არის ვარიანტი, რომ ეს კომპანია შეიძინოო. კონკრეტული წინადადებები შემომთავაზა, როგორ უნდა განვითარებულიყო კომპანია და ა.შ. ანუ იდეა ჩემი და ფული შენიო. თანხა მართლაც ჩავდე მთლიანად მე, თუმცა ვინაიდან მისი წინადადება იყო და განვითარების გეგმა ჰქონდა, 50 პროცენტი მასზე გაფორმდა, 50 – ჩემს სახელზე. გავხდით მეწილეები. მუშაობის პერიოდში ის მაქსიმალურად ცდილობდა უაზრო ხარჯებზე გასვლას, რომელსაც არანაირი შედეგი არ მოჰყვებოდა. ინვესტიცია მას საერთოდ არ ჩაუდია, ის კი არა, საარსებო ფულიც კი არ გააჩნდა. მოკლედ, დაიწყო მუშაობა. ასე მოვედით 2004 წლამდე.

**– პრობლემები, უშუალოდ, როდის შეიქმნა?**

– რევოლუციის შემდეგ წარმოიშვა გარკვეული პრობლემა ჩემს ძმასთან დაკავშირებით, რომელიც შევარდნაძის დროს და 2004 წლამდეც მუშაობდა პოლიციაში. იყო საუბარი მის დაჭერაზე. მამიამ შემომთავაზა, ძმის ფაქტორის გამო შენზე ზეწოლა რომ არ განახორციელონ, მოდი, შენი 50-პროცენტიანი წილიც მე გადმომიფორმე ყოველი შემთხვევისთვისო. ასეც მოვიქეცი, რეალურად ერთ თვეში ჩემი ძმა მართლა დაიჭირეს და მალევე გამოვიდა. ამის შემდეგ პრაქტიკულად კომპანიას მამია მართავდა. სულ ამბობდა, ვალები გვაქვს, სესხი დაგვიგროვდა და ა.შ. შესაბამისად, ხმას არ ვიღებდი, რადგან ვენდობოდი. მარწმუნებდა, რომ კომპანია იყო სერიოზულ ვალებში. საბოლოოდ მან გაყიდა კომპანია, ვითომ ვალების დაფარვის მიზნით, თუმცა გაირკვა, რომ კომპანია გაასხვისა საკმაოდ სარფიანად, ვალებიც დაფარა და სოლიდური თანხაც დარჩა, მოგების სახით. დაახლოებით 20 მილიონამდეა საუბარი.

**– თქვენ თუ იყავით ჩართული მიმდინარე მოლაპარაკებებში?**

– ჩვენთან ჰქონდათ მოლაპარაკება, მათ იცოდნენ, რომ მეწილეები ჩვენც ვიყავით და შესაბამისად, იყო საუბარი. საბოლოოდ ხელშეკრულება დაიდო სანადირაძესთან, რადგან ოფიციალურად ის წარმოადგენდა კომპანიას. ამ ხელშეკრულების გასაჯაროება დღემდე ვერ ხერხდება. საიდუმლო დოკუმენტია, როგორც ჩანს. გადაფორმების პროცესი მოხდა ჩვენგან ფარულად, სანადირაძემ გვითხრა, რომ ამით დაგროვილი ვალები გაისტუმრა, მაგრამ გვაქვს ინფორმაცია, რომ დიდი თანხა მიიღო, ვალების დაფარვის გარდა. მინდა აღვნიშნო, რომ იმ 50 პროცენტის გადაფორმების შემდეგაც ვდებდით ჩვენ ინვესტიციებს კომპანიაში. ამის დადასტურება საკმაოდ მარტივია. ეს ადასტურებს, რომ კომპანიაში ჩვენ ვიყავით, მაგას ერთი თეთრი არ ებადა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ უზარმაზარ ხელფასებს იღებდა, ყოველთვიურად 120 ათას ლარს.

**– თავად ამბობს, რომ კომპანია იძულებით წაართვეს...**

– დიახ, ახლა გამოდის და იძახის, წამართვესო. ეს არის ტიპური თაღლითობა. მხოლოდ ვალები რომ გაესტუმრებინა, ხმას არ ამოვიღებდით, არც იმაზე გვაქვს პრეტენზია, უზარმაზარ ხელფასს რომ იღებდა, ყოველთვიურად 120 ათასს, და ჩვენ გვეუბნებოდა, კომპანია ვალებშიაო. საქმე ისაა, რომ მან „კავკასუსის“ გასხვისებით რამდენიმე მილიონი დოლარი მიიღო, რომლის ნაწილიც, ცხადია, მე, როგორც კომპანიის მეწილეს, მეკუთვნოდა. ვერც წარმოვიდგენდით, რომ ის ამხელა ხელფასს იღებდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ კი არ წაართვეს, მილიონები აიღო. როდესაც ჩვენ ვიყავით მოლაპარაკებებზე, ის ამბობდა, რომ მთელი ეს თანხა, რასაც იხდიდნენ, ვალების დაფარვისთვის იყო საჭირო.

**– ამბობენ, რომ მას ამჟამად საკმაოდ სერიოზული ბიზნესი აქვს ლონდონში... იცით ამის შესახებ?**

– რასაკვირველია. ჩემს ცოლისძმასთან ერთად დაიწყო ბიზნესი. ჩვენ დავაწყებინეთ, ეს ჯერ კიდევ ის პერიოდია, როდესაც ნდობაში ვიყავით. ავეჯის ბიზნესი დაიწყო, მოაწყო შოურუმი, გამოიყენა ჩვენი კავშირები. ძალიან პრესტიჟულ რაიონში გახსნა შოურუმი და შემდეგ აქაც ხრიკებს მიმართა და ყველაფერი დაიტოვა.

**– რას აპირებთ ამჟამად?**

– ჩემი იურისტები მუშაობენ და, ალბათ, შედეგსაც მივაღწევთ ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლად. ყველამ კარგად იცის, რა ჯდება ლონდონში ცხოვრება. მაგას იმხელა ფული აქვს მიღებული... როგორ მოიწყობდა იქ ცხოვრებას, მანამდე პურის ფული არ ებადა. სანამ ჩვენ შემოგვთავაზებდა ბიზნესის დაწყებას, არჩევნებში მონაწილეობდა ნაძალადევში, ისიც ჩვენ დავუფინანსეთ. მართალია, 3 პროცენტი აიღო, მაგრამ... რაღაცნაირად ვენდობოდით და ვეხმარებოდით ყველანაირად. ფეხზე დავაყენეთ, ბიზნესში შევიყვანეთ, მილიონები იშოვა და შემდეგ გვითხრა, – კარგად იყავითო. გააფორმა ისეთი ხელშეკრულება, რომელთან წვდომასაც ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ. ფაქტია, რომ მოგვატყუა და ახლა დაჩაგრულად თავადვე ასაღებს თავს, თითქოს ვინმემ რამე წაართვა. 2011 წელს გასხვისდა საბოლოოდ კომპანია. დღემდე აცხადებს, რომ მას წაართვეს, მაგრამ არსად არ ამბობს, რომ მილიონები აქვს აღებული. 4 წელი ლონდონში ოჯახით ცხოვრება, გაფრენა-გამოფრენა შეუძლია ადამიანს, რომელსაც პურის ფული არ ჰქონდა? ცხადია, არა. მით უმეტეს, იქ რა ქონებაც შეიძინა.



სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრირებულია № 3092

საქართველო

მოქალაქეებმა: თეიმურაზ თათეშვილმა, მამია სანადირაძემ, რომლებმაც გამოხატეს შპს "კავკასუს ნეტვორკ"-ის საწესდებო კაპიტალში პარტნიორების წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების ნება. მე შევამოწმე მხარეების პირადობა, მათ მიერ



მამია სანადირაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ზაქარეიშვილი ისევ სკანდალში გაეხვია

ქეთი ხატიაშვილი

**პაატა ზაქარეიშვილი ან რუსეთის ინტერესების გამომხატველია, ან თანამდებობისთვის შეუფერებელი, ანდა, უბრალოდ, მისი დანიშვნა იყო დიდი შეცდომა.**

პარლამენტმა ფართო ამნისტიას ისტორიული დღე უწოდა (ეს პარლამენტის რესპუბლიკელი თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის სერიოზული პოლიტიკური შეცდომაა) და ციხიდან რუსეთის ჯაშუშები გამოუშვა, რესპუბლიკელი მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი კი რუსეთის დიპლომატიურ „აგენტურას“ ისევ დიპლომატიაში აბრუნებს.

რაიან გრისტი საერთაშორისო დიპლომატიურ სკანდალში 2008 წლის ომის დროს გაეხვია. ქართულმა მხარემ ის თითქმის პირდაპირ დაადანაშაულა რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ მუშაობაში. მაშინ გრისტი ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის ტერი ჰაკალას მოადგილე იყო. თუმცა, ომის დღეებში ის ოფისის ხელმძღვანელის რანგში ჩამოვიდა, ჰაკალის მაგივრად. სკანდალური განცხადებებიც მაშინ გააკეთა, რომელიც კარიერის ფასად დაუჯდა. როგორც ჩანს, მოსკოვი არა მხოლოდ ციხეებში ზრუნავს საკუთარ აგენტურაზე, არამედ დიპლომატიაშიც. შესაძლოა, უხეში შედარებაა, მაგრამ ფაქტია, რომ რაიან გრისტმა სწორედ ამ ხელისუფლების თანხმობით გააგრძელა კარიერა.

– ყველაზე საშინელება, რაც გავრცელდა, არის ჯაშუშობა. მართლაც საშინელებაა, მაგრამ სადაა მტკიცებულებები?! ვერც ღია და ვერც დახურული ინფორმაციით, მე ჯერ ვერ ვნახე მტკიცებულებები რაიან გრისტის ჯაშუშობაზე. – განმარტა ზაქარეიშვილმა „ნეტგაზეთთან“ საუბარში. მოკლედ, ზაქარეიშვილს ისღა დარჩენია, რაიან გრისტის დაბრუნებას ისტორიული დღე უწოდოს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი დიპლომატის უდანაშაულობაში დარწმუნებულია: „ერთადერთი, რაც ნამდვილად იყო, ეს არის მისი შეცდომა. მან დაარღვია ეუთოში არსებული სტანდარტები და საჯაროდ თქვა ის, რაც არ უნდა ეთქვა. მას გავლენა არ მოუხდენია, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ საქართველო ამ ომში ანგელოზი არ ყოფილა... მას დანაშაული არ ჩაუდენია, არ ჩანს... ჩაიდინა მან დანაშაული? – ჩემი პასუხია არა, შეცდომა დაუშვა? – ჩემი პასუხია, – დიახ“, – განუცხადა მან „ნეტგაზეთს“. თუმცა, იქვე არაფერი თქვა იმაზე, რომ ეს „შეცდომა“ მას დიპლომატიურ კარიერად დაუჯდა, ეუთომ ის თავად გაიწვია მისიიდან.

ეკა ტყეშელაშვილი, რომელიც მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, იხსენებს, რომ „ეუთომ ეს ადამიანი ვადაზე ადრე გაიწვია, რადგან მას დიდი სკანდალი ჰქონდა თვითონ ეუთოში, როდესაც თვითნებურად განახორციელა ქმედებები. მან საერთოდ არ გაითვალისწინა ორგანიზაციის წესდება და ხელმძღვანელობის დავალებები. გაურკვეველია, როგორ მოხვდა ის ახლა ამ პოსტზე“.

2008 წელს ქართულმა მხარემ საერთაშორისო საზოგადოებას წარუდგინა მტკიცებულებები იმის დასტურად, რომ თბილისი რუსეთის აგრესიისგან იცავდა თავს. New York Times-მა მოგვიანებით გამოაქვეყნა „დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტების მიერ მოწოდებული ახალი შეფასებები“, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მტკიცებულებების საწინააღმდეგო იყო. New York Times-ის განმარტებით, ქართული მხარის ჩვენებები ბრიტანეთის არმიის ყოფილმა კაპიტანმა რაიან გრისტმა დააყენა ეჭვქვეშ. „7 აგვისტოს საქართველოს თავდასხმა ცხინვალზე აბსოლუტურად არაპროპორციული იყო ნებისმიერი პროვოკაციისა, თუ პროვოკაცია საერთოდ იყო“, – ასეთი განცხადებები გააკეთა მაშინ ეუთოს მისიის მაღალჩინოსანმა.

**საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის გრიგოლ ვაშაძის განცხადებით:**

– გრისტი იყო ადამიანი, რომელიც ყველა თავის გამოსვლაში ამართლებდა რუსეთის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ და რაც მთავარია, ზიანს აყენებდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ, როგორიც არ უნდა იყოს შეცდომა თუ გადაცდომა, გრისტის კანდიდატურა ევროკავშირმა თავად შეარჩია და ქართულ მხარეს უფლება არ ჰქონდა, ის არ მიეღო. თუმცა, ექსპერტები და საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრები მიიჩნევენ, რომ ქართულ მხარეს ყოველთვის ჰქონდა და ახლაც აქვს ბერკეტები ასეთი სკანდალურ ფიგურის დასაბლოკად.

რაიან გრისტი ქართული მხარის საწინააღმდეგოდ აცხადებდა, რომ არანაირი პროვოკაცია ცხინვალის მხრიდან არ ყოფილა. თუმცა, ტალიავინის დასკვნაში ნათქვამია, რომ ომს სწორედ შეიარაღებული პროვოკაციები უსწრებდა და რომ რუსული სამხედრო ძალების მობილიზებაც შეინიშნებოდა.

ზაქარეიშვილი აქ უკვე ცდილობს, დიპლომატს დანაშაული „შეუმსუბუქოს“ და აცხადებს, რომ ასეთი რამ მას



## „გრისტი იყო ადამიანი, რომელიც ყველა თავის გამოსვლაში ამართლებდა რუსეთის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ და რაც მთავარია, ზიანს აყენებდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს“

საერთოდაც არ უთქვამს.

– მეორე საკითხია, შეესაბამება თუ არა სიმართლეს ის, რაც მან თქვა. გამოძიებამ ტალიავინის ანგარიშში დაადგინა, რომ იყო პროვოკაციები, რაზეც საქართველომ არაპროპორციულად უპასუხა. რაიან გრისტმა შემდეგ ეს სიტყვები უარყო, მე არ მითქვამსო, და ეს წინა ხელისუფლებამ დაადასტურა. მეტიც, წინა ხელისუფლებამ რაიან გრისტს მისცა უფლება, საქართველოში ემუშავა და ის მუშაობდა, რაღაც სხვა მისიაში ჩამოვიდა შემდეგ. წინა ხელისუფლებამ მას დაუდასტურა საქართველოში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება. ახლა, რადგან „ნაცმოძრაობა“ უკვე წყალწაღებულია და ხავსს ეკიდება, ამით აპირებს გადარჩენას და თავის წინააღმდეგ ქმნის სიტუაციებს. რაც არ უნდა ფაქტები მოიტანოს „ნაცმოძრაობამ“... მონბლანი ფაქტები რომ მოიტანოს, ჩვენ მას ევერესტ ფაქტებს მივუტანთ.

გიგა ბოკერიას განმარტებით, წინა ხელისუფლების დროს გრისტი საქართველოში ჩამოსული იყო, როგორც უცხოელი მოქალაქე და არა როგორც დიპლომატი ან მისიის ხელმძღვანელი.

პაატა ზაქარეიშვილისგან განსხვავებით, საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ გრისტის თემას კიდევ ერთხელ დაუბრუნდებიან.



## „მე ჯერ ვერ ვნახე მტკიცებულებები რაიან გრისტის ჯაშუშობაზე“

# რატომ არ დაესწრო პატრიარქი პრეზიდენტის გამოსვლას



ხათუნა მგალობლიშვილი

**კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად პრეზიდენტის უფლებამოვალეობების შემცირებაზე ბევრიც იმსჯელეს და იმის გარკვევასაც ბევრი შეეცადა, კონკრეტულად რა დატვირთვა ექნებოდა გიორგი მარგველაშვილს. პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა პრეზიდენტის მოღვაწეობის უპირველესი მიზანი სწორედ მარგველაშვილის საპარლამენტო ვიზიტის დასასრულს ახსნა, რომელსაც, სამწუხაროდ, თავად პატრიარქი ვერ დაესწრო.**

**დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე:**

– როდესაც საუბარი მიმდინარეობს, რა როლი აქვს პარლამენტს, პრეზიდენტს, მთავრობას, მე შემდეგს ვიტყოდი: ამ ტიპის პრეზიდენტისთვის მისი პრეზიდენტობის ვადის განმავლობაში, ინსტიტუციონალურადაც და პერსონალურადაც მთავარი ამოცანა არის ის, რომ შეუმსუბუქოს ტვირთი საქართველოს სულიერ ლიდერს, მის უწმინდესობას. საქართველოს პრეზიდენტმა უნდა შეუმსუბუქოს ის ტვირთი, რაც მას ადრეც აწვა და დღესაც აწევს მორალური ავტორიტეტობის.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც პატრიარქი პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას ვერ დაესწრო. თუმცა ამისთვის ყველაფერი მზად იყო და მოლოდინიც, რომ უწმინდესი ქუთაისის პარლამენტს, ბუნებრივია, ესტუმრებოდა, დიდი იყო. თუმცა ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. პატრიარქის არყოფნას ყურადღება თავიდანვე მიექცა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის განცხადებით, ინფორმაცია პატრიარქის ვერდასწრების შესახებ პარლამენტს დილიდანვე ჰქონდა...

**დავით საგანელიძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი:**

– პატრიარქი, სამწუხაროდ, ავად იყო. პრეზიდენტის გამოსვლის დღეს უკვე დილიდან ვიცოდი, რომ დასწრებას ვერ მოახერხებდა, რადგან სიცხე ჰქონდა 39 გრადუსი. თავადაც ძალიან განიცადა, რომ ვერ მოახერხა ჩამოსვლა და დასწრება. წინა დღის საღამოდან ვერ იყო კარგად, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ გამოკეთდებოდა. ღმერთმა ჯანმრთელად გვიმყოფოს ჩვენი პატრიარქი, მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შსს-მ 2014 წლის სტრატეგია გამოაქვეყნა



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**გასულ კვირას შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2014 წლის სტრატეგიის პრეზენტაცია გამართა. ჭიკაიძის უწყებამ მიმდინარე წელს დაგეგმილი სიახლეები მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს გააცნო. დოკუმენტის თანახმად, 2014 წელს გაგრძელდება სამინისტროს სისტემის რეფორმა, შენარჩუნდება დეპოლიტიზების აღებული კურსი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადამიანის უფლებების დაცვას, გაიზრდება ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხი, დაიხვეწება საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები, დამკვიდრდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტი და გაუმჯობესდება გენდერული ბალანსი. ეს არის ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც პრეზენტაციაზე გამახვილდა ყურადღება. „პრაიმტაიმმა“ თვალი გადაავლო წარმოდგენილ სტრატეგიას. მკითხველის ყურადღებას რამდენიმე აქტუალურ თემაზე შევაჩერებთ.**



## ალექსანდრე ჭიკაიძე პრიორიტეტებს ასახელებს – ბრძოლა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ტრეფიკინგის, ტერორიზმისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ

ჭიკაიძის უწყებაში განმარტავენ, რომ 2014 წელს განსაკუთრებით გააქტიურდება ბრძოლა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ. ამ მიზნით შსს გეგმავს ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის წამოწყებას. სტრატეგიის თანახმად, გაძლიერდება კონტროლი ნარკოტიკების უკანონო მოძრაობის შესაძლო მარშრუტებზე, მათ შორის, აეროპორტებზე, პორტებზე, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ჭიკაიძის უწყება რისკის შემცველი დაწესებულებების პერმანენტულ შემოწმებასა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით სპეციალური ბროშურების დარიგებას გეგმავს.

**„ჩვენ ვგეგმავთ პოლიციელების მაღალი დონის გადამზადებას“**

„ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში შექმნილი მობილური ჯგუფების მიერ, ტრეფიკინგის რისკის შემცველ დაწესებულებებში სისტემატურად გატარდება პროაქტიური ღონისძიებები... ასევე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოსაზღვრე და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებას“, – წერია შსს-ს 2014 წლის სტრატეგიაში.

დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კორუფციის წინააღმდეგ დაგეგმილ ღონისძიებებს. იგეგმება ანტიკორუფციული სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. მატერიალური ბაზის განახლებას აპირებს შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრიც. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, ჭიკაიძის უწყება გეგმავს ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ზონებში ოპერატიული კონტროლის გაძლიერებას.

„შესაძლო ტერორისტული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია „რისკის ზონებში“ კოორდინირებული მუშაობის გაგრძელება, ასევე, შესაძლო ტერორისტული საფრთხის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების სწრაფი ინფორმირების მექანიზმის შემუშავება“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

აქტიური საინფორმაციო კამპანიის წამოწყება იგეგმება კიბერდანაშაულის კუთხითაც. დოკუმენტში ნათქვამია, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორ დაიცვას თავი კიბერდანაშაულისგან, ჰქონდეს ინფორმაცია პოტენციური საფრთხეების, მათი ინდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების შესახებ.

სამინისტროსთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის რჩება საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დროებითი მოთავსების იზოლატორების ფუნქციონირების გაუმჯობესება, სასაზღვრო უსაფრთხოება, მიგრაციული პროცესების ეფექტური მართვა, საგანგებო სიტუაციების ეფექტური მართვა და საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის რეფორმა.

სტრატეგია პრეზენტაციის დასრულების შემდეგ შეაფასა შინაგან საქმეთა მინისტრმა. ალექსანდრე ჭიკაიძემ მთავარი აქცენტი ადამიანის უფლებების დაცვასა და პოლიციელების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე გააკეთა.

„სტრატეგიაში მთავარია ადამიანის უფლებების დაცვა, საზღვრის დაცვის განვითარება, ზოგადად, პოლიციის სტრუქტურის განვითარება, ტექნიკური ბაზის აღჭურვა. ჩვენ ვგეგმავთ პოლიციელების მაღალი დონის გადამზადებას. პოლიციელების პროფესიონალიზმის გაზრდა არის ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი კი იმ თემებზე აკეთებს აქცენტს, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობასა და ევროპულ სტანდარტებს შეეხება.

„ძალიან აქტიურად მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტრო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მიმართულებით. მას მნიშვნელოვანი როლი აქვს ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის კუთხით. გარდა ამისა, უაღრესად მნიშვნელოვანია მიგრაციის პოლიტიკაში შინაგან საქმეთა სამინისტროს როლი. ზოგადად, სტრატეგია, რომელიც ვნახეთ, არის ევროპულ სტანდარტებთან აბსოლუტურ შესაბამისობაში. დოკუმენტი აქცენტირებულია უფრო მეტ გამჭვირვალობაზე, უფრო მეტ რეფორმებზე, უფრო მეტ პროგრესსა და კრიმინალთან ბრძოლაზე“, – აღნიშნა პეტრიაშვილმა.

სტრატეგიას გაეცნო სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილიც. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრომ ამ სტრატეგიის იმპლემენტაცია მოახდინოს.

„ზოგადად, სტრატეგია არის საკმაოდ ამბიციური. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ამ სტრატეგიის იმპლემენტაცია. ვფიქრობ, დოკუმენტში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ყველაფერი კარგად არის ჩამოყალიბებული. საინტერესოა მიგრაციის თემა და ჩვენ მოვისმინეთ, რომ შეიქმნება სპეციალური სამმართველო, რომელიც მიგრაციის პროცესებს გააკონტროლებს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და დაცული იყოს სტანდარტები“, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მცირემიწიან ფერმერებს ა

სანდრო ბარათელი

**„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი", თებერვალში დაიწყო. როგორც უკვე ცნობილია, წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, წელს 800 ათასი ბენეფიციარი მიიღებს სახელმწიფო დახმარებას. როგორ მიმდინარეობს ფერმერებისთვის აგრობარათების გადაცემა და რა პრივილეგიებით ისარგებლებენ შარშანდელთან შედარებით? „პრაიმტაიმი", სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს, დავით გალეგაშვილს ესაუბრა.**



**დავით გალეგაშვილი:**

- მოგეხსენებათ „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი" პირველ თებერვალს დაწიყო. ერთხელ კიდევ რომ განვმარტოთ, ბენეფიციარები იქნებიან ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ 1.25 ჰექტრის ჩათვლით ფართობის სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა-მდე ფართობის მიწის ნაკვეთი და ფერმერები, რომელთაც აქვთ 0,25 ჰა დან 1,25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის მიწის ნაკვეთები, მიიღებენ აგრობარათს, სადაც იქნება შესაბამისი ეკვივალენტის ქულა დარიცხული, რომელსაც სასუქისა და პესტიციდებისთვის გამოიყენებენ. რაც შეეხება ჰექტარზე 140 ლარის ღირებულების სარგებელს, ხვნა-თესვის სამუშაოს სახით მიიღებენ.

**- როდის დაიწყება ბარათების დარიგება?**

- ბარათების დიდი ნაწილი, უკვე დარიგებულია. ფერმერები ამ პროექტის ფარგლებში მიიღებენ ორი სახის ბარათს. პირველი ეს არის, მიწის მოსახნავი ქაღალდის ბარათი და მეორე, „ლიბერთი" ბანკის აგრობარათი. ამ ეტაპზე უკვე დაწყებულია ქაღალდის, ანუ ხვნის ბარათების დარიგება. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, უკვე დარიგებული გვაქვს 352 ათასი ბარათი, კახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთსა და სამეგრელოში. ყველა რეგიონში, ასეთი ბარათების დარიგება თვის ბოლომდე დასრულდება.

**- რომელიმე რეგიონში თუ დაიწყო ხვნა?**

- რამდენიმე დღეა უკვე, რაც ზოგიერთ რეგიონში მიწის დამუშავება დაიწყო. მთლიანობაში, ამჟამად მოხნულია 2000 ჰექტარზე მეტი. ყველაზე მეტი ნაკვეთი დამუშავდა შიდა ქართლში, რადგან ჩვენ გავითვალისწინეთ საზღვრისპირა სოფლების მდგომარეობა.

**„მთლიანობაში, ამჟამად მოხნულია 2000 ჰექტარზე მეტი. ყველაზე მეტი ნაკვეთი დამუშავდა შიდა ქართლში, რადგან ჩვენ გავითვალისწინეთ საზღვრისპირა სოფლების მდგომარეობა"**

**- რაც შეეხება აგრობარათებს, როდის დაიწყება მისი დარიგება?**

- აგრობარათის დარიგებას დავიწყებთ 25 თებერვლიდან და დაახლოებით ორ თვეში დასრულდება. მინდა გითხრათ, რომ პლასტიკური ბარათები, ამ პროექტში სიახლეა. შარშან მსგავსი რამ არ ყოფილა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამ პროექტის ფარგლებში თანამშრომლობს „ლიბერთი" ბანკთან. „ლიბერთი" ბანკი უფასოდ გადასცემს აგრობარათს ყველა ბენეფიციარს, რითაც ფერმერები გამოიყენებენ ხვნათესვისთვის და საბანკო ოპერაციებისთვის. მისი გამოყენება გლეხს შეეძლება მხოლოდ ჩვენს საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში ჩართულ იმ მაღაზიებში, ვისთანაც ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული. ბენეფიციარები შეძლებენ სასუქის, პესტიციდებისა და სათესლე მასალის შეძენას. პლასტიკური ბარათების გამოყენება ფერმერებს რამდენიმე წლის განმავლობაში შეეძლებათ და მომავალში, თუ კი რაიმე პროგრამა ექნება სახელმწიფოს, თუნდაც ანალოგიური პროექტი, იქაც შეეძლებათ გამოყენება. ვფიქრობთ, მომავალ წლებში იყოს აგროდაზღვევა, სადაც ასევე სახელმწიფო დაეხმარება ფერმერებს პირველ წლებში, რათა სუბსიდირება მოახდინოს, თუმცა ამჟამად ეს იდეის დონეზეა. შარშან, 200 ლარის ეკვივალენტის ქულა იყო ქაღალდის ბარათზე დატანილი. როდესაც ფერმერი მაღაზიაში მიდიოდა, იძულებული იყო, რომ ის 200 ლარის ქულები, ერთ კონკრეტულ მაღაზიაში, ერთ მისვლაზე დაეხარჯა. ამის გამო ფერმერები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. ჩვენ გავითვალისწინეთ მათი პრეტენზიები და ახალი აგრობარათის მეშვეობით, რომელზეც დარიცხული იქნება ქულები, შესაძლებელობა ექნებათ გამოიყენონ არა ერთ მისვლაზე, არამედ მრავალჯერად, სხვადასხვა მაღაზიებში.

**დავით გალეგაშვილი: „ამ ეტაპზე უკვე დაწყებულია ქაღალდის, ანუ ხვნის ბარათების დარიგება. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, უკვე დარიგებული გვაქვს 352 ათასი ბარათი, კახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთსა და სამეგრელოში. ყველა რეგიონში, ასეთი ბარათების დარიგება თვის ბოლომდე დასრულდება"**

**- შარშანდელთან შედარებით, წელს უფრო დაიხვეწა პროექტი. მოსახლეობა რამდენად კმაყოფილია?**

- რაღაც ნაწილი კმაყოფილია, რაღაც ნაწილი - არა. შარშან თანხა უფრო მეტი იყო გამოყოფილი თითოეულ ბენეფიცირაზე, ვიდრე წელს და ეს არ მოსწონთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მოხერხებულია მექანიზატორის მომსახურების ხარისხი. ლოჯისტიკა კარგად არის დალაგებული და ყველა ტრაქტორი მწყობრშია. შარშან იყო რაღაც შეფერხებები, მაგრამ წელს, უკვე აღარ იქნება. მინდა აღვნიშნო, რომ შარშან, ფერმერებს შეეძლოთ ინვენტარის შეძენა, წელს მხოლოდ, სათესლე მასალის, პესტიციდებისა და შხამ–ქიმიკატების შეძენა შეეძლებათ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროგრამა მუდმივად ვერ გაგრძელდება. პროგრამა სამწლი-



დავით გალეგაშვილი





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გრობარათები ურიგდებათ




## სანდრო რთველაძე: „ბარათი 10 წლიანია და მიღება ფერმერებს შეეძლებათ, როგორც ჩვენი ბანკის ფილიალებში, ასევე ჩვენს სერვის ცენტრებში“

ანია. პირველ წელს გლეხს, მთავრობა მაქსიმალურად შეეხიდა, ანუ შარშან ჩვენი მონაწილეობა იყო განსაკუთრებით მაღალი. სახელმწიფოს მხრიდან უფრო დიდი თანხა დაიხარჯა, ვიდრე გლეხებისა და ფერმერებისგან. მეორე წელს, ანუ წელს, ჩვენ ვმონაწილეობთ დაახლოებით თანაბარ პირობებში, ანუ ჩვენი მონაწილეობა და გლეხების მონაწილეობა გათანაბრებულია. მომავალ წელს სახელმწიფო, კიდევ უფრო შევამცირებთ მათ დახმარებას, რადგან გლეხმა უკვე თავისი სახსრებით შეძლოს მიწის დამუშავება. პროგრამის მიზანია, რომ ყველას მივცეთ თანაბარი საშუალება იმისთვის, მოსახლეობა სოფელს მიუბრუნდეს, მიწა დაამუშაოს და სოფელი აღორძინდეს. ჩვენ მათ ვეხმარებით და გვინდა, რომ წავახალისოთ მათი შრომა და ნელ-ნელა წინ წამოვიდნენ. მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში უყურადღებობის გამო, ბევრმა სოფელი დატოვა, აღარ აინტერესებდათ მიწის დამუშავება და აღარც იმის იმედი ჰქონდათ, რომ მთავრობა დაეხმარებოდათ. როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენი მიზანია, მოსახლეობა სოფელს დაუბრუნდეს და თავიანთი შრომით მიიღონ შემოსავალი, ასე აღორძინდება სოფლის მეურნეობა. ამ პროექტის ფარგლებში, სამი წლის განმავლობაში ამ ადამიანებს, ვინც პროგრამაშია ჩართული, სახელმწიფოს სახით საყრდენი ძალა ეყოლება.

**- შარშანდელთან შედარებით, წელს როგორი მოლოდინი გაქვთ?**

- ძალიან კმაყოფილები არიან ის ადამიანები, ვინც შარშან იყო ჩართული ამ პროექტში. წელს უფრო მეტი ადამიანია, რომლებიც პროექტში ჩაერთვნენ. გასულ წელს, ვინც ნახა, რომ სახელმწიფო დაეხმარა და შემოსავალი მიიღეს, კმაყოფილები არიან. შარშან, მოგეხსენებათ, ძალიან კარგი მოსავალი გვქონდა, როგორც ყურძნის, ასევე მანდარინისა და კარტოფილის. მართალია კლიმატურმა პირობებმაც შეგვიწყო ხელი, მაგრამ მეორე მხრივ, ადამიანებმაც იმუშავეს და მოუარეს ბოსტნებს, ბაღებს, ვენახებს... მოსავლის შესაბამისად, ძალიან დიდი თანხები შევიდა კახეთსა და აჭარაში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო დასავლეთი, მანდარინის თვალსაზრისით. მიუხედავათ იმისა, რომ შავი პიარის აგორება სცადეს, სიმართლე ხომ ყველამ ვიცით? სამჯერ მეტი ფული შევიდა აჭარაში 2013 წელს, ვიდრე წინა წლებში. რამდენიმე ადამიანმა რომ მანდარინი გადაყარა, სამწუხაროდ, მარტო ეს გაშუქდა.

აგრობარათები "ლიბერთი ბანკის" ყველა ფილიალიდან გაიცემა.

## „მოხერხებულია მექანიზატორის მომსახურების ხარისხი. ლოჯისტიკა კარგად არის დალაგებული და ყველა ტრაქტორი მწყობრშია. შარშან იყო რაღაც შეფერხებები, მაგრამ წელს, უკვე აღარ იქნება“




როგორც „ლიბერთი“ ბანკის დირექტორი სანდრო რთველაძე აცხადებს, აგრობარათები, რომლებიც ფერმერებს დაურიგდებათ, მრავალფუნქციურია.

**სანდრო რთველაძე:** „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში“, „ლიბერთი ბანკი“ შარშანაც იყო ჩართული, მაგრამ წელს, 2013 წლისგან განსხვავებით, ფერმერებს მეტი კომფორტისთვის დაურიგდებათ ჩვენი ბანკის უკონტაქტო ტიპის პლასტიკური ბარათები მულტისავალუტო ანგარიშის შესაძლებლობებით. გარდა იმისა, რომ ფერმერები გამოიყენებენ აგრობარათებზე დარიცხულ ქულებს სახნავად, პესტიციდებისა თუ შხამ-ქიმიკატების საყიდლად, მათ შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ბარათის სხვა დამატებითი უპირატესობებითაც. ლიბერთი ბანკი მოხარულია მონაწილეობა მიიღოს ამ სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე ინიციატივაში.

**- იმის გარდა, რომ დარიცხული ქულების გამოყენება შეეძლებათ ბენეფიციარებს, კიდევ რა ფუნქცია აქვს აგრობარათს?**

- აგრობარათი არის ლიბერთი ბანკის PAY სისტემის ბარათია. საბარათე ანგარიშზე განთავსებულ ლარში დენომინირებულ ნაშთებს (სუბსიდიის ქულების გამოკლებით) დაერიცხება საპროცენტო სარგებელი წლიური 5%-10%-ის ოდენობით. ასევე, ბარათის მფლობელები ჩაერთვებიან ლიბერთი ბანკის კლიენტების ლოიალობის პროგრამაში და ისარგებლებენ 10%-დან 50%-მდე ფასდაკლებით 100-ზე მეტ სავაჭრო ობიექტში. ფერმერებს ექნებათ შესაძლებლობა მობილური ტელეფონის საშუალებით აკონტროლონ საკუთარი ბალანსები, შეღავათიანი ტარიფებით გადაიხადონ კომუნალური გადასახადები, განახორციელონ ტრანზაქციები თიბისი ბანკისა და ლიბერთი ბანკის პოს ტერმინალებსა და ბანკომატებში და ისარგებლონ ლიბერთი ბანკის სხვა პროდუქტების შეღავათიანი პირობებით

**- რამდენი წლის განმავლობაში შეეძლებათ ამ ბარათის გამოყენება და სად ჩეეძლებათ მისი აღება?**

- ბარათი 10–წლიანია და მიღება ფერმერებს შეეძლებათ, როგორც ჩვენი ბანკის ფილიალებში, ასევე ჩვენს სერვის ცენტრებში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




# კიევში დემონსტარნტების დარბევას ქართველი მამაკაცი ემსხვერპლა

სალომე გოგოხია

უკრაინის დედაქალაქ კიევში მომხდარ დარბევას საქართველოს მოქალაქე, 54 წლის ზურაბ ხურცია ემსხვერპლა. უკრაინაში საქართველოს საელჩოს ინფორმაციით, მეტროდან გამოსული ხურცია ინსტიტუტსკაიას ქუჩაზე იმყოფებოდა. ამ დროს „ბერკუტი" დემონსტრანტებს არბევდა. სავარაუდოდ, ის ჭყლეტაში მოყვა.

ექსპერტიზის ოფიციალური დასკვნის თანახმად, ზურაბ ხურცია გულის უკმარისობით გარდაიცვალა.

„პრაიმტაიმი" უკრაინაში საქართველოს ელჩს მიხეილ უკლებას დაუკავშირდა. ელჩის განცხადებით, ცხედრის გადასვენება საელჩომ უზრუნველყო.

ზურაბ ხურცია აფხაზეთიდან დევნილი იყო. ომამდე მისი ოჯახი გაგრაში ცხოვრობდა. აფხაზეთის ომის შემდეგ ოჯახი სენაკში, მამისეულ სახლში დამკვიდრდა. ორი წლის წინათ ხურცია უკრაინაში, კიევში გაემგზავრა. ის იქ მცირე ბიზნესით იყო დაკავებული.

დედამ შვილის გარდაცვალების შესახებ ტელევიზიით შეიტყო.

„ერთად ვისხედით, საინფორმაციო გადაცემას ვუყურებდით და ტელევიზორში დაინახა ზურა, ძირს ეგდო, გარდაცვლილი. წარმოიდგინეთ, დედის მდგომარეობა, ჯერ შვილის გარდაცვალება როგორია და ეს ტელევიზიით ნახა". – უამბო „პრაიმტაიმს" გარდაცვლილის ოჯახის ახლობელმა ლამარა გვალიამ.

„უკეთილშობილესი ადამიანი იყო. უმაღლესი განათლებით, კულტურული, განათლებული. კრასნოდარში სწავლობდა, ტექნოლოგი იყო. ორი წლის წინათ 26 თებერვალს გაემგზავრა უკრაინაში. ცოლ-შვილი არ ჰყავდა. საქართველოში დედა და ძმა დატოვა, მამა გარდაცვლილი ჰყავთ. საქართველოში დაბრუნებას აპირებდა, რაღაცის წამოწყებას გეგმავდა. საუკეთესო ადამიანი იყო. ტყვია მოხვედრილი არ აქვს. როგორც გვითხრეს, ჭყლეტაში მოყვა. გულით დაიღუპა. ინფარქტი ჰქონდა გადატანილი და როცა ჭყლეტაში მოყვა, ეტყობა, გულმა ვერ გაუძლო". – გვითხრა გვალიამ.

„პრაიმტაიმი" ასევე ესაუბრა გარდაცვლილის მამიდაშვილს პაატა გვარამიას.

„ზურას უკრაინაში მცირე ბიზნესი, საკონსერვო ცეხი ჰქონდა. კიევში მარტო ცხოვრობდა. ცოტა ხანში საქართველოში ჩამოსვლას აპირებდა. არ ვიცით, იმ ადგილზე როგორ აღმოჩნდა. ვიცით მხოლოდ ის, რომ მეტროდან გამოვიდა. არა მგონია, რომ აქციაზე მიმსვლელი ყოფილიყო, ეტყობა, რაღაც საქმე ჰქონდა. გადმოსვენების საკითხზე საელჩო დაგვეხმარა". – გვითხრა შამუგიამ.




კიევში მიმდინარე მოვლენების პარალელურად, ქართულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს აქციის დარბევას მეორე ქართველიც ემსხვერპლა. თუმცა, ეს ინფორმაცია „პრაიმტაიმს" მიხეილ უკლებამ არ დაუდასტურა.

„მხოლოდ ერთი ქართველი – ზურაბ ხურცია გარდაიცვალა. ამ ეტაპზე უკრაინაში საქართველოს არც ერთი მოქალაქე დაშავებული არ არის. საკონსულოს ცხელ ხაზზე რეკავენ მოქალაქეები, სტუდენტები, მშობლები. ჩვენ სტუდენტებს ვეუბნებით, რომ ამ ეტაპზე ჩამოსვლისგან თავი შეიკავონ. ყველას კონსულტაციებს ვუწევთ", – განაცხადა უკლებამ.

**ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 54 წლის ზურაბ ხურცია გულის უკმარისობით გარდაიცვალა**



# „თუ საქართველო მივა იმ მდგ „რუსთავი 2"

ქეთი ხატიაშვილი

**„რუსთავი 2" და რევოლუცია. რა დაპირისპირება არსებობს არხზე და რამდენად ჩაერთვება „რუსთავი 2" პოლიტიკურ პროცესებში მხარედ, ისევე როგორც ეს „ვარდების რევოლუციის" დროს გააკეთა. რას ამბობს არხის დირექტორი ნიკა გვარამია, რომლის პოლიტიკური წარსულიც ზოგიერთებს იმის მტკიცების საფუძველს აძლევს, რომ სააკაშვილი დაბრუნებას ხელისუფლებაში სწორედ ამ არხის გამოყენებით ცდილობს. რა საფუძველი აქვს ასეთ ეჭვებს – ეს შიშია, რეალობა თუ, უბრალოდ, საბაბი იმისთვის, რომ არხზე სერიოზული ცვლილებები მოხდეს. „პრაიმტაიმს" „რუსთავი 2"-ის დირექტორი ნიკა გვარამია ესაუბრა:**

– პირველ რიგში, ის, რომ მე ნაციონალებში მეგობრები მყავს, რა კავშირშია ეს „რუსთავი 2"-თან? ან ის, რომ 2004დან 2010 წლამდე მთავრობაში ვიყავი, „რუსთავი 2"-ის ნაციონალებთან კავშირს როგორ ნიშნავს?




რაც შეეხება გასულ 9 წელს, საინტერესოა, რამდენ ხანს უნდა ილაპარაკონ ამ თემაზე „რუსთავი 2"-ის კონტექსტში? მე აქ ვარ, წელიწად-ნახევრია. ჩემი წინამორბედებისგან განსხვავებული მენეჯმენტი, სტილი მაქვს და ასე იყო ყველგან, სადაც მიმუშავია. დიახ, ვეთანხმები ყველას, რომ „რუსთავი 2" ახლა უფრო კრიტიკულია, ვიდრე გასული 9 წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ პროსამთავრობო პოზიცია „რუსთავი 2"-ის, როგორც მედიის, ლეგიტიმური არჩევანი იყო, მე იმ 9 წლის განმავლობაშიც და ამ 9 წლის განმავლობაშიც ტელევიზიას სხვანაირად ვხედავ. მგონია, რომ ის უნდა იყოს კრიტიკული.

თუ ვინმეს განვლილი 9 წლის გამო მოლოდინი აქვს, რომ „რუსთავი 2" ახლაც განსაკუთრებული მონდომებით უნდა აკეთებდეს სამთავრობო ნიუსებს, ის ცდება. და არა იმიტომ, რომ მაშინ ნაციონალური მოძრაობა მართავდა და ახლა „ქართული ოცნება". სერიოზული კორექტივები შევიდა ჩვენს სარედაქციო პოლიტიკაში და ის გაცილებით კრიტიკული გახდა. ჩვენი კრიტიკის ვექტორი, ბუნებრივად, არის მიმართული პირველ რიგში მთავრობის მიმართ – იმის მიმართ, ვისაც ყველაზე მეტი ბერკეტები და, შესაბამისად, ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა აქვს. მთავრობის, და არა პერსონალურად „ქართული ოცნების". თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენთან პოზიტიური ნიუსი არ შუქდება, შუქდება და შესაძლოა ყველაზე უფრო ინტენსიურადაც. რის გამოც ხშირად გამიგია ახლა უკვე ოპოზიციის მხრიდან კრიტიკა, რომ ჩვენ ზედმეტად ლოიალურები ვართ მთავრობის მიმართ. კარგია როცა ორივე პოლიტიკურად ანგაჟირებული მხარე გაკრიტიკებს, ესე იგი ყველაფერი სწორად კეთდება. რაც შეეხება ვიღაცების განცხადებებს და მოლოდინებს, რომ ჩვენ რევოლუციის პლაცდარმად გამოგვიყენებს ვინმე, ამაზე კომენტარის გაკეთებაც კი სისულელე იქნებოდა.

შევჩერდები პოზიტიურ ნიუსებზე. მთავრობას, ჩემი გადმოსახედიდან (მთავრობის წევრიც ვიყავი და ამიტომ შემიძლია ვთქვა), ზოგადად, პრობლემა აქვს კრეატიულ პიარში. მაგალითად, გასულ წელს რთველმა წარმატებულად ჩაიარა, მაგრამ მთავრობამ ვერ შეძლო მისი შესაბამისად შეფუთვა და ეს წარმატება, შეიძლება ითქვას, საინფორმაციო სივრცეში დაიკარგა კიდეც. არა მგონია, ვინმეს ჰქონოდა მოლოდინი, რომ „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტები ირბენდნენ და მთავრობის პიარის საქმეს გააკეთებდნენ. თუ ჰქონდა, ცხადია, შეცდა.

მთავრობას ათჯერ მეტი ძალისხმევა სჭირდება, რომ პოზიტიური ნიუსი მაყურებლამდე მიიტანოს, ასეა ყველა ქვეყნის ხელისუფლებისთვის. გაცილებით მარტივია ეს ოპოზიციისთვის და არასამთავრობოებისთვის, ანუ კრიტიკულად განწყობილი სექტორისთვის. ეს ბუნებრივად ასეა.

ვინც ამ პასუხის შემდეგ კიდევ გასულ 9 წელს შემახსენებს, ვეტყვი, რომ დაიხურა ეს თავი „რუსთავი 2"-ის ისტორიაში და ქვეყნის ისტორიაშიც. სხვა რეალობაში გადავედით და ან უნდა მივიღოთ ეს რეალობა და პრობლემა აღიაროთ საკუთარ თავში, ან არა და ვიცხოვროთ ამ პრობლემასთან ერთად, რაც საბოლოოდ დაგაზიანებთ.

რაც შეეხება სისხლიან რევოლუციასა და გადატრიალებას, სააკაშვილის მაგივრად ვერ გიპასუხებთ, თუმცა, გამოვრიცხავ რაიმენაირ სისხლიან გადატრიალებას საქართველოში. ამის დიდი იმედი მაქვს. უფრო მეტიც, ვეჭვობ, სააკაშვილი, საერთოდაც, წავიდეს რევოლუციების გზით – ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ არ შედიან.

მეორე საკითხია, რას აპირებს „რუსთავი 2", თუკი ასეთი მოცემულობა მაინც დადგება. სანამ „რუსთავი 2"-ის დირექტორი ვიქნები, ჩემს დამოკიდებულებასა და განწყობებს მნიშვნელობა ექნება. რა თქმა უნდა, კოლექტივის აზრი გადამწყვეტია და გადაწყვეტილებასაც ერთად მივიღებთ. ამ საკითხზე კოლექტივის აზრიც ვიცი და ჩემი განწყობაც. ასე რომ, შემიძლია გითხრათ – ყველაზე მეტად სახელმწიფო გადატრიალებები მძულს და არასდროს არანაირი სახითა და ფორმით ამაში მონაწილეობას არ მივიღებ, ვინც არ უნდა იდგეს ამის უკან. ეს არის გამორიცხული. მე ვარ იმ თაობის ადამიანი, ვისზეც ძალიან ცუდად იმოქმედა 1991 წლის გადატრიალებამ.

**– აქ საუბარია იმაზეც, რომ „რუსთავი 2" გადასცემდა უკრაინის მოვლენებს და თუკი საქართველოშიც მოხდება იგივე...**

– თუკი საქართველოშიც მოხდება იგივე, იმასაც პირდაპირ ეთერში გადავცემთ. შემიძლია, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ვუთხრა: თუ საქართველო მივა იმ მდგომარეობამდე, რა მდგომარეობაშიც არის უკრაინა, „რუსთავი 2" იქნება ზეკრიტიკული. თუკი ასოცირების შეთანხმების ხელშეკრულება დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ – ეს იქნებ ჩვენი სარედაქციო პოზიციის უმთავრესი წითელი ხაზის გადაკვეთა და რუსთავი ორი იქნება ზეკრიტიკული. და ამას არანაირი კავშირი არა აქვს „ნაციონალურ მოძრაობასთან" – ეს ჩვენი პოზიციაა, როგორც მედიის. ჩვენთვის საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის მთავარი და ამოსავალი წერტილი. თუმცა, მგონია, რომ საქართველოს მთავრობა აქამდე არ მივა, მიუხედავად საკმაოდ გადღაბნილი და არათანმიმდევრული პოლიტიკისა, ამ მირთულებით ასეთი ტრაგიკული განვითარების ნიშნებს საქართველოს მთავრობას ვერ ვატყობ. სულაც არ მინდა იმის თქმა, თითქოს მთავრობას უფლება არა აქვს, ჰქონდეს ასეთი სტრატეგია – უპირატესობა მიანიჭოს ნახევარზომებს. რა თქმა უნდა, აქვს და ესეც არის ერთ-ერთი დამოკიდებულება, რომ სჯობს, მოამრგვალო ბასრი კუთხეები. მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერში ასეთი მიდგომა გამართლებული არ არის, ზოგ შემთხვევაში პოზიცია მკაფიოდ უნდა დაფიქსირდეს. ცხადია, ჩემი ეს პოზიცია „რუსთავი 2"-ზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენს. აქ სარედაქციო პოზიცია გუნდურად ყალიბდება.

**– თქვენ კი ამბობთ, რომ დასრულდა ეს 9 წელი, ამას ამბობთ, მაგრამ რამდენად რეალურია ამ პოლიტიკური ზეგავლენისგან განთავისუფლება?**

– ეს ერთ დღეში არ ხდება. თუმცა, პირადად ჩემთვის მთავარი განმაპირობებელია ჩემი სამუშაო. მე მაქვს ჩემი სამუშაო და ნებისმიერ ვითარებაში ის უფრო წინ დგას, ვიდრე ჩემი მეგობრული კავშირები. შეიძლება, ბევრმა თქვას, რომ ეს ცუდია, მაგრამ მე ასეთი ვარ. იმიტომ არა, რომ კარიერისტი ვარ, უბრალოდ, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ის პასუხისმგებლობა, რომელსაც საზოგადოებისა და კონკრეტული ადამიანების წინაშე ვიღებ. სხვათა შორის, ჩემი ნაციონალი მეგობრები საკმაოდ ხშირად სულაც არ არიან კმაყოფილი რუსთავი ორით და ჩემით, მაგრამ რას ვიზამთ.

**– სოციალურ ქსელებში ხშირად ისმის ხოლმე კითხვა: გვარამიამ ხომ არ გვიღალატაო...**

– ეს არხი უნდა მოსწონდეს საზოგადოებას. თუ ის ჩემი ან რომელიმე ერთი კონკრეტული პოლიტიკოსის ინტერესების გამომხატველი იქნება, მაშინ არხი არ მოეწონებათ, მით უფრო ის ვერ იქნება მედიალიდერი. საზოგადოება დროულად უნდა იღებდეს დაბალანსებულ და სრულყოფილ ინფორმაციას.

**– სოციალურ ქსელებში „რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ შავი პიარიც კი გაჩნდა...**



– რაც აქ ვარ, „რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ კამპანია სულ მიმდინარეობს, ჩემს დაჭერასაც სწორედ ამ კამპანიას ვუკავშირებ, ერთმნიშვნელოვნად ესეა. განსაკუთრებით მწვავე და თანმიმდევრული ამ კამპანიაში ექსპრემიერი ივანიშვილია, რომელიც ყველა გამოსვლაში ამბობს, რომ არხის მესაკუთრეები სხვები არიან და უნდა იჩივლონ და წაართვან არხი ამჟამინდელ დამფუძნებლებს. „რუსთავი 2"-ის მესაკუთრეებზე საუბარი 10 წელია მი-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ომარეობამდე, რა მდგომარეობაშიც არის უკრაინა, იქნება ზეკრიტიკული“



**ნიკა გვარამია: „ყველაზე მეტად სახელმწიფო გადატრიალებები მძულს და არასდროს არანაირი სახითა და ფორმით ამაში მონაწილეობას არ მივიღებ, ვინც არ უნდა იდგას ამის უკან“**

# „არ შეიძლება, მედიამ თავი დააფიქსიროს, როგორც მხარემ და გახდეს, თუნდაც, „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“

## EXCLUSIVE

მდინარეობს. მაგრამ ექსპრემიერი რატომ ლაპარაკობს და აქეზებს, ესაა მთავარი შეკითხვა. იყო ცალკეული შემთხვევები, როცა სპონსორებმაც შეიკავეს თავი, მაგრამ იმდენად დიდია „რუსთავი 2“-ის უპირატესობა, რომ, უბრალოდ, წარმოუდგენელია „რუსთავი 2“-თან ურთიერთობა არ ჰქონდეს ნებისმიერ ნორმალურ და არადაინტერესებულ მხარეს.

**– თქვენ არ უპასუხეთ შეკითხვის მეორე ნაწილს, კვესიტაძე-პაიჭაძესთან დაკავშირებით...**

– ჯერ ერთი, ჩვენ არავინ არ აგვიყვანია. მოლაპარაკებები რამდენიმე ცნობილ სახესთან მიმდინარეობს, მათ შორის, ვინც თქვენ დაასახელეთ, იმათგან მხოლოდ ერთთან. საუბრები მიმდინარეობს, დიახ, ეკა კვესიტაძესთან, თუმცა, გადაწყვეტილებებს ასე მარტივად არ ვიღებთ. ეს არის ტელევიზია, ცოცხალი ორგანიზმია და რესურსები შეზღუდულია. მათ შორის, ცნობილი ჟურნალისტებისა და ცნობილი სახეების. რატომ არ უნდა დავინტერესდეთ მათით, ვინც პოტენციურად შეიძლება სასარგებლო იყოს ჩვენთვის? ჩვენ მოლაპარაკებები გვაქვს სხვა არხების ჟურნალისტებთან და სახეებთან. კომერციაა, ვცდილობთ, ყველაზე საინტერესო პროგრამები აქ გაკეთდეს.

**– „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ კამპანიაზე ვსაუბრობდით, ითქვა, რომ არის ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი მხარე – გვარამია და დანარჩენები.**

– ეს აბსურდია. შეიძლება კონკრეტულ საკითხებზე – მაგალითად, არხზე ვინმეს მოყვანასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრები იყოს, მაგრამ აქ არანაირ დაპირისპირებაზე საუბარი არ არის. შესაძლოა ვინმეს ამისი სურვილი ჰქონდეს, მით უმეტეს, ამის გარკვეული გამოცდილება არსებობს, გახსოვთ ალბათ „რუსთავი 2“-დან ცნობილი ჟურნალისტების წასვლები ან ეთერიდან გაქცევები. ახლა ამის ალბათობაც არ არის, თუმცა როცა ასე მოხდა, რა დააკლდა „რუსთავი 2“-ს? – როგორც იყო ლიდერი, ისევე დარჩა. ვინც წავიდა – იმათი სახელები ისტორიამ შემოინახა, ალბათ, მაგრამ მეტი არაფერი.

**– ეს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იყო, სხვათა შორის..**

– ორ ნაკადად მოხდა ეს...

**„ჩვენ მოლაპარაკებები გვაქვს სხვა არხების ჟურნალისტებთან და სახეებთან“**

**– პირველი ნაკადი მაშინდელი ხელისუფლებისგან იყო ხელშეწყობილი? მაშინ ითქვა, რომ ხელისუფლებას აღარ აწყობდა ეკრანზე ის ჟურნალისტები, ვინც „ვარდების რევოლუციაში“ მონაწილეობდნენ...**

– მარტივია, რევოლუციაში ტელევიზიამ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს როგორც უშუალო მხარემ. ის შეიძლება იყოს რაღაც ფასეულობების ერთგული და შესაბამისად აღმოჩნდეს კონკრეტულ მხარესთან ფასეულობით კავშირში. თუმცა აქაც ძალიან მყიფე ხაზია, რომლის გადაბიჯება სერიოზულ ზიანს აყენებს მედიას. „რუსთავი 2“ არავის დროშობას არ აპირებს. ეს არის მედია, რომელიც ყველაზე უკეთ და ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გააშუქებს პროცესებს, და ეს თუ ვინმეს გააღიზიანებს, ეს მისი პრობლემა იქნება.

**– „რუსთავი 2“-დან წასვლა იყო ის ფასი, რომელიც მათ ტელევიზიიდან წასვლით გადაიხადეს?**

– არ შეიძლება, როგორი მომგებიანიც არ უნდა იყოს ვითარება, მედიამ თავი დააფიქსიროს, როგორც მხარემ და გახდეს, თუნდაც, „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“. ბარიკადის რომელიმე მხარეს თავის დაყენება, არა მგონია, სწორი იყოს. თუ წყალგამყოფი იქნება ევროინტეგრაცია თუ ევრაზია, რაც პრაქტიკულად ნიშნავს არჩევანს საქართველოს დამოუკიდებლობასა და საბჭოთა კავშირში დაბრუნებას შორის, მაშინ ჩვენი აქცენტები გაცილებით მკაფიო იქნება, რა თქმა უნდა. ამ შემთხვევაში ჩვენ მკვეთრი პოზიციონირება გვექნება და დავდგებით დამოუკიდებლობის სადარაჯოზე. თუმცა, არა მგონია ასეთი სცენარით განვითარდეს მოვლენები.

**– სახელისუფლებო პირი ახსენეთ, რა მოთხოვნები აქვს ახალ ხელისუფლებას პიართან მიმართებაში?**

– ურთიერთობები გვაქვს ყველასთან... მოთხოვნები ვერ ექნებათ, მოთხოვნებით არ ვმოძრაობთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი გადაწყვეტილებები, ზოგჯერ საკმაოდ დისკომფორტული. მაგრამ ვერავინ დაგვადანაშაულებს არათანმიმდევრულობაში. მაგალითდ, ალბათ, გახსოვთ, ოფიციალური პირების საახალწლო მილოცვებზე უარი. ჩვენ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ შარშან. რა თქმა უნდა, მთავრობის მხიდან იყო მსუბუქი უკმაყოფილება, თუმცა, ძალიან კორექტულად გამოხატული – მოიკითხეს, უბრალოდ, გვთხოვეს, აგვეხსნა, რატომ არ გავუშვით ეთერში. ავუხსენით და მიიღეს ეს ახსნა, შესაძლოა, არ ესიამოვნათ, მაგრამ ამით ამოიწურა ეს საკითხი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იანუკოვიჩი მიდი













## კიევის მაიდანი თინა ხიდაშელმა ბურჯანაძის „მაიდანს“ შეადარა

ქეთი ხატიაშვილი

**პოლიტიკური კრიზისი უკვე დაძლეულია. უკრაინაში 2004 წლის კონსტიტუცია ამოქმედდება, რაც საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლას გულისხმობს. შეიქმნება დროებითი მთავრობა და დაინიშნება ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. ასე რომ, ის, რაც შეუძლებელი ჩანდა, გარდაუვალი გახდა. იანუკოვიჩმა პოზიციებიც დათმო და არჩევნებში მონაწილეობის მორალური უფლებაც დაკარგა, თუმცა, ექსპერტები უკრაინაში დანამდვილებით ვერ ამბობენ, რას მოიმოქმედებს უკრაინის, ალბათ, შეიძლება ითქვას, გადამდგარი პრეზიდენტი. ანუ, მიიღებს თუ არა ის მონაწილეობას არჩევნებში.**

სხვათა შორის, თავის დროზე რომ მიელო ასეთი გადაწყვეტილება იანუკოვიჩს და მაიდანზე კრიზისის მოახლოებისთანავე გადამდგარიყო, ხელახლა არჩევის შანსი, ალბათ, ჰქონდა, თუნდაც, აღმოსავლეთ უკრაინის ხარჯზე.

თუმცა, ახლა როცა სისხლი დაიღვარა და სნაიპერები მშვიდობიან დემონსტრანტებს ესროდნენ, იანუკოვიჩის პოლიტიკურ კარიერაზე საუბარი რთული ხდება. ყოველ შემთხვევაში მას ჯერ შევარდნაძის სიტყვები, – სახლში მივდივარო, არ უთქვამს. ამიტომაც ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ დაბრუნების ამბიცია და ინტერესი ყოფილ პრეზიდენტს ჰქონდეს.

ალბათ, ახლა ყველაზე ნათლად გამოჩნდა, რა აიცილა თავიდან მიხეილ სააკაშვილმა, როცა 7 ნოემბრის მიტინგის დაშლისა და „იმედის“ დახურვის შემდეგ გადადგა. არ იყო გამორიცხული, ვითარება მაშინ თბილისშიც ძალიან დაძაბულიყო, მაგრამ ვადამდელმა არჩევნებმა როგორც პოლიტიკოსების, ისე საზოგადოების ყურადღება ქუჩის აქციებიდან საარჩევნო პროცესზე გადაიტანა.

პარალელი მაიდანზე სხვა ბევრიც გაივლო. და ამ კონტექსტში ყველაზე უხერხულად, ალბათ, მაინც თინა ხიდაშელი გამოიყურებოდა. მან მოულოდნელად თქვა: ასე ვიბრძოდით ჩვენ თავისუფლებისთვის 7 ნოემბერს და 26 მაისს.

საინტერესოა, თუკი 26 მაისი თავისუფლებისთვის ბრძოლა იყო, რატომ არ იყვნენ რუსთაველზე ხალხი და სხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერები, თუნდაც, იგივე რესპუბლიკელები. რატომ უთხრა მაშინ დავით უსუფაშვილმა პირდაპირ დებატებში ნინო ბურჯანაძეს: თუ არ გვეცოდინება ზუსტად, რა გეგმა გაქვს, ჩავთვლით, რომ რაღაც პროვოკაციაა და მონაწილეობას აქციებში არ მივიღებთო, – სწორედ ასე ჟღერდა 26 მაისის წინ ოპოზიციონერი უსუფაშვილის პოზიცია.

ბურჯანაძის „მაიდანზე“ დადგომა მაშინ არავინ მოისურვა. თუნდაც იმიტომ, რომ უკრაინაში ევროკავშირისთვის იბრძვიან, ბურჯანაძე კი იმ ერთადერთი მამაკაცისთვის იბრძვის, ვისაც პუტინი ჰქვია. მაიდანზე სწორედ პუტინის წინააღმდეგ იბრძვიან. ასე რომ, ასეთი პარალელები მაინც შეურაცხმყოფელი იქნება იმ ხალხისთვის, ვინც უკრაინაში თავისუფლებისთვის იბრძვის.

კიევს რომ მივუბრუნდეთ, ახლა მთავარი ხდება, რამდენად მოახერხებს მაიდანი, ანუ ოპოზიცია პროცესების მშვიდობიანად წარმართვას. უკვე საუბრობენ იმაზე, რომ მთავარი პოლიტიკური კრიზისის დაძლევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მშვიდობას და რომ გამოუცდელი, ჭრელი და ამბიციური ოპოზიციისთვის ვითარების გაძლოლა შესაძლოა, დიდი ცდუნებიდან დიდ დაპირისპირებაშიც კი გადაიზარდოს.

თუმცა, ერთხელ ამ ჭრელმა და გამოუცდელმა, როგორც ზოგიერთები მათ უწოდებენ, ოპოზიციამ გამოცდა უკვე ჩააბარა. მაშინ როცა იანუკოვიჩმა ოპოზიციის ლიდერებს თანამდებობები შესთავაზა და მათ შორის პრემიერის პოსტიც. ოპოზიციამ მაშინ თქვა, რომ ხალხი მაიდანზე მათი პოსტებისთვის არ არის გამოსული და რომ მათ სჭირდებათ მყარი გარანტიები, რომ უკრაინას ევროპული მომავალი ნამდვილად ექნება.

ასე რომ, მოლოდინი, რომ ოპოზიცია უკვე მშვიდობიან მაიდანზე გააჩაღებს



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ს, მაიდანი რჩება









მინი ომს, შესაძლოა, არ გამართლდეს.

უკრაინა ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო ახლა დასავლეთისთვისაც და რუსეთისთვისაც. აქვე ვიტყვი, რომ საინტერესოა, როგორ იყენებს ოლიმპიადებს პუტინი საომარი პროვოკაციებისთვის. 2008 წლის ოლიმპიადის დროს ჩინეთში კრემლმა ომი საქართველოს წინააღმდეგ აწარმოა, ახლა უკრაინას დაუპირისპირდა.

მუდმივმა საომარმა ვითარებამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რუსეთისა და ამერიკის ურთიერთობებზეც იმოქმედა. ეგრეთ წოდებული გადატვირთვის პოლიტიკა, რითაც ობამა გამოვიდა, დიდი ხნის წინ ჩაფლავდა, თეთრი სახლი დიდი ხანია, მიხვდა, რომ პუტინი ქვეყანას იზოლაციისკენ მიაქანებს, მსოფლიოს კი – ცივი ომისკენ. მართალია, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ ვაშინგტონმა მაინც გააკეთა მკვეთრი განცხადებები უკრაინის კრიზისზე და მთელი პასუხისმგებლობა პირადად პუტინს დააკისრა:

„ვითარება ასეთია: ერთი ქვეყანა რუსეთის სატელიტი სახელმწიფოა, მეორე სახელმწიფოს მთავრობას რუსეთი უჭერს მხარს, ხალხს კი განსხვავებული შეხედულებები და მომავლის ხედვა აქვს... ბატონ პუტინს სხვაგვარი შეხედულება აქვს ასეთ საკითხებზე (თავისუფლების პრინციპი) და ეს საიდუმლოს არ წარმოადგენს... იმედი მაქვს, დადგება დრო, როდესაც რუსეთი აღიარებს ამ ფასეულობებსა და ინტერესებს, მაგრამ ამჟამად ჩვენ დიდი უთანხმოება გვაქვს...“

პარადოქსულია, რომ რუსეთმა დიდი ფინანსები და ძალისხმევა დახარჯეს ოლიმპიადის უსაფრთხოებისთვის, თუმცა, საკუთარი ხელითვე ააფეთქა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სპორტული თამაშების იმიჯი. ამ იმიჯმა კი, შეიძლება ითქვას, თან ჩაიყოლა ოცნება ევრაზიულ კავშირზე. უკრაინის გარეშე პუტინის გეგმა განუხორციელებელი დარჩება. ამიტომაც იყო ასე მნიშვნელოვანი უკრაინა პუტინისთვის. თუმცა, წინ კიდევ არჩევნებია. კრემლი, რა თქმა უნდა, არავის მოაკლებს ფუფუნებას და თავადაც ჩაერთვება ამ პროცესში საკუთარი ფსონით. მეორე მხარეს დგას ყირიმი და მუდმივად იმით აპელირებს, რომ უკრაინა ორად გაიყოფა.

ასე რომ, რისკები დიდია და ოპოზიციისთვის ახლა ნამდვილი გამოცდა იწყება. მაიდანზე დგომა სხვა პასუხისმგებლობაა, სახელმწიფო მართვის სადავეების ხელში აღება კი – სულ სხვა. სხვათა შორის, ამბობენ, რომ ტიმოშენკოსაც გაუჩნდება არჩევნებში მონაწილეობის შანსი. თუმცა, ექსპერტების განმარტებით, პროცედურები მას ამის საშუალებას უკვე აღარ მისცემს. კლიჩკოს განცხადებით, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები უკვე 25 მაისს დაინიშნა. საქმე ის არის, რომ ვადამდელი არჩევნები იანუკოვიჩს არ დაანიშნინეს, ამ შემთხვევაში ის 90 დღეში უნდა გამართულიყო და ტიმოშენკო პრეზიდენტობისთვის, ალბათ, მოემზადებოდა, მაგრამ არჩევნების ჩატარების ვადა ძველი კონსტიტუციის, ანუ 2004 წლის შესაბამისად, შემჭიდროებულ ვადებში დაინიშნა. ვარაუდობენ, რომ ყოფილი პრემიერი ციხიდან გამოსვლასა და პოლიტიკურ ფორმაში ჩადგომას უკვე ველარ მოასწრებს.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




# თიბისი ბანკში ანაბრების ახალი აქცია დაიწყო

**რამდენიმე დღის წინ, სატელევიზიო ეთერში თიბისი ბანკის ახალი კლიპი გამოჩნდა. ადვილი მისახვედრია, რომ ეს თანამედროვე მუშკეტერებისა და დარტანიანის მორიგი თავგადასავალია - სახალისო და მუშკეტერისეულად გმირული.**

მოკლედ, მათ, ვისაც ჯერ კლიპი არ გინახავთ, გეტყვით, რომ ათოსი, პორთოსი და არამისი ამჯერად უცნაურ თავგადასავალში ეხვევიან - თორნიკე, რომელიც კლიპში მორიგი დარტანიანია, შემთხვევით აღმოაჩენს, რომ კაფედან გამოსულს სხვისი ქურთუკი ჩაუცვამს, საფულე კი თავის ქურთუკში, ჯიბეში დარჩენია. აქედან იწყება თავბრუდამხვევი რბოლა და მუშკეტერები რისი მუშკეტერები არიან, თუ დარტანიანს გასაჭირში არ დაეხმარნენ.

მოკლედ, თორნიკე, რომელიც ბევრი მცდელობის მიუხედავად, თავისი საფულის კვალს კარგავს, მისდა საბედნიეროდ, მუშკეტერებს გადაეყრება და ოპერაცია „ყველა ერთისათვის“, რა თქმა უნდა, წარმატებით მთავრდება. „ფულს არ უყვარს თავგადასავლები, ჯობს ფული ბანკში შეინახო“, - ამ სიტყვებით მთავრდება კლიპი და ამავე კონტექსტში გეტყვით, რომ ფულის ადგილი მართლაც თიბისი ბანკშია, იმიტომ, რომ დღემდე თიბისი ბანკი ლიდერია ფიზიკური პირების ანაბრების ბაზარზე.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, თიბისი ბანკში ყველაზე მეტი ადამიანის ყველაზე მეტი ანაბარი ინახება, რაც იმას ნიშნავს, რომ ფულის შესანახად ის საუკეთესო ადგილია. ეს ადგილი თქვენთვის ისევ ღიაა, მით უფრო, რომ 20 თებერვლიდან ანაბრების ახალი აქცია დაიწყო, რომელიც თანხის ყველაზე მომგებიანად და უსაფრთხოდ შენახვის გარდა, სხვა სარგებელსაც მოგიტანთ.

მათ, ვინც 30 აპრილამდე გახსნის ანაბარს თიბისი ბანკში, საშუალება ექნებათ, ჩაერთონ გათამაშებაში და დასაჩუქრდნენ სხვადასხვა სასიამოვნო პრიზით. აქციაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა თიბისი ბანკში გახსნათ 5 ტიპის ანაბრიდან ერთ-ერთი: ვადიანი, ვადიანი+, ოქროს ანაბარი, ჩემი მიზანი და სადეპოზიტო სერტიფიკატი.

ანაბრის გახსნისთანავე გადმოგეცემათ მომგებიანი ბარათები, რომლის გადაფხეკისას, თუ თქვენ იღბლიანი ხართ, შესაძლებელია, მოიგოთ ამ პრიზებიდან ერთ-ერთი: Macbook Air, iPad mini, iPhone 5C, Samsung Galaxy Note 3, weekend „ლოპოტასა“ და „როიალ ბატონში“, ვაკის საცურაო აუზის 2-თვიანი აბონემენტი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, Yves Rocher-ის სასაჩუქრე კალათა, Svarovski-ს აქსესუარები, TBCinema-ს 2 ბილეთი, Super-ის ჭურჭელი და ღვინო „შატო მუხრანი“.

აქვე გეტყვით, რომ მომგებიანი ბილეთების რაოდენობა დამოკიდებულია ანაბრის თანხის მოცულობაზე. ბილეთების მაქსიმალური რაოდენობა ერთ მეანაბრეზე ოთხია. ანაბრის მინიმალური თანხა 500 ერთეულია (ლარი/დოლარი/ევრო/ფუნტი) ხოლო ვადა - 6 თვე.

ეს შეთავაზება, დარწმუნებული ვარ, უკვე საინტერესოა ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც ფულის დაზოგვის სურვილი და გამოცდილება აქვს, თუმცა თუ თქვენ ჯერ კიდევ იმ კატეგორიას განეკუთვნებით, რომლებიც ფიქრობენ, რომ დასაზოგი ფული არ აქვთ ან დაზოგვას ვერ ახერხებენ, უნდა გაიგოთ უფრო მეტი თიბისი ბანკის ახალი პროექტის „სალომე შელიას ფინანსური რჩევების“ შესახებ.

სასარგებლო რჩევებს გამოცდილი მენეჯერი, კვალიფიციური ბიზნეს კონსულტანტი, წარმატებული მეწარმე და პირადი ფინანსების ექსპერტი, სალომე შელია მოგცემთ. ჩაწერეთ youtube-ზე „როგორ დავზოგოთ ფული“ და სალომე შელია სწორედ ამ თემაზე დაგელაპარაკებათ.

უყურეთ, მიიღეთ სასარგებლო რჩევები, აწონ-დაწონეთ თქვენი შემოსავლები და დაზოგეთ - გახსენით ანაბარი თიბისი ბანკში, ჩაერთეთ გათამაშებაში და მოიგეთ სასიამოვნო პრიზები! აქცია 30 აპრილამდე გრძელდება.

Ⓐ


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პარალელები ევრომაიდანსა და ბურჯანაძის „მაიდანს“ შორის

**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**რამდენად ადეკვატურია პარალელების გავლება უკრაინელი ხალხის ბრძოლასა და 26 მაისს ნინო ბურჯანაძის „მაიდანს“ შორის? იბრძოდა თუ არა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი იმ ღირებულებებისთვის, რისთვისაც ათობით უკრაინელმა გასწირა თავი? ეს კითხვები მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ 7 ნოემბერს, ისევე როგორც 26 მაისს, ქართველი ხალხი თავისუფლებისთვის იბრძოდაო? რას პასუხობს ხიდაშელის ამ განცხადებას, „ნაციონალური მოძრაობა“? ამის გასარკვევად ჩვენ დეპუტატ, გიორგი კანდელაკს ვესაუბრეთ.**

**– უკრაინის მოვლენებზე საუბრის დროს თქვენი ოპონენტები ხშირად ავლებენ პარალელებს 26 მაისთან. იგივე თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ 7 ნოემბერს და 26 მაისს ქართველი ხალხი თავისუფლებისთვის იბრძოდა... რამდენად ადეკვატურია მსგავსი პარალელები?**

– ხალხისთვის სრულიად აშკარაა და ამას ჩემი შეფასებაც არ სჭირდება. ეს არის სრულიად უპასუხისმგებლო და არაადეკვატური შეფასებები. უკრაინელი ხალხი იბრძვის რუსეთის ზეწოლისა და ხელების გადაგრეხის პოლიტიკის წინააღმდეგ. 26 მაისს კი რენეგატ, კოლაბორაციონალისტ ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ საქართველოს ევროპული მომავლისთვის. როგორც თვითონ ნინო ბურჯანაძე საკუთარ ვაჟთან საუბრისას ამბობდა, ამას გეგმავდნენ თბილისში „გრუ“-ს შემოყვანის გზით. არავისთვისაა დასამალი, რომ ქალბატონი ბურჯანაძე არის პირდაპირი მოკავშირე ვლადიმერ პუტინისა. ის ცდილობდა, ჩაეშალა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი აღლუმი. თუ ვინმეს შეუძლია, ამ დესტრუქციულ ძალასა და უკრაინელი ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლას შორის პარალელი გაავლოს, ეს მისი არჩევანია. ის ფაქტი, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ისეთი გამოკვეთილი ფიგურა, როგორიცაა თინა ხიდაშელი, საკუთარი თავის ასოცირებას ახდენს კოლაბორაციონისტ ნინო ბურჯანაძესთან, თავისთავად მრავლისმეტყველია.

**– საზოგადოების ნაწილი შიშობს, რომ უკრაინის შემდეგ პუტინი საქართველოზე ზეწოლას გააძლიერებს... რა საფრთხეები არსებობს ამ კუთხით?**

– რუსეთი უკვე სრულიად სხვაგვარ თამაშს თამაშობს საქართველოში. ღია რუსეთუმე პოლიტიკოსები არიან ჩვენს გვერდით საქართველოს პარლამენტში. შეგახსენებთ, რომ ფრაქცია „ქართული ოცნების“ დიდი ნაწილი იგივე ნინო ბურჯანაძის პარტიიდან მოდის, იქნება ეს ბატონი ჯაჭვლიანი თუ ქავთარაძე. ისინი არ ერიდებიან თავიანთი ანტიდასავლური და სტალინისტური შეხედულებების ტირაჟირებას. ამიტომ იმისთვის, რომ საქართველოს საგარეო კურსის გაბუნდოვანება შეჩერდეს, აუცილებელია ძლიერი პროდასავლური პოლიტიკური ძალის არსებობა, რომლის განადგურებასაც ცდილობს დღეს ხელისუფლება. შეგახსენებ თვითონ ივანიშვილის სიტყვებს, როდესაც მან პირდაპირ თქვა, რომ სურს, ოპოზიცია იყოს არა „ნაციონალური მოძრაობა“, არამედ ნინო ბურჯანაძე.

**– ხელისუფლება ამბობდა, რომ საქართველო აღარ უნდა იყოს უთანხმობის მიზეზი დასავლეთსა და რუსეთს შორის... თქვენ ფიქრობთ, რომ მართლაც აქეთკენ მიდის საქმე?**

– თუ რამე შედეგი მოიტანა „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკამ, არის სწორედ ის, რომ საქართველოს საკითხი ნელ-ნელა ქრება დასავლეთსა და რუსეთს შორის განსახილველ საკითხთა სიიდან. ჩვენ გვახსოვს, რომ მაღალი დონის შეხვედრებზე, საერთაშორისო კონფერენციებზე საქართველო იყო ყოველთვის უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზი რუსეთსა და დასავლეთს შორის, ეს ნიშნავდა იმას, რომ რუსეთთან ჩვენ არ ვრჩებოდით პირისპირ და გვქონდა აქტიური მხარდაჭერა. ეს არის სწორედ „ქართული ოცნების“ პოლიტიკის შედეგი. მიუნხენის ბოლო კონფერენციაზე, მთავარი მესიჯი იყო სწორედ ის, რომ ჩვენ აღარ ვართ პრობლემა. რა თქმა უნდა, ამის ფონზე საქართველოს მეგობრებს გაუჭირდებათ მხარდაჭერის გამოხატვა.

**– თუმცა უახლოეს დღეებში იგეგმება ღარიბაშვილის ვიზიტი შეერთებულ შტატებში, რაც, ერთი მხრივ, ნათლად მეტყველებს მის საგარეო პრიორიტეტებზე...**

– ეს ვიზიტი არის ძალიან დაგვიანებული. წელიწად-ნახევარზე მეტი გავიდა, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია და ამ ხნის განმავლობაში ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან შეხვედრა არ ყოფილა. როგორც ივანიშვილი ამბობდა, ის ამერიკაში არ ჩადიოდა იმიტომ, რომ ტყუილები არ მოესმინა. იმედი მაქვს, პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი დიდი ყურადღებით მოეპყრობა იმას, რასაც ვაშინგტონში ეტყვიან.

**– რაც შეეხება არჩევნებს, პრეზიდენტმა 15 ივნისს დანიშნა ადგილობრივი არჩევნები. მზად ხართ?**

– „ნაციონალური მოძრაობა“ აჩვენებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სრულმასშტაბიანი რეპრესიების ქვეშ ვართ, ჩვენ მაინც ვრჩებით მთავარ ალტერნატივად ამ ხელისუფლებისთვის და თავადაც არ მალავენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის ყველაზე კვალიფიციური ოპონენტი. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, რომ თავად ჩვენმა პარტიამ აჩვენოს ხალხს, რომ მან გამოიტანა დასკვნები საკუთარი შეცდომებისგან. და განუწყვეტლივ შევთავაზოთ სიახლეები, ახალი სახეები და ახალი იდეები. სწორედ ამ ხაზის გაგრძელებაა ის, რომ ყველა დონეზე ჩვენს კანდიდატებს გამოვავლენთ პრაიმერისის გზით.

**– ვის დაასახელებთ თბილისის მერობის კანდიდატად? არის საუბრები, რომ შესაძლოა, გიგი უგულავამ კენჭი არ იყაროს...**

– ეს გადაწყდება პრაიმერისის გზით. წინასწარ რაიმეს თქმა არ მინდა. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ პარტიაში არის კონკურენტული გარემო და რამდენიმე კანდიდატმა გამოთქვა პრაიმერში მონაწილეობის სურვილი.

**„არავისთვისაა დასამალი, რომ ქალბატონი ბურჯანაძე არის პირდაპირი მოკავშირე ვლადიმერ პუტინისა. ის ცდილობდა, ჩაეშალა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი აღლუმი. თუ ვინმეს შეუძლია, ამ დესტრუქციულ ძალასა და უკრაინელი ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლას შორის პარალელი გაავლოს, ეს მისი არჩევანია“**




















**გიორგი კანდელაკი: „ის ფაქტი, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ისეთი გამოკვეთილი ფიგურა, როგორიცაა თინა ხიდაშელი, საკუთარი თავის ასოცირებას ახდენს კოლაბორაციონისტ ნინო ბურჯანაძესთან, თავისთავად მრავლისმეტყველია“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ქართული ბიზნესი ქართული სპორტის გვერდით!

თეა ხომერიკი

**ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ქართველ სპორტსმენებს ქართული ბიზნესიც გვერდში უდგას, ამის პირველი მაგალითი კომპანია „წყალ მარგებელსა“ და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმია. შეთანხმების შედეგად, კომპანია „წყალი მარგებელი“, რომელიც ქართულ ბაზარზე ცნობილია მინერალური წყლებით „ნაბეღლავი“ და „ბახმარო“, ქართველი მძლეოსნების პლატინის სპონსორი იქნება. წინ კი რთული ტურნირებია, ჯერ 2014 წლის ევროპის მძლეოსნობის გუნდური ჩემპიონატი და შემდეგ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ორივე მხარე იმედოვნებს, რომ თანამშრომლობა წარმატებული აღმოჩნდება და ქართველი სპორტსმენები საკუთარ თავს მაქსიმალურად წარმოაჩენენ.**

„ჩვენი კომპანია დაარსების დღიდანვე საკმაოდ აქტიურად უჭერს მხარს ქართულ სპორტს და ზოგადად, ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდას. ჩვენი მისიაა, რომ მაქსიმალურად ჩაერთოს ახალგაზრდობა მსგავს აქტივობებში და შესაბამისად მოხდეს ქართველებისთვის ტრადიციული, თუმცა ამჯერად ნაკლებად პოპულარული სპორტის სახეობების მხარდაჭერა. 17 წლის მანძილზე ჩვენი კომპანია სხვადასხვა აქტივობებით ცდილობდა, წაეხალისებინა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მრავალჯერ ვყოფილვართ შეჯიბრებებისა თუ ფესტივალების სპონსორები, კომპანიის თანამშრომლებიც შესაბამისად უფრო ჩართულები არიან სპორტულ აქტივობებში“, – აღნიშნავს კომპანია „წყალი მარგებელის“ დირექტორი გია გოგოლაძე.

## გია გოგოლაძე: „ბიზნესის ჩართულობა სპორტში ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა...“



**– ბატონო გია, კომპანია „წყალი მარგებელი“ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ისა და „ევროპის მძლეოსნობის 2014 წლის გუნდური ჩემპიონატის მე-3 ლიგის“ პლატინის სპონსორიც იქნება...**

– მოგეხსენებათ, რომ ევროპის ახალგაზრდული ფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპორტული ღონისძიებაა, წლევანდელი ფესტივალი გამორჩეულია იმ კუთხით, რომ მისი ჩატარების ადგილად თბილისი აირჩიეს, ეს საკმაოდ დიდი გამოწვევაა როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ასევე, ქალაქისთვის და ზოგადად, მოსახლეობისთვის, არა მარტო სპორტული, არამედ ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობით. თბილისი თანდათანობით კავკასიაში სპორტული აქტივობების რეგიონულ ცენტრად ყალიბდება, ვითარდება სპორტის სხვადასხვა სახეობა და შენდება თანამედროვე სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურა. ასეთ პირობებში ჩვენი ხედვაა, რომ ქართული ბიზნესი აუცილებლად გვერდში უნდა დაუდგეს მსგავს წამოწყებებს. ინვესტიციის ჩადება და დახმარება დღევანდელი მდგომარეობით ყველაზე მეტად სჭირდება განათლების სისტემასა და სპორტს. „წყალი მარგებელი“ ორივე მხრივ ცდილობს ხელი შეუწყოს ამ დარგების განვითარებას. გარდა სპორტული მხარისა, გასათვალისწინებელია კულტურული და საერთაშორისო ფაქტორებიც, ვინაიდან მსგავსი აქტივობები ყოველთვის ზრდიდა და ხელს უწყობდა ქვეყნის ინტეგრაციას საერთაშორისო თანამეგობრობაში, კულტურული თვალსაზრისით კი ჩვენს ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ თავიანთ თანატოლებს სხვადასხვა ქვეყნებიდან და დამეგობრდნენ მათთან.

**– ასეთი ტიპის საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობა, ალბათ, კომპანიისთვისაც დიდი პასუხისმგებლობაა?**

– დასაწყისშივე აღვნიშნე, რომ ჩვენი კომპანიისა და მისი ბრენდების მისიაა, ხელი შეუწყოს საქართველოში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, მსგავსი აქტივობების გამართვა კი საშუალებას გვაძლევს ჩვენი მისიის რეალურად განხორციელებაში. ეს მართლაც დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა კომპანიისთვის და მისი ყველა თანამშრომლისთვის, ჩვენი მხრივ კი ვიტყვი, რომ ჩვენი მხარდაჭერა არ შემოიფარგლება მხოლოდ ახალგაზრდული ფესტივალის სპონსორობით და მომავალშიც გაგრძელდება.

**– მატერიალურ დახმარებასთან ერთად, რა მისია აქვს თქვენს ჩართულობას ამ საქმეში?**

– ბიზნესის ჩართულობა სპორტში ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. სპორტულმა სამყარომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ამგვარი თანამშრომლობა ორივე მხარისთვის ხელსაყრელი იყოს. შეიძლება ითქვას, მატერიალური დახმარება ჩვენი შეთანხმების ერთ-ერთი, თუმცა არა მთავარი ფაქტორია, ღონისძიებისთვის მოსამზადებელი მთელი პერიოდის განმავლობაში „წყალი მარგებელი“ თავისი არხებითა და სრული დატვირთვით ეცდება ფესტივალის პრომოუშენსა და ახალგაზრდებში ამ შეჯიბრებების შესახებ ცნობადობის გაზრდას, მეორე მხრივ კი, მუდმივად ვაგრძნობინებთ ღონისძიების ორგანიზატორებს, რომ მუდმივად მათ გვერდით ვართ და ჩვენი სახით საიმედო პარტნიორი აირჩიეს.

# ირაკლი ტრიპოლსკი: „ხუმრობით ვთქვი, საგანელიძეს შტაბის უფროსობა ბაბუამისმა კი არ დაუტოვა-მეთქი“

სალომე გოგოხია

**უკვე ცნობილია, რომ თვითმმართველობის არჩევნებზე კოალიცია „ქართული ოცნების“ შტაბს ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე უხელმძღვანელებს. მანამდე ამ პოსტს უმრავლესობის წევრი დავით საგანელიძე ხელმძღვანელობდა. ალბათ, შტაბის უფროსის საკითხი ყურადღების მიღმა დარჩებოდა, რომ არა უმრავლესობის წევრ ირაკლი ტრიპოლსკის განცხადება საგანელიძის მისამართით „საგანელიძეს შტაბის უფროსობა ბაბუამისმა კი არ დაუტოვაო“.**

ამ ერთმა წინადადებამ მედიაში გამოხმაურება ჰპოვა, რაიმე უთანხმოება ხომ არ არსებობს ტრიპოლსკისა და საგანელიძეს შორის, ან უმრავლესობასა და დეპუტატს შორის. მით უმეტეს, რომ წინა არჩევნებზე ერთ-ერთმა გაზეთმა საგანელიძეს ჯაშუშობაშიც კი დასდო ბრალი.

ამ საკითხის გასარკვევად „პრაიმტაიმი“ ორივე დეპუტატს დაუკავშირდა.



**- ბატონო ირაკლი, რატომ გადაწყვიტა პარტიამ, რომ საარჩევნო შტაბს დავით საგანელიძე აღარ უხელმძღვანელებს? მას ამ კუთხით საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს.**

- ბატონი დავით საგანელიძე ერთხელ, ორჯერ იყო შტაბის უფროსი და არ შეიძლება ახლა სხვა რომ იყოს? კახი კალაძე შემდეგ არჩევნებში, რომ შეიცვალოს, რამე მოხდება თუ რა?

**- თქვენ განაცხადეთ, რომ საგანელიძეს ბაბუამისმა კი არ დაუტოვა შტაბის უფროსობა, თქვენს შორის რაიმე უთანხმოება ხომ არ არის?**

- არანაირი უთანხმოება. ჩვენ ძალიან ახლო მეგობრები ვართ. ხუმრობით ვთქვი, საგანელიძეს ბაბუამისმა კი არ დაუტოვა შტაბის უფროსობა-მეთქი. რა საოცარო ხალხი ხართ. ვილაცები რაღაცებს იგონებენ, თითიდან გამოწოვილი ამბავია.

**- პარტიასა და საგანელიძეს შორის ხომ არ აქვს ადგილი რაიმე უთანხმოებას?**

- გარწმუნებთ, რომ დღეის ჩათვლით, პარტიასა და საგანელიძეს შორის არანაირი უკმაყოფილება არ არის. ხვალ და ზეგ რა მოხდება, არ ვიცი, ვანგა არ ვარ. ჩემთან რომ კარგი ურთიერთობა აქვს დღეს და ხვალ-ზეგაც ასე იქნება, ამის გარანტიას გაძლევთ.



რაც შეეხება დავით საგანელიძეს, „პრაიმტაიმთან“ საუბარში ამბობს, რომ კახი კალაძის კანდიდატურა თავად წამოაყენა და კალაძეს იდეალურ ვარიანტად თვლის.

- სანამ კოალიციის პოლიტსაბჭოზე გვექნებოდა საუბარი, ბუნებრივია, შიგნით პარტიაშიც განვიხილეთ ეს თემა. კახის კანდიდატურა მე წამოვაყენე. ყველანაირად კარგი ვარიანტია, რომ შტაბის ხელმძღვანელი იყოს. ვისაც ელემენტარული საარჩევნო გამოცდილება აქვს, მიხვდება, რომ გაუმართლებელია წელიწად-ნახევარში მესამე არჩევნებს ერთი და იგივე ადამიანი ხელმძღვანელობდეს. ეს დაუშვებელია, სრული აბსურდია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ფიზიკურად ძალიან რთულია ამის გაძლოლა.

**- არ შემიძლია არ გკითხოთ ირაკლი ტრიპოლსკის ცნობილ ფრაზაზე, რომელიც საზოგადოებაში განხილვის თემა გახდა.**

- (იცინის) ჩვენ ვართ ახლო მეგობრები და ძალიან მიყვარს. სხვათა შორის, იმავე დღეს, როცა ეს ირაკლიმ განაცხადა, ტელეკომპანია „კავკასიაში“ სტუმრად ვიყავი და მაგაზე მეც ვიხუმრე, ჩემი მეგობარი ტრიპოლსკის სიტყვები მინდა დავიმოწმო, არც ბაბუაჩემს და არც მამაჩემს ანდერძად არ დაუტოვებიათ შტაბის გაძღოლა-მეთქი. მეორეც, მაზოხისტი არ ვარ და არც არაფერი დამიშავებია საიმისოდ, რომ ამხელა ტვირთი ავიკიდო. ირაკლიმ ეს ხუმრობის ტონით თქვა და ამაზე ბევრი ვიხუმრეთ. ჩვენ ახლო მეგობრები ვართ და ყოველთვის ასე ვიქნებით. პირიქით, მადლობა მინდა ვუთხრა მხარდაჭერისთვის.

**- თქვენი ძველი განცხადება უნდა შეგახსენოთ, დეპუტატის მანდატის მოხსნაზე, ძალაში რჩება ეს განცხადება?**

- დიდი მადლობა, რომ მკითხეთ. ზოგიერთმა ჟურნალისტმა ამ თემის არასწორი ინტერპრეტაცია გააკეთა. მე არც ერთხელ არ მითქვამს, რომ შეიძლება მანდატი დავტოვო. მე ჩემი წილი მანდატები ბევრი მაქვს დატოვებული. მე მხოლოდ ერთი რამ ვთქვი, რომ თუ როდისმე პოლიტიკიდან წავალ, ეს ჩემთვის მეოთხე მოწვევის პარლამენტია და მუდმივად პარლამენტში ყოფნას არ ვაპირებ, ალბათ, ჩემს პროფესიას, მედიცინას ან ბიზნესს დავუბრუნდები-მეთქი. რატომღაც, ეს ზოგიერთი ჟურნალისტის მიერ ატაცებული იყო და საგანელიძე პოლიტიკიდან მიდისო. აბა, დავიხოცოთ პოლიტიკაში? მანდატის დატოვებაზე მსგავსი არ მითქვამს. ამაზე მეტ კომენტარს აღარ გავაკეთებ. მე ჩემი ფუნქციები და სერიოზული ვალდებულებები მაქვს და ამ ვალდებულებებს ვასრულებ. მომავალ საპარლამენტო ციკლში ისევ ვიყრი კენჭს თუ არა, ეს ჩემი გადასაწყვეტია და არავისი საქმე არ არის.

**- მთავარ პროკურორზე მინდა გკითხოთ, წინამორბედები თქვენი კრიტიკის ობიექტები ხშირად გამხდარან, როგორ შეაფასებთ ახალ პროკურორს და რა მოლოდინი გაქვთ მის მიმართ?**

- არ ვიტყოდი, რომ კრიტიკის ქარცეცხლში იყვნენ. არჩილ კბილაშვილს დიდ პატივს ვცემ და ვთქვი კიდეც, როცა პოსტი დატოვა. ღირსეულ და პროფესიონალ ადამიანად მიმაჩნია. სამწუხაროდ, ბატონ ფარცხალაძეზე ვერაფერს ვიტყვი. ფაქტობრივად, პროკურორი რამდენიმე დღე იყო. მას არ ვიცნობ და შეხება არ მქონია. უბრალოდ, უკმაყოფილო ვიყავი, იმის გამო, რომ ერთ-ერთი საკითხი, რომელიც მე წამოვაყენე და მივმართე, რომ გამოძიება დაეწყოთ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ ცრუ ბრალდებებზე, ეს საკითხი ვერ დაიძრა. ამაზე მქონდა სერიოზული პრეტენზიები. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ახალი პროკურატურის ხელმძღვანელობას. კერძოდ, გენპროკურორის პირველ მოადგილეს ბატონ შოთაძეს, რომელსაც რამდენიმე დღის წინ შევხვდი. ფაქტობრივად, გამოძიება და საქმის შესწავლა დაიწყო. დაკითხვაც მოხდა. პროკურატურა ყველა იმ ადამიანს დაკითხავს, ვისაც საჭიროდ ჩათვლის. ასე რომ, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის და მინდა, წარმატებები ვუსურვო მომავალ საქმიანობაში.

**- გვითხარით, ვინ დაიკითხა?**

- პირველი მე დავიკითხე, რადგან განცხადება მე შევიტანე. ამ დღეებში ანი მიროტაძეს დაკითხავენ. მე მოვითხოვე ჟურნალისტ ელისო კილაძის დაკითხვა. მან დაწერა, რომ არსებობს ვიდეომასალები. მოვითხოვ, რომ გამოაქვეყნონ. უამრავი დოკუმენტი არსებობს, რომელზეც ჩემი ხელმოწერაა და ტექნიკურად მისი გადატანა, მარტივია. ვინც ამით მანიპულირება დაიწყო, პასუხი აგოს. თუ ეს სიმართლეა, მაშინ საზოგადოებას შესაბამისი მასალები მიაწოდონ. ეს იყო ბინძური ცილისწამება. გაყალბებული დოკუმენტებით გაკეთებული, ბინძური კამპანია პარტიის და პირადად ჩემს წინააღმდეგ, ეს თავადაც კარგად იციან ვინც ეს კამპანია ააგორა, აუცილებლად უნდა გაირკვეს ვისი ინიციატივით მოხდა ეს და ამ ადამიანმა საზოგადოების წინაშე პასუხი აგოს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ექსკლუზიური ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან

ეკა სოსელია

# „პროცესების დაწყებას ორი წელი სჭირდება, რეალური შედეგების მიღწევას კი – 5 წელი“ EXCLUSIVE



რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, ოკუპირებული ტერიტორიები, სოჭის ოლიმპიადა, არაღიარების პოლიტიკა, გზა ევროპისკენ და დეოკუპაციისკენ. ეს ის თემებია, რომელიც აქტუალობას არ კარგავს. ხელისუფლება ფიქრობს, რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების კუთხით დადებითი ტენდენციები არის, მაგრამ ყველაფერი ერთი ხელის მოსმით ვერ მოგვარდება. მაინც რა გზები არსებობს კონფლიქტების მოსაგვარებლად და რა გეგმები აქვს სახელმწიფოს, რა მნიშვნელობა ენიჭება რუსეთისა და საქართველოს პირების პირისპირ აუდიენციას? „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** ესაუბრება.

**– ბატონო პაატა, საკმაოდ დიდი მოლოდინი იყო, რომ თქვენი ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას მოახდენდა. რა ვითარებაა ამ მიმართულებით, და რა გზები არსებობს კონფლიქტების მოსაგვარებლად?**

– რა თქმა უნდა, რეალურია და ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. სააკაშვილი რომ გვპირდებოდა ყოველ წელს ტერიტორიების დაბრუნებას, მგონი, მიხვდით, რომ ეს არარეალური ამბავია. როცა ჩვენ მოვდიოდით ხელისუფლებაში, პირადად მე არჩევნების წინ ვამბობდი, რომ პროცესების დაწყებას 2 წელი დასჭირდებოდა და შემდეგ რეალური შედეგების მიღწევას – 5 წელი. კონფლიქტებში ასე ხდება საერთოდ. თუ ამ მატრიცას ვაღიარებთ, მაშინ გეტყვით, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. ამ წელზე დიდ იმედებს ვამყარებთ. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ის, რომ დამთავრდა კოჰაბიტაციის პერიოდი და ხელშემშლელი ფაქტორები, როცა ერთი ხელით საქმეს ვაკეთებდით და მეორე ხელით სააკაშვილს ვიგერიებდით. თან მარტო სააკაშვილი ხომ არ იყო, უშიშროების საბჭო მათი იყო, გუბერნიები... და ასე შემდეგ. მადლობა ღმერთს, ეს წარსულს ჩაბარდა. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ოლიმპიადა, ოლიმპიური გრავიტაცია, როცა 3-4 წელი რუსეთს ამის გამო გაჩერებული ჰქონდა ყველაფერი კავკასიაში, მოისპობა. რეალური პირობები შეიქმნება, ეს დაახლოებით იგივეა, ექიმი ადამიანს ტელეფონით ელაპარაკება თუ უშუალოდ ჰყავს ადგილზე და იქ სინჯავს, შესაბამისად, შეგვეძლება, კონკრეტული სტრატეგია დავსახოთ უკეთესი ან უარესი რეალობიდან გამომდინარე. ამას ემატება ის, რომ შვეიცარია გახდა ეუთოს თავმჯდომარე ორი წლით. შვეიცარია დაინტერესებული ქვეყანაა, არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, მას სხვა პოლიტიკა ექნება. შვეიცარია ამავე დროს არის შუამავალი ქვეყანა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში. ვგულისხმობ ჟენევის მოლაპარაკებებს და ეს, კარგი გაგებით, ამბიციური და მოტივირებული სახელმწიფოა. ის ეცდება, რაიმე წარმატებას მიაღწიოს. ამას ემატება კიდევ ის, რომ შტაინმაიერი გახდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ის ჩართული იყო 2008 წლის კონფლიქტში. გახსოვთ, ალბათ, მაშინაც მინისტრი იყო და კარგად იცის რეგიონი. ამას ემატება ის, რომ ჟენევის ფორმატში ევროკავშირის თანათავმჯდომარე იცვლება და სხვა იქნება. არ ვიცით, ვინ, მაგრამ იცვლება, ანუ ბევრმა ფაქტორმა ერთად მოიყარა თავი. ამას კიდევ ემატება ის, რომ საქართველოს ევროპული ინტეგრაცია მკაფიო და ცალსახაა. ხელი ეწერება ასოცირებას და ვუდასტურებთ აფხაზებს, ოსებსა და რუსებს, რომ ეს არის ჩვენი მკაფიო გადაწყვეტილება. ანუ ბევრი კომპონენტი შეიკრიბა იმისთვის, რომ ქართული პოლიტიკა კარგად განხორციელდეს. ჩვენი პოლიტიკა არის მშვიდობიანი, არამილიტარისტული, დაძაბულობას არ ვქმნით გამყოფი ხაზის გასწვრივ, პირიქით, ინფრასტრუქტურის მშენებლობა მიდის, დინამიკა არის ის, რაც უკვე ჩანს და რაზეც ლაპარაკი შეიძლება, რომ ოსური მოსახლეობა ხედავს ამ ყველაფერს და საქართველოს ენდობა უფრო მეტად, ვიდრე აქამდე. მართალია, ეს მცირე ნდობაა, მაგრამ ნდობაში უფრო ზრდაა, ვიდრე კლება.

ალიარება-არააღიარება არის 7-8 წლის შემდგომი პერიოდია, ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ ნდობის აღდგენასა და შერიგებაზე. თუ თქვენ ასე პირდაპირ გინდათ, რომ ჩაგვბარდნენ, არ გამოვა, ანუ საჭიროა, რაღაც ნაბიჯები გადაიდგას. დრო სჭირდება ყველაფერს, თუმცა უკვე შეიძლება ითქვას, რომ დინამიკა არის. დინამიკაა ის, რომ ოსური მოსახლეობა გადმოდის სამკურნალოდ, ბიზნესის საკეთებლად, მეზობლებთან, ნათესავებთან... მავთულხლართები მათ წინააღმდეგ გაკეთდა. თავისთავად საშინელი მოვლენაა ეს, მაგრამ გარდა ამისა, არის საინტერესო მოვლენაც. რატომ გაკეთდა ეს? ეს არის აშკარა პასუხი ქართულ პოლიტიკაზე. ეს არის ის, რომ ჩვენ ეს გზა აუცილებლად უნდა გავაგრძელოთ, ჩვენი ახალი პოლიტიკა, რაც გამყოფი ხაზის გასწვრივ სოფლების მხარდაჭერას გულისხმობს. ჩვენ აუჩქარებლად, თანმიმდევრულად უნდა ვიმოძრაოთ შერიგებისკენ, მშვიდობისკენ. არ უნდა ავჩქარდეთ.

**– ხომ არ ფიქრობთ, რომ თითოეულ ნაბიჯს, თუნდაც აუჩქარებელსა და მშვიდობიანს, რუსეთი ისეთივე აგრესიული ქმედებებით დახვდება, როგორიც თუნდაც მავთულხლართების გავლება და საზღვრის გადმოწევაა?**

– მავთულხლართები მათი ყველაზე უსუსური ნაბიჯია, დაგავიწყდათ, როგორი იყო აგრესია 2008-ში? შემოვიდოდნენ თუ არა თბილისში, ამაზე იყო ლაპარაკი და ხალხი სად გარბოდა, არ ვიცოდით. აი, ეს იყო აგრესია. იმის ფონზე, ეს არაფერია, ეს სასაცილო ქცევაა. სააკაშვილის პოლიტიკამ ათასობით ადამიანი დაკარგა, დევნილობაში ჰყავს, ჩვენ კი არც ერთი ადამიანი არ დაგვიკარგავს, ადგილზე ვტოვებთ მათ. რა თქმა უნდა, მავთულხლართები არის სერიოზული გამოწვევა, გათვლილი სააკაშვილის იმპულსურობაზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველო სულ სხვანაირია დღეს და მავთულხლართებს პასუხობს მშვიდობით, სოფლებში გზების მიყვანით. გაზის, ელექტროენერგიის, სასმელი და სარწყავი წყლის მიყვანით, და არა მივარდნითა და სალებავების შესხმით. სულ სხვა პოლიტიკას წააწყდა რუსეთი და მისი აქტიურობა მავთულხლართების დონეზე დავიდა. ეს თავისთავად ცუდია, არ არის კარგი, მაგრამ რა შედარებაა 2008 წლის აგვისტოსთან. ეს ყველაფერი გათვლილი იყო სიტუაციის გამწვავებაზე და გამწვავება რომ ვერ მიიღეს, ეს არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. თან გაიხსენეთ, როდის კეთდებოდა მავთულხლართები, ორჯერ იყო შემოტევა – არჩევნების წინ და შემდეგ ვილნიუსის სამიტის წინ. ორივეჯერ აშკარად უნდოდათ, გამოწვევა ყოფილიყო ისეთი, რომ ან არჩევნების შედეგებზე ემოქმედა ან ვილნიუსში პარაფირებისთვის შეეშალა ხელი. მოსალოდნელია, ასეთი ნაბიჯები გაგრძელდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, მავთულხლართების იქით ველარ მიდიან, რაც თავისთავად ცუდია, ისევ ხაზს ვუსვამ, მაგრამ ეს არ არის ყველაზე საშინელი გამოწვევა.

**– ევროკავშირთან ასოცირების პარაფირებიდან ხელმოწერამდე ელოდებით თუ არა რუსული პროვოკაციების გაძლიერებას? თუ, თქვენი აზრით, რუსეთი შეეგუა ჩვენს ევროპულ არჩევანს?**

– გაიხსენეთ, როგორ ექცეოდა რუსეთი ბალტიის ქვეყნებს. ხელს უშლიდა მათს ევროპულ არჩევანს, მაგრამ, როცა გაწევრიანდნენ, შემდეგ თანამშრომლობა დაიწყეს მათთან, რადგან მიხვდნენ, რომ სჯობს, იმეგობრო, ვიდრე მტრულად განწყობილი გყავდეს. რუსეთმა ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური შეცდომა ბოლო 50 წლის განმავლობაში დაუშვა ის, რომ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და ამით მოიჭრა კავკასიაში ყველანაირი გზა, რომ ჰქონდეს გავლენები. საქართველომ „აიწყვიტა“ და ნატოსკენ და ევროკავშირისკენ უკვე მკაფიოდ მიდის. რუსეთმაც შეგუება დაიწყო. გააცნობიერა, რომ საქართველო მაინც ადგას ამ გზას და სჯობს, ევროკავშირისა და ნატოს წევრ სახელმწიფოსთან კარგი ურთიერთობა გქონდეს, ვიდრე ცუდი.

ამას ჩვენ, რა თქმა უნდა, ვხედავთ, შესაძლოა, დავეხმაროთ კიდეც რუსეთს, ბოლომდე არ ჩავუჭრათ გზები, რომ კარგი ურთიერთობები ჰქონდეს ნატოსა და ვეროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, ოღონდ, რა თქმა უნდა, მისგან გვჭირდება მკაფიო ნაბიჯები, როგორიც არის აღიარების უკან წაღება.

საქართველოს ევროპული არჩევანი აფხაზებსა და ოსებს ესიმპათიურებათ კიდეც. თუ გადავხედავთ, აფხაზები სოციალურ ქსელებში აქტიურობენ, მე სხვა კავშირებიც მაქვს, დახურულ სეგმენტებშიც შევდივარ და მათთვის, სულ მცირე, ეს საინტერესოა. თუკი აფრიკული ქვეყნების მოქალაქეების არჩევანი სიკვდილი ან ევროპაა, მათი არჩევანი რუსეთსა და ევროპას შორის დგება და, მგონი, რთული ასარჩევი არ არის. ამიტომ ჩვენ მათ, უბრალოდ, საქართველო კი არა, ევროპული საქართველო უნდა შევთავაზოთ. ღრუბლები რუკაზეო, – ყველაფერი ეს ჩხირკედელაობაა, ეს ხომ იმიტომ კეთდება, რომ წყობიდან გამოგიყვანონ! როცა ამას ვერ ახერხებენ, ყველაფერი ჰაერში ეკიდება. რა დროს ღრუბლებზეა ლაპარაკი, როცა ჯარები დგას აფხაზეთის ტერიტორიაზე. აი, ამაზე უნდა ვიმუშაოთ ჩვენ და პანიკაში არ უნდა ვვარდებოდეთ, როცა ღრუბლებს დავინახავთ საქართველოს რუკაზე.

**– თქვენ ამბობთ, რომ რუსეთს სხვა გზა არ რჩება და ეგუება საქართველოს ევროპულ არჩევანს, თუმცა უკრაინაში სულ სხვაგვარად განვითარდა მოვლენები და აშკარად გამოჩნდა, რომ რუსეთი არათუ შეეგუა, არამედ სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ სამოქალაქო ომამდე მივიდა.**

– უკრაინაში სხვა რესურსები აქვს რუსეთს. იქ საზოგადოება ორად არის გაყოფილი. ჩვენთან, მადლობა ღმერთს, სხვა ვითარებაა. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებმა ეს დაადასტურა, როცა მოსახლეობამ ხმა მისცა პირველ ორ ძალას, რომელიც არის პროევროპული, ანუ „ქართულ ოცნებას“, ჩემდა საამაყოდ, და „ნაციონალურ მოძრაობას“, ჩემდა სამარცხვინოდ, რომელსაც არაფერი გაუკეთებია ევროპისთვის, გარდა იმისა, რომ ქვეყანა დააზარალა, თუმცა მუდმივად აკეთებდა აქცენტს პროევროპულ კურსზე. ანუ, ჯამში, მოსახლეობის 90%-ის ხმა ამ პოლიტიკურ ძალებზე გადანაწილდა. ეს არის მკაფიოდ გამოხატული ხალხის აზრი, რომ მათ უნდათ ევროპისკენ სვლა. უკრაინაში კი სხვა დასაყრდენი აქვს რუსეთს.

**– ჩვენ გაკვრით ვახსენეთ სოჭის ოლიმპიადის თემა, თუმცა მინდა, კიდევ დავუბრუნდეთ მას. საზოგადოება ორად იყო გაყოფილი, დიდი ხნით ადრე დაიწყო განსჯა – უნდა მიგვეღო თუ არა მონაწილეობა ოლიმპიადაში, მით უმეტეს, რომ განსაკუთრებული წარმატების მიღწევის მოლოდინიც არ არსებობდა..**

– მე სპორტული მიღწევები არ მაინტერესებს, თუმცა, როცა დაფიქრდები, რომ მსოფლიოში მოთხილამურეებს შორის 50-ეულში ხართ, მგონი, არ არის ცუდი და კმაყოფილების შეგრძნება გეუფლება. მე სხვა კონტექსტში განვიხილავ ამ ოლიმპიადის მნიშვნელობას. ქულები ჩაიყრება საქართველოს ყულაბაში, რომ მან ხელი შეუწყო რეგიონის უსაფრთხოებას და მონაწილეობა მიიღო ისეთ მნიშვნელოვან პროექტში, როგორიც ოლიმპიადაა, რომელსაც რუსეთი კი არ ატარებს, არამედ რუსეთში ტარდება! საქართველომ მიიღო მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობები ამ ქვეყანასთან, მიუხედავად ოკუპაციისა და მსოფლიოს ინტერესები უფრო მაღლა დააყენა. ამიტომ ეს არის დიდი მონაპოვარი. ჩვენ კიდევ ღრუბლებზე ვლაპარაკობთ. წარმოიდგინეთ, მონაწილეობა რომ არ მიგვეღო, რამდენად მეტი იქნებოდა პროვოკაცია, სპექტაკლებიც დაიდგმებოდა და ბევრი სხვა რამეც... გაუჭირდებოდათ, რომ პირდაპირ შემოეხაზათ ფანქრით აფხაზეთი და ოსეთი? მაგრამ არა, იფიქრეს, ტვინი იჭყლიტეს, როგორ გაეკეთებინათ ეს. სხვა ქვეყნის რუკებიც ვნახე, სადაც ასევე ჩანდა ღრუბლები, მაგრამ არა მაინცდამაინც სადავო ტერიტორიებზე. თუმცა ასე პირდაპირ ვერ შეედავები, სასაცილოდ გამოჩნდები, გაჩვენებს სხვა რუკებს და გეტყვის, რომ აი, აქაც არის ღრუბლებიო, თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს შეგნებულად გააკეთეს.

ოფიციალური დელეგაცია არ წასულა სოჭში და არც უნდა წასულიყო, ეს არის სპორტული შეჯიბრი, ჩვენ ოლიმპიადაში ვმონაწილეობთ, მაგრამ, რადგან რუსეთთან გვაქვს პრობლემები და ეს ტარდება რუსეთის ტერიტორიაზე, ამიტომ ოფიციალური დელეგაცია, რა თქმა უნდა, არ დაესწრებოდა მას.

**– ასევე, განსჯის საბაბი გახდა სოჭის ოლიმპიადაზე ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო ლიდერების გამოჩენა.**

– ისინი იქ კერძო პირების რანგში იყვნენ. რა თქმა უნდა, ცხინვალისა და აფხაზეთის პრესა დაწერდა, რომ ოფიციალური პირების რანგში წავიდნენ, მაგრამ ოფიციალური დელეგაცია იცით, ვინ იყო? ვისი დროშაც იყო აწეული, იქ ოსური და აფხაზური დროშა არავის აუწევია, რადგან მათს დამოუკიდებლობას არავინ აღიარებს. შევხედოთ ტენდენციას, მიჰყავთ ეს ადამიანები კერძო პირებად და შემდეგ ფორმდება, რომ ვითომ იყვნენ ოფიციალური სტუმრის სტატუსით, მოდით, დავცინოთ ამ ყველაფერს.

**– პრეზიდენტმა პუტინმა მზადყოფნა გამოთქვა, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილს შეხვდეს. ამას ქართული მხარის დასტურიც მოჰყვა. თქვენი აზრით, შედგება თუ არა ეს შეხვედრა და რა მნიშვნელობას ანიჭებთ მას?**

– ორივე მხარემ უკვე განაცხადა მზადყოფნა შეხვედრისთვის, მზად არის სამუშაო ჯგუფიც, კარასინი-აბაშიძის ფარგლებში რომ მოილაპარაკონ დეტალებზე, ანუ არაფერი უდგას წინ იმას, რომ დაიწყოს ტექნიკურ საკითხებზე საუბარი. სად შევხვდეთ, როგორ შევხვდეთ, რაზე ვილაპარაკოთ... მთავარია, რომ არც ერთ მხარეს არ უთქვამს უარი. ადრე თუ გვიან, კონფლიქტში მყოფი მხარეები აუცილებლად მაღალ დონეზე ხვდებიან ერთმანეთს, იმედია, შეხვედრა შედგება და მას სერიოზული პროცესის დაწყება მოჰყვება.

**– თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ ეს არ უნდა იყოს შეხვედრა შეხვედრისთვის და მას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება მნიშვნელობა, თუ დეოკუპაციაზე იქნება საუბარი.**

– დეოკუპაცია დიდი პროცესია, პირველი შეხვედრა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მერე აღმოჩნდეს, რომ შეხვედრები კიდევ ღირს. უფრო მეტად მას ფორმალური ხასიათი ექნება, მე მახსენდება გორბაჩოვისა და რეიგანის შეხვედრა, შტატებისა და საბჭოთა კავშირის ლიდერები მაშინ გულნაკლულები დარჩნენ, მაგრამ მიხვდნენ, სად თანხმდებიან და სად – ვერა. ასე იქნება ამ შემთხვევაშიც, ღრმად მწამს, რომ შეხვედრის შემდეგ ბედნიერი არც ერთი მხარე არ იქნება, კითხვებიც დარჩება, მაგრამ პირველმა შეხვედრამ უნდა მოიტანოს შემდეგი შეხვედრების პერსპექტივა. აი, იქ უკვე დეოკუპაციაზე უნდა იყო საუბარი. პირველივე შეხვედრაზე ამ თემის განხილვა ნიშნავს იმას, რომ ლაპარაკი არ გინდა. დეოკუპაცია ერთი შეხვედრით არ წყდება, ეს ხანგრძლივი პროცესია.

## არსებობს თუ არა კონფლიქტების მოგვარების გზები?



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# WAZZUP GEORGIA- სიახლე ქართულ საბროკერო ბაზარზე

ეკა წივწივაძე

**უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავება არც თუ ისე მარტივად მოსაგვარებელი საკითხია. ამ მომსახურებას საქართველოში რამდენიმე ათეული საბროკერო ფირმა და კიდევ უფრო მეტი მაკლერი ახორციელებს. ინტერნეტ სივრცეში კი 77-ზე მეტი საძიებო საიტია.**

თუმცა თუ ერთხელ მაინც დაგჭირვებიათ ბინის, სახლის, აგარაკის შეძენა ან გასხვისება, თავადაც დარწმუნებული იქნებით, რომ მსგავს საიტებზე მოცემული ინფორმაცია სრულყოფილი არ არის. ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილზე მისულს შესაძენი ფართი უკვე სხვის მიერ შეძენილი გხვდება. არაფერს ვამბობ იმ შემთხვევებზე, როდესაც უკვე ორჯერ გასხვისებული საცხოვრებელი კიდევ ერთხელ იყიდება.



## „საქართველო მზადაა ამ სიახლისთვის“



მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად ქართულ ბაზარზე ახალი კომპანია Wazzup Georgia შემოვიდა. კომპანიის პრეზენტაცია 20 თებერვალს „თბილისი ივენთ ჰოლში“ შედგა.

„მე და ჩემი პარტნიორი 10 წლის მანძილზე, ამერიკაში უძრავი ქონების შემფასებლებად ვმუშაობდით. საქართველოში დაბრუნების შემდეგ გვინდოდა ახალი სისტემის დანერგვა. ჩვენ ვქმნით ჩაკეტილ პროგრამას რომელზეც წვდომა მხოლოდ ბროკერებს ექნებათ. სიახლის არსი შემდგომში მდგომარეობს - ყველა გასაყიდი ქონება მოხვდება ერთ სისტემაში, ერთ სივრცეში. ეს იქნება დაზუსტებული, გადამოწმებული მონაცემები. შესაბამისად, ეს პროგრამა კლიენტსაც და ბროკერსაც გაუადვილებს უძრავი ქონების შეძენასაც და გასხვისებასაც. ეს საკმაოდ რთული ტექნოლოგიაა. დიდი ინვესტიცია სჭირდება. სწორედ ამიტომ დავუკავშირდით კომპანია wazzup-ს რომელიც ამ სფეროში წამყვანი კომპანიაა“,-აცხადებს Wazzup Georgia-ს რეგიონალური ხელმძღვანელი **მიხეილ ძაგნიძე**.



კომპანიის დამფუძნებლებს უკვე ჩატარებული სამუშაოები თითქმის სამი მილიარდი ევრო დაუჯდათ. როგორც Wazzup Georgia -ს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ნიკა ურუშაძემ „პრაიმტაიმს“ განუცხადა, ქართველ ბროკერებს მსგავსი პროგრამის შექმნის იდეა წარსულშიც ჰქონდათ.

„საქართველოში არსებული საბროკერო კომპანიების გარკვეული ნაწილი უკვე მზად არის მსგავსი ინოვაციისთვის. მათ თავადაც სურდათ ამ სისტემის შექმნა, მაგრამ ეს პროგრამა ძვირი სიამოვნებაა. ნიადაგი სიახლისთვის უკვე მომწიფებულია. საბროკერო კომპანიებს კი, რომლებიც ცოტათი ჩამორჩნენ განვითარებას, ჩვენ დავატრენინგებთ და გადავამზადებთ“,**-განაცხადა ნიკა ურუშაძემ.**



„პრაიმტაიმი“ დაინტერესდა ხომ არ არის საფრთხე, რომ Wazzup Georgia ბაზარზე მონოპოლისტი გახდეს. დამფუძნებლების განმარტებით ამის საშიშროება არ არსებობს.

„ჩვენ თვითონ არ ვართ ბროკერები, არ ვახდენთ ყიდვა-გაყიდვას. მხოლოდ სისტემის მომწოდებლები ვართ. ბროკერებს ვაკავშირებთ ერთმანეთთან და ვეხმარებით ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაში“,-აღნიშნავენ ისინი.



რამდენად მზადაა ქართველი კლიენტი იმ სიახლისთვის, რასაც მათ Wazzup Georgia სთავაზობთ? - „პრაიმტაიმის“ ამ კითხვას wazzup internationalis **დამფუძნებელმა გერბერ ნიჯმეიჯერმა უპასუხა:**

„იმ საზოგადოებაში სადაც სიახლის შიშია, სიახლე ვერც დაინერგება. როდესაც Apple-ი „აიფონს“ ქმნიდა, მაშინ ყველას ღილაკებიანი ტელეფონი გვქონდა და ვერავის წარმოგვედგინა, რომ „აიფონის“ მოხმარება შესაძლებელი იქნებოდა. დღეს კი ყველას „აიფონი“ გვაქვს. ამ შემთხვევაშიც ასე იქნება - საქარველო მზადაა ამ სიახლისთვის“.



Ⓐ

# თვითმმართველობის არჩევნები – რა შემთხვევაში დამარცხდებიან ნაციონალები

ხათუნა მგალობლიშვილი

**„ჩვენ არ დავუშვებთ არჩევნებით მანიპულირებას, ამიტომ ხელისუფლებას ვურჩევ, მოემზადონ. მომზადება ძალიან კარგი პროცესია“, – ნინო ბურჯანაძე ბრძოლისთვის მზად არის. მით უფრო მაშინ, როდესაც არჩევნების თარიღი პრეზიდენტმა თითქმის ოთხი თვით ადრე აცნობა ოპოზიციას. არასაპარლამენტოები პირობას დებენ, რომ ერთიანი კანდიდატით წარდგებიან და მინიმუმ ნაციონალებს მაინც დაამარცხებენ. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ამის იმედი თავადაც არ აქვთ. მაგალითად, ნინო ბურჯანაძე კი ადასტურებს კონსულტაციებს, მაგრამ იქვე ამატებს, რომ გაერთიანება-არგაერთიანება ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ნინოს ამბიციები ისევ ძველებურად თავის სიმაღლეზე დგას. სავარაუდოდ, როგორც ადრე, ამჯერადაც სწორედ ის იქნება ყველაფრის ჩამშლელი.**




**პალიკო კუბლაშვილი: „უმრავლესობას აქვს სერიოზული შიში, რომ ვერ გადალახავენ 50%-იან ბარიერს... სწორედ ამიტომ მიმართავენ წინასწარი პატიმრობის მეთოდებს ჩვენი კანდიდატების მიმართ“**

ვის აწყობს ყველაზე მეტად არასაპარლამენტოების ვერგაერთიანება? ამაზე ეგრეთ წოდებულ ქუჩის ოპოზიციას ერთი პასუხი აქვს – რა თქმა უნდა, ნაციონალებს. საპარლამენტო უმრავლესობაში კი თავად თემა არ აინტერესებთ. მათთვის, როგორც აღმოჩნდა, სულერთია, ვინ იქნება წარმოდგენილი მთავარ ოპოზიციურ ძალად – დასავლური ორიენტაციის თუ პრორუსი... ყოველ შემთხვევაში ასე თინათინ ხიდაშელი ფიქრობს და აცხადებს, რომ ისეთ ოპოზიციას შეეგუებიან, როგორსაც საზოგადოება აირჩევს...

**თინა ხიდაშელი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი:**

– ჩემი საქმე არ არის იმის გარჩევა, მოახერხებს თუ არა არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთიან კანდიდატზე შეჯერებას. წარმატებას ვუსურვებ ნებისმიერ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში, რომელსაც ისინი მიიღებენ: ერთად და ცალ-ცალკე. ეს მათი საქმეა და მათი ამოცანები.

**– თავის დროზე ყოველთვის ამბობდნენ, რომ ბურჯანაძის ამბიციები შლიდა ერთობას...**

– როდესაც ჩვენ ოპოზიციაში ვიყავით მაშინ ბურჯანაძე ხელისუფლებაში იყო. უკვე შემდეგ, როდესაც ის ხელისუფლებიდან წამოვიდა, ჩვენი პოლიტიკური გზები არასოდეს გადაკვეთილა. ის რომ აქციებზე ერთად ვიდექით, არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური თანხვედრა გვქონდა ქვეყნის მომავლის ხედვებში. იმ კონკრეტულ მომენტში ჩვენი პოლიტიკური თანხვედრა გამოიხატებოდა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ნინო ბურჯანაძე ვერასოდეს იქნებოდა „რესპუბლიკელების“ კანდიდატი, ისევე როგორც პირიქით. ამიტომ აქ არაფერ შუაშია პიროვნული და ინდივიდუალური დამოკიდებულებები, აქ საუბარია პოლიტიკურ ხედვაზე.

**– მიგაჩნიათ, რომ „გაერთიანებული ოპოზიცია“ ნაციონალებს სერიოზულ ოპონირებას გაუწევენ?**

– არ ვიცი, არც ეს არის ჩემი პრობლემა და ჩემი საქმე. ეს არასაპარლამენტო ოპოზიციისა და „ნაციონალური მოძრაობის“ საანალიზო, საფიქრალი და სადარდებელია.

**– თქვენთვის, როგორც უმრავლესობის წევრისთვის, სულერთია, ვინ იქნება მთავარ ოპოზიციად წარმოდგენილი?**

– საქართველოში არ არის ის ვითარება, როდესაც სახელმწიფომ განსაკუთრებული დრო უნდა დაუთმოს ოპოზიციაზე ფიქრს. ეს იყო ზუსტად წინა ხელისუფლების პრობლემა, ისინი თვლიდნენ, რომ ხელისუფლებას მარტო იმაზე უნდა ეფიქრა, ვინ იქნებოდა მათი მთავარი ოპონენტი. სწორედ ამიტომ დანიშნა თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა თავის ოპოზიციად გიორგი თარგამაძე. ჩვენ არ ვაპირებთ ოპოზიციის დანიშვნას. შესაბამისად, არ არის ჩემი საფიქრალი, ვინ იქნება ძლიერი ოპოზიციური ძალა.

**– როდესაც გკითხეთ, მნიშვნელობა აქვს თუ არა, ვინ იქნება მთავარი ოპოზიციური ძალა, ვიგულისხმე პროდასავლური ან პრორუსული... ანუ თქვენთვის სულერთია, ოპონენტად პრორუსული ძალა იქნება თუ პროდასავლური?**

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარ ოპოზიციად პრორუსული ძალა იქნება თუ პროდასავლური, ამას გადაწყვეტს ქართველი ხალხი. რასაც გადაწყვეტს ქართველი ხალხი, სწორედ ისეთ ოპოზიციურ ძალასთან გვექნება ჩვენც ურთიერთობა.

**– იმ შემთხვევაში, თუ პრორუსული ძალა გაძლიერდება, ეს პრობლემებს არ შეგიქმნით?**

– სანამ საქართველოს ხელისუფლებაში პროდასავლური ძალები არიან, და ეს ასე იქნება, მანამ სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, ვინ იქნება ოპოზიციაში ამას მნიშვნელობა არ ექნება. რა იქნება 50 წლის შემდეგ, ეს არავინ იცის, სავარაუდოდ, იმ დროისთვის უკვე ნატოშიც ვიქნებით შესულები, ევროკავშირშიც და ეს თემები საერთოდ აღარ იარსებებს. საქართველოს ხელისუფლებაში უკვე 20 წელია, დასავლური ძალები არიან და შემიძლია, დავინახო, რომ კიდევ ოცი წელი პროდასავლური ძალები იქნებიან. რუსული რესურსი საქართველოში არ არის, მით უმეტეს, იმ თაობაში, რომელიც დღეს პოლიტიკურადაც და საზოგადოებრივადაც აქტიურია. იმიტომ რომ ჩვენ ჯერ კიდევ ის თაობა ვართ, რომელიც გავიზარდეთ, გვახსოვს, არ მოგვწონს და არ გვხიბლავს საბჭოთა კავშირი.

**თინა ხიდაშელი: „მთავარ ოპოზიციად პრორუსული ძალა იქნება თუ პროდასავლური, ამას გადაწყვეტს ქართველი ხალხი“**

ნაციონალებისთვის საკუთარი სტატუსის შენარჩუნება კი ერთი მიზეზის გამოა პრინციპული – მათ არ სურთ, ადგილი დაუთმონ პრორუსულ ძალებს. სწორედ ამიტომ ისინი აცხადებენ, რომ ხელისუფლებამ სამართლიანად უნდა იბრძოლოს და არა წესების გარეშე...

**პალიკო კუბლაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

– ჯერჯერობით ფაქტია, რომ უმრავლესობას ნამდვილად აქვს ჩვენი შიში, ამის გამოხატულებაა ის, რომ ხონში დააპატიმრეს ჩვენი კანდიდატი, დაკითხეს ჩვენი სავარაუდო კანდიდატები ზუგდიდსა და ბათუმში. ეს არის მათი პრობლემა, როგორც ჩანს, მაინც ეშინიათ, დანარჩენი ვარაუდები იმის შესახებ, თუ ვინ მოახერხებს გაერთიანებას და ვინ – არა, ეს პოლიტტექნოლოგიაც აღარ არის, ეს უფრო ჭორაობასა და მჩხიბაობას ჰგავს. მჩხიბაობაში კი ჩვენ მათ ნამდვილად არ ავყვებით. თუ მართლა არ ეშინიათ ჩვენთან დამარცხების, გაანებონ მაშინ თავი ასეთი მეთოდებით კონკურენტების ჩამოშორებას. მათ აქვთ სერიოზული შიში, რომ ვერ გადალახავენ 50%-იან ბარიერს და ვერ გაიყვანენ საკუთარ უმრავლესობას საკრებულოებში, სწორედ ამიტომ მიმართავენ წინასწარი პატიმრობის მეთოდებს ჩვენი კანდიდატების მიმართ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# XXI საუკუნის ჭირი თუ მიღწევა

ეკა სოსელია






„მობილურ ტელეფონს გამოსხივება მაშინ აქვს, როცა ვლაპარაკობთ, მე მაქვს დაკვირვება ჩატარებული, როცა უფუნქციოდ დევს, გამოსხივება საათში მხოლოდ 5 წუთის განმავლობაში აქვს“









**მობილური ტელეფონი, WI-FI მოდემი, კომპიუტერი, ტელევიზორი, აიპადი, მიკროტალღოვანი ღუმელი – ტექნიკა, რომელსაც რამდენიმე ათეული წლის წინათ საერთოდ არ იცნობდნენ, დღეს ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სარგებლის გარდა, მეცნიერები ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ამ მოწყობილობებს ადამიანის ჯანმრთელობისთვის სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლიათ. რადგან თვალით უხილავ ელექტრომაგნიტურ ტალღებს ყველა ელექტროტექნიკა გამოსცემს. ბევრი კვლევა ჩატარებულა, ბევრიც ჯერ კიდევ პროცესშია და შედეგები სხვადასხვაგვარია, ერთმნიშვნელოვნად ვერავინ იტყვის, რომ მხოლოდ მობილურ ტელეფონზე საუბარი ან კომპიუტერის გამოყენება შესაძლოა, სერიოზული დაავადების მიზეზი გახდეს, მაგრამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, არც მისი უარყოფითი ზეგავლენაა გამორიცხული.**

გამოსხივება სხვადასხვაგვარი არსებობს და მედიკოსები ამბობენ, რომ ის ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. შესაძლოა, სიმსივნური დაავადებების პროვოცირების მიზეზიც კი გახდეს. დროთა განმავლობაში მან შეიძლება მავნე ზეგავლენა მოახდინოს მთელი ორგანიზმის ფუნქციონირებაზე, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული და ენდოკრინული სისტემის მუშაობაზე.

მეცნიერები კამათობენ, საშიშია თუ არა ჯანმრთელობისთვის უკაბელო ინტერნეტადაპტორის, იგივე WI-FI მოდემის გამოსხივება, ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა საქართველოშიც. რეზონანსული ენერგიების კვლევის სპეციალისტთა ნაწილი ფიქრობს, რომ მას მაღალი გამოსხივება აქვს და სახლში მისი დაყენება დაუშვებელია. ელექტრონული ველი, რომელსაც ადაპტორი გამოასხივებს ადამიანის სხეულზე განიმუხტება, შლის სისხლის პლაზმას, თავისა და ზურგის ტვინის უჯრედს და ამიტომაც მომრავლდა ლეიკემიით დაავადება განსაკუთრებით ბავშვებში. თუმცა ამ მოსაზრებას არ იზიარებენ ფიზიკოსები.

## საშიშია თუ არა ჯანმრთელობისთვის WI-FI მოდემი, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი და სხვა ტექნიკა, რომელსაც გამოსხივება აქვს? EXCLUSIVE

**დავით კაკულია, თსუ პროფესორი, ფიზიკოსი:** ზოგადი პოზიცია ამაზე არის ის, რომ დაავადებას ბევრი რამ შეიძლება იწვევდეს, ამიტომ ცალსახად არ შეგიძლიათ თქვათ, რომ ესა თუ ის დაავადება გამოწვეულია, მაგალითად, უშუალოდ მობილური ტელეფონის ზემოქმედებით. გამოსხივებას აქვს ორი ტიპის ეფექტი: თერმული ეფექტი, რომელმაც გადახურებით შესაძლოა, ავნოს ორგანიზმს და არის ბიოლოგიური ეფექტი, როცა შეიძლება, თვითონ გამოსხივებამ იქონიოს ზემოქმედება რაღაც ბიოლოგიურ პროცესებზე. ძირითადად სწორედ იმ სტანდარტებით ფასდება ესა თუ ის ტექნიკა, აქვს თუ არა მას თერმული ეფექტი და რამდენად გამოიწვევს გადახურებას. თუ ის არ იწვევს საშიშ გადახურებას, რომელმაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ჯანმრთელობას, ესე იგი აკმაყოფილებს სტანდარტებს და მიიღება მოხმარებაში. რაც შეეხება ბიოლოგიურ ეფექტებს, ბევრი კვლევაა ჩატარებული, მაგრამ ცალსახად არც ერთში არ არის გამოკვეთილი, რომ მაგნიტური დასხივება იწვევს ამა თუ იმ დაავადებას. გარემოში სხვა ბევრი ფაქტორიც არსებობს, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს დაავადებები. ცალსახად გამოსხივებაზე ამას მსოფლიოში ვერავინ ამბობს. ყველა ორგანიზმი ინდივიდუალურია, სხვა მილიონ ფაქტორთან ერთად კი, როგორ იმოქმედებს ეს გამოსხივება ადამიანზე, ამის გამოკვლევა, ჩემი აზრით, წარმოუდგენელია. მაგრამ არსებობს პოზიცია, რომ რაც არ ვიცით, რას იწვევს, ყველაფერი საშიშია – სწორედ აქედან მოდის დაუსრულებელი განხილვები და საუბრები იმის შესახებ, რომ ესა თუ ეს ტექნიკა საზიანოა ჯანმრთელობისთვის. ერთადერთი ბიოლოგიური ეფექტი, რომელიც შემიძლია, დავასაბუთო, არის ის, რომ ეს ელექტრომაგნიტური ველი და გამოსხივება ნეირონულ სისტემაზე მოქმედებს. ნეირონულ სისტემას აქვს უნარი, რომ ის სწავლობს და ამ ზემოქმედების შემდეგ შესაძლოა, ნულოვან მდგომარეობას დაუბრუნდეს, ანუ დაივიწყოს ის, რაც ისწავლა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ეფექტი ჩვენს მეხსიერებაზე იმოქმედებს.

მედიკოსებისგან ხშირად მსმენია, რომ გამოსხივება ონკოლოგიური დაავადების პროვოცირების საბაბი ხდება...

გეთანხმებით, მაგრამ სტატისტიკურად უნდა დაგროვდეს მონაცემები, რომ, მაგალითად, მხოლოდ მობილურის დასხივების გამო ადამიანს სიმსივნე განუვითარდა. მისი გამოწვევა ხომ ვირუსებსაც შეუძლია, სხვადასხვა ნივთიერებებს, ტოქსინებს... შესაძლოა, მას ელექტრომაგნიტური დასხივებაც ემატებოდეს, მაგრამ ცალსახად ამის თქმა შეუძლებელია.

მობილურ ტელეფონს, გამოსხივება მაშინ აქვს, როცა ვლაპარაკობთ, მე მაქვს დაკვირვება ჩატარებული, როცა უფუნქციოდ დევს, გამოსხივება საათში მხოლოდ 5 წუთის განმავლობაში აქვს. მქონდა სპეციალური მოწყობილობა, რომელიც მობილურის გამოსხივებას აკვირდებოდა, ის ციმციმს იწყებდა, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა, 4-5-ჯერ, ალბათ, დღის განმავლობაში. ვერ დაიჯერებ, რომ, უბრალოდ უფუნქციოდ დადებული მობილურითაც ისე სხივდები, როგორც ლაპარაკის დროს. ეს ასე ნამდვილად არ არის.

ამბობენ იმასაც, რომ ბავშვები განსაკუთრებულად უნდა მოვარიდოთ ამ ტიპის ტექნიკას, რადგან მზარდი ორგანიზმისთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს გამოსხივება..

ბავშვებისთვის კი არის ნამდვილად მოსარიდებელი, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რაც უკვე გითხარით, ანუ იმიტომ, რომ ნეირონულ სისტემაზე მოქმედებს გამოსხივება.. ბავშვი სწავლობს და ნეირონული სისტემა ითვისებს, პირველად უნარ-ჩვევებს იძენს, ეს ამ პროცესს ხელს შეუშლის, ამაზე კვლევაც არის ჩატარებული და დადგენილია. სხვათა შორის, ქართველი მეცნიერების მიღწევაა, მათ აქვთ ნაშრომები ამასთან დაკავშირებით.

„კვლევა დასრულებული არ არის და არც მეთოდებია შემუშავებული, რომელიც ცალსახად დაადგენს, რა ზიანის მოტანა შეუძლია მას“

საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ მობილურ ტელეფონებზე, რაც შეეხება სხვა ტექნიკას, კომპიუტერს, ტელევიზორს, აიპადს...

მათი გამოსხივება ბევრად უფრო სუსტია, ალბათ, 100-ჯერ ნაკლები. რომ გითხრათ, რომ მათ თერმული ეფექტის გამოწვევა შეუძლია, არასწორი იქნება. ორგანიზმი არ მისცემს მას გადახურების საშუალებას. ეს გამორიცხულია. ისინი მაღალ სიხშირეზე მუშაობენ და მათი შეღწევა ორგანიზმში უფრო ნაკლებად ხდება, მათი ტალღები მოკლეა და შთანთქმა 2-3 სანტიმეტრშია შესაძლებელი. იმ მონაცემებით, რაც მეცნიერებს აქვთ, რაც დადასტურებულია და რისი გადამოწმებაც შეიძლება, არის ის, რომ ეს მაღალი სიხშირეები ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს, თუმცა კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ კვლევა დასრულებული არ არის და არც მეთოდებია შემუშავებული, რომელიც ცალსახად დაადგენს, რა ზიანის მოტანა შეუძლია მას.

ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრს საუბრობენ იმაზეც, რომ საფრთხის შემცველია უკაბელო ინტერნეტის ადაპტორის გამოსხივება და განსაკუთრებით საძინებელ ოთახშია საშიში მისი მოთავსება...

ადაპტორს მაგხელა გამოსხივება არ აქვს, მაგრამ თქვენი ნებაა, შეგიძლიათ, სხვა ოთახში მოათავსოთ. ვინც მაგას იტყვის, რომ საშიშია, იმან დაასაბუთოს კიდეც, რატომ უნდა მოერიდოთ ან როგორ უნდა მოერიდოთ, რადგან ვერ ასაბუთებს, ეს იმას ნიშნავს, რომ არ იცის, მაგრამ შინაგანი შიში აქვს, კი ბატონო, თქვენც შეგიძლიათ ეს შიში გაიზიაროთ“.

**ომარ მაღრაძე, ფიზიკოსი, მეცნიერებათა კანდიდატი:**

„გამოსხივება ბევრნაირია, არცთუ ისე დიდი ხნის წინ ყველამ გადავიტანეთ ჩერნობილი, იქ რა გამოსხივება იყო და რა შედეგები მოიტანა, ეს ცალკე სალაპარაკო თემაა.

რაც შეეხება სახლის პირობებში გამოსხივების რისკსა და საფრთხეებს, არის ასეთი ნათურები – ნეონის ნათურას ეძახიან და როცა არის საკმაოდ ძლიერი გამოსხივება, ეს ნათურა ხელშიც რომ გეჭიროს, აინთება. ამ მეთოდით ძალიან ადვილად შეიძლება დარწმუნდეს ხალხი. აი, ის ტექნიკა, რაც აქვთ სახლში, ასხივებს თუ არა. მიიტანთ ახლოს ამა თუ იმ მოწყობილობასთან და ნახავთ, აინთება თუ არა.

მობილურ ტელეფონს, ცხადია, გამოსხივება აქვს. ყველაზე მეტად იმ მომენტში, როცა ლაპარაკობთ, როცა უკავშირდებით, იმიტომ რომ მაშინ ის მუშაობს, როგორც გადამცემი. ყველაფერი დამოკიდებულია ხანგრძლივობაზე. რამდენიმე წუთი როცა საქმეზე საუბრობ, ეს სხვა არის, მაგრამ ძალიან მომრავლდა და არ მომწონს, ხშირად ვხედავ, მოდიან გოგონები ქუჩაში, უჭირავთ ხელში მობილური ტელეფონები, ლაპარაკობენ, იცინიან, არიან ერთ ამბავში. მოგეხსენებათ, რომ არსებობს კავშირები, რომელიც საერთოდ უფასოა და სარგებლობენ ამ შეთავაზებით. არ არის ეს კარგი, მავნეა. ეს მიკროტალღოვანი დიაპაზონია, ბიოქიმიურ პროცესებზე ახდენს გავლენას. შესაძლოა, ერთ ადამიანს, რომელიც 10 წელი ილაპარაკებს მობილურით, არაფერი მოუვიდეს, მაგრამ მეორეს რაიმე დაემართოს. გამოსხივებას თავისუფლად შეუძლია სიმსივნის პროვოცირება. მძლავრი გამოსხივება ადრეულ იმპოტენციას, სისხლძარღვთა სისტემების დაავადებებსაც იწვევს. მე ვინ დამიჯერებს, მაგრამ ძალიან მინდა იმ გოგონებს ვუთხრა, რომ ნუ ილაპარაკებენ ამდენს, შესაძლოა, წლები გავიდეს და ან ერთმა პრობლემამ იჩინოს თავი ან მეორემ. და ვერავინ იფიქრებს, რომ ამას შესაძლოა, ხელი გამოსხივებამ შეუწყო. ეს პირდაპირ არ გაგრძნობინებს, რომ მავნეა. ესე ხომ არ არის, ნემსს რომ იჩხვლეტ და რეცეპტორი გეტყვის, ხელი გასწიეო. აქ შენ ვერაფერს გრძნობ, განსაკუთრებით იმ მომენტში“.

P.S. სანამ მეცნიერები მსჯელობენ, საშიშია თუ არა ესა თუ ელექტრომოწყობილობა, ალბათ, მაინც უმჯობესი იქნება, შეძლებისდაგვარად მოვერიდოთ მის გამოსხივებას. შესაძლოა, რამდენიმე წლის შემდეგ დასრულებული კვლევით აღმოჩნდეს, რომ ის საფრთხეს უქმნიდა ჩვენს ჯანმრთელობას, ჩვენ კი იმის გამო, რომ დადასტურებული შედეგები არ გვქონდა, სიფრთხილის ნორმებს არ ვიცავდით.




„მედიკოსები ამბობენ, რომ ის ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. შესაძლოა, სიმსივნური დაავადებების პროვოცირების მიზეზიც კი გახდეს“

„ელექტრომაგნიტური ველი და გამოსხივება ნეირონულ სისტემაზე მოქმედებს. ნეირონულ სისტემას აქვს უნარი, დაივიწყოს ის, რაც ისწავლა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ეფექტი ჩვენს მეხსიერებაზე იმოქმედებს“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დანევროზებული თაობა - ნერვული პათოლოგიები, ფობიები და ინტერნეტდამოკიდებულება




სალი კიპაროიძე

**ყოველდღიური პრობლემები, თანამედროვე ცხოვრების რიტმი და მისი ჩქარი ტემპი, ხშირ შემთხვევაში, უარყოფითად აისახება ადამიანის ფსიქიკაზე, რაც იწვევს ნევროზის, სტრესის, მომატებული აგზნებადობის და უძილობის განვითარებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი ლამის ყოველგვარ ნერვულ აშლილობას ნევროზად ნათლავს. საზოგადოების უმეტესი ნაწილი, ნევროზს დაავადებათა იმ ჯგუფს მიაკუთვნებს, რომელიც ფსიქიკური ტრავმის შედეგად იჩენს თავს, რაც, დროთა განმავლობაში, ზოგადი მდგომარეობის გაუარესებითა და ორგანოთა ფუნქციური დარღვევებით ვლინდება. მაგრამ ფსიქოლოგების აზრით ეს თურმე სინამდვილეში ასე არ გახლავთ. ნევროზი სერიოზული დაავადებაა და მას სხვადასხვა გამოვლინება აქვს. სწორედ ამიტომ კამათობენ დღემდე სპეციალისტები იმაზე, თუ როგორი პრობლემაა ნევროზი, ნევროლოგიური თუ ფსიქიატრიული. ეს არის დაავადება, რომელსაც ასაკობრივი ზღვარი არ გააჩნია, იგი ეპიდემიასავითაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში, როგორც მამაკაცებსა და ქალებში, ასევე ახალგაზრდებში, მოხუცებსა და ბავშვებშიც კი.**

ნერვულ აშლილობას და მისგან გამოწვეულ ფობიებს ჩვენს თანამედროვეობაში ბევრი ადამიანი უჩივის. შიშს წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება, თითოეულ ჩვენგანს ეს პირადად განუცდია, განსაკუთრებით კარგად კი ფობიებს 22 წლის მსახიობი - გუგა იცნობს.

**გუგა, 22 წლის (მსახიობი):**

- ნევროზი ნარკოტიკული საშუალებებისგან, კონკრეტულად კი ე.წ. „ბიოსგან" ავიკიდე. ჩემთვის ნევროზი არის შიში, ფობია იმის, რომ ჩავვარდებოდი კრუნჩხვებში. მჭირდა უძილობა, მარტო დარჩენის შიში მთრგუნავდა. ყველაფერი ამის გამო კი ფსიქოლოგიური აშლილობა დამემართა, უაზროდ ვეჩხუბებოდი ყველას განურჩევლად. დამეწყო საშინელი დეპრესია. ადრე ხალისიანი ვიყავი, მხიარული, ენერგიული, ახლა არაფრის ხალისი აღარ მაქვს. მერე ფსიქოტროპული წამლები დამინიშნეს, ისეთი, რომ ვთქვათ მადებილებდა, მიჭირდა წამლის ზემოქმედებისგან გამოსვლა. სულ თავბრუ მეხვეოდა, ვერ ვჭამდი, ვერ დავდიოდი, გული მიმდიოდა. მერე ნელ-ნელა ძლივს ფსიქოტროპულ წამლებსაც შევეშვი, მაგრამ ახლაც ვერ ვარ ბოლომდე კარგად და სამწუხაროდ, ამ ნევროზისგან დღემდე ძალიან ბევრი ფობია მაქვს შემორჩენილი.

ნევროზის წარმოშობაზე, სიმპტომებსა და მკურნალობაზე უფრო დაწვრილებით ფსიქოლოგი ნინო ჯღარკავა გვესაუბრება.

**- რა იწვევს ნევროზს?**

**ნინო ჯღარკავა:**

- ნევროზი არის ფსიქიკური აშლილობის სახე, რომელსაც იწვევს კონკრეტული პიროვნებისათვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი ფსიქოლოგიური ტრავმა, სტრესი, ან ოჯახში არსებული კონფლიქტური სიტუაციები. ნევროზი, მარტივად რომ ავხსნათ, არის პიროვნების რეაქცია რთულ, მისთვის გამოუვალ სიტუაციაზე და მის წარმოშობას ხელს უწყობს ასევე გარკვეული სოციალური ფაქტორებიც, ინფორმაციული გადატვირთვა, ერთფეროვანი სამუშაო, არასაკმარისი შემოსავალი, ოჯახური პრობლემები, საყოფაცხოვრებო პირობები, რომლებიც კონკრეტული პიროვნებებისთვის მიუღებელია. ოჯახური თუ საყოფაცხოვრებო ფსიქოტრავმები კი ძირითადად, როგორც წესი, ბავშვობიდან იღებს სათავეს.

**- როგორ ვლინდება თავიდან ეს პათოლოგია და რა სიმპტომები ახასიათებს მას?**

– ნევროზის გამოვლინება საწყის ეტაპზე სხვადასხვანაირია. ეს შეიძლება იყოს უხასიათობა, ზოგადად საერთო სისუსტე, ადვილად დაღლა, შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, უყურადღებობა ყველას და ყველაფრის მიმართ. გადაჭარბებული ღელვა უმნიშვნელო პრობლემების გამო, მას თან ერთვის ფიზიკური აშლილობაც, გულის აჩქარება, ჰაერის უკმარისობა და ტკივილი მუცლის არეში. ამ ყველაფერს მალე თან ერთვის ის, რომ კონკრეტული პიროვნება კარგავს ცხოვრების მიზანსა და ინტერესს, ამ ყველაფერის გამო კი ყველაფრით უკმაყოფილო ხდება. დაავადების პროგრესირების შემთხვევაში ეს პათოლოგია ძირითადად მძიმე დეპრესიაში გადაიზრდება ხოლმე. დეპრესია კი, თავის მხრივ, არის მდგომარეობა, რომელსაც შეუძლია, ადამიანს განუსაზღვრელი ვადით დააკარგვინოს ემოციური წონასწორობა და გააუარესოს მისი ცხოვრების ხარისხი.

**- ნევროზულ მდგომარეობათა არსენალიდან ყველაზე მეტად, რომელი პათოლოგიებია გავრცელებული ანუ ნევროზის რა ფორმები არსებობს და დღესდღეობით, რომელ მათგანს ვხვდებით ყველაზე ხშირად?**

– ნევროზის გამოვლინებები მეტად მრავალფეროვანია და თითოეული მათგანის გარჩევა დეტალურად რომ დავიწყოთ, დისერტაციის დაცვა მომიწევს (იცინის). ძირითადად მაინც გამოიყოფა ნევროზული აშლილობის ორი სახე, შფოთვითი აშლილობა, რაც ვლინდება ხოლმე ე.წ. პანიკური შეტევებით და დეპრესია, თუმცა ხშირად ეს ორი ვარიანტი თანაარსებობს ამ შემთხვევაში კი საქმე გაცილებით უფრო რთულდება. პანიკურ შეტევებში იგულისხმება პიროვნების ძლიერი შიშის გრძნობა. ამ დროს ხშირად ადამიანი იქმნის ილუზიას, რომ კვდება, გიჟდება, აქვს გულის შეტევა, კიბო, გადაედო შიდსი, მხოლოდ და მხოლოდ






საკუთარ შესაძლებლობებში რწმენის დაკარგვით. ყოველივე ამის გამო კი ადამიანები მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობის ინტერესს კარგავენ, და ზოგადად ინტერესთა წრე უვიწროვდებათ. დეპრესიაში მყოფი ადამიანი ხშირად ტირის, არ შესწევს ძალა, ყოველდღიური ჩვეული საქმიანობა განახორციელოს, ის, რაც ადრე სიამოვნებასა და სიხარულს ანიჭებდა, აღარ სიამოვნებს და აღიზიანებს კიდეც. ალბათ, გინახავთ ისეთი ფაქტებიც, როცა ადამიანს ხშირად ჰგონია, რომ რაიმე მძიმე დაავადება სჭირს, ამის გამო დადის სხვადასხვა ექიმებთან და თვლის, რომ „ვერავინ უსვამს სწორ დიაგნოზს". ეს ყველაფერი კი სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ ნევროზული გამოვლინებაა.

**- ყველაზე ხშირად რა ასაკის ადამიანებში ვხვდებით ამ პათოლოგიას, რამდენად გავრცელებულია ნევროზი ბავშვებში და რა შეიძლება გახდეს ამ დაავდების მიზეზი მცირეწლოვნებში?**

- ნევროზი ყველა ასაკში სხვადასხვა ფორმით გვხვდება. თუმცა ის, უმეტესწილად, ზრდასრულ ადამიანებს ემართებათ. მიუხედავად ამისა მისი ჩამოყალიბება, როგორც წესი, იწყება ხოლმე სქესობრივი მომწიფების, ე.წ. გარდატეხის ასაკში და ასევე, კლიმაქტერულ პერიოდში. ამ შემთხვევაში, მას ხელს უწყობს ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონული ცვლილებები, რასაც მდედრობითი სქესი უფრო აქტიურად განიცდის. ასე, რომ ნევროზი ქალებში უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაცებში. მცირეწლოვნებში ნერვული აშლილობის მიზეზი შეიძლება იყოს, ოჯახში ბავშვისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულება, რაც გამოიხატება გადამეტებული სიმკაცრეში, ან პირიქით, ზედმეტად დამთმობ პოზიციებში. ამის მიზეზი ხშირად ხდება ასევე ბავშვების ფიზიკური დასჯა და შეშინება, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე ასე აქტუალურია საქართველოში, თუ არ შეჭამ „დედა მოკვდება", ან ვიღაც „ცუდი ძია მოვა და წაგიყვანს" და ა.შ. ბავშვის ნევროზის მიზეზი ასევე შესაძლოა იყოს მშობლებს შორის კონფლიქტი, ან კონფლიქტური დამოკიდებულება ოჯახის სხვა წევრებს შორის. ბავშვის ნევროზი ხშირად განპირობებულია მისი გადამეტებული ინფორმაციული დატვირთვითაც, მაშინ როცა 3 წლის ბავშვს ძალით ასწავლიან წერა-კითხვას და მისი ასაკისთვის შეუფერებელ არითმეტიკას.

**- რამდენად საშიში დაავადებაა ნევროზი და სადამდე შეიძლება მიიყვანოს მან ადამიანი?**

- მიუხედავად იმისა, რომ ნევროზი ფსიქოლოგიური სფეროს აშლილობათა რიცხვს ეკუთვნის, იგი სერიოზული დაავადებაა, და შესაბამისად, მკურნალობას საჭიროებს. თუმცა ამ პათოლოგიით არასწორი და არასათანადო სამკურნალო მიდგომებისას, ნევროზი უფრო ღრმავდება და სხვა გამოვლინებები ემატება. პანიკური შეტევების მქონე ადამიანებს კი უყალიბდებათ სხვადასხვა სახის ფობიები. მაგალითად, ღია სივრცის შიში, მარტო დარჩენის შიში და თქვენ წარმოიდგინეთ, არსებობს ნევროზის შედეგად ჩამოყალიბებული ისეთი უცნაური ფობიებიც, როგორიცაა, მაგალითად, შიში იმისა, რომ „სადღაც არსებობს იხვი, რომელიც ზის და გიყურებს". ფობიების შედეგად კი ადამიანი ცდილობს ნაკლებად გამოვდეს ქუჩაში და ნერვულმა პათოლოგიებმა, ფაქტობრივად, შეიძლება ადამიანი სრულიად უუნარო გახადოს და მიუხედავად იმისა, რომ ორგანული დაავადება არ აღენიშნება, შეიძლება „ინვალიდიც" კი გახდეს. რასაც უკვე სავალალო შედეგებამდე მივყავართ, რადგან უსარგებლობისა და სიცოცხლის უაზრობის გრძნობის გამო ხშირად ასეთი ადამიანები სიცოცხლეს სუიციდით ასრულებენ.

**- რამდენად ადვილია ნევროზისგან თავის დაღწევა და რა სამკურნალო საშუალებები არსებობს ამისთვის?**

- ნევროზის მკურნალობა რთულია. ამ დროს მნიშვნელოვანია პრევენცია, რაც გულისხმობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვას, ინტენსიურ ვარჯიშს. სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და სტრესული ფაქტორების შემცირებას. სპეციალისტთან დაავადების ადრეულ ეტაპზე მისვლა გააადვილებს მკურნალობას, ხელს შეუწყობს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, ფსიქოტრავმული სიტუაციის შემცირებისა და ნეიტრალიზაციის უნარის გამომუშავებას. განვითარებულ ქვეყნებში პირადი ფსიქოთერაპევტი საკმაოდ პრესტიჟულია. თუმცა ჩვენთან, სამწუხაროდ, ეს ასე არაა და პირიქით, ნევროზით დაავადებულებს ექიმთან მისვლაში ხელს ის უშლის, რომ ვერ აცნობიერებენ საკუთარი პრობლემის არსს. ამ დაავადების თვითმკურნალობა დაუშვებელია, ზოგიერთმა ფსიქოტროპულმა პრეპარატმა ნევროზის გარკვეული გამოვლინებები შეიძლება პირიქით, გააღრმავოს. ამიტომ ნევროზით დაავადებულ ადამიანებს, ვურჩევ რაც შეიძლება მალე მიმართონ, ფსიქოლოგს, ექიმ ნევროლოგს, ან ფსიქიატრს.

ფსიქოლოგიური პრობლემების რიცხვმა კი თურმე 1980-იანი წლებიდან საკმაოდ მოიმატა და როგორც აღმოჩნდა, სწორედ ამ დროიდან, ნევროზის ერთ-ერთ გამოვლინებად მიჩნეულია ინტერნეტდამოკიდებულებაც. დღევანდელი თაობა მზადაა თავისი დროის უდიდესი ნაწილი სოციალურ ქსელებს დაუთმოს. კომპიუტერის ჩართვისას უკვე ჩვევაში გადაგვეზარდა, რომ ერთ-ერთი პირველი საიტი, რომელსაც ვხსნით სოციალური ქსელია. ერთი მხრივ ამას თავისი გასამართლებელი საბუთებიც აქვს, რადგაც აქ თითქმის ყველა ძალიან ლამაზი, განათლებული, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და სრულიად უკომპლექსოა. ესაა ყველაზე მარტივი საშუალება, აისრულო არარეალიზებული ოცნებები. რაც უფრო მეტ დროს ატარებს ადამიანი სოციალურ ქსელში, მით ნაკლები დრო რჩება რეალურ ცხოვრებაში აქტივობისთვის, მით უფრო რთულდება რეალურ გარემოსთან ურთიერთობა და თანდათან ყალიბდება ნერვული პრობლემებიც. ვირტუალური სამყაროდან, რეალურ სამყაროში თვითრეალიზაციის პრობლემა დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება. სოციალურ ქსელში ხომ ნებისმიერს შეუძლია იყოს იმ ასაკისა და გარეგნობის, რომელზეც ოდესმე უოცნებია. თუ „ფოტოშოპს"კარგად ჩავუჯდებით, ყველას გვექნება საოცნებო გლუვი და მიმზიდველი კანი, ქათქათა კბილები და სხეულის იდეალური ფორმებიც კი. ეს ყველაფერი შედარებით უფრო მარტივი და უვნებელი „ნერვული გამოვლინებაა", თუმცა ანონიმურობის ფენომენი შედარებით უფრო საშიშად და ბოროტად გამოიყურება. საქართველოში ეს ყველაზე მარტივი გზაა საზოგადოებისთვის მიუღებელი აზრების დემონსტრირებისა, ფარული სურვილების და „შურის" გამოსავლენად. ესაა გზა, რომელიც ფართო ასპარეზს აძლევს „ლანძღვა-გინებით" შეპყრობილ, „კლავიატურის გმირებსა" და დანევროზებულ თაობას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დაძაბულ და მშფოთვარე ცხოვრებაში ნევრული დარღვევების თავიდან აცილება იოლი არ არის, ყველაფერი მაინც დამოკიდებულია იმ უნარზე, თუ რამდენად შევძლებთ ჩვენში ნევრული პათოლოგიების გამომწვევი მიზეზების წინასწარ პროგნოზირებას და საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში მათთან დროულად გამკლავებას. როგორც უკვე გავიგეთ, ყველა შემთხვევაში ჩვენს ემოციურ მდგრადობას აუმჯობესებს: გამამხნევებელი ფიზიკური აქტივობა - სიარული, ვარჯიში ან ცეკვა, დამამშვიდებელი ვარჯიშები და მედიტაცია, დროული, სრულყოფილი ძილი და დასვენება, ასევე კარგი იქნება თუ ჩვენთვის რთულ ადამიანებთან ურთიერთობის ისეთ ფორმას მოვძებნით, რომელიც ემოციურად ნაკლებად დაგვაზარალებს. ხოლო მაშინ თუ აღნიშნული საშუალებებით საკუთარ თავს მაინც ვერ გავუმკლავდებით, როგორც უკვე ფსიქოლოგმა გვირჩია, აუცილებლად უნდა მივმართოთ ფსიქოლოგს, ექიმ ნევროლოგს, ან ფსიქიატრს.

**„ნევროზი ნარკოტიკული საშუალებებისგან, კონკრეტულად კი ე.წ. „ბიოსგან" ავიკიდე. ჩემთვის ნევროზი არის შიში, ფობია იმის, რომ ჩავვარდებოდი კრუნჩხვებში. მჭირდა უძილობა, მარტო დარჩენის შიში მთრგუნავდა. ყველაფერი ამის გამო კი ფსიქოლოგიური აშლილობა დამემართა"**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ „ვაბრალებთ“ ირინა შეიკს საქართველოს ოკუპაციას - რუსეთის მხარდამჭერით შეურაცხყოფილი ქართველი ერი







სალი კიპაროიძე

**მაშინ, როცა 2014 წლის, რიგით 22-ე ზამთრის ოლიმპიადა გაიხსნა, სოჭში, „ფიშტის“ სტადიონზე, რუსი სპორტსმენების დელეგაციას წინ მსოფლიო დონის მოდელი და საკუთარი ქვეყნის უპირობო ლამაზმანი, ირინა შეიკი მიუძღვოდა. ოლიმპიადის გახსნას სტადიონზე 40 ათასი, ხოლო პირდაპირ ეთერში კი მსოფლიოს მასშტაბით 3 მილიარდი მაყურებელი უყურებდა. შესაბამისად ირინა შეიკის მომხიბვლელობა მილიარდობით ადამიანს არ გამოჰპარვია, თუმცა მაშინ როცა მოდელმა ოლიმპიადის გახსნის ფოტო საკუთარი „ფეისბუქი“-ს გვერდზე დადო და აღწერაში მიაწერა, რომ საკუთარი ქვეყნით ძალიან ამაყი იყო, ერთ-ერთი ქართული ფორუმის მომხმარებლის ინიციატივის პირველი ადრესატი გახდა. ფორუმის მომხმარებელმა სურვილი გამოთქვა, რომ სოციალურ ქსელში არსებულ სოჭის ოლიმპიადის გვერდებზე ქართველ მომხმარებლებს დაეწერათ შემდეგი სიტყვები - აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოა. „სოჭის ოლიმპიადის FB გვერდზე შევდივართ ყველა და ვწერთ, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოა. ერთი ტექსტი შევიმუშავოთ, ან ერთნაირი სურათი დავდოთ ყველამ. მოკლედ, უნდა დავანახვოთ მსოფლიოს, რომ ღრუბლები არ ასახავს რეალობას“, - დაწერა მომხმარებელმა. ქართველებმაც ეს ინიციატივა მალევე აიტაცეს. აი, ასეთი ემოციური ფონის დროს კი, სოციალურ ქსელში გამოჩნდა რუსი მოდელის ფოტოები, რომელიც თავისი ქვეყნის სიამაყით იყო გაჟღენთილი და სწორედ ამიტომ ირინა შეიკი ქართველი ინტერნეტის მომხმარებლების პროტესტის გამოხატვის ორიგინალური ფორმის, პირველი „მსხვერპლი“ გახდა. ასეთი სახის კომენტარებმა - აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოა!!!**

Abkhazia and Samachablo are Georgia!!!! Абхазия и Самачабло это ГРУЗИЯ!!! რუსი მოდელის ფოტოზე უკვე 12 ათასს გადააჭარბა. იმაზე, თუ რატომ „ვაბრალებთ“ ირინა შეიკს საქართველოს ოკუპაციას და რატომ აღშფოთდა ქართველი ერი, ერთ-ერთი კომენტარის ავტორი - პოლიტოლოგი თათა ბებიაშვილი გვესაუბრა.

**თათა ბებიაშვილი:**

- ხშირად ვეწინააღმდეგები, ასეთი უსუსური ბრძოლის სისტემას (თუმცა არც გამოსვლები და მიტინგები მიმაჩნია ამ პრობლების გადაჭრის გზად), ოკუპაციის პრობლემის მოგვარების საშუალებად, როგორც პოლიტოლოგს, მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური, ეკონომიკური და საბაზრო კავშირები მიმაჩნია. რაც შეეხება იმას, თუ რატომ დავწერე მე პირადად ირინა შეიკის ფოტოზე კომენტარი და არამარტო მე, ვთვლი, რომ ჩემთან ერთად, ათასობით ქართველს, ამის გასამართლებლად ერთი და იგივე მიზეზი გვაქვს. პირველ რიგში, ირინა მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მოდელია, ყოველდღიურად მისი სოციალური ქსელის პირად გვერდზე მილიონობით ადამიანი შედის და ათვალიერებს მის სურათებს. მართალია რუს მოდელს არანაირი კავშირი არა აქვს პოლიტიკასთან, მაგრამ გარკვეულწილად სწორედ ის ფაქტი, რომ მის ფოტოებზე, მით უმეტეს, როცა იგი ასე ამაყია საკუთარი ქვეყნით, უამრავი ადამიანი წერს ერთიდაიგივე შინაარსის შემცველ ტექსტს, დანარჩენი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აუცილებლად მოექცევა და პრობლემა უფრო აქტუალური და თვალსაჩინო გახდება. ასე რომ, ირინას პოპულარობიდან გამომდინარე, ჩვენ ამ კომენტარებით და ასეთი უსუსური „ბრძოლის“ მეთოდით შევძელით, მსოფლიო საზოგადოების თუნდაც 1%-ის ყურადღების მიქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეალურად არაფერს შეცვლის, (რუსეთი არც საზღვარს გადაწევს და მით უმეტეს არც გული მოულბებათ) ამ ყველაფრის ხშირი გამეორება, თანაც ასე ხმამაღლა იქნება იმის შეხსენება, რომ სამაჩაბლო და აფხაზეთი საქართველოს ნაწილი იყო, არის და ყოველთვის იქნება.

როგორც ჩანს, მართლაც ერთსა და იმავე პოზიციას გამოხატავენ კომენტარის ავტორები, როგორც პოლიტოლოგები, ასევე ახალგაზრდა სტუდენტები.

**თორნიკე კივილაძე (20 წლის):**

- 21-ე საუკუნეში გაცილებით დიდი ფასი დაედო ინფორმაციულ ომს. რუსეთი ყველანაირი ხერხით ცდილობს თავისი იმპერიალისტური ზრახვების გავრცელებას მთელ მსოფლიოში. რასაკვირველია, აჯობებს ამ ინფორმაციულ ომში უკეთ ვიმოქმედოთ, სახელდობრ, გადავიღოთ დოკუმენტური ფილმები აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე, რიგით ადამიანებსა თუ საზოგადოებრივ ფიგურებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვაჩვენოთ თუ რა მოხდა რეალურად. „ფეისბუქი“ ხშირად ექცევა მედიასაშუალებების ყურადღების ცენტრში, მეც დავდე კომენტარი ირინა შეიკის ფოტოზე. „ფეისბუქი“-ს მომხმარებელთა



აქტიურობამ შედეგი გამოიღო, მრავალი უცხოელი დაინტერესდა ამ თემით, თავიანთი მხარდაჭერა გამოხატეს. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ სოჭის ოლიმპიადაზე რუსეთმა კიდევ ერთხელ, ურცხვად გამოავლინა თავისი იმპერიალისტური ბუნება, ვგულისხმობ, ე.წ „ღრუბლებს“ ზუსტად იმ ადგილებზე, სადაც აფხაზეთი და სამაჩაბლოა საქართველოს რუკაზე. უნდა ვიბრძოლოთ ყველა მეთოდით, მაგრამ ეს ბრძოლა უნდა იყოს რაციონალური, გაცილებით უფრო მსხვილი კალიბრის წინააღმდეგობის მოძრაობა უნდა აგორდეს!

რუსი მოდელის აჭარული ცეკვისა და ფანდურზე დაკვრის მცდელობის შემდეგ კი, გასაკვირი აღარ არის ის ფაქტი, რომ ირინა შეიკს რამდენიმე ქართველი მეგობარი ჰყავს.

**ირინა შეიკი:**

- მე ქართველი მეგობრები მყავს, სწორედ აფხაზეთიდან დევნილები. ერთ-ერთ მათგანს აფხაზეთში სახლი დაუწვეს. მე პოლიტიკაში არ ვერევი და აფხაზეთისთვის სტატუსის მინიჭება ჩემი კომპეტენცია არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ რუსი მოდელის სოციალური ქსელის გვერდზე, კომენტარების ნაკადი ჯერ კიდევ არ წყდება, ქართველმა ინტერნეტ მომხმარებლების ნაწილმა, ანალოგიური ხასიათისა და შინაარსის კომენტარებს უკვე უკეთესი ადგილი მიუჩინა და ახლა მათ უკვე ოლიმპიადის „ფეისბუქი“-ს ოფიციალურ გვერდზეც ტოვებენ.



# სკანდალი - თბილისის „დინ

მაგდა კლდიაშვილი

**რა არის ის, რის გამოც შესაძლოა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გარიცხონ FIFA-დან, თბილისის „დინამოს“ დააკლონ ქულები, დააქვეითონ და ტრანსფერების განხორციელება აუკრძალონ, მის სპორტულ დირექტორს, ირაკლი ვაშაკიძეს კი ფეხბურთში საქმიანობაზე უარი ეთქვას; დარღვევა, რომელზეც ფეხბურთის უმაღლესი მმართველი ორგანოს სადისციპლინო კოდექსი უმკაცრეს სანქციებს ითვალისწინებს. რატომ არ გააკონტროლა სფფ-მ „დინამოს“ სპორტული დირექტორის კონტრაქტი და მისი ლიცენზიის შეჩერების საკითხი. თემა, რომელიც უპასუხოდ არ უნდა დარჩეს. „პრაიმტაიმის“ სკანდალური გამოძიება და ექსკლუზივი.**

თბილისის „დინამომ“ პირველ ნოემბერს სპორტულ დირექტორად ირაკლი ვაშაკიძე ოფიციალურად დანიშნა, რომელიც იმ მომენტისთვის ფეხბურთის უმაღლესი მმართველი ორგანოს - FIFA-ს ლიცენზირებული აგენტი იყო. ვიდრე ვაშაკიძე სპორტულ დირექტორად დაინიშნებოდა, ის, ზაფხულიდან, დედაქალაქურ კლუბს ტრანსფერების განხორციელებაში ეხმარებოდა.

საქმე ისაა, რომ ფიფა-ს რეგულაციებით, რომელიც საფეხბურთო სამყაროს კონსტიტუციად შეგვიძლია ჩავთვალოთ, ლიცენზირებული აგენტისა და კლუბის ურთიერთობები განსაკუთრებული წესებით რეგულირდება და მას მე მსგავს ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, თუკი ის საკუთარ სტატუსს არ შეიჩერებს.

თავი 3. მუხლი 6.

ლიცენზიის მფლობელი, ნებისმიერ მოცემულ სიტუაციაში, არ უნდა იყოს ფიფას, კონფედერაციის, ასოციაციის, ლიგის, კლუბის ან რომელიმე ორგანიზაციის, რომელიც დაკავშირებულია მსგავს ორგანიზაციებსა თუ უწყებებთან, ოფოციალური მოხელე, თანამშრომელი და ა.შ.

როდესაც ფიფას ლიცენზირებული ფეხბურთელთა აგენტი საფეხბურთო კლუბში ან მსგავს დაწესებულებაში მიდის სამუშაოდ, ის იმ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასა თუ ასოციაციას, რომელსაც ეკუთვნის მისი ქვეყანა, მიმართავს განცხადებით ლიცენზიის შეჩერების თაობაზე. „დინამოში“ სპორტულ დირექტორად დანიშვნის შემდეგ, ირაკლი ვაშაკიძეს ლიცენზია უნდა შეეჩერებინა.

„პრაიმტაიმმა“ გამოძიება ჩაატარა, დაარღვიეს თუ არა კლუბმა, სპორტულმა დირექტორმა და თავად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფეხბურთის უმაღლესი მმართველის ორგანოს წესდება, რომლის დარღვევაზეც საკმაოდ მკაცრი სანქციებია.

ამ ამბის გამოძიების იდეა იქიდან გაჩნდა, რომ „პრაიმტაიმს“ მიაწოდეს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ირაკლი ვაშაკიძეს ფიფას ფეხბურთელთა აგენტის ლიცენზია 2014 წლის იანვარს შეუწყდა, ის კი თბილისის „დინამოს“

## ირაკლი ვაშაკიძეს ლიცენზია 2014 წლის 1 იანვარს შეუჩერდა

მკაცრად იცავენ, ყოველ შემთხვევაში უნდა დაიცვან.

როგორც „პრაიმტაიმს“ ირაკლი ვაშაკიძემ განუმარტა, თავდაპირველად მისი და კლუბის ურთიერთობა იმით შემოიფარგლებოდა, რომ „დინამომ“ ის, როგორც აგენტი ისე აიყვანა და მის ვალდებულებაში ფეხბურთელებთან კონტრაქტების დადება შედიოდა. თავად ვაშაკიძეს „დინამოსთან“ კონტრაქტი არ გაუფორმებია, მისი თქმით, ის შტატგარეშე თანამშრომელი იყო. ვიდრე ამ ამბის კვანძს გავხსნიდეთ, ფიფას ფეხბურთელების აგენტების რეგულაციის მცირე ამონარიდს გაგაცნობთ, რომელიც ასეთ შემთხვევებშიც კი წარმომადგენლობითი კონტრაქტის გაფორმებას ითვალისწინებს.

თავის მხრივ, ფიფას კანონმდებლობა არ უკრძალავს, როგორც ფეხბურთელებს, ასევე კლუბებს, რომ ისარგებლონ ლიცენზირებულ ფეხბურთელთა აგენტების საქმიანობით, სატრანსფერო ან დასაქმების კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკების ან ხელახალი მოლაპარაკების გამართვის მიზნით. ფეხბურთელის აგენტს აქვს უფლება, მიიღოს მის მიერ გაწეული მუშაობისთვის, ფეხბურთელთა აგენტის საქმიანობის დადასტურებისას, ეს წესები არ ათავისუფლებს ფეხბურთელთა აგენტებს თავიანთი მოვალეობებისგან, დაიცვან ასოციაციის ტერიტორიაზე დაწესებული კანონი, კერძოდ კი, პუნქტები, რომელიც სამსახურში აყვანას ეხება.

ამ შემთხვევაში კი, თუკი ვაშაკიძე „დინამოს“ აგენტად მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე მუშაობდა, ფიფას რეგულაციებს უხეშად არღვევს.

თავი IV. მუხლი 19. წარმომადგენლობითი კონტრაქტი

1. ფეხბურთელთა აგენტს უფლება აქვს წარმოადგენდეს ფეხბურთელს ან კლუბს, მხოლოდ ამ ფეხბურთელთან ან კლუბთან შესაბამისი წარმომადგენლობითი კონტრაქტის დადების შემდეგ.

საინტერესოა, როგორ ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას ირაკლი ვაშაკიძე „დინამოს“ სახელით, როდესაც მას წერილობითი კონტრაქტი არ ჰქონდა გაფორმებული კლუბთან.

მეორე და ყველაზე მთავარი დანაშაული კი ის არის, რომ FIFA-ს რეგულაციების თანახმად, ლიცენზირებულ აგენტს ეკრძალება ნებისმიერ კლუბთან, ფეხბურთის ასოციაციასა თუ რომელი-

სპორტულ დირექტორად გასული წლის ოქტომბერში დაინიშნა. „პრაიმტაიმმა“ ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა ირაკლი ვაშაკიძესთან, სადაც მან განაცხადა, რომ ლიცენზიის შეჩერების თაობაზე, სფფ-ს 2013 წლის პირველ ნოემბერს მიმართა, რაც გაზეთმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ სამდივნოში, მის უფროსთან, რევაზ შენგელიასთან გადაამოწმა.

პირველი წერილით გაზეთმა სფფ-ს წერილობითი პასუხი მოსთხოვა იმაზე, თუ როდის გადააგზავნა „დინამომ“ ვაშაკიძის კონტრაქტი, როგორც ტრანსფერმენეჯერისა და როგორც სპორტული დირექტორის, მათთან დასარეგისტრირებლად, ფედერაციამ კი წერილზე გვიპასუხა, რომ ისინი კლუბ-




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ამოშ“ სპორტულ დირექტორად FIFA-ს ლიცენზირებული აგენტი დაინიშნა



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

76 Chavchavadze ave. 0179 Tbilisi Georgia
Tel: 995 32 291 26 50, 995 32 291 26 70
Fax: 995 32 291 59 95, E-Mail: gff@gff.ge www.gff.ge

01/50
18.02.2014

„პრაიმ ტაიმის“ ჟურნალისტს
მაგდა კლდიაშვილს

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სფფ-ში არ არის დარეგისტრირებული ირაკლი ვაშაკიძის კონტრაქტი, როგორც ტრანსფერების მენეჯერის და როგორც სპორტული დირექტორის, რადგან ამ თანამდებობების პირების კონტრაქტებს სფფ არ ითხოვს.

რევაზ შენგელია
გენერალური სამდივნოს უფროსი



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

76 Chavchavadze ave. 0179 Tbilisi Georgia
Tel: 995 32 291 26 50, 995 32 291 26 70
Fax: 995 32 291 59 95, E-Mail: gff@gff.ge www.gff.ge

03/85
19.02.2014

„პრაიმ ტაიმის“ ჟურნალისტს
მაგდა კლდიაშვილს

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ირაკლი ვაშაკიძემ ფეხბურთელთა აგენტის ლიცენზიის შეჩერებაზე წერილობით მოგვმართა 2014 წლის 9 იანვარს და მას დროებით შეუჩერდა ლიცენზია 2014 წლის 1 იანვრიდან, ვინაიდან, როგორც მისი განცხადებიდან გაირკვა თბილისის „დინამოში“ მას მუშაობა დაუწყია უფრო ადრე ვიდრე ჩვენ მოგვმართა განცხადებით.

რევაზ შენგელია
გენერალური სამდივნოს უფროსი



## რა იცრუა „პრაიმტაიმთან“ ირაკლი ვაშაკიძემ

## EXCLUSIVE

ებისგან მსგავსი თანამდებობის პირების კონტრაქტებს არ ითხოვენ. არადა ფიფას რეგულაციებში პირდაპირ წერია, რომ ასოციაციები და ფედერაციები ვალდებულნი არიან აწარმოონ მონიტორინგი, თუ რამდენად ასრულებენ ფეხბურთელთა აგენტები ლიცენზიის ფლობისთვის საჭირო წინაპირობებს.

თავად ირაკლი ვაშაკიძე აცხადებს, რომ მან სფფ-ს 2013 წლის პირველ ნოემბერს მიმართა, ხოლო მათ როდის გადაგზავნეს და როდის შეაჩერეს მისი ლიცენზია, ეს უკვე მეორეხარისხოვანია.

„პირველი ნოემბრიდან, როდესაც „დინამოში“ დავინიშნე, შევაჩერე ჩემი ლიცენზია. განცხადება ზუსტად ამ დღეს დავწერე, შევიტანე ფედერაციაში. შეგიძლიათ, გაიაროთ რევაზ შენგელიასთან (ეს სწორედ ის რევაზ შენგელიაა, რომელსაც ვაშაკიძის თაობაზე მივმართეთ ფედერაციაში), მათ გადააგზავნეს ფიფაში ეს განცხადება და იქ მივიდა პასუხი ჩემი ლიცენზიის შეჩერების თაობაზე. მე განცხადება დავწერე მაშინ, როდესაც ჩემ დანიშვნას აპირებდნენ და როდის მოვიდა პასუხი, მე მგონი, ეს უკვე მეორე ხარისხოვანია“, - განაცხადა ირაკლი ვაშაკიძემ.

**ფეხბურთელთა აგენტს უფლება აქვს წარმოადგენდეს ფეხბურთელს ან კლუბს, მხოლოდ ამ ფეხბურთელთან ან კლუბთან შესაბამისი წარმომადგენლობითი კონტრაქტის დადების შემდეგ**

არადა მეორეხარისხოვანი სულაც არ არის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს უფროსის, რევაზ შენგელიას პასუხი, „პრაიმტაიმის“ მეორე წერილზე, სადაც ვითხოვდით იმ თარიღის დაკონკრეტებას, თუ როდის მიმართა ვაშაკიძემ მათ ლიცენზიის შეჩერების განცხადებით და როდის შეუჩერდა, შემდეგი პასუხი მივიღეთ:

„თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ირაკლი ვაშაკიძემ ფეხბურთელთა აგენტის ლიცენზიის შეჩერებაზე წერილობით მოგვმართა 2014 წლის 9 იანვარს და მას დროებით შეუჩერდა ლიცენზია 2014 წლის 1 იანვარს, ვინაიდან, როგორც მისი განცხადებიდან გაირკვა, თბილისის „დინამოში“ მას მუშაობა დაუწყია იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ მოგვმართა განცხადებით“, - ნათქვამია რევაზ შენგელიას წერილში.

აქაც რამდენიმე დეტალია საინტერესო. პირველი - ის, რომ ირაკლი ვაშაკიძემ იცრუა „პრაიმტაიმთან“, როდესაც უთხრა, რომ სფფ-ს პირველ ნოემბერს მიმართა განცხადებით. მეორე - როგორ მოახერხა ფეხბურთის ფედერაციამ ის, რომ 9 იანვარს მიღებული განცხადება გადაგზავნა FIFA-ში და მასზე მიღებული პასუხი 1 იანვარს როგორ დაარეგისტრირა. (იმედია, კალენდარს უკუღმა არ ითვლიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში) და მესამე - მაშინ, როდესაც ფეხბურთის ფედერაციის უშუალო ვალდებულება და მოვალეობაა, რომ აკონტროლოს ლიცენზირებული აგენტები და მისთვის ცნობილია ის სახელები, გვარები და რაოდენობა, რამდენი ლიცენზირებული ფეხბურთელთა აგენტიც ჰყავს ტერიტორიაზე, რატომ არ განიხილეს დანაშაულად ირაკლი ვაშაკიძის ქმედება. მეოთხე - საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თბილისის „დინამომ“ ვაშაკიძე აიყვანა ოფიციალურ აგენტად და კლუბს მხოლოდ ლიცენზირებული აგენტის აყვანა შეუძლია და მათი იურისტი, ლევან ზუხბაია, ასევე ფიფას ლიცენზირებული აგენტი იყო და იურისტად მუშაობის შემდეგ, მან შეიჩერა ლიცენზია, გამოდის, რომ „დინამოშიც“ ძალიან კარგად იცოდნენ, კანონდარღვევის შესახებ და ამაზე ხმა არავის ამოუღია. რაც მთავარია, გაჩუმდა ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც თავად უნდა გაეკონტროლებინა და თავად გაერკვია აღნიშნული საკითხი და ემსჯელა სანქციებზე, ამ ამბის გახმაურების შემდეგ, თავად შეიძლება გახდეს სანქციების ობიექტი.

ფიფას წესდება კი სამივე შემთხვევაში სხვადასხვა სანქციებს ითვალისწინებს.

თავი VIII. მუხლი 31. სანქციები ფეხბურთელთა აგენტებზე

ამ წესებისა და მათი დანართების დარღვევისთვის ფეხბურთელთა აგენტებზე შეიძლება დაწესდეს შემდეგი სანქციები ფიფას სადისციპლინო კოდექსის თანახმად:

- საყვედური ან გაფრთხილება;
- ჯარიმა, სულ ცოტა 5 ათასი შვეიცარიული ფრანკის ოდენობით;
- ლიცენზიის შეჩერება 12 თვემდე;
- ლიცენზიის ჩამორთმევა;
- ნებისმიერ ფეხბურთელთან დაკავშირებულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების აკრძალვა.

სანქციები შეიძლება დაწესდეს ცალ-ცალკე ან კომბინირებულად.

მუხლი 35. სანქციები კლუბებზე

ამ წესებისა და მათი დანართების დარღვევისთვის კლუბებზე შეიძლება დაწესდეს შემდეგი სახის სანქციები, ფიფას სადისციპლინო კოდექსის თანახმად:

- საყვედური ან გაფრთხილება;
- ჯარიმა სულ ცოტა 10 000 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით;
- ტრანსფერების განხორციელების აკრძალვა;
- ქულების ჩამოჭრა;
- უფრო დაბალ დივიზიონში ჩამოქვეითება.

სანქციები შეიძლება დაწესდეს ცალ-ცალკე ან კომბინირებულად.

მუხლი 36. სანქციები ასოციაციებზე

ამ წესების და მათი დანართების დარღვევისთვის ასოციაციებზე შეიძლება დაწესდეს შემდეგი სანქციები ფიფას სადისციპლინო კოდექსის თანახმად:

- საყვედური ან გაფრთხილება;
- ჯარიმა სულ ცოტა 30 000; შვეიცარიული ფრანკის ოდენობით;
- ასოციაციის კომპეტენციის შეწყვეტა.

**„თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ირაკლი ვაშაკიძემ ფეხბურთელთა აგენტის ლიცენზიის შეჩერებაზე წერილობით მოგვმართა 2014 წლის 9 იანვარს და მას დროებით შეუჩერდა ლიცენზია 2014 წლის 1 იანვარს, ვინაიდან, როგორც მისი განცხადებიდან გაირკვა, თბილისის „დინამოში“ მას მუშაობა დაუწყია იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ მოგვმართა განცხადებით“**

ფიფა, მის დაქვემდებარებაში მყოფ ასოციაციებსა და ფედერაციებს, ავალდებულებს, მსგავსი შემთხვევების სწრაფად შეტყობინებას და შემდეგ რეაგირებას. წევრ ასოციაციებს ასევე ევალებათ, რომ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული აგენტების რაოდენობა და ცვლილებები, ყოველი წლის 30 ივნისს ფეხბურთის მმართველ ორგანოს წლიურ ანგარიშში წარუდგინონ, საქართველოს ტერიტორიაზე კი იმდენი ლიცენზირებული აგენტი არ არის, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მათი კონტროლი გაუჭირდეს. რაც შეეხება განცხადებას, რომ ფეხბურთის ფედერაცია კლუბებისგან ასეთი თანამდებობის პირების კონტრაქტებს არ ითხოვს, დიდი შეცდომაა და ამ ხარვეზის გამოსწორებაზე სფფ-ში აუცილებლად უნდა იფიქრონ.

გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხებსა და დარღვევებზე თავად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა უნდა იმსჯელოს, მაგრამ თუკი საქმეში თავად სფფ-ს ბრალეულობა გამოიკვეთება, საინტერესოა, დამალავს თუ არა საქართველოს ფეხბურთის უმაღლესი მმართველი ორგანო მსგავს ამბავს. ფაქტი, რომ აშკარა დარღვევაა, ამას თავად ფიფას მიერ დაწესებული სანქციებიც მოწმობს. იმედს დავიტოვებთ, რომ „პრაიმტაიმის“ ამ სკანდალურ მასალებს, შესაბამისი გამოხმაურება და პასუხი მოჰყვება ყველა მხრიდან.

**P.S. „პრაიმტაიმი“ მზად არის, მტკიცებულების სახით წარმოადგინოს ირაკლი ვაშაკიძის საუბრის ჩანაწერი.**

**ლიცენზიის მფლობელი, ნებისმიერ მოცემულ სიტუაციაში, არ უნდა იყოს ფიფას, კონფედერაციის, ასოციაციის, ლიგის, კლუბის ან რომელიმე ორგანიზაციის, რომელიც დაკავშირებულია მსგავს ორგანიზაციებსა თუ უწყებებთან, ოფიციალური მოხელე, თანამშრომელი და ა.შ.**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ირაკლი ვაშაკიძე: დავით ხურ
# „დინამოში“ მისვლის სანაცვლ



# თბილისის „დინამოს“ სპორტული მენეჯერი ბუბა ტყავაძესთან დაპირისპირებას უარყოფს

მაგდა კლდიაშვილი

ირაკლი ვაშაკიძე „დინამოს“ სპორტულ მენეჯერად გასული წლის შემოდგომაზე დაინიშნა. მან კლუბში ბუბა ტყავაძე ჩაანაცვლა. გავრცელებული ინფორმაციით, „დინამოს“ მფლობელის, რომან ფიფიას ვაჟს ცოლად ვაშაკიძის დისშვილი ჰყავს, ამიტომ ნდობის მანდატი ვაშაკიძისადმი ფიფიას შეუზღუდავი აქვს.

**ილებდა თუ არა ფეხბურთელებისგან ფულს ვაშაკიძე „დინამოში“ მიყვანის სანაცვლოდ და გაუშვა თუ არა მოთამაშეები კლუბიდან ყოფილ სპორტულ დირექტორთან დაპირისპირების გამო? ვინ დარჩა მეგობრობის გამო გუნდში და რატომ ასაიდუმლოებს „დინამო“ დვალის იჯარის თანხას? „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ თბილისის „დინამოს“ სპორტულ დირექტორთან.**

**– თბილისის „დინამომ“ დეკემბერში კონტრაქტები გაუწყვიტა ფეხბურთელებს, ზოგი კი იჯარით გაუშვა. გუნდში დღემდე რჩებიან ლეგიონერები, რომლებიც „დინამოს“ დონეს მაინცდამაინც ვერ აკმაყოფილებენ. ისინი დარჩნენ კლუბში მხოლოდ იმიტომ, რომ მათთან კონტრაქტის გაწყვეტის გამო „დინამოს“ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დაცვა მოუწევდათ, რადგან მათ საკუთარი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია უმაგრებთ ზურგს, ხოლო ქართველებს, უხეშად რომ ვთქვათ, პატრონი არ ჰყავთ. არამარტო „დინამოს“, ზოგადად, ქართულ კლუბებს ხომ არ მართებთ ქართველ მოთამაშესთან დადებული ხელშეკრულების უფრო მეტი პატივისცემა?**

– დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენ არავინ გაგვიშვია. ჩვენ, მთავარ მწვრთნელსა და სპორტულ მხარეს გვაქვს საერთო მოსაზრება ფეხბურთელებთან დაკავშირებით. დავისახეთ მიზანი და მივდივართ იქით. ბოლო თამაშებმა აჩვენა, რომ რამდენიმე ფეხბურთელი მოედანზე ბოლომდე არ იხარჯებოდა. ფეხბურთელი მხოლოდ ხელფასის გამო არ უნდა თამაშობდეს, მას უნდა სიამოვნებდეს მოედანზე გასვლა და ბოლომდე იხარჯებოდეს. ის ფეხბურთელები, რომლებიც დღეს „დინამოში“ აღარ იმყოფებიან, ამ სიაში მოხვდნენ. არავინ გაგვიშვია. შევთავაზეთ მათ ხელშეკრულების ორმხრივად გაწყვეტა ან დავაყენეთ ტრანსფერზე. ვისაც აწყობდა, გაწყდა ორმხრივად ურთიერთობა. ის, რომ ფეხბურთელებს დისკრიმინაცია გავუწიეთ, გამორიცხულია. თითოეულ მათგანს დაველაპარაკეთ, მათი მოსაზრება გავითვალისწინეთ და მოხდა შეთანხმება.

**– აუცილებლად მინდა გკითხოთ გივი კვარაცხელიაზე და ესპანელ ლეგიონერ უსტარიცზე. როგორ უნდა ისაუბროთ კვარაცხელიას მონდომებაზე, როდესაც მას არა მარტო „დინამოში“, არამედ მთელ ეროვნულ ჩემპიონატში ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. უსტარიცთან კი კონტრაქტი მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, რაც ესპანელმა პორტუგალიური კლუბისგან შემოთავაზება მიიღო და „დინამოსგან“ მხოლოდ ოთხთვიან კომპენსაციას დასჯერდა. ასე რომ არ მომხდარიყო, უსტარიცი გუნდში დარჩებოდა, კვარაცხელია კი გაუშვით. სამართლიანად მოექეცით კვარაცხელიას? ცუდი არგუმენტი ხომ არ ჰქონდა „დინამოს“ მის თავიდან მოსაშორებლად?**

– კონტრაქტი კლუბთან ჰქონდა ორივეს. კვარაცხელიას – ივნისამდე, უსტარიცს კი – წელიწად-ნახევარი. ესპანელი ჩვენთან გასული წლის თებერვალში მოვიდა, მაგრამ თამაშების მხოლოდ 40% ითამაშა. ასეთი მიმართულება გვაქვს, როდესაც უცხოელი ჩამოდის, მინიმუმ თამაშების 90% უნდა ითამაშოს, ის არ უნდა იყოს ტურისტი. მას ვუხდიდით საკმაოდ დიდ თანხას და ვალდებული იყო, ყოველთვის ყოფილიყო მზად და ეთამაშა მატჩების მაქსიმუმი. სამწუხაროდ, როდესაც საქართველოში ჩამოვიდა, გარკვეული პერიოდი გაუცდა, დაიწყო თამაში, შემდეგ ისევ გამოტოვა მატჩები. ბოლოს, როდესაც საქართველოში ჩამოვიდა, ჩავთვალეთ, რომ მზად იყო. იმედებს ვამყარებდით მასზე, მაგრამ მოუმზადებელი გახლდათ და პირველივე ვარჯიშზე ტრავმა მიიღო. დეკემბერში გვქონდა საუბარი, ვთხოვეთ, რომ ურთიერთშეთანხმებისთვის მიგვეღწია და ერთმანეთს ამ პრობლემების გამო დავშორებოდით. უსტარიცმა გვითხრა, რომ თამაში უნდოდა, შეძლებდა, დაემტკიცებინა, მაგრამ პირველივე ვარჯიშზე მიიღო დაზიანება, რის გამოც, მარტის ბოლომდე ვერ მოახერხებდა მოედანზე დაბრუნებას. მას ისევ შევთავაზეთ დაშორება, გამოუჩნდა გუნდი, ხელი არ შევუშალეთ, მივეცით გარკვეული საკომპენსაციო თანხა, რაც მიღებულია მთელ მსოფლიოში და გავწყვიტეთ ხელშეკრულება. რაც შეეხება გივი კვარაცხელიას, მან ნამდვილად ითამაშა ყველაზე მეტი შეხვედრა, მონდომებული იყო და ამას ვერ წავართმევ, მაგრამ იყო ბევრი მომენტი. ბოლო შეხვედრებში ისეთ შეცდომებს უშვებდა, საქართველოს ჩემპიონატში გეპატიება და ევროთასებზე რთულია. ამასთანავე, მწვრთნელმა დაინახა, რომ საჭირო დონეს მისი ფიზიკური მონაცემები ველარ აკმაყოფილებდა, რაც, მაგალითად, კარგად გამოჩნდა მარტვილის „მერანთან“ მატჩში. ადგილზე კარგად გამოიყურებოდა, ბრძოლისუნარიანი და ჟინიანი გახლდათ, მაგრამ დღეს სისწრაფეების გარეშე ფეხბურთი წარმოუდგენელია და ეს მისი მინუსია. „დინამოდან“ წასულ ფეხბურთელებს წარმატებებს ვუსურვებ.

**– ჩავარდნა ყველა ფეხბურთელს აქვს, არ იმსახურებდა გივი კვარაცხელია იმას, რომ „დინამოს“ ერთი შანსი მიეცა მისთვის? გარდა ამისა, საზოგადოებაში აქტუალურია მოსაზრება, რომ კვარაცხელია უშუალოდ თქვენ გაუშვით იმის გამო, რომ ის ყოფილი სპორტული მენეჯერის, ბუბა ტყავაძის კადრად მოიაზრებოდა. იყო თუ არა კვარაცხელიას გუნდიდან გაშვების მიზეზი ეს?**

– ბუბა ტყავაძესთან ცუდი ურთიერთობა არ მქონია. როდესაც გუნდთან თანამშრომლობა შემომთავაზეს, ვიყავი მხოლოდ საფეხბურთო აგენტი და ვეხმარებოდი კლუბს იმ ფეხბურთელების მოზიდვაში, რომელ პოზიციაზეც სჭირდებოდა გაძლიერება. ბუბასთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა მქონდა. ამით შემოიფარგლებოდა ჩვენი კონტაქტი. მასთან არანაირი უთანხმოება არ მქონია.

**– მას შემდეგ, რაც სპორტულ დირექტორად დაინიშნეთ, თქვენზეც აქტუალურია ის ხმები, რაც თქვენი წინამორბედის, ტყავაძის დროს იყო, რომ ფეხბურთელებისგან ფულს იღებთ. დავით ხურცილავა „დინამოში“ სწორედ თქვენ მიიყვანეთ და თქვენ, როგორც მისმა მენეჯერმა, 5 ათასი დოლარი აიღეთ მისგან, ე.წ. „პადიომნი“. მაშინ როდესაც კლუბი ტრანსფერების მენეჯერს ხელფასს სწორედ ფეხბურთელების მოყვანაში უხდის. რამდენად თავსებადია ეს ორი რამ და შეესაბამება თუ არა სიმართლეს ეს ფაქტი?**

– მადლობა ამ კითხვისთვის. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ეს შეკითხვა დაგესვათ. პირველი, ის მინდა ვთქვა, რომ ტრანსფერების მენეჯერი არ ვიყავი. „დინამოს“ ჰყავდა და ჰყავს ტრანსფერების მენეჯერი. ჩემს აქ მოსვლამდე, ვიდრე სპორტული მენეჯერი გავხდებოდი, ვიყავი ოფიციალური აგენტი. ვთანამშრომლობდი კლუბთან, ხელშეკრულება არ მქონია. ფიფას ოფიციალური აგენტი ვთანამშრომლობდი კლუბთან და ხელშეკრულებას ვაფორმებდი ფეხბურთელებთან. რაც შეეხება იმას, ავიღე თუ არა ფული დავით ხურცილავას ტრანსფერში, პირდაპირ გეტყვით, რომ ამ ტრანსფერში თანხა არ ამიღია. ჩემი აქ მოსვლის თვითმიზანი არ ყოფილა ფინანსური მოგება. ბატონ რომან ფიფიას დავუდექი გვერდში. „დინამო“ ჩემთვის ყველაფერია. ბევრი წელი მაქვს აქ გატარებული, „ნორჩი დინამოდან“ დაწყებული, პროფ-



**ილებდა თუ არა ფეხბურთელებისგან ფულს ვაშაკიძე „დინამოში“ მიყვანის სანაცვლოდ და გაუშვა თუ არა მოთამაშეები კლუბიდან ყოფილ სპორტულ დირექტორთან დაპირისპირების გამო?**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

…ცილავასთვის EXCLUSIVE
# …ოდ ფული არ გამომირთმევია“



ესიულ დონეზეც აქ ვითამაშე. ფული ჩემი პრიორიტეტი არ არის. აქ იმისთვის მოვედი, რომ დავამტკიცო, შემიძლია იმ ფეხბურთელების მოზიდვა, რომლებიც გუნდს გამოადგებიან. არ ჩავთვალე საჭიროდ, ხურცილავას ტრანსფერში ფული ამეღო. ესაა ჩემი პასუხი. სპორტულ მენეჯერად დანიშვნისთანვე, პირველი ნოემბრიდან, ფიფას აგენტის ლიცენზია შევაჩერე.

**– თქვენ ფიფას ფეხბურთელთა აგენტის ლიცენზია მხოლოდ პირველ იანვარს შეგიჩერდათ, ეს ხომ დარღვევაა?**

– განცხადება პირველ ნოემბერს დავწერე და შევიტანე ფედერაციაში. შეგიძლიათ, გადაამოწმოთ რევაზ შენგელიასთან (სფფ-ს გენერალური სამდივნოს უფროსი. – მ.კ.), მათ გადაგზავნეს და იმის შემდეგ მოვიდა პასუხი, რომ ლიცენზია შეჩერებულია ერთი წლით. ამასაც გარკვეული დრო სჭირდება. განცხადება დავწერე იმ დროს, როდესაც ჩემს დანიშვნას აპირებდნენ.

**– როდესაც „დინამოდან“ ფეხბურთელები გაუშვეს, გუნდში დარჩა გიორგი შაშიაშვილი, თუმცა არა მოთამაშედ, არამედ აკადემიის მწვრთნელად. მაშინ, ყველა ალაპარაკდა იმაზე, რომ შაშიაშვილს მხოლოდ იმიტომ გაუმართლა, რომ ის თქვენი მეგობარი იყო და სწორედ თქვენი დამსახურებით დარჩა კლუბში.**

– ფეხბურთში დიდი ხანია ვარ და საფეხბურთო წრეში ბევრი მეგობარი და ძმაკაცი მყავს, მაგრამ ყველა ჩემ გვერდით არ არის დღეს. რაც შეეხება შაშიაშვილს, მან თამაში „დინამოში“ ახალგაზრდული ასაკიდან დაიწყო, იყო კაპიტანი წლების განმავლობაში. როდესაც დავინახეთ, რომ მისმა ფიზიკურმა კონდიციებმა მოიკლო, ვარჯიშებზეც დაძაბული იყო და მთავარი მწვრთნელი, დუშან უჰრინი შემადგენლობაში აღარ აყენებდა, შევთავაზეთ მას, ასეთი გამოცდილების პატრონს, რომ პროფილი შეეცვალა და აკადემიაში გადასულიყო მწვრთნელად. ეს იყო კლუბის კეთილი ნება, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა. ახლა გადის B ლიცენზიას და მას მადლობას ვუხდით. ეს არაფერ შუაშია მეგობრობასთან. ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ ყველას თავისი ადგილი აქვს.

**– ასევე, მინდა შევეხო სოსო გრიშიკაშვილს, რომელიც „დინამოს“ მეკარე იყო წლების განმავლობაში, მაგრამ სკანდალურად დაშორდნენ ერთმანეთს და ის სარჩელის შეტანასაც აპირებდა კლუბის წინააღმდეგ. ისიც თქვენი მეგობარია და ვიცი, რომ მან დვალის ტრანსფერში უშუალო მონაწილეობა მიიღო. დაიკავებს ან ხომ არ უკავია გრიშიკაშვილს ოფიციალური პოსტი „დინამოში?**

– არა, ოფიციალურად არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს. როგორც ვიცი, ის უკვე მარტში აიღებს ფიფას ფეხბურთელთა აგენტის ლიცენზიას, ნოემბერში უნდა აეღო, მაგრამ გადაიდო. მას საკმაოდ კარგი ავტორიტეტი აქვს ფეხბურთელებში. კარგად ვიცნობ მის პროფესიონალიზმს. გრიშიკაშვილს, პირველ რიგში, ფეხბურთი აინტერესებს, ფული სხვა პლანზეა, ფული ყველასთვის კარგია, მაგრამ არა – პრიორიტეტი. ეს ადამიანი, წლების განმავლობაში თამაშობდა „დინამოში“, იყო ნაკრების წევრი. ბოლოს ჩვენთან თამაშობდა, ტრავმა მიიღო. ვფიქრობ, კლუბსა და მას შორის იყო გაურკვევლობა, ინფორმაცია არასწორად იქნა მიწოდებული და აქედან გამომდინარე მოხდა ყველაფერი. როგორც ვიცით, შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა და სოსომ ისაუბრეს და კონფლიქტი ამოიწურა.

**– ბოლო პერიოდში „დინამოს“ მიერ განხორციელებული ტრანსფერები ხშირად განსჯის საგანი ხდება. ბევრი ფეხბურთელი, მათ შორის ლეგიონერებიც – ვუო, გლიშიჩი და ა.შ. ვერ აკმაყოფილებს სათამაშო დონეს. რატომ ვერ ჩამოჰყავთ ქართულ კლუბებს ხარისხიანი მოთამაშეები?**

– წარსულზე ვერ ვილაპარაკებ. ვუო ჩემი ჩამოყვანილი არ არის, სხვისი შემოთავაზებული იყო. მე საკუთარი პოზიცია მქონდა. ყოველთვის ვაკეთებ შედარებას ფეხბურთელის დონესა და მის ანაზღაურებას შორის. ვაძლევთ მას შანსს, რომ დადებითი თვისებები გამოავლინოს, ვნახოთ, რამდენად შეძლებს ამას, მასაც აქვს ხანგრძლივი კონტრაქტი.

**– გამოდის, მისი დარჩენა ზუსტად იმან განაპირობა „დინამოში“, რომ მასში კლუბს საკმაოდ სოლიდური თანხა, 250 ათასი ევრო ჰქონდა გადახდილი და ასე, ერთი ხელის მოსმით, ვერ გაუშვებდით მას გუნდიდან?**

– გაშვება არასწორი ნათქვამია. როდესაც ფეხბურთელის წასვლაზეა საუბარი, ეს უნდა მოხდეს ურთიერთშეთანხმებით. გაშვება – ეს ცნება უნდა ამოვიღოთ ლექსიკონიდან. ეს ცალმხრივად არ ხდება. რამდენი იყო მასში გადახდილი, ამის თქმა, ჩემი მხრიდან, არასწორი იქნებოდა. ის მოვიდა ექვსი თვის წინ, ვფიქრობთ, რომ შანსი მივცეთ, თავისი თამაში გვანახოს. მეორე წრეში შევხედავთ და იქიდან გამომდინარე ვიფიქრებთ, გავყიდოთ სადმე თუ დავიტოვოთ. ეს მის თამაშზეა დამოკიდებული.

**– გიორგი მერებაშვილზეც მინდა, გკითხოთ. ის გუნდმა ტრანსფერზე დააყენა. მოგვიანებით, როდესაც ზამთრის შესვენების შემდეგ, „დინამო“ შეიკრიბა, სავარჯიშოდ დაუძახეს, მაგრამ გაირკვა, რომ მას 10-ნომრიანი მაისური ჩამოართვეს, რადგან უკვე წასული ეგონათ კლუბიდან. გუნდის ოფიციალურ ვებგვერდზე დაიდო „დინამოს“ განახლებული შემადგენლობაც, სადაც 10 ნომერი იმ მომენტში არავის კუთვნილება არ იყო და არც მერებაშვილი იყო იმ განაცხადში შეყვანილი. მოგვიანებით, ფეხბურთელს დაუბრუნდა თავისი ნომერი, მაგრამ არაეთიკური ხომ არ არის ეს, მაშინ, როდესაც, ფეხბურთელი ჯერ კიდევ გუნდში ირიცხებოდა?**

– ჩამორთმევა რას ჰქვია, არავის ჩამოურთმევია მისთვის ნომერი. ის იყო ტრანსფერზე დაყენებული, იქიდან გამომდინარე, რომ პირადად მე დამიკავშირდნენ უცხოეთიდან და მათ ურთიერთობა ჰქონდათ ასევე გიორგისთანაც.

**– რომ დავკონკრეტდეთ, ეს იყო მოლდოვას გუნდი?**

– იმ პერიოდში მოლდავური გუნდი არ იყო. რუმინეთის, უკრაინისა და რუსეთის სამ გუნდზე იყო საუბარი. მითხრეს, რომ ყველა ვარიანტში წავიდოდა მერებაშვილი გუნდიდან და ჩვენც ვთქვით, რომ მას შემოთავაზებები აქვს და ველოდებით პასუხს. შემდეგ გაირკვა, რომ კონკრეტულად არაფერი გამოდიოდა, რის შემდეგაც ფეხბურთელი მოვიდა ჩვენთან. მოხარული ვარ, რომ გიორგი გუნდში დარჩა, გამომდინარე იქიდან, რომ ვიცით მისი შესაძლებლობები, გვახსოვს მისი თამაში. სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ გასული ერთი წლის განმავლობაში მან ვერ წარმოაჩინა თავი ისე, როგორც მას შეჰფერის და შეუძლია. ის მონდომებულია. ჩვენი გუნდის წევრია და აუცილებლად დაამტკიცებს იმას, რომ „დინამოს“ სჭირდება. ჩვენ მისი იმედი გვაქვს.

**– თბილისის „დინამომ“ თავდამსხმელი ჯაბა დვალი იჯარით აზერბაიჯანულ „ყარაბახში“ გაუშვა. მიუხედავად იმისა, რომ გასული სეზონის ბოლოსა და ახალი სეზონის ნახევარში მან შედეგიანობით ვერ გამოიჩინა თავი და არც „დინამოში“ ახლახან მოყვანილი ფორვარდები აღემატებიან დიდად დონით მას, მაინც საინტერესოა, რატომ შეელია კლუბი ფეხბურთელს, რომელშიც სოლიდური თანხა გადაიხადა. აღარ სჭირდებოდა ის „დინამოს“?**

– „ყარაბახი“ დვალით დაინტერესებული იყო, ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში და მოლაპარაკებაც მიდიოდა, მაგრამ იმ მომენტში, „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშობდა და დვალის შემცვლელი გუნდს არ ჰყავდა. ჩამოვიდა ვუო, მაგრამ ის ფორმაში არ იყო და გუნდი ვალდებული იყო, დვალი დაეტოვებინა და არ გაეშვა. როდესაც მეორეჯერ გიკავშირდება გუნდი, რომ მასთან წავიდეს ფეხბურთელი და ფეხბურთელსაც აქვს სურვილი იქ გადასვლის, ჩვენი მხრიდან არაკორექტული იქნებოდა, დვალი გუნდში დაგვეტოვებინა. როდესაც ფეხბურთელს სურს წასვლა, არასწორია, მას ხელი შეუშალო, რადგან ის თავის პოტენციალს ბოლომდე ველარ გამოავლენს.

**– საინტერესოა მისი იჯარის დეტალები. დვალის ტრანსფერი ეროვნულ ჩემპიონატში ყველაზე ძვირადღირებული იყო. მასში „დინამომ“ 750 ათასი დოლარი გადაიხადა. რა თანხად გაუშვა „დინამომ“ დვალი „ყარაბახში“ და ხომ არ დაუშვა მან შეცდომა, რომ ოთხთვიან იჯარას დასთანხმდა. თუკი მას არ წაუვა თამაში აზერბაიჯანში და უკან დაბრუნება მოუწევს, დააჯენენ თუ არა მას სათადარიგოთა სკამზე, ისევ ხომ არ გაასხვისებთ, რამ გამოიწვია მისი ჩავარდნა და რატომ ვერ შეძლო მან გულშემატკივრებისთვის თავის შეყვარება, მიუხედავად იმისა, რომ „დინამოში“ დაბრუნების შემდეგ 25 გოლი გაიტანა?**

– რატომ ვერ შეაყვარა, ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ. ჩავარდნაზეც, სჯობს, მას თავად ჰკითხოთ. თუ გადავხედავთ მის თამაშებს გასულ წელსა და ბოლო ექვს თვეს, აბსოლუტურად განსხვავებულია. მაშინ მან 20 გოლი გაიტანა, ახლა კი მხოლოდ – 5. როდესაც ფეხბურთელს სურს, მეტი დაამტკიცოს, უნდა მივცეთ შანსი და მისი წასვლაც 4 თვით ამის მაგალითია.

**– რომ ყოფილიყო ისეთივე შედეგიანი, როგორიც გასულ სეზონში, შეელეოდით თუ არა ასე ადვილად?**

– ადვილად არც ახლა შევლევივართ. უბრალოდ, გავითვალისწინეთ მისი ინტერესი, გადასულიყო ახალ გუნდში. ყველამ კარგად ვიცით, „ყარაბახში“ თამაშობს ნიკოლოზ გელაშვილი. მათი ტანდემი ყოველთვის განსაკუთრებული იყო საქართველოს ჩემპიონატში, ამიტომ ვიფიქრეთ, მას ნიკასთან ერთად თამაში უფრო გაუადვილდებოდა. მას აქვს შანსი, უფრო კარგ კონტრაქტს მოაწეროს ხელი და კლუბმა გამოისყიდოს „დინამოდან“ მისი ტრანსფერი.

**– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დვალის იჯარაში აზერბაიჯანელებმა 50 ათასი დოლარი გადაიხადეს. რა თანხა გადაუხადა „ყარაბახმა“ იჯარაში „დინამოს“ და თუ ჩაიწერა კონტრაქტში გამოსასყიდი თანხა?**

– იჯარის თანხა კონფიდენციალურია, აქედან გამომდინარე, პასუხს ვერ გაგცემთ. დავთანხმდით, რომ ჯაბა იმ გუნდში გადასულიყო და მათ აქვთ გამოსყიდვის უფლება.

**– დვალის ტრანსფერში ბუბა ტყავაძე არ მონაწილეობდა. უშუალოდ კლუბის პრეზიდენტი იყო ჩარეული და მისი სურვილით შედგა ეს ტრანსფერი?**

– დაზუსტებით გამიჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

**– ბუბა ტყავაძის „დინამოში“ ყოფნის პერიოდში ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ის მთავარი მწვრთნელის, დუშან უჰრინის კომპეტენციაში ერეოდა.**

– მითია შექმნილი, რომ სპორტული მხარე აუცილებლად უნდა ჩაერიოს მწვრთნელის კომპეტენციაში. მწვრთნელს თავისი ფუნქცია აქვს, მენეჯერსა თუ დირექტორს – თავისი. ვალდებულები ვართ, მწვრთნელს ხელი შევუწყოთ მომზადებისთვის, თამაშისთვის, იმ ფეხბურთელების ტრანსფერებში, რომელიც გუნდს სჭირდება და ითხოვს მწვრთნელი.

**– ელგუჯა გრიგალაშვილთან დაკავშირებულ სკანდალსაც გავიხსენებ. ფეხბურთელი „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე ნასვამი მივიდა, რის გამოც ის, მაშინდელმა თავკაცმა, დუშან უჰრინმა გუნდიდან გაუშვა და მეორე შემადგენლობაში დააქვეითა, მალხაზ ჟვანიამ კი, მოსვლისთანავე ძირითად გუნდში დააბრუნა. გრიგალაშვილისა და ჟვანიას ურთიერთობა მარტვილის „მერანიდან“ იღებს სათავეს და გრიგალაშვილის დაბრუნება სწორედ იმას მიაწერეს, რომ მთავარ მწვრთნელსა და მოთამაშეს შორის, ახლო, მამაშვილური დამოკიდებულება იყო. ამის შემდეგ კი მორიგი კონფლიქტი გრიგალაშვილსა და კლუბის პრეზიდენტს, რომან ფიფიას შორის მოხდა, რომლის გამოც, პრეზიდენტმა ის გუნდიდან გაუშვა. დაუშვა თუ არა შეცდომა ჟვანიამ გრიგალაშვილის გუნდში დაბრუნებით?**

– გრიგალაშვილი უმაღლეს ლიგაში მალხაზ ჟვანიას მეშვეობით გამოჩნდა. მწვრთნელმა კარგად იცოდა მისი დადებითი და უარყოფითი თვისებები. ფეხბურთელმა დააშავა და დაისაჯა. მალხაზმა მას შანსი მისცა, გუნდში დააბრუნა და აგრძნობინა, რომ ის „დინამოს“ სრულუფლებიანი წევრი იყო. როდესაც ადამიანი გენდობა, მას გვერდში უნდა დაუდგე, მინდორზე დაუმტკიცო შენდამი გამოცხადებული ნდობა. სამწუხაროდ, არ ვიცი, რა უდევს თავში ელგუჯა გრიგალაშვილს, რაზე ფიქრობს. იმედია, უნდა ფეხბურთის თამაში, ფიქრობს მომავალსა და წარმატებაზე და კარგი იქნება, თუ ამაზე იფიქრებს. ჩვენ გვინდოდა, ის გუნდში დარჩენილიყო, მაგრამ მან მოითხოვა წასვლა და გვთხოვა, გვეთქვა მისი სატრანსფერო თანხა. საუბარი იყო 200 ათას დოლარზე, რაც მასში გვქონდა გადახდილი, თავიდან ბოლომდე. კლუბის პრეზიდენტმა თანხმობა განაცხადა, თუ მას „დინამოში“ არ სურს თამაში, გადაიხადოს ის, რაც მასში დაიხარჯა და წავიდესო.

**– რადგან გრიგალაშვილი-ჟვანიას ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, გამოდის, რომ მის ადგილზე სხვა მოთამაშე რომ ყოფილიყო, თუნდაც დვალი, მერებაშვილი, ხმალაძე ან სხვა, მას ამ შეცდომას არ აპატიებდნენ?**

– როგორ არ ეპატიებოდა. სხვა მსგავსი შემთხვევებიც ყოფილა. გრიგალაშვილიც დაისაჯა, ის ორი კვირა იყო დუბლებში.

**– ასეთი საქციელისთვის ორი კვირა ბევრია?**

– ფეხბურთელისთვის ორი კვირაც საკმარისია, თუ მას თამაში უნდა.

**– რატომ არ ეტყობა „დინამოს“, რომ ის ერთი ოჯახი და ერთი გუნდია?**

– ჩვენი მიდგომა ასეთია – „დინამო“ ერთი ოჯახია და ის, ვინც ოჯახის წევრად ვერ გრძნობდა თავს, გუნდიდან წავიდა. შეიძლება, ამიტომაც ჩანდა ასე. ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც ახლა „დინამოშია“, ერთმანეთს ხელს შეუწყობს, რომ ერთ გუნდად შეიკრას. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორედ „დინამოს“ ერთ გუნდად და ოჯახად შეკვრაა.

**– რამდენად მოახერხებს „დინამო“ ამ შემადგენლობით თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას და აკმაყოფილებს თუ არა მალხაზ ჟვანია გუნდის მთავარი მწვრთნელის დონეს?**

– დავიწყოთ უჰრინიდან. დუშანი გუნდიდან 6 დეკემბერს წავიდა. ჩვენ გვსურდა, ის დეკემბრის ბოლომდე დარჩენილიყო და ციკლი დაესრულებინა. სამწუხაროდ, მას არ შეეძლო, რადგან შემოთავაზება სხვა გუნდიდან ჰქონდა, რამაც გამოიწვია ის, რომ გადაწყვეტილება უმოკლეს დროში უნდა მიგვეღო, რადგან „დინამო 2“-ში გვყავდა ახალგაზრდა, წარმატებული მწვრთნელი, მისმა შვიდწლიანმა პრაქტიკამ, რომელიც „მერანში“ ჰქონდა, სადაც მწირი ბიუჯეტით, ყოველ წელს ახალი გუნდის გაკეთება უწევდა და ყოველთვის ტოვებდა საინტერესო გუნდის შთაბეჭდილებას, გადაწყდა, რომ მოგვეყვანა გუნდში. მიგვეცა შანსი, დაემტკიცებინა, რომ ნამდვილად კარგი სპეციალისტია. მას საკმაოდ დიდი ნდობის მანდატი აქვს და სეზონის ბოლომდე მისი შემცვლელის ძიებას არ ვაპირებთ. კლუბის ხელმძღვანელობამ მას ნდობა გამოუცხადა, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

**ვინ დარჩა მეგობრობის გამო გუნდში და რატომ ასაიდუმლოებს „დინამო“ დვალის იჯარის თანხას?**

**„დინამო“ ერთი ოჯახია და ის, ვინც ოჯახის წევრად ვერ გრძნობდა თავს, გუნდიდან წავიდა“**




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ქართული ხმები“ 15 წლისაა - სა



**my View**

**თამარ გონგაძე**

**„ქართული ხმები“ 15 წლისაა. ანსამბლი იუბილეს ალბომითა და კონცერტით აღნიშნავს. 1 მარტს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში მათი ალბომის პრეზენტაცია და კონცერტია დაგეგმილი. კონცერტის რეჟისორი ბაკურ ბაკურაძეა. ალბომზე ანსამბლი ორი წელი მუშაობდა. ის „ბრავორექორდსში“ ჩაიწერა. ალბომი ორი სიდისგან შედგება და მას „საიუბილეო ალბომი“ ჰქვია. ერთში თანამედროვე არანჟირების ფოლკლორული, ხალხური კომპოზიციები შედის, მეორეში ქალაქური სიმღერები, ძველი ჰიტები და ახალი სიმღერები. საათნახევრიან კონცერტზე ანსამბლი 16 კომპოზიციას შეასრულებს, კონცერტის ჩანაწერი „რუსთავი 2“-ის ეთერში გავა.**

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, „ქართულ ხმებს“ ბენდთან და ორკესტრთან ერთად ასეთი მასშტაბის კონცერტი არ ჰქონიათ. როგორც ანსამბლის წევრი და ხელმძღვანელი კახა გრიგალაშვილი ამბობს, საზღვარგარეთ უფრო მეტი კონცერტი აქვთ ჩატარებული, ვიდრე სამშობლოში. გრანდიოზული სოლო კონცერტისთვის „ბრავო რექორდსში“ მიმდინარეობს ანსამბლის რეპეტიციები და კონცერტის წინამოსამზადებელი სამუშაოები. კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა და „ბრავო ბენდის“ თანხლებით ჩაივლის. კონცერტში მონაწილეობენ: ნიაზ დიასამიძე, რომა რცხილაძე, სალომე ბაკურაძე და ზვიად ბოლქვაძე. ეს ის მუსიკოსები არიან, რომელთან ერთადაც ალბომში საინტერესო კოლაბორაცია შედგა. თემურ კვირკველიამ ვიდეორგოლი გადაიღო, რომელზეც ანსამბლის შემოქმედებითი მოღვაწეობაა ასახული. ვიდეორგოლი სცენაზე დამონტაჟებულ ეკრანზე გავა.

ალბომზე მუშაობა ორი წელია მიმდინარეობს. ეს დრო, როგორც ამბობენ, ტექნიკურმა მხარემ წაიღო. როგორც ამბობენ, ანსამბლის მსმენელს მუსიკალური სიურპრიზი ელის.






ანსამბლის წევრები ღირსების ორდენებით არიან დაჯილდოებულნი. გამოცემული აქვთ ოთხი სიდი და ორი დივიდი ალბომი. 1 მარტიდან ანსამბლის ახალი ალბომის შეძენა შეგეძლებათ „ბრავო რექორსდის“ სადისტრიბუციო ქსელის მაღაზიებში.

**ოქროს სპონსორი:** კომპანია „გალფი“,

**გენერალური სპონსორი:** „ვითიბი ბანკი“,

**სპონსორი:** ქინძმარაულის მარანი, **კონცერტის მხარდამჭერები:** კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი, ღვინო „თამადა“, „ბილაინი“ და „ლუტეცია“.

**პარტნიორი:** „სამოსელი პირველი“,

**მედია პარტნიორები:** „რუსთავი 2“, „პალიტრა მედია“, რადიოები: „ფორტუნა“ და „არ დაიდარდო“, გაზეთი „პრაიმტაიმი“, გადაცემა „ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ“.

2006 წლიდან ანსამბლის ხელმძღვანელი კახა გრიგალაშვილია. გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად არ ვიღებ. ბავშვობის მეგობრები ვართო, ამბობს. რეპეტიციის დროს კახამ მცირე დრო გამონახა ჩვენთვის.

**კახა გრიგალაშვილი:** „2007 წელს, ანსამბლის ათი წლისთავთან დაკავშირებით კონსერვატორიაში ფოლკლორული კონცერტი გვქონდა. მერე შემოქმედებითი პაუზა გამოგვივიდა, სიახლეებს ვეძებდით. გადავწყვიტეთ, რომ პროფესიონალებთან ერთად გვემუშავა ახალ ალბომზე. მივედით „ბრავო რექორდსში“, სადაც ჩვენი მეგობრები ბიბი კვაჭაძე, მამუკა (პეკე) ბეგაშვილი, ალეკო ბერძენიშვილი მუშაობენ, რომელთა მუსიკალური კრეატიულობის იმედი მუდამ გვაქვს. ზაზა შენგელიას გემოვნებასა და მუსიკალურ ხედვაში ისედაც დარწმუნებული ვიყავი. და დავიწყეთ მუშაობა“.

## ზაზა შენგელია: „დილემის წინაშე ვიდექით - ტრადიციულ სტანდარტულ ფორმატში გაგვეკეთებინა სიდიალბომი და თან თამამი და ნოვაციური ყოფილიყო. ალბომს განსაკუთრებული ელფერი მისცა „ქართულ ხმებთან“ საინტერესო კოლაბორაციამ - ნიაზ დიასამიძის, ზვიად ბოლქვაძის, რომა რცხილაძის, სალომე ბაკურაძის...“



**ზაზა შენგელია, „ბრავო რექორდსის“ დამფუძნებელი:** „ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია იმით, რომ „ქართული ხმებისთვის“ საიუბილეო ალბომია. დიდი დრო დაიხარჯა რეპერტუარის შერჩევაში, ახლებური არანჟირების გააზრებაში, ჩაწერის პროცესიც რთულად მიდიოდა, დიდი სამუშაო იყო გასაწევი. ორი ამოცანა იდგა ჩვენ წინაშე: ერთი - გაგვეწია ანგარიში მათი მუსიკის თაყვანისმცემლებისთვის, მეორე - ამ ანგარიშთან ერთად ეს ალბომი მსმენელისთვის სიახლე ყოფილიყო, თუ რა ნოვაციით ხვდება იუბილეს ანსამბლი. ამდენად დილემის წინაშე ვიდექით - ტრადიციულ სტანდარტულ ფორმატში გაგვეკეთებინა სიდი ალბომი და თან თამამი და ნოვაციური ყოფილიყო. ალმობს განსაკუთრებული ელფერი მისცა „ქართულ ხმებთან“ საინტერესო კოლაბორაციამ - ნიაზ დიასამიძის, ზვიად ბოლქვაძის, რომა რცხილაძის, სალომე ბაკურაძის... ალბომშია რევაზ ლაღიძის, გია ყანჩელის, მარიკო კვალიაშვილის სიმღერები. ასევე მოხვდა სპეციალურად მათთვის დაწერილი ნატო გელაშვილის „თეთრ კლავიშებს“. ჯუმბერ ამანათაშვილის ორი ახალი სიმღერა. მიშა მდინარაძის და დავით მალაზონიას არანჟირებული სიმღერები. ასე რომ, მრავალფეროვანი თაიგულია. ყველა ეს სიმღერა შეუყვარდება მსმენელს, როგორც ყველა მათ მიერ შესრულებული სიმღერა. „ქართული ხმების“ შემადგენლობას ძალიან უყვარს ქართული სიმღერა, შრომისმოყვარეები არიან, იუმორი აქვთ. ვფიქრობ, მთლიანობაში ისეთი პროდუქტი გამოვიდა, როგორიც მათ და მათ თაყვანისმცემლებს ეკადრებათ“.

## რომა რცხილაძე: „ისინი ჩემი მეგობრები და სპლიყვები არიან. ვამაყობ, რომ დღეს ასეთი ადამიანები გვყავს“

**კახა გრიგალაშვილი:** - რომა რცხილაძეს 1975 წელს ანსამბლ „75“-თან ერთად აქვს ქართლ-კახური სიმღერა „ნამგალო“ როკის სტილში გაკეთებული და ნამღერი. ახლებური ჟღერადობით გვაქვს გაკეთებული „მზე შინა და“, „ჰარირა“. მამუკა ბეგაშვილმა დიდი როლი ითამაშა ხალხური სიმღერების გათანამედროვებაში. შევეცადეთ, რომ ავთენტიკას არ შევხებოდით. ამდენად ეთნომუსიკოსებს და ფოლკლორისტებს ბევრი სადაოც არაფერი ექნებათ.




## „ძალიან დიდ ენერგიას ველოდებით. ამდენი მსმენელი დიდი ხანია არ გვყოლია. კმაყოფილ, გახარებულ სახეებს ველოდებით და ყველა იმ ადამიანს, ვისაც მუსიკა უყვარს“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იუბილეო ალბომი და კონცერტი



## კახა გრიგალაშვილი: „თავანს ვაბარებთ მსმენელს“

EXCLUSIVE

**ნიაზ დიასამიძე: „ბორია გუგეშაშვილის „ბეჩა ყირამალა“ რომ მოვისმინე, მაშინვე მომინდა, რომ ჩემებურად გამეკეთებინა. სიმღერაშივეა ჩადებული, რომ ის „ჰიტია“. ახლა „ქართულ ხმებთან“ ერთად ჩვენი ვერსია გავაკეთეთ. მე მგონი, ეს ვერსიაც კარგი მოსასმენი გამოვიდა“**






კოლაბორაციებისთვის სიმღერიდან გამომდინარე შევარჩიეთ შემსრულებლები. იმერულ სახუმარო „კესარიას“ შემსრულებლად სალომე ბაკურაძე წარმოვიდგინეთ. ზვიად ბოლქვაძემ სპეციალურად ამ ალბომისთვის შესანიშნავი სიმღერა - „მთას იქით“ დაწერა. დავით მალაზონიამ სამი სიმღერა დაამუშავა. ერთი სახუმარო გურული სიმღერაა სუფსაზე. სიმღერა „სუფსელებო“ გურული მაკვარანცხული ხასიათითა და ჯაზური ელემენტებით არის გაჟღენთილი. ამ სიმღერის ასე გაკეთების იდეა ბიბი კვაჭაძეს ეკუთვნის.

**- 15 წლის იუბილეზე ანგარიშს აბარებთ მსმენელს?**

- თავანს ვაბარებთ მსმენელს :)

**- როგორ ფიქრობთ ვინ არის თქვენი მსმენელი?**

- ვისაც ფოლკი უყვარს, ვისაც ქალაქური სიმღერა და მრავალხმოვანება უყვარს, ყველა ასაკის მსმენელი. მინდა მსმენელმა ნოვაცია მიიღოს, ახალმა თაობამ - ხალხური სიმღერა.

**- ზაზა შენგელიამ აღნიშნა იუმორით მუშაობენო.**

- ჯაჯღანები და უჟმურები ვართ, იუმორი არ გვევასება :). დამიჯერეთ, იუმორია ყველაფერი, მათ შორის სიმღერაც. როცა აღარ იქნება იუმორი, არც სიმღერა იქნება“.



**რომა რცხილაძე:** „როდესაც „ქართულმა ხმებმა“ ამ პროექტში ჩართვა შემომთავაზა, გამიხარდა. მომეწონა ხალხურის გათანამედროვების იდეა. მე ჩემ მიერ არანჟირებული ძველი სიმღერა შევთავაზე. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მივულოცავ ამ საიუბილეო თარიღს. ისინი ჩემი მეგობრები და სპლიყვები არიან. ვამაყობ, რომ დღეს ასეთი ადამიანები გვყავს, დიდ და ფრთხილ საქმეს აკეთებენ, ხალხურის გათანამედროვებას. მიხარია, რომ ამ პროექტში ჩემი პატარა აგურიც დევს. სამწუხაროდ, ამ ალბომის პრეზენტაციას ვერ დავესწრები, ჩემ ბენდთან ერთად ესპანეთში კინოფესტივალზე ვარ მიწვეული. მაგრამ ვიდეოთი ჩემი მილოცვა იქნება. იმედი მაქვს ეს პროექტი გაიმარჯვებს“.

**ნიაზ დიასამიძე:** „ბორია გუგეშაშვილის „ბეჩა ყირამალა“ რომ მოვისმინე, მაშინვე მომინდა, რომ ჩემებურად გამეკეთებინა. სიმღერაშივეა ჩადებული, რომ ის „ჰიტია“. აშკარა იყო, რომ პოპულარული გახდებოდა. ახლა, „ქართულ ხმებთან“ ერთად, ჩვენი ვერსია გავაკეთეთ. მე მგონი, ეს ვერსიაც კარგი მოსასმენი გამოვიდა. ანსამბლის წინა თაობასთანაც მქონდა შეხება. ისინი არა კონცერტულ გარემოშიც მომისმენია. ესენი კი ჩემი თაობის ადამიანები არიან. ხაზი, რასაც „ქართული ხმები“ ჰქვია, მინდა შემდეგ თაობებშიც გაგრძელდეს. ჰქოდეთ ჯანმრთელობა და ბევრი ახალი სიმღერა ჩაწერონ“.

**ნინო ბენდელიანი, „ვითიბი ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი:** „კულტურის სფეროში ეს პირველი პროექტი არ არის, რომლის სპონსორებიც ვართ. „ბრავოსთან“ პირველად ვთანამშრომლობთ. „ქართულ ხმებთან“ კი დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. როგორც კი „ვითიბი ბანკის“ სპონსორობის სურვილი გაუჩნდათ და შემოგვთავაზეს, მაშინვე დავთანხმდით. ანსამბლს დიდი ხანია არ გამოუშვია ალბომი. და 1 მარტს, დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, გვაქვს საშუალება მოვუსმინოთ მათ სიმღერებს. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ ალბომზე. კონცერტი ბოლო, დამაგვირგვინებელი ეტაპია, ალბომს სრულად წარადგენენ პუბლიკის წინაშე“.



**- კახა, რას ელოდებით ამ კონცერტიდან?**

**კახა გრიგალაშვილი:** - ძალიან დიდ ენერგიას ველოდებით. ამდენი მსმენელი დიდი ხანია არ გვყოლია. კმაყოფილ, გახარებულ სახეებს ველოდებით და ყველა იმ ადამიანს, ვისაც მუსიკა უყვარს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „კვირიკე“ „ქართულ არხად“ გადაკეთდა

**my View**
**თამარ გონგაძე**

ტელეკომპანია „კვირიკე “ ერთწლიანი მაუწყებლობის შემდეგ ტელეკომპანია „ქართულ არხად“ გადაკეთდა. სამი თვეა არხზე საცდელი მაუწყებლობა მიდის. არხის კონსულტანტია მამა გიორგი ყიფშიძე, წმინდა მოწამეთა ივლიტესა და კვირიკეს სახელობის ტაძრის წინამძღვარი. არხმა საერთო მაუწყებლობის სტატუსი მიიღო, თბილისის ყველა საკაბელოშია ჩართული. აჩვენებს ბათუმსა და ქუთაისში. „სამი-ოთხი თვის წინ, პატრიარქთან ვიზიტისას, მან გვითხრა, იქნებ „ქართული არხი“ დაარქვათო. ასე მოვიქეცით. პატრიარქი გასულ კვირას ჩვენს ტელევიზიას სტუმრობდა. უდიდესი სიხარული მოგვანიჭა და დაგვლოცა“, – ამბობს თეიმურაზ ალიხანაშვილი, ტელეკომპანიის დირექტორი.





ზაზა აბაშიძე

ტელევიზიის პატარა კოლექტივი ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული. ჯგუფი ყველა ტიპის გადაცემაზე მუშაობს. გადაცემების ნაწილი ეთერში გადის უკვე, ნაწილი მზადების პროცესშია. გადაცემა „საუბრები მოძღვართან“ კვირაში ორ დღეს გადის, ერთ დღეს ის მამა ლუკას, ხოლო მეორე დღეს მამა კახაბერს მიჰყავს. ზურა შარიას თავისი საავტორო გადაცემა აქვს - „კულტურაში მოძრაობის წესები“. არხს ფსიქოლოგიური ტიპის გადაცემები აქვს, რომელიც ნანა ჩაჩუასა და მადონა ლანჩავას მიჰყავთ. ექსპერტ სოსო ცისკარიშვილს თავისი გადაცემა აქვს. არხზე საბავშვო, შემეცნებითი გადაცემები გადის. გადაცემას ფოლკლორზე გიორგი დონაძე, კლასიკურ მუსიკაზე კი ნიკოლოზ რაჭველი წაიყვანს. ზაზა აბაშიძე ისტორიაზე ამზადებს გადაცემას. „ღირსება, ერი და ადამიანი“ ასე ერქმევა გადაცემას, რომელსაც ისტორიკოსი წაუძღვება. არხის ხელმძღვანელობა ფიქრობს იუმორისტული გადაცემის მომზადებაზეც. საღამოს ცხრამეტი საათიდან პირდაპირ ეთერში გადის გადაცემები, მუშაობს ინტერაქტივი და მაყურებელს შეუძლია გადაცემაში ჩართვა, დარეკვა, აზრის გამოთქმა.

ოთხშაბათს ცხრის ნახევრიდან ათის ნახევრამდე პირდაპირ ეთერს გადაცემა „კულტურაში მოძრაობის წესები“ იკავებს. გადაცემას მოწვეული სტუმარი ჰყავს და საჭირბოროტო თემებზე საუბრობენ.

**ზურა შარია:** „კულტურაში მოძრაობის წესები“ ჩემი საავტორო გადაცემაა. თემები დაგროვილია, არც ერთ ქართულ არხზე კულტურაში არსებულ სერიოზულ თემებზე საუბარი არ მიდის. პრობლემა კი ბევრია. მაყურებელი უნდა აღვზარდოთ და ახალგაზრდობას გასაქანი მივცეთ. არხზე ახალგაზრდები, უკვე პროფესიონალები მუშაობენ, თამამად მუშაობენ და საქმე კარგად იციან.

**მამა ლუკა სუპატაშვილი (ასი ათასი მოწამის სახელობის ტაძრის წინამძღვარი):** - ჩვენ გადაცემას ლექციის და ქადაგების სტილი არ აქვს. კითხვა-პასუხის რეჟიმში ვსაუბრობთ სხვადასხვა თემებზე. კითხვებს ძირითადად ახალგაზრდები სვამენ. ტელევიზია გარდა იმისა, რომ ინფორმაციის გადაცემის საშუალებაა, განათლების გადაცემის ფორმის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაც არის. განათლებაში სიტყვის ფუძე - ნათელია. სულიერი კავშირი აუცილებლად დასამყარებელია.

**მადონა ლანჩავა:** - ჩვენ ჩვენი გადაცემით ბავშვთა ფსიქოლოგიას მოვიცავთ. გადაცემის მიზანია ამ მეცნიერების პოპულარიზაცია მოხდეს საქართველოში. გვინდა ეს ნიშა შევავსოთ. ასევე გავიმეორებთ გადაცემას „სახარება ბავშვებისთვის“, რომელიც „კვირიკეზე“ გადიოდა.

„გვაქვს საინფორმაციო გამოშვებაც, მცირეხნიანი, 15 წუთიანი. 19 საათზე იწყება და მოგვიანებით გამეორებები გადის. ტელეკომპანიის საქმიანობაში ახალგაზრდობაა ჩართული, სტუდენტები, მოსწავლეები. ვემზადებით ახალი გადაცემების გასაშვებად. ნელ-ნელა მაუწყებლობას მთელი საქართველოზე დავფარავთ“, - აცხადებს თეიმურაზ ალიხანაშვილი.

არხი ნამდვილად საინტერესო გადაცემებით კომპლექტდება და ის ისეთ მაყურებელს იძენს, რომელსაც მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები და სერიალები ყელში აქვს ამოსული. „ქართული არხი“ განსაკუთრებით სასარგებლოა მოზარდთათვის. ისინი სულიერ საზრდოს მიიღებენ, თუნდაც მოძღვრების საუბრებით, ისტორიული თუ ფოლკლორული გადაცემების ყურებით. მამა ლუკას დავეთანხმები, ტელევიზიას განსაკუთრებული ძალა აქვს მაყურებლის განათლებასა და ინფორმირებულობაში. ახალ „ქართულ არხს“ წარმატებას ვუსურვებთ.

**მამა ლუკა სუპატაშვილი:**
**„ტელევიზია გარდა იმისა, რომ ინფორმაციის გადაცემის საშუალებაა, განათლების გადაცემის ფორმის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაც არის. განათლებაში სიტყვის ფუძე - ნათელია. სულიერი კავშირი აუცილებლად დასამყარებელია“**


მამა ლუკა სუპატაშვილი


ფსიქოლოგი მადონა ლანჩავა

**ზურა შარია:** „კულტურაში მოძრაობის წესები“ ჩემი საავტორო გადაცემაა. თემები დაგროვილია, არადა, არც ერთ ქართულ არხზე კულტურაში არსებულ სერიოზულ თემებზე საუბარი არ მიდის. პრობლემა კი ბევრია“



# ნინო ანანიაშვილი ბალან







**my View**
**თამარ გონგაძე**

**გასულ კვირას ნანახმა „მაკნატუნამ“ ბავშვობაში გადამაგდო. ალექსეი ფადეეჩევის დადგმული ჩაიკოვსკის ყველაზე ფერადი და თბილი ბალეტი ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში 15 თებერვალს ვნახე. საშობაო ზღაპრის წარმოდგენამ ლამაზი ემოციები აღმიძრა. აუცილებლად უნდა აჩვენოთ ბავშვებს. ძლიერი შთაბეჭდილება დიდხანს გაჰყვებათ. ულამაზესი კოსტიუმები, დახვეწილი სცენოგრაფია, ფორმაში მყოფი დასი და ჩაიკოვსკის მუსიკა წარმოდგენას სინთეზში წარმატებულს ხდის. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა „მაკნატუნა“ თებერვალში სამჯერ წარმოადგინა, მანამდე ესპანეთში და წარმატებით. თეატრს წინ დიდი გეგმები აქვს. წარმოდგენის შემდეგ ნინო ანანიაშვილი ვნახე. საბალეტო დასის ხელმძღვანელმა „პრაიმტაიმს“ გეგმები გაუმხილა. მანამდე სპექტაკლიდან კი მინდა ფერია დრაჟესა და უფლისწულის პარტია გამოვყო. ნინო სამადაშვილი დასის სოლისტია, იაპონელი რიო კატო კი ანანიაშვილმა ორი წლის წინ მოიწვია დასში. ფერია დრაჟე ნინოს პირველი პარტიაა, „ჟიზელში“ მირტაა, „გედების ტბაში“ - შავი გედი.**

**ნინო სამადაშვილი:** - კარგი იყო სპექტაკლი. ახალ პარტნიორთან ერთად მომიწია ცეკვა. სამუშაო პროცესი რიო კატოსთან ერთად ძალიან სასიამოვნო იყო. ყოველი ახალი პარტნიორი პრაქტიკაა. ფერია დრაჟე ლამაზი პერსონაჟია. ფაიფურის სამშვენისს ჰგავს. „მაკნატუნა“ სასიამოვნო სადღესასწაულო სპექტაკლია. დადებითი ემოცია მოაქვს. ბავშვები სხვა სამყაროში გადაჰყავს.

მეორე, ვისაც გმოვყოფდი, მარის პარტიაა, რომელიც ნუცა ჩეკურაშვილმა იცეკვა. 20 წლის ნუცა იანვრიდან დასის სოლისტია.

**ნუცა ჩეკურაშვილი:** - უკვე მეოთხე სეზონია, რაც მარის პარტიას ვასრულებ. ყოველი სპექტაკლი ბალერინასთვის განსაკუთრებული უნდა იყოს. ახალს უნდა ამატებდე. აუცილებელია იმპროვიზაცია, თუ ეს შინაგანად მოდის. მაყურებელი თბილი იყო, ეს ენერგეტიკა ვიგრძენი. მარის ბავშვურობითა და ფანტაზიით ვგავარ.

კულისებში ნინო ანანიაშვილი შემოვიდა და ბალერინებს მილოცვების შემდეგ თავისი შენიშვნები მისცა: - ნინო გილოცავ, კარგად იცეკვე, მაგრამ გრიმი არ მო-



**ნინო ანანიაშვილი:**
**„ჩაიკოვსკის მუსიკის გაგონებაზე ბავშვივით რეაქცია მაქვს ხოლმე. მომწონს, ვიცინი ხუმრობებზე... შეუძლებელია „მაკნატუნას“ მოწყენილი უყურო. დიდი ხანია მთელი შემადგენლობით „მაკნატუნა“ არ გვიცეკვია და მე კმაყოფილი ვარ, კარგი სპექტაკლი იყო“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ჩინის საიუბილეო საღამოზე იცეკვებს








**„მეც ვაპირებ ერთი სპექტაკლის ცეკვას, დიდი ხანია არ მიცეკვია. ფილარმონიაში გვექნება საღამო, რომელიც ბალანჩინის 110 წელს მიეძღვნება. სტუმრებს ველოდებით. ჩამოვლენ ქართველი მოცეკვავეები, სხვადასხვა თეატრების წამყვანი სოლისტები“**



მწონს. უნდა ვიმუშაოთ ამაზე. წამწამები თვალებს გიხუჭავს. მძიმე წამწამი გაქვს დაწებებული. თვალი გახსნილი უნდა იყოს, შენ დახუჭული გაქვს. შენით ისწავლე მაკიაჟის კეთება.

**- ყველა წარმოდგენის შემდეგ ბალერინებს ასეთ დეტალებზე აძლევთ შენიშვნას?**

ნინო ანანიაშვილი: - მე ვაქცევ ყურადღებას ასეთ რაღაცებს. ბალეტში შენიშვნა კარგია. საქართველოში შენიშვნას მტრის ნათქვამივით იღებენ. ბალეტში ასე არ არის. ჩვენთვის შენიშვნა ნიშნავს იმას, რომ შემდეგ სპექტაკლზე უკეთესი იყო. თუ შენიშვნას არ აძლევ, ეს ადამიანი არ მოგწონს და არ გენაღვლება. ბალეტის სპეციფიკა ამითაც განსხვავდება. ასეთი მენტალიტეტით ვზრდით ბავშვებს. მეც მყავს ადამიანი, რომელიც დღემდე მაძლევს შენიშვნას. ეს სპექტაკლის წამყვანი პედაგოგია. სხვანაირად დონეს ვერ დაიჭერ.

**- როგორ შეაფასებთ „მაკნატუნას“?**

- დიდი ხანია მთელი შემადგენლობით „მაკნატუნა“ არ გვიცეკვია და მე კმაყოფილი ვარ, კარგი სპექტაკლი იყო. დეკემბერში მცირე შემადგენლობით ვიცეკვეთ. ესპანეთში გასტროლებზე წარმატებით ჩაიარა სპექტაკლმა. ქართველ მაყურებელს დავუბრუნეთ სრული შემადგენლობით. ეს სპექტაკლი ისეთია, ყველას უყვარს. ჩაიკოვსკის მუსიკის გაგონებაზე ბავშვივით რეაქცია მაქვს ხოლმე. მომწონს, ვიცინი ხუმრობებზე... შეუძლებელია „მაკნატუნას“ მოწყენილი უყურო.

**- საყვარელი სცენა რომელია?**

- პატარა რომ ვიყო, ვირთხების სცენას დაგისახელებდით. ვალსის მუსიკა და სცენა ტანში ყოველთვის ჟრუანტელს მგვრის. ცნობილი და მდიდრული მუსიკაა. ყოველთვის ემოციებით ვუსმენ.

**- ზამთარს უხდება...**

- დიდ თეატრში მხოლოდ ზამთარში არ ვცეკვავდით, სხვადასხვა დროს და დიდი სიამოვნებით ვცეკვავდით.

**- იაპონელ რიო კატოზე რას გვეტყვით?**

- რიო კატოს პორტუგალიის სკოლა აქვს დამთავრებული. ძალიან კარგი ბიჭია, მე ჩამოვიყვანე. სტუდენტი იყო. მაშინ „დონ კიხოტს“ ვდგამდი სკოლაში და იქიდან წამოვიყვანე. მეორე წელია დასის წევრია, სოლისტია. რეპერტუარში ყველაფერს ცეკვავს. წარმატებაც აქვს, რაც ძალიან მიხარია. ასევე გვყავს მამაკაცების პედაგოგი ანატოლი კუჩერუკი, რომელიც რუსული სკოლის წარმომადგენელია. დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა ამერიკაში. ახლა ჩვენი დასის წევრია. კარგი პედაგოგის ხელწერა დასში ბალერონებს მაშინვე ეტყობათ ხოლმე.

**- თქვენ არ გიხილავთ სცენაზე?**

- მეც ვაპირებ ერთი სპექტაკლის ცეკვას, დიდი ხანია არ მიცეკვია. ალბათ, „მარგარიტა და არმანს“ ვიცეკვებ. ახლა ბერლინში ოთხი სკოლის მოწაფე მიმყავს კონკურსზე. როგორც ჯგუფური ცეკვით, ასევე სოლო ცეკვებით გამოვლენ. მაისში ამერიკის საელჩოს დახმარებით ვაპირებთ აღვნიშნოთ ჯორჯ ბალანჩინის საიუბილეო თარიღი. ფილარმონიაში გვექნება საღამო, რომელიც ბალანჩინის 110 წელს მიეძღვნება. სტუმრებს ველოდებით. ჩამოვლენ ქართველი მოცეკვავეები, სხვადასხვა თეატრების წამყვანი სოლისტები. ჩამოვა და ქართულ დასთან ერთად იცეკვებს მაია მახათელიც. ბალანჩინის ერთ-ერთი ბალეტის პრემიერა გვექნება. საღამო ორკესტრთან ერთად გაიმართება და მას უხელმძღვანელებს ჯანლუკა მარჩიანო. შევეცდები ამ საღამოზეც მივიღო მონაწილეობა და ვიცეკვო. გარდა ამისა, ივლისის პირველ კვირას მივემგზავრებით მინსკში, ბელორუსიაში, სადაც საბალეტო ფესტივალში ვმონაწილეობთ. მინსკის დიდ თეატრთან ერთად ვიცეკვებთ ბალანჩინის და კილიანის პროგრამას, მესამე დღე კი მხოლოდ ჩვენ, ქართულ ბალეტს დაგვეთმობა.



# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ალ ბუსტანის ფესტივალი გახსნა





**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის ორკესტრი და საბალეტო დასი ბეირუთში ალ ბუსტანის 21-ე საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობს. თბილისის ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორისა და ალ ბუსტანის ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელის ჯანლუკა მარჩიანოს დირიჟორობით შესრულდა ანტონინ დვორჟაკის უვერტიურა „ბუნების წიაღში“ და მე-9 სიმფონია „ახალი სამყაროდან“, ნინო როტას სიუიტა, რობერტო მოლინელის „გაზაფხულის გული“ და „ქარბუქიანი ზამთარი“. სოლისტის ამპლუაში წარსდგა მსოფლიო აღიარების მქონე ბანდონეონისტი მარიო სტეფანო პიეტროდარკი. იგივე პროგრამა შესრულდა 20 თებერვალსაც.**





22 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრი ჯანლუკა მარჩიანოს ხელმძღვანელობით სცენაზე ფრანგ მევიოლინესთან ალექსანდრა სუმთან ერთად გამოვიდა. პროგრამაში იყო ფელიქს მენდელსონის უვერტიურა „ჰიბრიდები“, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტი და პეტრე ჩაიკოვსკის პირველი სიმფონია.

კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ლიბანის მედიაში გავრცელდა სტატიები, შეფასებები. აი, მაგალითად, „კონცერტი გაიხსნა და დასრულდა დვორჟაკის საორკესტრო ნაწარმოებებით, რომლებიც სოლიდურად შეასრულა ჯანლუკა მარჩიანომ. უწინარესი, რასაც ქართველების უნაკლო შესრულებამ მოჰფინა ნათელი, ისაა, რომ დვორჟაკისეული ჰეროიკული თემები ნამდვილად ბეთჰოვენის ხსოვნის წინაშე ვალის მოხდაა...

...ამ საღამოს საკონცერტო პროგრამა იყო გამოწვევა, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მაესტრომ და სოლისტმა მარიო სტეფანო პიეტრო დარკიმ მოახერხეს სრული ჰარმონიის შექმნა“, - წერს ჯიმ ქუილთი („დეილი სთარი“).

ქართულ ორკესტრს ფესტივალის აუდიტორია 26 თებერვალსაც მოუსმენს. ამჯერად შესრულდება უვერტიურა კარლ მარია ვებერის ოპერიდან „ჯადოსნური მსროლელი“, პეტრე ჩაიკოვსკის მეოთხე სიმფონია, სოპრანო ჯოჰანი ფონ ოოსტრუმი იმღერებს რიხარდ შტრაუსის „ოთხ უკანასკნელ სიმღერას“.

ალ ბუსტანის ფესტივალის მსმენელთა წინაშე ჩვენი ორკესტრი ბოლოს 28 თებერვალს წარსდგება - მევიოლინე სერგეი კრილოვთან ერთად დაუკრავს პეტრე ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტს, პროგრამაშია ასევე უვერტიურები ჯოაკინო როსინის ოპერებიდან „ვილჰელმ ტელი“, „სევილიელი დალაქი“, „კონკია“ და ჩაიკოვსკის უვერტიურა „ჭექა-ქუხილი“.

ყველა კონცერტს ჯანლუკა მარჩიანო უდირიჟორებს.

ევროპის საფესტივალო ასოციაციის წევრის, ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის აუდიტორიის წინაშე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი ამჯერად უკვე მეოთხედ წარსდგება (2011 წლიდან ყოველწლიურად მონაწილეობს ფესტივალში), რაც, ცხადია, გასულ წლებში მიღწეული დიდი წარმატების დასტურია.

წლეულს ფესტივალში პირველად მიიღებს მონაწილეობას თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი. 15 და 16 მარტს მაყურებელი იხილავს სპექტაკლებს „შოპენიანა“ და „მარგარიტა და არმანი“, სადაც მარგარიტას როლს პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი შეასრულებს, იგი ასევე იცეკვებს კამილ სენ-სანსის მომაკვდავ გედს.

ალ ბუსტანის ფესტივალზე წელს იმღერებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ირაკლი მურჯიკნელი - ის 19 მარტს იასკო ფუჯიისთან, კლეარ პრისლენდთან, საშა ჩანოსთან, ლიბანის კონსერვატორიისა და ანტონინის უნივერსიტეტის გუნდებთან, სომხეთის სახელმწიფო ახალგაზრდულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის შესრულებაში. ამ კონცერტსაც ჯანლუკა მარჩიანო უდირიჟორებს.

გასტროლის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ბერლინალეზე“ ქართულ ფილმებს წარმატებები მოჰყვა



**my View**

**თამარ გონგაძე**

ბერლინის **64**-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე ნაჩვენებ ქართულ ფილმებს წარმატება მოჰყვა. სექცია „პანორამაში“ თინა ყაჯრიშვილის „პატარძლები“ იყო ნაჩვენები, სექცია „ფორუმში“ ლევან კოღუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“. ფილმები ბერლინალეს სელექციონერმა ნიკოლაი ნიკიტინმა **2013** წელს თბილისში ვიზიტისას შეარჩია. მასთან რამდენიმე წელია თანამშრომლობს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი. „პანორამის“ სექციაში ნაჩვენები „პატარძლები“ **56** ფილმს შორის მაყურებლის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა და მაყურებლის სიმპათიით მესამე ადგილზე გავიდა. სოციალური დრამა პატიმრების ცოლებზე და სევდიანი კომედია უიღბლო მამაკაცზე სავსებით გასაგები აღმოჩნდა უცხოელი მაყურებლისთვის. ფილმებს სავსე დარბაზები ესწრებოდა. „ათასზე მეტ მაყურებელს იტევს დარბაზი, სადაც ოთხჯერ აჩვენეს ჩემი „პატარძლები“ და ყოველთვის გადავსებული იყო“, - ამბობს თინა ყაჯრიშვილი. დაიწერა დადებითი რეცენზიები. ფილმებმა ბევრი კომპლიმენტი მიიღო. „სინეუროპას“ ავტორი ასე ასათაურებს თავის რეცენზიას: „ბერლინალე - ბერძნული ტრაგედიის შთამბეჭდავი გარდასახვა პატარძლების ფორმით“. „თინათინ ყაჯრიშვილის „პატარძლები“, რომლის მსოფლიო პრემიერაც „ბერლინალეზე“ შედგა, შეგვიძლია ადვილად ვივარაუდოდ, რომ წელს წარმატებული იქნება. ის ფესტივალების ფავორიტი გახდება. მთავარი გმირების შემსრულებლების, გიორგი მასხარაშვილისა და მარი კიტიას ნამუშევრები საუკეთესოა. ფილმი გაჯერებულია ემოციური კადრებით. შთამბეჭდავია დრამატურგია. აღსანიშნავია ოპერატორის გოგა დევდარიანის ნაშრომი, რომელსაც ციხის კადრები რეალური სახით აქვს ნაჩვენები. ეს არის წმინდა ადამიანური დრამა. ნამუშევარი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ახალი ქართული ტალღა“ არაჩვეულებრივი კინოპროდუქციის ნიმუშია და იმსახურებს ბევრად მეტ მაყურებელს, ვიდრე ეს საფესტივალო წრეშია“, - წერს ვლადან პეტროვიჩი.

„ჰოლივუდ რეპორტერის“ ავტორი ლესლი ფერპერინი კი ლევან კოღუაშვილის ფილმზე წერს: „შემთხვევითი პაემნები“ წარმოადგენს სასიამოვნოდ ყურებად ტრაგიკომიკურ კინოს სუსტი მამაკაცებითა და ძლიერი ქალებით. მიუხედავად ეკონომიკური დაღმავლობისა ფილმში მაინც წარმოჩენილია იმედის მომცემი მდგომარეობა“.

პრემიერებს ფილმის მსახიობები, პროდიუსერები, ოპერატორი დაესწრნენ. მოეწყო „მარკეტს სქრინინგი“ ანუ ფილმების ბაზრობისთვის ჩვენება. ფილმი ფესტივალების წარმომადგენლებმა ნახეს.

**თინათინ ყაჯრიშვილი:** „ჩემი ფილმი მიწვეულია თითქმის ყველა კონტინენტის დიდ ფესტივალებზე. ჯერ ვერ ვასახელებ რომელ ფესტივალზე, თუმცა მთელი წელი ფილმი ფესტივალებზე ივლის.

ბევრი ქართველი გერმანიის სხვადასხვა ქალაქიდან იყო ჩამოსული. უცხოელების მხრიდანაც დიდი აქტივობა იყო. გერმანულმა პრესამ დადებითი შეფასება გააკეთა. ეს გაყიდვების აგენტს და მთელ ჯგუფს გვიხარია. ფილმის ჩვენების მერე მაყურებელთან კითხვა-პასუხის რეჟიმში განხილვა მოეწყო. მთელი დარბაზი გაუნძრევლად იჯდა და განხილვაში იყო ჩართული. ახლოს მიიღეს ფილმი, არ ყოფილა ის მომენტი, რომ უცხო მაყურებელია და ქართული ისტორია ვერ გაიგეს. ემოციურად იყვნენ დატვირთული. ბევრი ტიროდა. გულის ნადებს მიზიარებდნენ. ბევრი უკრაინელი, ლიტველი, ლატვიელი მოვიდა. მახსოვს, ჩვენების მერე ორი მამაკაცი მოვიდა, ცხოვრებაში ფილმის ყურებისას სულ ორჯერ ავტირებულვარ და შენმა ფილმმა ამატირაო“.






EXCLUSIVE















## თინა ყაჯრიშვილი: „ფილმის ჩვენების მერე მაყურებელთან კითხვა-პასუხის რეჟიმში განხილვა მოეწყო. მთელი დარბაზი გაუნძრევლად იჯდა და განხილვაში იყო ჩართული. ბევრი ტიროდა. გულის ნადებს მიზიარებდნენ. მახსოვს, ჩვენების მერე ორი მამაკაცი მოვიდა, ცხოვრებაში ფილმის ყურებისას სულ ორჯერ ავტირებულვარ და შენმა ფილმმა ამატირაო“

**- „შემთხვევით პატარძლები“ ნანახი გაქვთ?**

- ლევანის ფილმი საინტერესო ნამუშევარია. საინტერესო და რეალისტური გმირებით... იუმორიც არის, დრამაც, შეიძლება სევდიანი კომედია ეწოდოს.

**- რითი იყო წლევანდელი „ბერლინალე“ გამორჩეული?**

- სამი დათვი გადაეცა ჩინურ ფილმებს. წლევანდელ „ბერლინალეზე“ უამრავი ჩინური ფილმი იყო ნაჩვენები. ამით იყო წელს გამორჩეული.

**- საქართველოში როდის ვიხილავთ „პატარძლებს“?**

- სავარაუდოდ, შემოდგომაზე.

სხვათა შორის, „პატარძლები“ თინას პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია. აქამდე დოკუმენტურ და მოკლემეტრაჟიან ფილმებზე აქვს ნამუშევარი. არის რამდენიმე ფილმის პროდიუსერი - „ფარაჯანოვი“, „შავი თუთა“, „ბუდე“, „ოცნება-პარიზი“, „უცნობი ჯარისკაცები“ და „თეთრი არა, შავი“. „პატარძლები“ ქართულ-ფრანგული კო-პროდუქციაა. პროექტი 2012 წელს საქართველოს და საფრანგეთის კინოცენტრების მიერ დაფინანსდა. სცენარის ავტორები თინათინ ყაჯრიშვილი და დათო ჩუბინიშვილია. თინა ფილმის პროდიუსერიც გახლავთ. პოსტპროდუქცია საფრანგეთში, კანშია გაკეთებული. ფილმის კომპოზიტორი, მემონტაჟე და ხმის რეჟისორი ფრანგები არიან. რიმ ლოურენსმა მუსიკალურად გააფორმა ქართული ფილმები „შავი თუთა“ და „ბუდე“. ფილმის ოპერატორი გოგა დევდარიანია.

ფილმს საინტერესო სიუჟეტი აქვს. პატიმრების ცოლებს, ბოლო წლებში, შუშის მიღმა შესვლის და ქმრის ნახვის უფლება მისცეს. ამისთვის კი საჭირო იყო ოფიციალური ქორწინება, რაც აღმოჩნდა, რომ ბევრს არ ჰქონდა. ამიტომ პატიმარ ქმრებთან ცოლებს ციხეში უხდებოდათ ხელისმოწერა. ეს ქალები ციხეში ხელის მოსაწერად რომ შეჰყავდათ, ბადრაგი კართან ყვიროდა - კარი გახსენით, პატარძლები მოდიანო. პატარძლები კი სხვადასხვა ასაკის ქალბატონები იყვნენ, პატარა გოგონები, შუა ხნის ქალები, სოფლიდან ჩამოსული ხანშიშესული ქალბატონები... ხელის მოწერა ათი წუთი გრძლედებოდა.

როგორც საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის გვერდზე ვკითხულობთ 2014 წლის ოქტომბერში აზიის ყველაზე დიდ ფესტივალზე სამხრეთ კორეაში, ბუსანში ქართველი ქალი რეჟისორების რეტროსპექტივა გაიმართება.



ფესტივალს აქვს კონკურსიც, რომელშიც თიკო ყაჯრიშვილის „პატარძლები“ იბრძოლებს.

## რას წერს უცხოური პრესა კოღუაშვილისა და ყაჯრიშვილის ფილმებზე











© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ქაღალდის წვიმა“ - კლოუნადის პრემიერა ოთხი ჯამბაზით



**ანა სანაია: „ეძებს სიყვარულს, ჰგონია იპოვა, აღმოჩნდება, რომ ვერ იპოვა. მერე იმედი გაუცრუვდა, თვითმკვლელობა მოუნდა, მერე კიდევ უფრო მოუნდა... თითქმის ყველა ჩემი თვისება აქვს. გაშარჟებულად და უტრირებულად. მიყვარს უტრირება“**

**EXCLUSIVE**









## my View

თამარ გონგაძე

**კარგა ხანია ჯამბაზები ასე ახლოს არ მინახავს, თითქმის ბავშვობის შემდეგ. სხვაგვარი სიამოვნება მომგვარა. ის, რასაც ბავშვობაში დაბრუნება შეუძლია, დადებით ემოციებს იწვევს, ყოველ შემთხვევაში ჩემთან ასეა. ასაკობრივია ჩვენი ცხოვრებისეული მსოფლმხედველობა. თუ პატარაობისას ჯამბაზი სიცილს იწვევს, როცა ვიზრდებით ის გაცილებით სევდიანი გვეჩვენება. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ბავშვს ნელ-ნელა ვშორდებით ჩვენში, სილაღეს ვკარგავთ, ან ხელოვნურად ვიდიდებთ თავს. შავ-თეთრი რეალობა ვარდისფერი სათვალის მიღმაა და თუ ბავშვობაში ჯამბაზის ფერადი გრიმის შრეებში სევდას ვერ ვამჩნევთ, მერე უკვე მისი კომიკური საქციელი ზედაპირული გვეჩვენება და გრიმს მიღმა ჩაბუდებულ ცხოვრებისეულ ტრაგიზმს ვეძებთ.**

კლოუნადა - „ქაღალდის წვიმის“ პრემიერა ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრში 20 თებერვალს შედგა. ნიკა საბაშვილმა, ამ კლოუნადის დრამატურგმა და რეჟისორმა, 2011 წელს, როგორც საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორმა, თეატრალური პრემია „დურუჯი“ მიიღო. მაშინ, 2010 წელს, რეჟისორმა თავის თეატრ-სახელოსნო - „ახალ თეატრში“ დადგა ეს სპექტაკლი. ოთხი წლის შემდეგ თითქმის მთლიანად შეცვალა დრამატურგია. ეს ვერსია თავად რეჟისორს უფრო მოსწონს. „პირველი ვერსია ნაწყვეტებით იყო აგებული, ეს კი ერთ მთლიან ამბავს მიჰყვება. საერთოდ საინტერესო იყო კლოუნადის ჟანრის ძიება. ის საქართველოში არ არის დამკვიდრებული. არსებობს ან ცირკის ჯამბაზები, ან ანიმატორები არიან. ინტერნეტში მოვიძიე მასალები, ბევრი ვნახე. ამ ჟანრში თვითნასწავლი ვარ და ძირითადად სტილისა და მუშაობის ხერხების ამოკრეფა ვცადე. ის, რაც სპექტაკლშია, არის ჩვენი, ქართული კლოუნადა“, - ამბობს ნიკა საბაშვილი.

კლოუნადა კი ქართულია, მაგრამ თვითონ ჯამბაზს არ აქვს ეროვნება, ის ყველა ერისაა. ამიტომაც იყო, რომ „ქაღალდის წვიმის“ ჯამბაზები სხვადასხვა ენებზე საუბრობდნენ. ოთხმა ჯამბაზმა სევდანარევი იუმორით წარმოგვიდგინა ის, რაც ჩვენს ცხოვრებაში, ყოველდღიურობაში ხდება. სიყვარულის ძიება, საყვარელი ქალისთვის ჩხუბი, ფული, დაუგეგმავი სიყვარულის ნაყოფი, მისი მოშორება, არასწორი ნაბიჯისთვის საპასუხო დასჯა, თვითმკვლელობაზე ფიქრი, რომანტიზმი, გულუბრყვილობა, ფულით ვერ ნაყიდი ბედნიერება... რეჟისორმა სიმართლის სათქმელად თავისუფალი ფორმა - კლოუნადა არჩია, რომლის უნებური მონაწილე მეც აღმოვჩნდი. ჯამბაზებმა წარმოდგენაში ჩამრთეს, ხელში მუთაქა მომაჩეჩეს, ჩვილის შარჟით... ავყევი, მიმიღეს, გაუხარდათ. ოთხივე ჯამბაზი მეკონტაქტა. სპექტაკლის მერე „მიცნეს“ და პრემიერას მეც მილოცავდნენ/ კლოუნადის თანამონაწილეობა მეც მომეწონა.

„სპექტაკლის პირველი ვერსიის ჩვენებისას უცხოელ მაყურებელში ძალიან დიდ მოწონებას ვიმსახურებდით. ქართველებს რატომღაც არ უყვართ ჯამბაზები, ის მხოლოდ ცირკთან ასოცირდება. მხოლოდ ბავშვების თემა ჰგონიათ. დიდებს ბავშვობა გვავიწყდება. ჩვენ კი ამ სახით შეგვიძლია ადამიანებს გავახსენოთ, რომ დიდებს ბავშვურობა არ უნდა დაგვეკარგოს. კიდევ იმიტომ მომწონს ეს ჟანრი, რომ მეტი სიმართლე შეგიძლია თქვა და გეპატიება. კარგი იქნება კონკურენცია იყოს და სხვებმაც დადგან კლოუნადა“, - აცხადებს რეჟისორი.

**ნიკა საბაშვილი: „ქართველებს რატომღაც არ უყვართ ჯამბაზები, ის მხოლოდ ცირკთან ასოცირდება. ჩვენ კი ამ სახით შეგვიძლია ადამიანებს გავახსენოთ, რომ დიდებს ბავშვურობა არ უნდა დაგვეკარგოს“**

წარმოდგენა სამ კვირაში დადგა და გულდაწყვეტილია, რომ რაღაცები ვერ მოასწრო, ვერ სრულყო. სპექტაკლში სამი მამაკაცი და ერთი ქალი თამაშობს. თითქოს მამაკაცები ქალის გარშემო ტრიალებენ, თუმცა ქალი მაინც მარტოსულია, სიყვარულს ვერ პოულობს და სისუსტეს იჩენს - თვითმკვლელობაზე ფიქრობს.

ქალი იმის ადეკვატურია, როგორ საზოგადოებაშიც ხვდება, ამბობს რეჟისორი. ანა სანაიას გმირიც ექსპრესიული, ქალურად ცვალებადი, კოკეტური და სუსტია.

„ძალიან ჭკვიანურად იქცევა. საფინალო თვითმკვლელობა კი ტრიუკია, თვითირონიაა და მეტი არაფერი“, - გვიხსნის ნიკა საბაშვილი.

სამივე მამაკაცი ერთმანეთისგან საოცრად განსხვავებულები არიან. ერთი პრაქტიკული, პრაგმატული, ფხიანია, მეორე რომანტიკოსი და გულუბრყვილოა, მესამეს კი ბევრი ფული აქვს, ჰგონია, სიყვარულსაც იყიდის და ბედნიერებასაც... როლებში კი ზურა ავსაჯანიშვილს, ვახტანგ ნოზაძეს და ნიკოლოზ ნანიტაშვილს იხილავთ.

**ანა სანაია:** - ჩემი გმირი ქართველი გოგოა, არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ ცოტა უტრირებული, რადგან ეს კლოუნადის ჟანრია. ეძებს სიყვარულს, ჰგონია იპოვა, აღმოჩნდება, რომ ვერ იპოვა. მერე იმედი გაუცრუვდა, თვითმკვლელობა მოუნდა, მერე კიდევ უფრო მოუნდა... თითქმის ყველა ჩემი თვისება აქვს. გაშარჟებულად და უტრირებულად. მიყვარს უტრირება. უკეთესადაც შემეძლო, თუმცა რაც დღეს შევძელი, ეს იყო. ეს სპექტაკლი ჩემს ცხოვრებაში, ალბათ, ბევრ რამეს განსაზღვრავს.



**ნიკა საბაშვილი:** - სამივეში დოზირებულად არის ჩემი ხასიათი. სიურპრიზების მოწყობა ჩემი თვითმიზანია. ეს ჯამბაზებიც ერთმანეთს სიურპრიზებს უკეთებენ, მაგრამ არა საჩუქრის, არამედ შექმნილი ისტორიების სახით.

ვახტანგ ნოზაძის ჯამბაზი გულუბრყვილო რომანტიკოსია. სულ დაჩაგრული.

**ვახტანგ ნოზაძე:** - ჯამბაზი ბავშვობიდან უნდა გიყვარდეს. ის ხომ ბავშვობასთან ასოცირდება. მიყვარს თავისი სევდით, ტკივილით. ის ხომ არ ამჟღავნებს - რა ხასიათზეა. ჩემი გმირი წარმოდგენილია თავისი ტკივილით, დიდი ისტორიით, სიყვარულით, ჩაშლილი ურთიერთობებით. ეს მე ვარ თვითონ, არავის არ ჰგავს. ვითამაშე ის, რაც ჩემს სულშია. კლოუნადა ახალი ხილია და პირველი ნაბიჯები გადავდგით. ვფიქრობ, ეყოლება მაყურებელი.

**ზურა ავსაჯანიშვილი:** - რაც კლოუნადაში თამაშდება, ცხოვრებაც ასეთია. ყველა ერთმანეთს ვჭირდებით, ვავსებთ. ჯამბაზები ტრაგიკული პერსონაჟები არიან, ბევრი ემოცია აქვთ დაგროვილი. ღიმილში, ქაოსში დიდი ტრაგიზმი აქვთ. სპექტაკლი ყველამ უნდა ნახოს, რაღაცას მაინც წაიღებს აქედან, დაფიქრდება, მიხვდება, გაახსენდება... მეც ბევრ რამეზე დამაფიქრა. ნერვიულობად არაფერი ღირს, ადამიანი ყველაფერზე ძვირფასია. მარტივად არის საქმე, ადამიანები კი სულ ვართულებთ ცხოვრებას. გენიალურობა სიმარტივეშია. ჩვენ ვძაბავთ რაღაცებს, გვინდა დიდები ვიყოთ. არადა ჩვენში მყოფი ბავშვი გარეთ უნდა გამოვუშვათ.



**ზურა ავსაჯანიშვილი: „რაც კლოუნადაში თამაშდება, ცხოვრებაც ასეთივეა. ყველა ერთმანეთს ვჭირდებით, ვავსებთ. ჯამბაზები ტრაგიკული პერსონაჟები არიან, ბევრი ემოცია აქვთ დაგროვილი. სპექტაკლი ყველამ უნდა ნახოს, რაღაცას მაინც წაიღებს აქედან, დაფიქრდება, მიხვდება, გაახსენდება...“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N7 (257) ორშაბათი, 24 თებერვალი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge



# ნინო ანანიაშვილი ბალანჩინის საიუბილეო საღამოზე იცეკვებს

EXCLUSIVE



EXCLUSIVE

ბრავო რეკორდს BRAVO RECORDS

## „ქართული ხმები“ 15 წლისაა - საიუბილეო ალბომი და კონცერტი



რას წერს უცხოური პრესა კოღუაშვილისა და ყაჟრიშვილის ფილმებზე




EXCLUSIVE

ISSN 1987-7404

9 771987 740005

# SCANDAL



რა იცრუა „პრაიმტაიმთან“ ირაკლი ვაშაკიძემ

## ვინ დარჩა მეგობრობის გამო გუნდში და რატომ ასაიდუმლოებს „დინამო“ დვალის იჯარის თანხას?

ირაკლი ვაშაკიძე: „დავით ხურცილავასთვის „დინამოში“ მისვლის სანაცვლოდ ფული არ გამომირთმევია“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება